ერთეული ბიბლიოთეკა 1/2

ცხელი შოკოლადი

აგვისტო-სექტემბერი 2013 №93
ფასი 7 ლარი

1439 /2
2013

ნუგზარ ზაზანაშვილი

მთავარი თემა
გარემოს დაცვა

პრობლემა
მარიხუანა – მაცდური მაგია

ფამუქომანია

ISSN 1512-2220

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი "ცხელი შოკოლადი"

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ONLAIN გამოწერა



ახალი მოკრძალები

N93, აგვისტო-სექტემბერი 2013

ყდა: ნუგზარ ზაზანაშვილი
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

	06	რედაქტორის სვეტი
	08	ავტორთა სვეტები
წერილი რედაქციას	10	„უცნობი მომავალი“ *გია ეძგვერაძე*
მოვლენები	12	პარტიზანული მებაღეობა თბილისში *სალომე აფხაზიშვილი*
ანონსი	14	3 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ *სალომე აფხაზიშვილი*
მოხეტიალე	18	ტრეინსპოტინგი 2 *ანა მაყაშვილი*
მთავარი თემა – გარემოს დაცვა	26	დავუტოვოთ სივრცე ბუნებას *ნუგზარ ზაზანაშვილი*
	31	ქალაქის გარემო და ურბანული პროტესტები *ელენე ხუნდაძე, ლერი ცისკაძე*
	36	„ეკოლოგია – ოპიუმი ხალხისთვის“ *სლავოი ჟიჟეკი*
	38	კომენტარები სლავოი ჟიჟეკის წერილზე „ცენზურა დღეს: იძულება, ანუ ეკოლოგია როგორც ახალი ოპიუმი მასებისათვის“ *ნუგზარ ზაზანაშვილი*
	40	ნუგზარ ზაზანაშვილის რუკები და ტერიტორიები *მაკა ლდოკონენი*
	46	ხათუნა გოგალაძე: „ავსტრიაში გარემოს დაცვის სამინისტროს Life Ministry-ს ეძახიან“ *ცირა გვასალია*
	54	მომავლის თბილისი: არც აივანი, არც ხეივანი?! *დათო ქარდავა*
	59	როგორ გამწვანდა თბილისი *დათო ქარდავა*
	62	ადამიანური სივრცე და ხელოვნების ვალდებულება *ნატა ნებიერიძე, გია ეძგვერაძე*
პრობლემა	74	მარიხუანა – მაცდური მაგია *ირმა კახურიშვილი*
უცხო თვალით	82	„საქართველო ჩვენს გულში“ *ტატიანა მონტიკი, დასე ჯავახიშვილი, მანფრედ ნავროტი, მოლი კორსო*
ლიტერატურა	90	ფამუქმანია *ირმა ტაველიძე*
საავტორო	96	ბლუზი მტკვრის პირას *ბიძინა მაყაშვილი*
ისტორია ათწლეულებში	104	ირაკლი ხვადაგიანის 20-იანები
მიმოხილვა	110	წიგნები *სალომე აფხაზიშვილი*
	114	მუსიკა *ლევან ძნელაძე*

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ძლიერი ბანკი
ჩემი ბიზნესის წარმატებისთვის!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სტილი და კორექტურა
ინა არჩუაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ბიძინა მაყაშვილი, ანა მაყაშვილი, ლევან ძნელაძე, გია ეძგვერაძე, იაკლი ლომოური, ნუგზარ ზაზანაშვილი, ელენე ხუნდაძე, ლერი ციკაძე, მაკა ლდოკონენი, ცირა გვასალია, დათო ქარდავა, ნატა ნებიერიძე, ირმა კახურიშვილი, ირმა ტაველიძე

ფოტო
ლელი ბლაგონრავოვა, მარიკა ქოჩიაშვილი, კახა კახიანი, მაკა გოგალაძე

დირექტორი
შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი
ქეთევან ბაბუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი
ია შენგელია

პარტნიორებთან ურთიერთობების მენეჯერი
ნუცა ქირია

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩიშვილი

რეკლამის განთავსება
ტელ.: 225 25 30
მობ.: 577 57 99 00

გამომცემლობა
შპს „ცხელი შოკოლადი"
მისამართი: თბილისი, აფაქიძის ქ. 11, ტიფლის ბიზნეს ცენტრი
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი"

სტამბა
„სეზანი", თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ეკოლოგია და სხვა ყველაფერი

ეკო-ნომრისთვის დიდხანს ვემზადებოდით. ეს ისეთი თემაა, რომელზეც ყოველ დღე უნდა ვსაუბრობდეთ. ამ თემას შეუძლია, და რაც მთავარია, სრული უფლება აქვს შეავსოს (და ხშირად ჩაანაცვლოს) თანამედროვე მედიის ყველაზე პოპულარული თემები. შეავსოს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ წამყვან თემას შეიძლება დაუკავშირდეს ეკოლოგია. რატომ? იმიტომ, რომ ეკოლოგიის საკითხი პოლიტიკის, ეკონომიკის უმთავრესი საკითხიცაა. ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა და კულტურა პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიასთან. რწმენის მსახურებსაც, რა თქმა უნდა, შეუძლიათ უფრო ღრმად გააცნობიერონ თავიანთი როლი ამ საქმეში. ეკოლოგია და გართობა, ეკოლოგია და სპორტი, ეკოლოგია და თანამედროვე ხელოვნება. სია კიდევ შეიძლება გაგრძელდეს.

რატომ დავიწყე მედიით? იმიტომ, რომ სწორედ მედიამ უნდა შეძლოს ერთხელ და სამუდამოდ საზოგადოების შემობრუნება, ჩვენი ცნობიერების შემობრუნება, რადგან სხვანაირად არაფერი გამოვა, ნებისმიერი ეკოპროექტი განწირული იქნება, თუკი საზოგადოება არ შეიცვლება და ყველა ჩვენგანი არ გააცნობიერებს იმ საფრთხეებს თუ პერსპექტივებს, რომელიც ერთი მხრივ მავნებლობას და გულგრილობას, მეორე მხრივ კი ზრუნვასა და ყურადღებას შეიძლება მოჰყვეს.

ამ ნომრის მზადება მანანა ქოჩლაძესთან, ირაკლი მაჭარაშვილთან (მწვანე ალტერნატივა) და ნუგზარ ზაზანაშვილთან (WWF) ერთად დავიწყეთ. გვინდოდა მაქსიმალურად ყველა მნიშვნელოვანი თემა მოგვეცვა, რათა ნომერი საგანმანათლებლოც ყოფილიყო და ესეისტურიც, თუმცა, საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაინც მიმდინარე პრობლემებმა გადაძლია და მეტი კონკრეტიკა გამოჩნდა. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. თემატურ პუბლიკაციებში გამოვურიეთ სლავოი ჟიჟეკის პროვოკაციული და მახვილგონივრული ლექციის ფრაგმენტებიც, სადაც იგი ეკოლოგიური მოძრაობის საშიშროებაზე ლაპარაკობს. მინდოდა ამ კრიტიკული შეფასებისთვისაც ცოდნით და ობიექტურად შეგვეხედა, სწორედ ამიტომ ვთხოვე ჟიჟეკის ტექსტის კომენტირება ნუგზარ ზაზანაშვილს.

გვინდა ეს ნომერი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს და წაიკითხოს, მათ შორის სახელმწიფო მოხელეებმა და რაც მთავარია, პედაგოგებმა, რადგან მედიასთან ერთად ისინიც უნდა იქცნენ იმ ფასეულობების გადამტანებად, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

და ბოლოს, ეკოლოგია სოციალიზაციის საუკეთესო საშუალებაა. არაფერი ისე არ აერთიანებთ ადამიანებს, როგორც ერთიანი გარემოსთვის ბრძოლა ან ზრუნვა. ბუნების დაცვა ჩვენთვის ურთიერთობის უმთავრეს საშუალებად შეიძლება იქცეს. ასეთი ურთიერთობები უსაგნო ფიქრებითა და ფუჭი ოცნებებით გადაღლილ და დაბინძურებულ გონებასაც გაასუფთავებს, რადგან თავად ამ ურთიერთობის საფუძველია სუფთა და მართალი. შესაძლოა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ჩვენი მარტოობაც და მასთან დაკავშირებული კომფორტებიც ამ ურთიერთობასთანაა დაკავშირებული.

მალხაზ ხარბედია

Silklab

თვეში 5 ლარიდან

ლიცენზირებული ანტივირუსი
სილქნეტისგან

2 100 100

silknet.com/antivirus

KASPERSKY lab

eset NOD32 antivirus system

ირმა ტაველიძე

ორჰან ფამუქის „შავი წიგნი“ საუკუნის დასაწყისში წავიკითხე. წიგნების თაროზე ახლაც მიდევს „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ 1999 წლის მე-6 ნომრის ქსეროასლი. მახსოვს, კითხვის დროს თითები მიშავდებოდა – სიტყვები იდღაბნებოდა და საღებავი კანზე გადამდიოდა. წიგნის კითხვა დავამთავრე თუ არა, თავიდან დავიწყე – არა მხოლოდ იმიტომ, რომ კვანძის გახსნის შემდეგ სიუჟეტის ახალი პერსპექტივიდან დანახვა და ფაქტების ახლებურად გადალაგება შემეძლო. მეორედაც სიამოვნებით წავიკითხე – დეტალებზე დაკვირვებისგან მიღებული სიამოვნებისთვის. რაც მეორედ წაკითხვის სურვილს არ გიჩენს, ჩემი აზრით, ლიტერატურა არც არის. ის, რომ დღეს საქართველოში ორჰან ფამუქის რომანებს დიდი გატაცებით კითხულობენ, სასიხარულო ამბავი მგონია. მასთან ერთად ისეთი თურქი მწერლებიც ითარგმნება, რომლების სახელები გაგონილიც კი არ გვქონდა: ოია ბაიდარი, ელიფ შაფაკი... გულგრილობის ბნელმა წლებმა ჩაიარა. შავი ხელების აღარ გვეშინია.

ფამუქმანია

გვ. 90

მაკა დლოკონენი

ეკოლოგია ჩემთვის ქცევის ესთეტიკით იწყება. ადამიანის მოქმედების განსაზღვრული ფორმა კი თავის მხრივ კულტურის დონის მაჩვენებელია. შესაძლოა თქვენ ნორმების წინააღმდეგი ხართ და არც ადამიანის „კარგად მოქცევისკენ“ სწრაფვას აღიარებთ.

ნება თქვენია, შედეგი კი მარტივად გამოსათვლელი:

გავაგრძელებთ ცხოვრებას პოლიეთილენის პარკებით „მორთული“ ხეების გარემოცვაში, მზესუმზირას ჩენჩოთი და სიგარტის ნამწვებით მოფენილ ქუჩებში, „სიურპრიზებით“ სავსე სადარბაზოებსა და ლიფტებში, საღამოობით სკუთარი აივნებიდან დავაკვირდებით როგორი გრაციოზულობით ისვრიან დიასახლისები ნაგავს პირდაპირ ფანჯრებიდან და ა.შ.

ოზონის ხვრელსა და გლობალურ დათბობაზე მსჯელობა მოდურ საუბრად დარჩება, სანამ საკუთარი ქცევით ჩვენი ცხოვრების სტილს არ შევცვლით, – ჩემმა რესპონდენტმა, ეკოლოგმა და პოეტმა ნუგზარ ზაზანაშვილმა ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. ამიტომ პოეზიაზე საუბარს ეკოლოგიით ვიწყებ.

ნუგზარ ზაზანაშვილის რუკები და ტერიტორიები

გვ. 40

ცირა გვასალია

„ო“ „ა“-ს ნაცვლად

„ხათუნა გოგოლაძე“ – პრემიერ-მინისტრმა გარემოს დაცვის ახალი მინისტრი საკუთარ ელექტორატს შეცდომით წარუდგინა. რა თქმა უნდა, ყველა სააგენტომ გვარი არასწორად გადააკოპირა. რა გადამოწმება, რის გადამოწმება (პრემიერის სიტყვას საქართველოში გადამოწმება არ სჭირდება!).

ხათუნას მინისტრობამდეც ვიცნობდი. მისი გვარის სწორად წარმოთქმაც ვიცოდი. ამ უხეშ უზუსტობაზე კი ძალიან გავბრაზდი. ნეტა პრემიერი მანამდე არ იცნობდა-მეთქი ხათუნას, გავიფიქრე.

„გოგოლაძე კი არა, გოგალაძეა“, – დავპოსტე ფეისბუქზე. ზოგმა შეცდომა მყისიერად გამოასწორა, ზოგმა – მაგრად „დაიკიდა“.

დღემდე „იკიდებენ“. შეცდომა არაერთ ტელევიზიას თუ სააგენტოს მოსდის. ხათუნა გოგა(!)ლაძეს კი, როგორც ცუდი მემკვიდრეობის პატრონს, ბევრი უსამართლო საყვედურის მოსმენა უწევს.

„გვაბოლებს“ – „დააკომენტა“ მოქალაქემ ასათიანის ხეების გადასარჩენად შექმნილ ფეისბუქის ჯგუფში, ვიდეოს ქვეშ. ვიდეოში აქციაზე მისული მინისტრი მოსახლეობას უხსნის, რომ ასათიანის ქუჩა №10 2010 წელს გაიყიდა. არსებობს ხელშეკრულება. ხეების ჭრის პროცესს ინვესტორთან ერთი ზარის განხორციელებით მამაზეციერიც კი ვერ შეაჩერებს. გვიანია.

მეორე დღეს, პრესკონფერენციაზე ხათუნა აცხადებს, რომ ხეების ჭრა დროებით შეჩერებულია. იქვე აღნიშნავს, რომ საჭიროა ყველა გააქტიურდეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთოს. მხოლოდ მინისტრის იმედზე არ დარჩეს.

ეს პასუხისმგებლობისგან გაქცევას არ ნიშნავს. „ხეები მე არ მეხება. მიმართეთ თბილისის მერიას“ გარემოს დაცვის მინისტრისგან უკვე აღარ ისმის.

პროგრესი სახეზეა.

ხათუნა გოგალაძე: „ავსტრიაში გარემოს დაცვის სამინსტროს Life Ministry-ს (სიცოცხლის სამინსტროს) ეძახიან“

გვ. 46

LE LANGAGE DE LA PEAU

LIERAC

PARIS

SUNIFIC

ყველაფერი რაც გჭირდება უსაფრთხო და ლამაზი ნამზეურისთვის:

- დახვეწილი ტექნოლოგიები;
- დაპატენტებული UVA/UVB სისტემა;
- რუჯის გამახანგრძლივებელი ეფექტი;
- სამმაგი ნაოჭსაწინააღმდეგო მოქმედება;
- შეუდარებელი, მბზინავი ტექსტურა.

ჯინისი GPC

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უცნობი მომავალი“

ბატონო მალხაზ, ამ წერილს თქვენს რედაქტორის სვეტთან კავშირში გწერთ, რომელიც მუსიკის თემას ეხება. ჩემი დამოწმება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ თქვენი ტექსტის მნიშვნელობა შორს სცდება ანონსის ფუნქციას, რადგანაც მასში დელიკატური ფორმით ისეთმა თემამ გაიჟღერა, რომელიც, ჩემი რწმენით, ქართული საზოგადოების მომავლისათვის უპირველესი და უმნიშვნელოვანესია!

ეს არის ***ნამდვილი, ანუ უცნობი მომავლის*** თემა, რომელსაც მეც გარკვეულწილად შევეხე „ლიბერალის“ სტატიაში 17 მაისთან დაკავშირებით, თუმცა ჩემი ამ თემასთან შეხება არა მუსიკალური კუთხით, არამედ რელიგიური პერსპექტივიდან მოხდა (ამ სტატიის სავარაუდო მესამე თავი მხოლოდ ამ პრობლემას უნდა მიეძღვნას – თუმცა ეს თავი ჯერ „ლიბერალს“ არ შეუკვეთია(?!).

ასეთი *უცნაური მომავლისაკენ* სწრაფვა ქართული საზოგადოების პრაქტიკაში არასოდეს მოქცეულა და ჯერჯერობით აზროვნების სახითაც არანაირ პერსპექტივაში არ ისახება.

ეს მომავლის შეგრძნება (რომელსაც თქვენ მუსიკაში ცდილობთ მოიძიოთ) არანაირად არ იკვეთება იმ მომავალთან, რომელსაც „გეგმავს“ და რისკენაც „მიმართავს“ ხალხს ყველა რჯულის და მოდგმის ქართველი პოლიტიკოსი (რომლებიც ამ უუნარობის მიუხედავად არაპროფესიულმა ქართულმა მედიამ ასეთი უდარდელობით და დაუდევრობით გააბოგინა).

ასეთ ნამდვილ მომავალზე ჟაკ დერიდამ თქვა: „მე არ მაინტერესებს მომავალი, რომელიც იგეგმება, წარმოიდგინება და გაითვლება, მე მაინტერესებს მხოლოდ ის მომავალი რომელიც წმინდა და მოუხელთებელი ექსიდენტია“(!).

ასეთი *შეუცნობადი მომავალის* ინტუიცია, მისკენ ლტოლვა და პატივისცემა უბიძგებს პიროვნებას და ერს იმ სრულიად უცნობი ფორმის თავისუფლებისკენ, რომელსაც, რასაკვირველია, „მოხვეჭის თავისუფლებასთან“ არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ასევე არ არის თავისუფლება „რაიმესაგან“ და მხოლოდ და მხოლოდ არის თავისუფლება „ცნობიერების ყველა სახის საგნობრიობისაგან“.

ასეთი გამოთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის ყველა ტიპის ჭეშმარიტად პროგრესული თანამედროვე მუსიკა (კლასიკური ავანგარდი თუ მისი არაკლასიკური ფორმები), რომელიც რაიმე კონკრეტული ნარატივის აღწერით ან მხოლოდ საუნდის უსასრულო ფიგურაციების გამოვლენით არ არის დაკავებული. ეს მუსიკის უახლესი მოძრაობა სრული წრის დარტყმისკენაა მობილიზებული და სიმბოლურად ტიბეტური კიმბალების ერთ ბგერიან „მუსიკაში“ ან ამავე ტრადიციის მუსიკალური რიტუალის ბოლო, ყოვლისმომცველ აკორდში წარმოიდგენს თავის იდეალურ აღსრულებას.

ეს *უცნობი მომავალი* სურნელის გარეშე და ბინარული ფრიქციის არმქონე სუნთქვისკენ ლტოლვის გზაზე პირველი კარიბჭის გახსნაა.

ქართულ რეალობას, ანუ პოლიტიკოსების და „სასულიერო პირების“ ისტერიული დუალობის ხაფანგში გამომწყვდეულ ქართულ ცნობიერებას, არც კი წარმოუდგენია ასეთი სუნთქვის ტერიტორიის არსებობა. ჩვენში ხომ ასეთი ტერიტორიის მომძიებელი კონტრკულტურული ძალები, როგორც სრულყოფილი/თვითკმარი საარსებო სივრცე არ არსებობს. კონტრ-კულტურა იმ ფორმის ქმედითობაა, რომელიც გამოუხატველისაკენ (შავი ხვრელისაკენ), ან სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ „აბსოლუტურ სხვისაკენ“ მიისწრაფვის, რომლის არსებობის მინიმალური შეგრძნებაც კი „ცნობიერების არ გასაგნების“ ერთადერთი და სრული გარანტიაა.

ასეთი მისწრაფების სიღრმისეული, აბსტრაჰირებული საჭიროება დასავლურ ცნობიერებას კარგადა აქვს გაცნობიერებული. მან ეს საჭიროება სოციალური უტოპიების უსასრულო მარცხით გამოწვეული დიდი ტკივილის შედეგად და ამ ტკივილის ღრმა განსჯის/გაცნობიერების ხარჯზე შეიძინა და დააგროვა. სწორედ ამ გარემოებამ დააწყებინა დასავლური ტიპის ცნობიერებას ის სხვა უცნობი მოძრაობა/ძალისხმევა, (არა პოლიტიკური, არა რელიგიური, არა შემეცნებითი – ტრადიციული გაგებით), რომელიც *უცნობ მომავლს* ეძიებს და მუსიკალური ექსპერიმენტები სწორედ ამ ძალისხმევების ნაწილად განიხილება. ასეთმა ჭეშმარიტმა მუსიკალურმა ძიებებმა (არ ვგულისხმობ მუსიკალური ფორმის ოპუსებს ან თხრობითი ფორმის მუსიკალურ ნარატივებს) შექმნეს ის გაბრძოლების უწყვეტი დინამიკა მუსიკაში, რომელსაც საბოლოო მიზანი არ გააჩნია და არანაირ იდეოლოგიას არ ემსახურება, ან ინდივიდუალიზმზე დაყრდნობით ყოველგვარი იდეოლოგიების რადიკალური გადაძლევის ფორმას წარმოადგენს.

ასეთი მუსიკა იმ წმინდა ენერგეტიკულად ამოვსებული „ცოდნის“ მაგალითია, რომელზეც ქრისტე მიანიშნებს, როდესაც წყალს ღვინოდ აქცევს. ასევე ღვინის სიმბოლიზაციას იყენებენ ომარ ხაიამი და რუმი, როდესაც თავის ბრწყინვალე პოეზიაში *მოუხელთებელის ღვთაებრივი განცდის შეგრძნების აღწერას* ცდილობენ (თქვენ, როგორც ღვინის ენთუზიასტს ეს ალბათ სრულფასოვნად გაქვთ გაცხადებული).

აღწერილ სიმაღლეებთან არანაირ შესატყვისობაში არმყოფი საზოგადოებრივი ცნობიერება (და მისი სუბიექტები) ვერასდროს ვერ აღწევს სიმშვიდეს და გამჭვირვალებას.

ჩემი დასავლელი კოლეგებისაგან არაერთხელ გამიგია, რომ ცხოვრებაში ყველაზე თავზარდამცემი კულტურული შოკი მათ ინდოეთში პირველი ჩასვლისას მიიღეს. ამ შოკის მომგვრელად ისინი იმ ხალასი ხალისით სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინებულ თვალებს ასახელებენ, რომელსაც ინდოელი „უსახლკარო“ შემოგანათებს იმ მომენტში, როდესაც ის, ნახევრად შიშველი, ქალაქის ქუჩაში ჩამომდინარე წყალის ნაკადულში თავის ერთადერთ საკუთრებას, ბრინჯის საჭმელ თასს რეცხავს. ამ უსახლკაროს სახლის და კარის სანაცვლოდ მხოლოდ სულის სისავსე გააჩნია. მატერიალური ცივილიზაციის მგრძნობიარე ინდივიდისათვის ეს თვითკმარობა ნამდვილად შოკის მომგვრელია. ქართველი ინდოეთში ჩასვლისას ამ თვალებსაც კი ვერ ამჩნევს, რადგან მათ არასდროს ეძებს – მას ასეთი თვალების არქონა ჯერ არ სტკივა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ასეთ თვალებთან ჯერ დასავლეთიც ძალიან შორს დგას.

ამ ხალასი ეების ბედნიერების აბსოლუტური უქონლობა არის მთავარი და ალბათ ერთადერთი ნამდვილი დასტური ქართული მართლმადიდებური მრევლის და ეკლესიის ერთმნიშვნელოვანი მარცხისა.

მე მიხარია, და სრულიად გეთანხმებით, რომ ამ „ახალი მომავლის“ დაბადების საწყისებს თქვენ მუსიკაში მოელით და პოულობთ. მაგრამ ეს ფაქტი ჩვენს დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, ამ პირველ იმპულსებს, სწორი შეფასება, თანადგომა და სწორი ადგილის მიჩენა სჭირდება, რათა ამ იმპულსების ავტორებმა თავად შეიგრძნონ იმ დიდი სუნთქვისკენ მიმართება, რომელსაც თავად უყრიან სათავეს.

სწორედ ამ საქმისთვის მიმაჩნია, რომ თქვენი ტექსტის მიმართება უნდა გაიშალოს, დამუშავდეს და იმ დისკურსად იქცეს, რომელსაც შესწევს უნარი *ცნობიერების გასაგნებაზე* მომართულ დისკურსებს შეუქმნას ნათელის და გამჭვირვალების მომტანი ალტერნატივა. რომელიც მიზნად მხოლოდ და მხოლოდ შეუცნობადთან და გამოუვლენელთან ზიარებას ისახავს. ეს არის ახალი სულიერების ფორმა, რომელიც უნდა ვეძებოთ, ვიპოვოთ და დავამკვიდროთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც დინამიკა, უსასრულოდ მოძრავი და დუოკებელი, და არავითარ შემთხვევაში და არამც და არამც, როგორც სტატიური ღირებულება (სხვანაირად რელიგიის მიერ დაშვებულ შეცდომას დავუშვებთ).

ამ *ჭეშმარიტი გადარჩენის* პერსპექტივაში მუსიკის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ბერკეტის უეჭველი პრიორიტეტი იმაშია, რომ მისი ნამდვილი აღქმა ინტუიციას და გრძნობადობას ემყარება, ამიტომაც მისი მოხელთება და მასთან ბრძოლა მტრულად განწყობილ ყველა ტიპის დისკურსს უჭირს – მუსიკის აკრძალვა კი დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

მე სრულიად გეთანხმებით, რომ დღეს ფუნდამენტალური განახლების საწყისებს სწორედ აქედან უნდა ველოდეთ და ამიტომაც პროგრესულად მოაზროვნე წრეებმა ამ ტერიტორიის სკაუტებს უნდა გაუწოდონ თანადგომის და დახმარების ხელი ახალი დისკურსის გამართვით და საზოგადოებაში დამკვიდრებით.

დიდი პატივისცემით,
გია ეძგვერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანული მებაღეობა თბილისში

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

8 ივლისს, ორშაბათს, დილის 10 საათზე, ასათიანის ქუჩის მცხოვრებლები ყოფილი ფსიქიატრული საავადმყოფოს ტერიტორიაზე ხის მჭრელი ხელსაწყოებისა და უზარმაზარი ხეების ვარდნის ხმამ გამოაღვიძა. რამდენიმე წუთში მოსახლეობა საბურთალოს პარკის გაჩეხვის გასაპროტესტებლად, პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბა. მოქალაქეები, რომლებიც ტერიტორიის გაყიდვამდე შუა ქალაქში გაშენებულ, უნიკალური ჯიშის ხეებით მდიდარ პარკში ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებდნენ, განსაკუთრებით მაშინ აღშფოთდნენ, როდესაც საკუთარი თვალით დაინახეს, თუ როგორ ჭრიდნენ სრულიად ჯანსაღ ხეებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. საპროტესტო აქციას იმავე საღამოს თბილისის სხვა მოქალაქეებიც შეურთდნენ და ხმაურიანი მსვლელობა გამართეს. დედაქალაქში არსებული პარკებისა და მწვანე სივრცეების ყოვლად უგემოვნო შენობებად და ბეტონის ობიექტებად გადაქცევის გასაპროტესტებლად, ამ აქციიდან ზუსტად 5 დღეში, მხატვარ-რესტავრატორმა ნატა ფერაძემ ფეისბუქზე ასეთი გვერდი დაარეგისტრირა – „პარტიზანული მებაღეობა თბილისში“ და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ქალაქის, როგორც მწვანე სივრცის გადარჩენისკენ მიმართულ ამ უანგარო მოძრაობას ქართველი „პარტიზანებიც“ შეუერთდნენ. მათი სამოქმედო გეგმა ასეთია: ნიჩბებით, ხის სარებით, წყლის ბოთლებითა და სხვადასხვა მცენარის თესლებით შეიარაღებული მოხალისეები თბილისის სხვადასხვა უბნებში ყოველგვარი საყოველთაო მობილიზებისა და წინასწარი დაგეგმვის გარეშე ჩნდებიან და საკუთარი ქალაქის გასამწვანებლად, ნიადაგს მცენარეებისა და ხეების თესლებით ამდიდრებენ, რწყავენ და ახალბედა ნერგებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ.

გარემოსდამცველ პარტიზანთა ჯგუფს ფეისბუქზე უკვე 2000-ზე მეტი მომწონებელი ჰყავს. ოდნავ უფრო მცირეა უშუალოდ აქციაში ჩართული მოხალისეების რაოდენობა, თუმცა ამ უპრეცედენტო ინიციატივის მხარდამჭერთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ავერსის მტრედი ბარათის ყველაზე იღბლიანი მფლობელები გამოვლინდნენ

"ავერსის" დაგროვებითი ბარათი _ მტრედი ბარათი საზოგადოებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მას საქართველოს მასშტაბით 700 ათასამდე მომხმარებელი ჰყავს. "ავერსის" საოფთიაქო ქსელში დახარჯული თანხის შესაბამისად ბარათზე დაგროვილი მტრედებით არა მხოლოდ სასურველი საჩუქრის არჩევა, არამედ წამახალისებელი გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაც გახლავთ შესაძლებელი.

"ავერსის" მტრედი ბარათის მიგით მეოთხე გათამაშება 2013 წლის 19 ივნისს "ოქსთავი 2"-ის პრიზიორის ეთერში შედგა. გამარჯვებულები და ყველაზე იღბლიანებიც უკვე გამოვლინდნენ. წამახალისებელ ლატარიაში სასურველი პრიზები თამაშდებოდა: 5-ჯერ ხუთი ათასი, 5-ჯერ ათი ათასი და 20 ათასი ლარი.

იღბალი ადამიანებს, ხშირად, მოულოდნელად სწყალობთ და "ავერსის" საჩუქარი გამარჯვებულთათვის მართლაც სიურპრიზი და უდიდესი სიხარული გახდათ. შესაბამისად, გათამაშება, საოცრად ემოციურად ჩატარდა. "ავერსის" სიურპრიზებით სავსე ტელე ეთერს არც ცრემლების გარეშე ჩაუვლია:

მთავარი პრიზის _ 20 ათასი ლარის მფლობელი ქალბატონი ქეთო ხინიკაძე აღმოჩნდა.

პრიზიორის ეთერში ემოცია მგონი ვერც გამოვხატე, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს სიხარული _ გამოგვიტყდა, როდესაც მისალოცად და კომენტარის ჩასანერად ისევ ეთერში დავუკავშირდით.

ქალბატონი ქეთო 36 წლის გახლავთ. ქობულეთის რაიონის, სოფელ ზედა ჯვრიჯეს მკვიდრია. როგორც მან გვითხრა, უკვე 17 წელის ოჯახი აქვთ:

_ ოჯახის სრულფასოვნებისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება _ შვილი გვაკლია. ხელმოკლედ ვცხოვრობთ. მეუღლე არ მუშაობს. მეც დილასადილის გახლავართ. ცოტა ხნის წინ ოჯახში მცირე შემოსავალი გაგვიჩნდა და მაშინვე ექიმს მივაშურე. დამაიმედა, გიმკურნალებთ და დედობის ბედნიერებას სულ მალე იგრძნობთო, თუმცა ამ ყველაფერს ხომ სახსრები სჭირდება.

"ავერსის" გათამაშება ახლოვდებოდა, ბილეთები მქონდა და სულ წმინდა გიორგის ვევედრებოდი _ შენ შემენიე, შენი ჯილთა გადმომაფარე მეთქი...

ერთს გეტყვით: ღმერთი გაჭირვებულ ადამიანს არასოდეს მიატოვებს და მეც "ავერსისგან" უდიდესი საჩუქარი მივიღე. ეს თანხა მკურნალობისთვის უნდა გამოვიყენო. პატარა ბარა ხომ გაჩნდება, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს ჩემს ცხოვრებაში.

ჩემი ოჯახის ამ ბედნიერებას "ავერსს" ვუმადლით. მან გაგვიჩინა იმედი, მან მოგვცა მომავლის ხნმენა.

ჩვენ ისევ ერთხელ ვულოცავთ გამარჯვებულს და ვუსურვებთ, მისი სანუკვარი ნატვრა _ დედობა სულ მალე ჰეალობად იქცეს.

"ავერსის" მტრედი ბარათის წამახალისებელმა გათამაშებამ ისევ ბევრ ოჯახში შეიტანა უდიდესი სიხარული:

ათი ათასი ლარის მფლობელები არიან ქუთაისის მკვიდრნი დავით ბუცხრიკიძე და ვახტანგ ჩიხლაძე. ასევე, თბილისში მცხოვრები არჩილ გელენიძე, ზაზიკო ჯაჯელია და ვალენტინა ნადარეიშვილი.

მტრედი ბარათის გათამაშებაში ისევ ხუთი პრიზი თამაშდებოდა _ თითოეული ხუთი ათასი ლარის ოდენობით, ორმლის მფლობელებიც გახლავთ: ალეკო ეელა თბილისიდან, ქუთაისის მკვიდრნი ცისანა დოლონაძე და ელენე ღაღაძე, ქალბატონი მზია იღუჩიძე გორიდან და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურის მცხოვრები ნარა თუმანიძე.

გამარჯვებულთაგან ქალბატონ ელენეს დავუკავშირდით. როგორც აღმოჩნდა, ის ოჯახთან ერთად თბილისში ქირით ცხოვრობს. 35 წლის გახლავთ. მეუღლე და ორი შვილი ჰყავს _ ელენე და სანა. ვაჟი 10 თვისაა და, როგორც ელენემ გვითხრა, "ავერსის" მტრედი ბარათის გათამაშებაში მოგება სნორედ მისი დამსახურებაა:

_ სანა ხელოვნურ ჯვრებზე მყავს. ამიტომ ბავშვის საჯვრებისა და პამპერსებისთვის "ავერსის" აფთიაქს ხშირად ვაკითხავდი. ფარმაცევტები უკვე მცნობდნენ და პრიზიორის მანვდიდნენ ჩემთვის სასურველ პროდუქტს. ასე დამიგროვდა მტრედი ბარათზე ქულები და გათამაშების დღისთვის უკვე 9 ბილეთი მქონდა. 35 წლის ვარ და ღმერთმა არაფერი მომიგია _ ერთიც კი არ მიპოვია... ასე ხომ ეს მართლაც დიდი მოულოდნელობა და სიხარული იყო ჩვენი ოჯახისთვის.

ქალაქიდან გახლავართ. სოფელ სვერში ხშირად ჩავდივართ ხოლმე და უმანქანოდ ბავშვების ტარება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. გადავწყვიტეთ, მოგებული თანხით მანქანა შევიძინოთ _ ეს მართლაც შესანიშნავი საჩუქარი იქნება "ავერსისგან". ისევ ერთხელ, დიდი მადლობა კომპანია "ავერსს". უფლის წყალობა არ მოგაკლდებათ, რადგან იმდენი ადამიანი გემადლიერებათ, მათი ლოცვით გზა მედამ განათებული გექნებათ.

"ავერსი" ულოცავს გამარჯვებულებს და ყოველ თქვენგანს წარმატებებს გისურვებთ, რადგან კომპანია ერთგული მომხმარებლის სიურპრიზებით ყველაკს გაანებივრებს.

ავერსი
AVERSI

☎ 2-967-227
www.aversi.ge

"ავერსი" ბისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

ფესტივალი

„ბავშვები და ძაღლები მოედვნენ ქუჩას“

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

როდის: 20.09 – 8.10

ბილეთის ფასი: 10, 20, 25, 30, 40, 55

ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი და პრესტიჟული თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს უკვე მეხუთედ ეპატიჟება თეატრის მოყვარულებს უცხოური და ქართული თეტრალური წარმოდგენების სანახავად.

წლევანდელი ფესტივალის პროგრამა იმ სპექტაკლებს აერთიანებს, რომელიც თანამედროვე ადამიანისა და სამყაროს ერთგვარი „სნეპ-შოტია“, კადრი – რომელიც ასახავს ყველაფერს, რასაც დღეს ადამიანი განიცდის, რაზეც ოცნებობს, რასაც ცდილობს და რისკენაც მიილტვის; კადრი, რომელიც ბევრ დამოუკიდებელ ნაწილად იყოფა და რომლის მთლიანობაში აღქმისას, ჩვენ ხშირად ყურადღების მიღმა გვრჩება ხოლმე ყველაზე მთავარი.

19 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისის თეატრებში მისული მაყურებელი რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო წარმოდგენას იხილავს. მათ შორისაა ცნობილი პოლონური თეატრის – ოპოლეს დასი, რომელიც გასული წლის მსგავსად, წელსაც მაია კლეჩევსკას მორიგ დადგმას – შექსპირის „მაკბეტს“ წარმოადგენს. როგორ იბადება ბოროტება? ვინ აგებს ამაზე პასუხს? რამდენად შეგვიძლია წარვმართოთ საკუთარი ბედი და როგორ გვმართავს ბედისწერა? – ეს ის ძირითადი კითხვებია, რომელსაც კლეჩევსკა მორიგ ორიგინალურ დადგმაში სვამს.

საერთაშორისო პროგრამაში გამორჩეულად საინტერესოა ასევე კანადური თეატრი – EX MACHINA, მულტიდისციპლინარული დასი, რომელიც მსახიობებს, მწერლებს, დამდგმელ რეჟისორებს, ტექნიკურ პერსონალს, ოპერის მომღერლებს, თოჯინების თეატრის მსახიობებს, კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერებს, ვიდეოარტისტებსა და მუსიკოსებს აერთიანებს. აღნიშნული დასი ქართველი მაყურებლის წინაშე თეატრის დამაარსებლის, რობერტ ლეპაჟის დადგმით – „მთვარის შორი მხარე“ წარდგება, რომელიც მაყურებელს მთვარეზე ამოგზაურებს.

პროგრამაში ასევე გამორჩეულია ლონდონის თეატრის სპექტაკლი – „ბავშვები და ძაღლები მოედვნენ ქუჩას“, რომელსაც სიუზან ანდრადე წარმოადგენს; რუმინული თეატრი – ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობის“ ახლებური გააზრებით და ბეკეტის „გოდოს მოლოდინით“, „გარიყულების რექვიემად“ აღიარებული პიპო დელბონოს (იტალია) სარეჟისორო ნამუშევარი – „ბრძოლის შემდეგ“. საფესტივალო პროგრამის მრავალფეროვნებას ადასტურებს თანამედროვე საცირკო-თეატრალური დადგმების არსებობაც, რომელთაგან გამორჩეულია ერთი მსახიობი ქალისგან შემდგარი დასის – „სპუტნიკის“ ნახევარსაათიანი დადგმა – „ზენიტის AM/FM“. ამავე თეატრალურ ტრადიციას აგრძელებს ფინელი რეჟისორების ერთიანობით შექმნილი დასის – „კალო კოლექტივის“ დადგმაც – „ჩვენი კიდურების ნაწილები“, რომელიც აბსურდისა და ექსცენტრიკული ჯამბაზობის ნაერთია.

მრავალფეროვანი და განახლებულია ქართული პროგრამაც, რომელიც ტრადიციულად მოიცავს როგორც თბილისის, ისე რეგიონებში მოქმედ თითქმის ყველა თეატრს. მათ შორისაა ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთის, ჭიათურის, სოხუმის, გორის, მცხეთის, მესხეთისა და თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრები, ასევე სამეფო უბნის თეატრი, ბოლო პერიოდის გამორჩეულად საინტერესო ახალგაზრდული ნამუშევრით – „ტროელი ქალები“, მუსკომედიის თეატრი, შექპირის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესის ორიგინალური ინტერპრეტაციით – „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (რეჟ. დავით დოიაშვილი) და ა.შ.

მაყურებელი ფესტივალის სტუმრებს მხოლოდ სპექტაკლებზე როდი შეხვდება – სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის პირველ კვირაში ჩატარდება არაერთი ღონისძიება, რომელსაც ფესტივალის კლუბი ყოველ საღამოს უმასპინძლებს. ასევე დაგეგმილია ვორკშოფებისა და სემინარების სერიაც, რომლის დეტალებიც ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გახდება ცნობილი.

წლევანდელ პროგრამაში შესულ სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთის ღირებულება 10 ლარიდან 55 ლარამდე მერყეობს. მსურველებისთვის მოქმედებს სპეციალური, სამი კატეგორიის აბონემენტიც, რომელთა შეძენას მაყურებელი 140 ლარიდან 210 ლარის ფარგლებში შეძლებს.

ფესტივალის და სპექტაკლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ვებგვერდს, რომლის მისამართია: tbilisiinternational.com.

ურბანული ხელოვნების ფესტივალი „არტ-აქტივი“

როდის: 3.08, 4.08

სად: მესტია

დასაწყისი: 11:00

მდებარეობა: ბეთქილის მიმდებარე ტერიტორია და პირველი საჯარო სკოლის ეზო

ურბანული ხელოვნების ფესტივალი „არტ აქტივი“ ამ ტიპის პირველი ქუჩის ფესტივალია, რომელიც ურბანული ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისი განვითარებისთვის რესურსების მობილიზებას ისახავს მიზნად. ამჯერად პროექტი აქცენტს საქართველოს სამ ქალაქზე – მესტიაზე, რუსთავსა და ზუგდიდზე სვამს. პროექტის მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებები გვთავაზობს ქუჩის ხელოვნების საუკეთესო მაგალითებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან და გვიჩვენებს, თუ რამდენად არის შესაძლებელი დიალოგი და აზრთა გაზიარება ენობრივი ბარიერისა და კულტურული მრავალფეროვნების პირობებში. ფესტივალი განსაკუთრებით ითვალისწინებს 10-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, რომლებიც ხელოვანებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გამართულ საჯარო დიალოგში ჩაებმებიან.

პროექტი სტარტს მესტიიდან აიღებს და ერთგვარი პროპაგანდისტული ხასიათი ექნება. დიალოგის თემა მესტიაში არსებულ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნება. ღონისძიების ფარგლებში სვანეთის ხუთი სკოლის მოსწავლეები და ადგილობრივი მოსახლეობა მესტიაში დაბინძურებულ ტერიტორიებს (ბეთქილის მიმდებარე ტერიტორია) დაასუფთავებენ. აღნიშნული საყოველთაო აქცია ვორკშოპით გაგრძელდება, რომელიც ნივთების მეორადი გამოყენების მნიშვნელობას მიეძღვნება; არაორგანული მასალის გამოყენების შემცირების მიზნით კი, მოსწავლეები ნაჭრის ჩანთებს შეკერავენ, რომელიც ღონისძიებაზე გაიყიდება. ფესტივალი დასრულდება პარტიზანული მებაღეობა/გამწვანების აქციით და მასში კვლავ აქტიურად ჩაერთვება ადგილობრივი მოსახლეობა.

ინტერნიუს-საქართველოს ხელშეწყობით დაგეგმილი პროექტის მხატვრული სახის ორგანიზებას მოწვეულ ხელოვან-კურატორთან (ბრიტანელი ხელოვანი – რიჩარდ რეინოლდსი) ერთად, ნინი ფალავანდიშვილი (გეოეარი) და თამარა ბოკუჩავა (სოციალური ფოტოგრაფია) უხელმძღვანელებენ.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი INTER ART BATUMI

როდის: 1.09 – 9.09

სად: ქ. ბათუმი, ბულვარის მიმდებარე ტერიტორია

ორი ზღვისპირა ქალაქის – ბათუმისა და მარაბეას (ესპანეთი) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ბათუმის ბულვარში, ტრადიციულად, წელს უკვე მეორედ გაიმართება ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – INTER ART BATUMI. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ევროპელი ხელოვანები, მხატვრები და მუზეუმების, გალერეებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს ბათუმს ეწვევიან მხატვრები ათათურქის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან, მალტიდან და პოლონეთიდან. დაგეგმილია მასტერკლასების სერია, ქართული ტრადიციული პროდუქციის გამოფენა, ესპანური საქველმოქმედო კონცერტი – „FLAMENGO NIGHT“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სოპრანო – Julian Hanter, ასევე პოპისა და RNB-ის შემსრულებელი – Kim Alvord და სხვები. ფესტივალის ფარგლებში ასევე მოეწყობა – „ART WINE“ ტური, რომელიც ქართული ღვინისა და კულტურული ტურიზმის განვითრებას ემსახურება. დელეგაციის წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაეცნობიან ქართულ სამზარეულოს, ეწვევიან ცნობილი ქართული ღვინის მარნებს, მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებს. ფესტივალზე დასწრება თავისუფალია. მონაწილეებისთვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა სპეციალური სერტიფიკატების მიღებით დასრულდება, მათი ნამუშევრები კი ფესტივალის საერთაშორისო კატალოგში განთავსდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უჩვეულო სადაზღვევო პროდუქტები

ავტორი: ელენე კანდელაკი

„დაზღვევა ყველაფრის შეიძლება, მთავარია კლიენტს ფული ჰქონდეს“ – ბრიტანული სადაზღვევო კომპანიის Goodfellow Rebecca Ingrams Pearson (GRIP)-ის შეფმა საიმონ ბერჯესმა ეს ფრაზა საუკუნის დასაწყისში წარმოთქვა და მას შემდეგ ეს კომპანია ისეთ სადაზღვევო პროდუქტებს იგონებს, კურიოზების სფერო უფროა. მაგალითად, ამ კომპანიამ ოთხი ათასამდე მორწმუნე გოგონა უკანონო ფეხმძიმობისგან დააზღვია. ყოველწლიური შენატანი ამგვარ პოლისზე 150 ფუნტია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გოგონა „დაზარალდება“, სადაზღვევო კომპანიას მისთვის ათასობით ფუნტის ოდენობის ზარალის ანაზღაურება მოუწევს.

ცივილიზებულ სამყაროში, სადაც დაზღვევა უკვე დიდი ხანია აუცილებლობად იქცა და სადაზღვევო ბაზარზე კონკურენცია ძალიან დიდია, სადაზღვევო კომპანიებს კლიენტების ნდობისა და ლოიალობის მოსაპოვებლად, სულ უფრო მეტი ორიგინალობის გამოჩენა უწევთ. ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ქონების კარგი სადაზღვევო პაკეტით ევროპასა და ამერიკაში დღეს ვერავის გააკვირვებ. მსოფლიო ნიუსებსა და ჰედლაინებში რომ მოხვდე, აუცილებელია ისეთი პროდუქტები გამოიგონო, როგორიც მაგალითად, ჰოლანდიურ კომპანია Hullberry Insurance Company-ის აქვს.

Hullberry Insurance Company მსოფლიოში ალბათ ყველაზე განთქმულია თავისი უცნაური სადაზღვევო შეთავაზებებით. მის სადაზღვევო პროდუქტებში შედის დაზღვევის ისეთი ეგზოტიკური სახეობები, როგორიცაა დაზღვევა უცხოპლანეტელთა გატაცებისგან; ასევე „მშრალი კანონის“ შემოღებისა და ლატარეის თამაშის დროს განცდილი მარცხისგან. მაგალითად, ის, ვინც წელიწადში 52-ჯერ ითამაშებს ლატარეას და ვერც ერთხელ ვერაფერს ვერ მოიგებს, დამზღვევისგან 2500 ევროს მიიღებს. ეს კომპანია ბენზინზე ფასების მატებისგანაც დაგაზღვევთ – თუ ბენზინი 15 პროცენტზე მეტად გაძვირდა, შემდეგ 1000 ლიტრ ბენზინს სადაზღვევო კომპანია დაფარავს. 1000 ევროს გადაიხდის ეს კომპანია იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ დაზღვეული კლიენტი ფარულ კამერაში მოხვდება. პოლიციის განყოფილებაში უსაფუძვლოდ მოხვედრის გამო Hullberry Insurance Company-ის კლიენტები 500 ევროს მიიღებენ.

ჰოლანდიური კომპანიის ეს ნოუ-ჰაუები ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აიტაცეს. განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც პრაგმატული გერმანელები ცდილობენ ყველაფრისგან დაზღვეულები იყვნენ. მაგალითად, წელინადში 12 ევროს გადახდით, ლიფტში გაჭედვისგან იქნებით დაზღვეული. ან თუ ისეთი დაბდურა ხართ, რომ სახლიდან გამოსვლისას კარი ჩაგეკეტათ და გასაღები შიგნით დარჩა – სადაზღვევო კომპანიისგან 100 ევროს მიიღებთ. გერმანიაში ასევე დაზღვეული იქნებით ისეთი ტრაგიკული შემთხვევისგან, როგორიცაა საკურთხეველთან მეორე ნახევრის მიერ მიტოვება. ცხადია, ადამიანისთვის, რომელსაც ასე მუხანათურად მოექცნენ, 100 ევრო დიდი ვერაფერი დამშვიდებაა, თუმცა დარდის გადასაყოლებლად ერთი-ორი ჭიქა ვისკის ხარჯს კი დაფარავს.

რაც შეეხება ვარსკვლავებს და უნიკალური უნარებით დაჯილდოებულ ადამიანებს, მათ სადაზღვევო კომპანიები პროდუქტების ბევრად უფრო ფართო არჩევანს სთავაზობენ.

არ ვიცი, დარჩა თუ არა პლანეტაზე ვინმე, ვინც არ იცის, რომ მომღერალ ჯენიფერ ლოპესის უკანალი 300 მი-

იცოდით?
ეროვნული ბიბლიოთეკა





ლიონ დოლარად არის დაზღვეული? თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ პირველად სხეულის ნაწილების დაზღვევა თავში მუნჯი კინოს ვარსკვლავს ბენ ტერპინს მოუვიდა, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წელს საკუთარი თვალები დააზღვია. ტერპინი მიიჩნევდა, რომ პოპულარობაში სწორედ თვალების ოდნავმა სიელმემ შეუწყო ხელი.

სოფი ლორენი კი პირველი იყო, ვინც თავისი ულამაზესი მკერდი დააზღვია.

ლონდონის სააუქციონო სახლმა Phillips De Pury and Company-მ Victoria's Secret-ის ანგელოზის ჰაიდი კლუმის ფეხები 2,2 მილიონად შეაფასა. სპეციალისტები კლუმის ფეხებს სკურპულოზურად ათვალიერებდნენ – შეაფასეს ფეხის სიგრძე, ფორმა, უნიკალურობა და კომერციული პოტენციალი. ამ „ტექდათვალიერების“ შედეგად აღმოჩნდა, რომ კლუმის მარცხენა ფეხი უფრო იაფი ღირს, ვიდრე მარჯვენა, რადგან სპეციალისტებმა იქ პატარა წუნი აღმოაჩინეს ნაიარევის სახით.

„ძირითადი ინსტინქტის“ დივამ შერონ სტოუნმა კი გადაწყვიტა, რომ ჰოლივუდელი კოლეგებივით არ უნდა „დაწვრილმანდეს“ და სხეული მთლიანად 5 მილიონ დოლარად დაიზღვია.

მსოფლიოში ყველაზე ძვირად შეფასებული სიცოცხლეც ასევე ჰოლივუდშია და მას სტივენ სპილბერგი ფლობს. „უცხოპლანეტელების“ მამის სიცოცხლე 1.2 მილიარდ დოლარადაა დაზღვეული. ვინაიდან აშშ-ში არც ერთი კომპანია არ აღმოჩნდა მზად ამ კონტრაქტის გასაფორმებლად, ამერიკელი სპილბერგის სიცოცხლე ინგლისში დააზღვიეს.

სხეულის ნაწილების გარდა, ვარსკვლავები ხშირად თავიანთ ნიჭებსა და უნარებსაც იზღვევენ.

ერთ-ერთი პირველი მომღერალი, რომელმაც საკუთარი უნიკალური ხმა დაზღვია, შეუდარებელი მარლენ დიტრიხი იყო. 1 მილიონი დოლარი იმ დროს უბრალოდ ფანტასტიკურ თანხად ითვლებოდა. მგონი, ცოტა უსამართლობაა, რომ როდ სტიუარტის ხმის დაზღვევა მარლენის ხმაზე ექვსჯერ ძვირი დაჯდა. სწორედ 6 მილიონ დოლარად აქვს დაზღვეული თავისი ხმა როკმომღერალს. ეს ალბათ ინფლაციას უნდა მივაწეროთ.

სერიალ Ugly Betty-ის ვარსკვლავმა ამერიკა ფერერამ გადაწყვიტა, რომ მისი ფასი კაპიკია ლამაზი ღიმილის გარეშე. ფერერას ღიმილი 10 მილიონად შეფასდა. დაზღვევის ინიციატორი კბილის პასტის მწარმოებელი კომპანია Aquafresh White Trays-ი იყო.

სადაზღვევო კომპანიების სერვისს მიმართავს მომღერალი მერაია ქერიც, თუმცა ამ ძლიერი ხმის ტემბრის პატრონმა ქალბატონმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ ხმა კი არა, ფეხები უნდა დაიზღვიოს.

საკუთარ უნიკალურ უნარებს ძალიან ხშირად იზღვევენ სომელიეები, დეგუსტატორები, გემოსა და ყნოსვის ექსპერტები.

2003 წელს ბრიტანულმა Lloyd's-მა სუპერმარკეტების ქსელის Somerfield-ის ღვინოების დეგუსტატორი ანჯელა მაუნტი ყნოსვისა და გემოს შეგრძნების დაკარგვისგან 20 მილიონ დოლარად დააზღვია. მსოფლიოში ცნობილი ბრიტანული კაფეების ქსელის Costa Coffee-ის დეგუსტატორის ჯენარო პელიციას ენაც ასევე Lloyd's-შია დაზღვეული 10 მილიონ ფუნტ სტერლინგად.

გარდა იმისა, რომ ვარსკვლავები ძალზე ახირებული ხალხია და ყველანაირი რისკის თავიდან აცილება მათი სიმშვიდისა და კარიერული წინსვლისთვის აუცილებელია, ამ სადაზღვევო ისტორიებს დაზღვეულისა და დამზღვევისთვის სხვა მნიშვნელოვანი ეფექტიც აქვს – ამ უჩვეულო სადაზღვევო ისტორიებით, რომლებზეც მერე ჩვენ ვჭორაობთ, ვარსკვლავები კიდევ უფრო პოპულარულები ხდებიან, მათი კაპრიზების შემსრულებელი დამზღვევები კი უფრო მეტ კლიენტს იძენენ.

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი“
www.facebook.com/aldagi

ალდაგი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეინსპოტინგი 2

ავტორი, ფოტო: ანა მაყაშვილი



Cause everybody hates a tourist...
Pulp, Common People

სრულწლოვან ასაკში შოტლანდიაში მეორედ გავატარე ზაფხული. ამჯერად 2011 წელს. წინაზე, – როგორც შეიძლება „ცხელი შოკოლადის“ ივლისის ნომრიდან უკვე იცით, – 2007-ში ვიყავი. წასვლამდე წინა-შოტლანდიურ-სამგზავრო განწყობებს და პროცედურებს ერთმანეთს ვადარებდი. აღმოვაჩინე, რომ წელს უფრო მეტი კოსმეტიკა მიმქონდა. და ლეპტოპი. ორივე გარკვეულწილად უარყოფითი აღმოჩენა იყო: პირველი იმას ნიშნავდა, რომ ბევრად უფრო დიდი ვარ, ვიდრე ოთხი წლის წინ ვიყავი და მეორე იმას, რომ ფაქტობრივად, მთელი სახლი თან მიმქონდა. ანუ ინტერნეტში ერთ ცნობილ სიტყვათმოთამაშეს (www.wordboner.com) თუ დავესესხები, Home Is Where Google Is („სახლი იქაა, სადაცაა გუგლი“). დამღლელი ჭეშმარიტებაა იმის გათვალისწინებით, რომ ხანდახან მაინც –განსაკუთრებით, როცა სამოგზაუროდ ხარ – სახლში ყოფნა არ გინდა.

ეგზისტენციალური ფიქრები გვერდზე (ბლოკნოტში) გადავდე და ჩემოდანი ჩავალაგე.

საქართველოდან დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მოხვედრა, სივრცესთან ერთად, ერთგვარი დროში მოგზაურობაცაა. განსაკუთრებით შოტლანდიაში, რადგან არც პირდაპირი რეისი არსებობს და ჩემნაირ, არცთუ შორსმჭვრეტელ, ადამიანზე ადეკვატურ ფასებად და ადეკვატური ტრანზიტებით მგზავრობა გაგანია ტურისტული სეზონისას (ივლის-აგვისტოში) არ ვრცელდება.

მოკლედ, რეისი ასეთი იყო: თბილისი–კიევი–ლონდონი–ედინბურგი. ავიაკომპანია ლონდონამდე – უკრაინული. ლონდონიდან – ბრიტანული, კერძოდ კი სიიაფით და, შესაბამისად, გარკვეული დისკომფორტებით განთქმული EasyJet.

გზაზე

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ავიაკომპანიას, მით უფრო – უკრაინულს, რეკომენდაციას ნამდვილად არ გავუწევ, აეროპორტების და თვითმფრინავების ნერვულ-დასიცხული (საქართველოში მაშინ 45 გრადუსი ცელსიუსი იყო) ფიქრები და დაკვირვებები, როგორც წესი, მომწონს. ასე, მაგალითად, შეუძლებელია, თვალს გამორჩეს გაზეთებმომარჯვებული, კარგად მოკალათებული ბიზნესკლასის მგზავრების უპირატესობანარევი პათოსი, რაც, გინდა-არ გინდა, მსუბუქი შურით უნდა მოიტოვო უკან, რომ შენთვის განკუთვნილ ეკონომკლასში შეაღწიო, ადგილისკენ გზა გაიკაფო და ამ ადგილის დაკავებას კარგა ხანს ელოდო, სანამ არაევროკავშირელები თავიანთ უამრავ ხელბარგს არ მოათავსებენ ყველა თავისუფალ, მათ შორის, შენს თარიზე. თვალში მოგხვდება მზეზე დამწვარი ქერათმიანი თანამედროვე ჰიპები, თხელყდიან, ზომიერად გაცვეთილ და სქელ სამეცნიერო ფანტასტიკას რომ კითხულობენ და უკვე ფეხსაცმელები რომ აქვთ გახდილი; არაევროკავშირელები, რომლებიც მონდომებით ცდილობენ „ევროკავშირული“ იერი მიიღონ; ქინდლმომარჯვებული იაპონელი გოგოს არცთუ მისივე მხრიდან იგნორირებული, თავდაჯერებულად დაბერილი ძარღვები ხელებზე, რომლებიც თვალშისაცემად უწვრილდება, რაც უფრო ახლოვდება თვითმფრინავის აფრენის მომენტი...

...და საკუთარი თავი, ცხადია. მე, ამ დროს, ჩემს დაღლილ-დასიცხულ ტვინში, რატომღაც სულ ანგლო-საქსური ბესტსელერების შესავალი ფრაზების ტიპის ფრაზა მიტრიალებდა ინგლისურ ენაზე (ეტყობა, სამშობლოსთან დისტანცირებას უნებურად ასე ვცდილობდი): The thing that I hate most about planes are kids („ყველაზე მეტად, რაც თვითმფრი-

თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ეს თბილისზე 130-ჯერ პატარა ქალაქი ისეთი პროვინციული იყოს, რომ არ ჰქონდეს თუნდაც თავისი ადგილობრივი 150-წლოვანი გაზეთი. დიახ, ობანის ადგილობრივი გაზეთი – THE OBAN TIMES & WEST HIGHLAND TIMES წელს უკვე 152 წლისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავებში მძულს, ბავშვებია"). ჰო, და კიდევ იმაზე ვფიქრობდი, რა ეცმებოდათ წელს ქალებს ქართულ საზღვაო კურორტებზე: ჭრელი და ფართო შარვლები, გრძელი მოკომბინეზონი სარაფნები... მოკლედ, როცა სკამზე მოვთავსდი და ბორტ-გამცილებლებმაც უსაფრთხოების წესები მანტრასავით განგვისახიერეს, ეს ჩემი ნერვულ-დასიცხული ფიქრები ბათუმურ მოდაზე ნელ-ნელა კადრებად შეერწყა ღრუბლებს...

...და რამდენიმე საათის შემდეგ, 45 გრადუსიდან 14 გრადუსში ამოვყავი თავი, ანუ შოტლანდიაში.

კაპიტალისტი თოლია

„მახსოვს, სპადთან ერთად პრინსისსტრიტზე რო ვსეირნობდი. ორივეს გვძულს ამ საზიზღარ ქუჩაზე სეირნობა. მთელი ქუჩა ტურისტებით და შოპინგზე გაგიჟებული ხალხითაა ჩამპალი, თანამედროვე კაპიტალიზმის ამ ტყუპი წყევლით".

ირვინ უელში, „ტრეინსპოტინგი"

მართალია, პრინსისსტრიტი ედინბურგშია (სადაც ამ წერილში შეიძლება კვლავ მოვხვდეთ კიდეც), კაპიტალისტი თოლიის ამბავი იმ ძალიან პატარა (სადღაც 8-ათასიანი მოსახლეობის მქონე), ატლანტიკისპირა, ლამაზი და ტურისტული ქალაქის, ობანის, შთაბეჭდილებაა, რომელთან ახლოსაც თავიდან ვცხოვრობდი. თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ ეს თბილისზე 130-ჯერ პატარა ქალაქი ისეთი პროვინციული იყოს, რომ არ ჰქონდეს თუნდაც თავისი ადგილობრივი 150-წლოვანი გაზეთი. დიახ, ობანის ადგილობრივი გაზეთი – The Oban Times & West Highland Times წელს უკვე 152 წლისაა. დიახ, ეს დიდი ბრიტანეთია – ტრადიციების, მათ შორის ბეჭდური სიტყვის ტრადიციების, სამეფო. ცხადია, აქ შეიძლება ცოტა სევდაც მოგერიოს, თუ გააცნობიერებ, რომ შენს სამშობლოში 152 წლის ვაჟა-ფშაველაა და ისიც ერთი საუკუნის წინ მოკვდა...

მგონი, სათქმელს, ანუ კაპიტალისტი თოლიას ამბავს გადავუხვიე. შესავალში ტყუილად არ აღმინიშნავს, დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა ერთგვარი დროში მოგზაურობაცაა-მეთქი. ჰოდა, ჩვენდა სასიქადულოდ, უნდა ითქვას, რომ ოთხი წლის წინ ეს დროში სხვაობა უფრო დიდი იყო. 2011 წელს კი უფრო მოკლე გამოდგა (თუმცა, შეიძლება ხელოვნურიც). მაგალითად, ამჯერად ნაკლებად გიკვირს, ვთქვათ, მტვერსასრუტის რეკლამა, სადაც ქალი ისე სექსუალურად დაატარებს ამ მოუხერხებელ მონყობილობას, გეგონება, სულ ცოტა, ახალგაზრდა გრეგორი პეკთან ჰქონდეს სექსი; საერთოდ ნაკლებად გიკვირს რეკლამების სიუხვე, სიყალბე და შოპინგზე გაგიჟებული ხალხი.

ეს კი იმიტომ, რომ, ასე თუ ისე, შეეჩვიე: თბილისშიც მიდიხარ შოპინგზე, მასობრივი მოდითა და ნივთებით ტვინადუღებულს და ამაში გადაყრილი ფულით გათანგულს, გშივდება, სადმე მაღაზიებთან ახლომახლო ჯდები და ჭამ, და ამ დროს პირში გივარდება მათხოვარი, რომელიც ფულს (უარეს შემთხვევაში, ხატის ყიდვას) გთხოვს და შენც, დაღლილი და დაზომბებული, აძლევ.

ობანში კი პირში თოლია გივარდება. მაღაზიებიდან გამოსულს, როცა მოშიებული ნაციონალურ „თევზს და კარტოფილს" შეექცევი სადმე ოკეანის პირას ტურისტულ-დამკვირვებლური, თვითკმაყოფილი სახით ჩამომჯდარი, მაშინვე თოლია მოგვარდება და ისეთი თვალებით გიწყებს ყურებას, ისე ძალადობრივად გიახლოვდება, ნებისმიერ ქართველ მათხოვარს შეშურდებოდა. ჰოდა, ნუ გაუნაწილებ შენი თევზისა და კარტოფილის ულუფას კაპიტალისტ თოლიას და შენ თავს დააბრალე.

ლურჯი გარეუბნული ცა

There beneath the blue suburban skies I sit...

The Beatles, Penny Lane

მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ვრწმუნდები: დიდი ბრიტანეთის ქალაქების გარეუბნებში თუ თვით ყველაზე პროვინციულ მხარეებშიც კი იმაზე ნაკლები პროვინციალიზმის კომპლექსი აქვთ, ვიდრე არაცენტრალური ევროპის დედაქალაქებში, ალბათ მარტო ბრიტანელი თუ შეძლებდა ისეთი ხატოვანი და პოეტური სიტყვათაშეთანხმება მოეძებნა, როგორიც „ლურჯი გარეუბნული ცაა". ჰო, და კიდევ ალბათ „სიმპსონების" შემქნელები თუ შეძლებდნენ ეს „ცა" ლეგენდარული სპრინგფილდის ანიმაციურ ცად ექციათ (ყოველ შემთხვევაში, სპირნგფილდის ცა პენი ლეინის ცის ასოციაციებს ნამდვილად იწვევს). ასეთ ცას შოტლანდიის დიდი ქალაქების გარეუბნებსა თუ პატარა პროვინციულ ქალაქებში აუცილებლად დაინახავ და ზუსტად იგრძნობ, რაზე მღეროდა ლივერპულელი ოთხეული Penny Lane-ში, რომლის ტექსტი, მე თუ მკითხავთ, არაფრით ჩამოუვარდება ასევე უდიდესი ბრიტანელის, ჩარლზ დიკენსის პროზას.

და თუ პროზაზე მიდგა საქმე, გამოგიტყდებით, რომ ამ ქვეთავს ამ წერილში არ შევიტანდი, სულ ახლხან, 59 წლის ასაკში, ნაღვლის ბუშტის კიბოთი პოპულარული შოტლანდიელი მწერალი, იენ ბანკსი რომ არ გარდაცვლილიყო. ჩემს ერთ-ერთ საყვარელ რომანში („ციცაბო გზა გარბადეილისკენ"), ბანკსი შოტლანდიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ცას სწორედ სიმპსონების ცას ადარებს. მართალია, ბოლო დროს ზედმეტად მემარცხენე გახდა და პროზაც, შესაბამისად, უფრო სნობური გაუხდა, მაგრამ დღეს ბანკსი უკვე ისეთი პოპულარულია, რომ მისი წიგნებით სტამბულის აეროპორტის დახლებია აჭრელებული (ორჰან ფამუქის, დენ ბრაუნის, პოლ ოსტერის და სტამბულის გზამკვლევების გვერდით).

მემარცხენე ტრადიციებში, რა გასაკვირია, რომ ბანკსი შოტლანდიის დამოუკიდებლობას ემხრობოდა... მაგრამ ეს სხვა თემაა და ცოტათი მოსაწყენი. ისე კი, საინტერესოა, რომ შოტლანდიაში, წიგნების დიდ მაღაზიებში „შოტლანდიურ ლიტერატურას" ცალკე ადგილი უჭირავს და ამ სექციის ორი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იენ ბანკსი და ირვინ უელშია. ამ უკანასკნელის „ტრეინსპოტინგი", ცხადია.

ამჯერად მეც „ტრეინსპოტინგს" მივეძალე. ოღონდ პარკებსა და სხვა საჯარო ადგილებში ამ წიგნის კითხვა ცოტათი მრცხვენოდა და ცოტათი ვმალავდი უცხო თვალისგან, იმიტომ, რომ ედინბურგში „ტრეინსპოტინგის" კითხვა დაახლოებით იგივეა, რომ საქართველოში დასავლეთ (ან თუნდაც აღმოსავლეთ) ევროპიდან ჩამოხვიდე, დიდი ზურგჩანთა გეკიდოს, მზისგან დამწვარი იყო, ცალ ხელში ბორჯომის წყალი გეჭიროს, მეორეში – გზამკვლევი და მკერდზე დიაგონალურად პატარა ხევსურული ჩანთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გქონდეს გადაკიდებული და ზემოდან კიდევ ხევსურული ქუდი გეფხატოს და ასე, სასტიკად დაღლილი, მაინც ენთუზიაზმით აცეცებდე ოდნავ ცნობისმოყვარე და ოდნავ გაბრწყინებულ თვალებს რუსთაველის გამზირზე. ვის მოსწონს ტურისტად ყოფნა?! მე არა, ნამდვილად.

დედოფლის ენა

„– ბოდიში, არ მესმის, რას ამბობთ...

*ამ უცხოელ მუ*ლებს დედოფლის ინგლისურთან პრობლემები აქვთ, ეს დედა*ო**ნული. უფრო ხმამაღლა უნდა ელაპარაკო, უფრო ნელა, უფრო სვეცკად, რო რამე გაიგონ“.*

ირვინ უელში, „ტრეინსპოტინგი“

(ფრაგმენტი წიგნის მთავარ პერსონაჟებსა და ტორონტოელ ტურისტ გოგონებს შორის გამართული დიალოგიდან).

არ ვიცი, დედოფალი რას ფიქრობს „ტრეინსპოტინგის“ ენაზე, მაგრამ ფაქტია: ჩემი შოტლანდიური იმ ზაფხულს იმდენად დავხვეწე, რომ ამ წიგნის წაკითხვა შევძელი, რომლის ენა აბსოლუტურად განსხვავებულია იმისგან, რასაც მანამდე ინგლისურ წერით მეტყველებას ვეძახდი. მე კი არა, დენი ბოილმა რომ მერე ამ წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღო, ამერიკელი მაყურებლისთვის სხვანაირი ვერსიის გაკეთება მოუხდათ, რომ შოტლანდიური აქცენტის და სლენგისგან ზედმეტად არ გაწვალებულიყვნენ.

სამეფო მილი

„...ყველა რასა, ფერი, ჯიში და ნაციონალობა სახეზეა. ა-ჰა, ბოზებო, თქვენკენ მოვდივართ! ორ აღმოსავლელ ტიპს რუკასთან კონსულტაციები აქვს გამართული. [...]

– დახმარება ხომ არ გჭირდებათ? – ვეკითხები. ესეც შენ კარგი, ძველმოდური შოტლანდიური სტუმართმოყვარეობა. [...]

– როიალ-მაილს ვეძებთ. – მპასუხობს სვეცკი, ინგლისურ-კოლონიური ხმა“.

ირვინ უელში, „ტრეინსპოტინგი“.

როიალ-მაილი ედინბურგის იმ უბანს ჰქვია, სადაც შოტლანდიის ისტორიის ძველი, მნიშვნელოვანი და ლამაზი შენობები და ქუჩები და, შესაბამისად, ტურისტები იყრიან თავს.

ეს არის ადგილი, სადაც ზურგჩანთები ერთმანეთს გამუდმებით ეჯახება, გაშლილი რუკები ერთმანეთს გადაფარავს, ყოველი ეკლესიისა და შენობის წინ ახალ-ახალი ფეისბუქავატარი იქმნება და საერთოდ, ესაა ადგილი, რომლის აღქმა, როგორც წესი, ფოტოკამერის ობიექტივით უფრო ხდება, ვიდრე შეუიარაღებელი თვალით.

ეს არის ადგილი, სადაც ზურგჩანთები ერთმანეთს გამუდმებით ეჯახება, გაშლილი რუკები ერთმანეთს გადაფარავს, ყოველი ეკლესიისა და შენობის წინ ახალ-ახალი ფეისბუქავატარი იქმნება და საერთოდ, ესაა ადგილი, რომლის აღქმა, როგორც წესი, ფოტოკამერის ობიექტივით უფრო ხდება, ვიდრე შეუიარაღებელი თვალით.

აქ ყოველი ქუჩის კუთხეში *შოტლანდიური* სუვენირების მაღაზიაა, საიდანაც უტიფრად გამოდის *ჩინური* სუნი (ეს რაღაც უნივერსალური სუნია, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მეტ აღწერას არ საჭიროებს) და განსაკუთრებით ბლომადაა მაღაზიები, სახელად „ჰაილენდების ქიშმირი“ (სადაც შოტლანდიელი თხების ბეწვისგან დამზადებული შალი იყიდება), იმდენად ბლომად, რომ ბოლოს „კაშმირს“, ჩემდაუნებურად „შოტლანდიურ კოშმარად“ ვკითხულობდი...

აქ ყოველი ქუჩის კუთხეში „სტარბაქსებია“, რომლებთანაც ალბათ იმიტომ იყრიან ტურისტები თავს ოხრად, რომ სახლში იგრძნონ თავი და ყავის არომატმა გეოგრაფიული საზღვრები გააბუნდოვნოს... მე, როცა სამშობლო მენატრებოდა, „რედისონთან“ ვდგებოდი ხოლმე...

მოკლედ, სანამ მშობლიურ ბათუმს „გასულ წელთან შედარებით ორ მთელ შვიდას ორმოცდარვაჯერ მეტი ვიზიტორი ეწვია, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია“ (ან რაღაც ეგეთი), მე – თვითონაც „ვიზიტორი“ – სხვა ქვეყნის „ვიზიტორებს“ ვლანძღავდი გულში და იმაზე ვფიქრობდი, როგორ უძლებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედინბურგელები თუნდაც ამდენ კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ სადაა მაგალითად, ლონმარკეტი, ედინბურგის სასახლე და როუზსტრიტი, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი ქუჩა, „ტრეინსპოტინგის“ გმირის თანახმად, ის ადგილია, სადაც მარტო „სირები, მნძრეველები და ტურისტები თუ შეადგამენ ფეხს“. რა გასაკვირია, ჩემი პირველი ლუდი ედინბურგში სწორედ როუზსტრიტის რომელიღაცა ღია კაფეში დავლიე.

ჰო, სხვათა შორის, როიალ-მაილის ძველთაძველ და საშინლად არაკუსტარულ ქვაფენილებს რომ ვტკეპნიდი, 8 აგვისტო იყო და საქართველო ომის მესამე წლისთავს აღნიშნავდა. ისე, არც დიდ ბრიტანეთს ედგა იმ დროს დალხენილი ხანა: ინგლისის ქალაქებში (მაგალითად, მანჩესტერში) და ლონდონის არაცენტრალურ უბნებში (მაგალითად, ტოტენჰემში) მოქალაქეები უმუშევრობას და სოციალურ პრობლემებს განსაკუთრებული აგრესიით აპროტესტებდნენ და მაღაზიებს და მანქანებს ცეცხლს უკიდებდნენ. ასე იყო თუ ისე, ეს ედინბურგში ნაკლებად იგრძნობოდა და მეც, ვინც პათეტიკური პატრიოტიზმით ვცდილობდი სამი წლის წინანდელ მშობლიურ ტრაგედიაზე კონცენტრირებას (ამ მხრივ მხოლოდ ის შევძელი, რომ ქუჩაში შემხვედრ რუს ტურისტებს, რომლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ, გულში სასტიკად ვაგინებდი), ზურგჩანთააკიდებული სხვა ზურგჩანთააკიდებულებს ვეტაკებოდი და ვცდილობდი, კამერებშეიარაღებული ტურისტების ზურგებს შორის თვალი მომეკრა ყოველი იმ ღირშესანიშნაობისთვის, რის გამოც ედინბურგი ლონდონის შემდეგ ყველაზე ტურისტული ქალაქია ბრიტანეთში.

ფრინჯი

*„– სპექტაკლზე მიდიხართ? – მუ*ლების ჩამოსვლაზე თუ მიდგა საქმე, ფესტივალს ნაღდად არ ყავს ბადალი.*

– ჰო. – ერთ-ერთი (ჩინური) თოჯინა ფურცლის ნაგლეჯს გვაძლევს, რომელზეც წერია: „ბრეხტი: კავკასიური ცარცის წრე. ნოთინგემის უნივერსიტეტის დადგმა“. ბაზარი არაა, მუწუკებიანი, წრიპინახმებიანი მნძრეველები დგამენ რაღაც ბოდვას ხელოვნებაზე პრეტენზიით, სანამ ამ თავის უნივერსიტეტს არ დაამთავრებენ, რო მერე ატომურ სადგურებში დაიწყონ მუშაობა, რომლებიც ადგილობრივ ბავშვებს ლეიკემიით აავადებენ ან კიდევ საინვესტიციო კონსულტირების ოფისებში, რომლებიც ქარხნებს ხურავენ და ხალხს სიღარიბეში და სასოწარკვეთილებაში აგდებენ“.

ირვინ უელში, „ტრეინსპოტინგი“.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ედინბურგი ზაფხულში ტურისტებს ვერ აუდის, „ფრინჯია“ – მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელოვნებო ფესტივალი, რომელიც 25 დღის მანძილზე 2012 შოუს ატარებს და 1947 წლიდან მოყოლებული, ტარდება. შესაბამისად, ფესტივალის კატალოგი უფრო დიდია, ვიდრე ორივე, ძველი და ახალი აღთქმა ერთად აღებული და ამის მიუხედავად, მაინც გიჭირს იქიდან შენთვის რამე სასურველი ამოირჩიო.

თუმცა სულ რომ არაფერი ამოირჩიო და ჩვენთვის უკვე ცნობილ როიალ-მაილზე გაისეირნო, თვალი ათასი უფასო შოუს მოწმე გახდება. აი, რომ წარმოიდგინოთ, დაახლოებით რა ხდება ამ დროს ედინბურგის ქუჩებში, აიღეთ საქართველოს „ნიჭიერი“, გაამრავლეთ ოთხზე და დაუმატეთ ევროპული პროფესიონალიზმი. თუმცა ვერ გეტყვით, რომელიმე ასეთით განსაკუთრებით მოვიხიბლე-მეთქი. თუ მაინცდამაინც, ერთი შოტლანდიელი ბიჭის შოუზე მის მიერვე ნათქვამ ხუმრობას არა უშავდა: მე არა ვარ გეი, ჩემი ბოიფრენდიაო.

ალისას მოლოდინში

ედინბურგის მთლად ისე დატოვებაც არ მინდოდა, რომ „ფრინჯის“ რამე შოუში ფული არ გადამეხადა. ასე რომ, ჩემი ყურადღება და 15 ფუნტი სპექტაკლზე, სახელად „ალისას მოლოდინში“ შევაჩერე, იმიტომ, რომ ინგლისელი ლუის კეროლიც მიყვარს და ირლანდიელი სემუელ ბეკეტიც (მეტიც, „გოდოს მოლოდინში“ ახალი წაკითხული მქონდა). ჰოდა, ჟანრის კლასიკის გათვალისწინებით, პირველ ჩვენებაზე დავიგვიანე, სხვა დღესაც დავიგვიანე, მომდევნო ჩვენებაზეც და ბოლოს... მოკლედ, აბსურდის ტრადიციებში, არ გეტყვით, საბოლოოდ ვნახე თუ არა, ეს სპექტაკლი... რა მნიშვნელობა აქვს...

MORCHEEBA

სამაგიეროდ, Morcheeba-ს კონცერტზე ვიყავი, რომელიც მრავალთაგან ერთ-ერთ კლუბად გადაკეთებულ ეკლესიაში ჩატარდა. შეიძლება გახსოვდეთ კიდეც ეს ლონდონური ტრიპჰოპ ჯგუფი 1990-იანებიდან, შავკანიანი ქალი რომ მღერის და, მაგალითად, ერთ-ერთი ჰიტი რომ აქვთ: Rome Wasn't Built in a Day. ამ ჯგუფის შვიდი ალბომიდან, ორი ბრიტანეთის ტოპათეულშია მოხვედრილი. ტურიზმის ელემენტებს ამ კონცერტზეც ვერ ავცდი: სკაი ედუარდსი (ვოკალისტი ქალი) საგანგებოდ გამოწყობილი იყო შოტლანდიურ კილტში. ჰო, ამ უკანასკნელმა ისიც თქვა, ვიცი, რომ შიგნით სიგარეტის მოწევა არ შეიძლებაო, მაგრამ ჩემს კონცერტზე ნებას პირადად გრთავთ, რომ მარიხუანა მოწიოთო. ამას, ცხადია, უხერხული ხითხითი მოჰყვა დარბაზში (თუმცა კანონმორჩილ მსმენელს მარიხუანა, მგონი, არ აღმოაჩნდა თან, ყოველ შემთხვევაში, სუნით თუ ვიმსჯელებთ), მეც გავიცინე, ოღონდ ისე, აი, ლექტორი რომ რამე ცალსახად უკბილო ხუმრობას იტყვის და რომ იგულისხმება, რომ სტუდენტებმა უნდა გაიცინონ.

THE VACCINES

ამ ლონდონური ინდიჯგუფის კონცერტზე მოხვედრა ბევრად უფრო მეტად მინდოდა, ვიდრე წინაზე. ბოლო-ბოლო, ძალიან წარმატებული დებიუტ-ალბომი ჩემი იქ ყოფნიდან სულ ხუთიოდე თვის წინ ჰქონდათ გამოშვებული. ამ ალბომს What Did You Expect from The Vaccines? ჰქვია და სათაური ალბომში შემავალი ერთ-ერთი ჰიტის, Post Break-Up Sex-ის ლირიკას ეფუძნება, რომლის მთავარი ფრაზა ასე ჟღერს: What Did You Expect from Post Break-Up Sex? („რას ელოდებოდი დაშორებისშემდგომი სექსიდან?“). ასე რომ, რა გასაკვირია, ჩემთან ერთად კონცერტზე უამრავი არასრულწლოვანი გოგო-ბიჭი იყო და იქაურობა უფრო „ქლინ ენდ ქლიარის“ სპირტის სუნით იყო გაჟღენთილი, ვიდრე ნამდვილი სპირტის. სხვათა შორის, ამ კონცერტზე (რომლის ბილეთი, მადლობა ბედს, გადამყიდველისგან შევიძინე, რადგან ოფიციალურად ბილეთები კონცერტამდე ორი კვირით ადრე ერთბაშად გაიყიდა) ერთი ქალი გავიცანი, რომელიც აღფრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედინბურგი საერთოდ მწვანე უდაბნოების – საშინლად მწვანე პარკების – ქალაქია. ამ პარკებში, პლასტიკატის პროდუქციის გადამუშავებაზე შემშლილი პათოსის მქონე ახალგაზრდების პარალელურად, ცხადია, შეხვდებით „ტრეინსპოტინგის“ დაბერებულ გმირებსაც, თავიანთი გაქუცული ძაღლითაც კი.

თოვანებული მეუბნებოდა, რა კარგად იცი ინგლისურიო, მე კი ვეუბნებოდი, შენ გეოგრაფია იცი კარგად-მეთქი. თუმცა აღმოჩნდა, რომ აბერდინიდანაა – დიდი ჩრდილოეთის ზღვისპირა ქალაქიდან. სწორედ ამ ჩრდილოეთის ზღვას და მასში მოპოვებულ ნავთობს აღიქვამენ შოტლანდიელები ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის საფუძვლად. თუმცა, გულუბრყვილოდ, მე თუ მკითხავთ. მოკლედ, ამ ნავთობის გამო იყო, რომ ამ ქალბატონს აზერბაიჯანში უწევდა ხშირად ჩასვლა და არც საქართველო იყო მისთვის უცხო ფენომენი.

საქართველო

ის, რაც საქართველოს შესახებ ფეხბურთის მოყვარულმა შოტლანდიელებმა იციან, სულ არ აქცევს საქართველოს მათ საყვარელ ქვეყნად: იმ 2-0-ს ვგულისხმობ, 2008-ის ევროშესარჩევში გამართული თამაში ჩვენთვის სასარგებლოდ და შოტლანდიელებისთვის ცუდად რომ დასრულა.

ისე კი, როცა ერთ მეტ-ნაკლებად საერთაშორისო თავყრილობაზე მოვხვდი რაღაც პაბში, ცოტა დაიბნენ: ზოგს ამერიკის ჯორჯიიდან ვეგონე (რაც უკვე დამღლელ კლიშედ იქცა) და ზოგს – იორდანიიდან (ჟღერადობის გამო). ალბათ არ ჰქონდათ ტვინში ეს ოხერი კატეგორია „საქართველო“. ერთმა ინდოელმა გოგომ, მაგალითად, მითხრა, უკრაინიდან ვარო და როგორ გავხარ უკრაინელსო, მაგათსავით შავგრემანი ხარო. მეორე უფრო ახლო აღმოჩნდა საქმესთან – ნახევრად ირანელი ვარ და ირანელს გავხარო.

თუმცა ვითარება კიდევ უფრო რთულად იყო ერთ გოგონასთან, რომელიც ქუჩაში გავიცანი. სიამაყით მითხრა, სიუზან ბოილის (ბრიტანული „ნიჭიერის“ 2009 წელს გამარჯვებული ქალი მომღერლის) მეზობელი ვარო. ოღონდ საქართველო კი არა, ქრისტიანობა რა იყო, ის არ იცოდა: ქრისტიანობა ჰო, და აი, მეორე რა არისო, მეკითხებოდა. აღმოჩნდა, რომ კათოლიციზმს გულისხმობდა. და როცა ვცდილობდი, ამეხსნა, რა იყო საბჭოთა კავშირი, მგონი, რაღაცას ბუნდოვნად მიხვდა, იმიტომ, რომ ირლანდიაზე დამინყო ლაპარაკი...

მოკლედ, სანამ ედინბურგში გაცნობილი ადამიანები თავიანთ მენტალურ რუკებზე ჩემს ლოკალიზებას ცდილობდნენ, მე შოტლანდიური ლუდით ვიჭყიპებოდი, რაც ტურიზმზე გასაბრაზებლად კიდევ ერთ მიზეზს მაძლევდა: ფესტივალის პერიოდში სპირტიანი სასმელები ლამის ორჯერ ძვირდება ედინბურგში.

ქალაქის დასავლეთ მხარე

დასავლურ დედაქალაქებში, როგორც წესი, დასავლეთ მხარე უფრო მდიდრული, სნობური და არატურისტულია, სადაც ხალხი უფრო მნიშვნელოვანი სახეებით, წონიანი ეგოებით, მახინჯი ძაღლებით, მდიდრული მანქანებით და ყურთსასმენებით (გარემოსგან კიდევ უფრო რომ იზოლირდნენ ალბათ) დადიან, დარბიან ან შუა ქუჩაში იოგას ვარჯიშობენ. მოკლედ, კიდევ უკეთ მიხვდები, საიდან იღებს ვუდი ალენი შთაგონებას, თუნდაც თავისი „მანჰეტენისთვის“ ან „მაჩპოინტისთვის“.

ამ მხრივ არც ედინბურგია გამონაკლისი. დასავლეთ მხარესაა, მაგალითად, თანამედროვე ხელოვნების ეროვნული გალერიის ორი თვალწარმტაცი შენობა, რომელთაც კიდევ უფრო თვალწარმტაცი, უმწვანესი ბაღები აქვთ. მართალია, შიგნით თანამედროვე ხელოვნების ათას ვარსკვლავს ნახავთ (დანყებული დიუშამით, მაგრიტით და ჯოზეფ ბოისით დამთავრებული), მე გარეთ ყოფნა უფრო მომწონდა. შეიძლება, კლიშედ ქცეული ისტორიების ცოცხლად ნახვა ამ კლიშეების ერთგვარ თანამონაწილედ გაქცევს და ამიტომ: იმ ისტორიას ვგულისხმობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, როცა ლონდონის „ტეიტ მოდერნში“ იაპონელმა ტურისტმა რადიატორს გადაუღო ფოტო, იმიტომ, რომ თანამედროვე ხელოვნების ნიმუში ეგონა.

თუმცა გალერეების ეზოში ყოფნა, ამ უმწვანესი ბაღების გამო, ერთი სიამოვნებაა! და კიდევ – ამ ერთ-ერთ ბაღში დგას ჩემი საყვარელი ინსტალაცია (ისე, არასდროს მეგონა, ამ უკანასკნელ სიტყვათაშეთანხმებას თუ გამოვიყენებდი), რომელიც გლაზგოელ არტისტს, ნათან ქოლის ეკუთვნის და რომელზეც ვკითხულობთ: There Will Be No Miracles Here („აქ სასწაულები არ დაგხვდებათ“).

მწვანე უდაბნოები

ედინბურგი საერთოდ მწვანე უდაბნოების – საშინლად მწვანე პარკების – ქალაქია. ამ პარკებში, პლასტიკატის პროდუქციის გადამუშავებაზე შეშლილი პათოსის მქონე ახალგაზრდების პარალელურად, ცხადია, შეხვდებით „ტრეინსპოტინგის“ დაბერებულ გმირებსაც, თავიანთი გაქუცული ძაღლითაც კი, რომელიც – თუ რომანტიკას გასაქანს მისცემთ – წარმოიდგენთ, როგორ ჭამს პატრონის ნარწყევს არეულ-დარეულ სახლში დილის 6 საათზე იმიტომ, რომ სახლში მისულ არაფხიზელ პატრონს დაავიწყდა ჭმევა; ან წარმოიდგნეთ, როგორ წკმუტუნებს კართან, იმიტომ, რომ ტუალეტში უნდა, პატრონს კიდევ დაავიწყდა გასიერნება და ისე სძინავს, რომ არ ესმის მისი; ამიტომ ძაღლი იქვე, მთვრალი პატრონის ქურთუკს აფსამს. და ხვდები (სადღაც „ფილმის“ შუაში), რომ ეს ყველაფერი უკვე ძაღლის რუტინაა. შეიძლება ლუდსაც უსხამენ პატრონი და მისი ხმაურიანი ძმაკაცები საჭმელში, ოღონდ საუკეთესო განზრახვით. და სეირნობენ ხანდახან მზიან კვირას მწვანე პარკებში შეწუხებული და თან მხიარული სახეებით...

ოღონდ ეს ყველაფერი ტურისტებს შორის და მათი კამერების მიღმა ხდება, სადაც ათასნაირი ღირშესანიშნაობაა ციფრულად დაგროვილი, რომელთაც ტურისტები სწორედ თავიანთი კამერების ლინზებში ხედავენ...

Edinburgh, Inspiring Capital („ედინბურგი, შთამაგონებელი დედაქალაქი“) – ედინბურგის ლოზუნგი;

„Edinburgh's shite, man“ („ედინგურგი სირობაა, ძმაო“) – გლაზგოელი, რომელმაც ეს სიტყვები ედინბურგში მითხრა.

ტურისტებისგან განსხვავებით, გლაზგოელები ედინბურგზე არ კარგავენ ჭკუას. არც გლაზგოელები კარგავენ ჭკუას ტურისტებზე და არც ტურისტები – გლაზგოზე. ჩემგან განსხვავებით. მე გლაზგო ძალიან მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება ნაკლები ღირსშესანიშნაობაა, მაგრამ ამ ღირსშესანიშნაობას არავინ ეფარება და არავინ გეჯახება ზურგჩანთით. პაბშიც იაფად დალევ ლუდს, ვისკისაც კი. თანაც, მასპინძელშიც გამიმართლა. დათო ლობჟანიძე ქართველი კი არის, მაგრამ როგორც თავის ინგლისურენოვან ბლოგპოსტში უწერია, ის იმ დროისთვის უკვე საკმარისად დიდხანს ცხოვრობდა გლაზგოში, რომ „მიხვდეს: მელ გიბსონმა არაფერი იცის შოტლანდიის ისტორიაზე ან უილიამ უოლესზე და ერთადერთი როლი, რაც კარგად გამოუვიდა, „სასიკვდილო იარაღში“ იყო. სწორედ ამიტომ, ეს ფილმი ადგილობრივ ტელევიზიაში სულ ცოტა თვეში სამჯერ უნდა გაუშვა, მაშინ, როცა „მამაცი გული“ საერთოდ უნდა აიკრძალოს“. დათოს „ნელ-ნელა უკვე ესმის ყველა ის პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური სხვაობა, რაც „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ გულშემატკივრებს შორის არსებობს და იმედოვნებს, რომ ფსიქიკური უნარები არ უმტყუნებს, როცა მორიგ ჯერზე ვინმე შემთხვევითი ტიპი ჰკითხავს, რომელ კლუბს ანიჭებს უპირატესობას“. ჰო, ჩემი გამოცდილებით, აჯობებს „სელტიკი“ უპასუხო. ახალგაზრდა შოტლანდიელისთვის რელიგია თუ რამე ფორმით არსებობს, ეს მხოლოდ ფეხბურთის კონტექსტში: ტრადიციულად, „სელტიკი“ კათოლიკური მოვლენაა, „რეინჯერსი“ – პროტესტანტული.

გლაზგო და WORLD WAR Z

არ ვიცი, რამდენად გამიმართლა, მაგრამ რაღაც უჩვეულო გრძნობა კი იყო, როცა სრულიად მოულოდნელად, გლაზგოს ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა ყვითელი ამერიკული ტაქსებით, პოლიციით და საგზაო ნიშნებით დამხვდა სავსე. და ბრედ პიტიც, ცოლითურთ, სადღაც ახლომახლო იყო. მოკლედ, გლაზგო იმ დღეებში ფილადელფიად გადააკეთეს და, რაც მთავარია, ამ 190-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე ფილმის – „მსოფლიო ომი Z-“ს – გადაღება ამ გზით უფრო იაფი დაუჯდათ, ვიდრე თავად ფილადელფიაში რომ გადაეღოთ. მთელი გლაზგო, ბრედ პიტთან შეხვედრის მოლოდინში, იმ საღამოს გარეთ იყო გამოსული და იღებდნენ და იღებდნენ ფოტოებს. მე და ჩემმა მასპინძელმაც საგანგებოდ დავტენეთ ჩემი უხარისხო კამერა და ვიღეთ და ვიღეთ ფოტოები ამერიკულ ტაქსებთან, და როცა ბოლოს ერთადაც მოგვინდა სურათის გადაღება და გამვლელებს ვთხოვდით, რომელიღაც ამერიკულ შუქნიშანთან ჩვენთვისაც გადაეღოთ, არც ერთი კადრი არ იყო ფოკუსში. ბოლოს, სადღაც ჩინელი ტურისტი დავლანდე და, მეთქი, აი, ამას ვთხოვოთ, ეს კარგად გადაგვიღებს-მეთქი! ჰოდა, მართალიც აღმოვჩნდი. პირველივე ცდაზე მშვენიერი სუფთა ფოტო გადაგვიღო.

WHAT DID YOU EXPECT?

„მსოფლიო ომი Z“ წელს ივნისში გამოვიდა. მე არ მინახავს. იქნებ თქვენ ნახეთ? ჰოდა, რადგან აწმყო თუ არა, ძალიან ახლო წარსულია, მეც აქ დავამთავრებ წერას. შეჯამების მიზნით, მხოლოდ ერთ რამეს, ოდნავ ფილოსოფიურს, ვიტყვი: ზოგადად ცხოვრება და ეს ჩემი მოგზაურობა (ან თუნდაც ეს წერილი) ორი ფრაზით ილუსტრირდება. ორივე ფრაზა შოტლანდიის შთაბეჭდილებაა. პირველია Vaccines-ის „რას ელოდებოდი?“ და მეორე – ნათან ქოლის „აქ სასწაულები არ დაგხვდებათ“.

P.S. შეგახსენებთ, რომ „ტრეინსპოტინგი“ 1993 წელს გამოქვეყნდა – კარგა ხნის წინ იმ ეპოქამდე, როცა სახლი იქაა, სადაც „გუგლია“. მაგრამ შეამჩნევდით – როგორც ჭეშმარიტ კლასიკას შეეფერება – რომანი არ დაძველებულა.

P.P.S. 2002 წელს უელშმა „ტრეინსპოტინგის“ გაგრძელება გამოსცა, სადაც პერსონაჟების ამბებია მოთხრობილი „ტრეინსპოტინგიდან“ ათი წლის შემდეგ. ამ რომანს „პორნო“ ჰქვია. მაგრამ ეს მერე იყოს. მე წელსაც ვიყავი შოტლანდიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გამოფენა ფაფუნაძის ლეზონი აფასებს

Future Shorts საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალია, რომელიც 90 ქვეყანაში გლობალური კინოპროგრამით სეზონურად, წელიწადში 4-ჯერ ტარდება.

ტრადიციული კინოფესტივალებისგან განსხვავებით Future Shorts-ის ივენტი არამარტო კინოჩვენებაა არამედ კინოს, მუსიკის, ვიზუალური ხელოვნების ერთ საღამოში გაერთიანებით, აუდიტორიას დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სთავაზობს.

FUTURE SHORTS

www.futureshorts.com
facebook/Futureshortsgeorgia

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუტოვოთ სივრცე ბუნებას

ავტორი: ნუგზარ ზაზანაშვილი
ფოტო: კახა კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ:

– დავივიწყეთ ბუნების ენა და, შესაბამისად, ბუნების წიგნი ჩვენთვის „ჩინურ ანბანად“ იქცა (არადა, ეს ენა ქართველებმა – და არა მხოლოდ ქართველებმა – „ზეპირად“ ვიცოდით).

– სმენა გაგვიმრუდდა, მოსმენის მოთმინება კი წაგვერთვა და, შესაბამისად, ბუნების მუსიკა ჩვენთვის მიუწვდომელია.

– ნებით ჩავიკეტეთ საკუთარი, პერსონალური სარგებლის ჩარჩოში

და, შესაბამისად, აღარ გვჯერა, რომ ბუნება, რომელიც შინაგანად მუდამ ერთიანი, უნივერსალური წონასწორობისკენ, ბალანსისკენ თუ მისი აღგენისკენ მიისწრაფვის, ჩვენზე ჭკვიანია და რომ ბუნების ეს სწრაფვა, მხოლოდ მისთვის კი არა, ჩვენთვისაც სასარგებლოა; მხოლოდ მისი გადარჩენის კი არა, ჩვენი, კაცობრიობის, ერების, ხალხების, ინდივიდების გადარჩენის ერთადერთი ხანგრძლივვადიანი სტრატეგიაცაა.

მაგალითად, ვხედავთ, რომ წყალმოვარდნებისა და მეწყრების სიხშირე და მასშტაბი იზრდება, ყოველწლიურად ინგრევა გზები და ხიდები, ზიანდება სხვა ინფრასტრუქტურა, მატულობს ეკომიგრანტების რაოდენობა, რაც ამძაფრებს სოციალურ პრობლემებს და სახელმწიფოს მილიონობით ლარი უჯდება, მაგრამ არ გვჯერა, რომ ეს ტყე-ბუჩქნარის ეკოსისტემების ბალანსის რღვევის, ბუნებისადმი, სასიცოცხლო გარემოსადმი შეუსაბამო მოპყრობის შედეგია – ვაგრძელებთ ბუნების ისეთსავე გამოყენებას, ვიდრე ჩვენ თვითონ ან წყალი არ „წაგვიღებს“, ან მეწყერი... ვხედავთ, რომ ლამის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სოფლებში სასმელი (სარწყავზე რომ აღარაფერი ვთქვათ) წყლის პრობლემაა, ჭები და წყაროები შრება, ზოგი საიდან და ზოგი საიდან, ზოგი ხარიხით და ზოგი კიდევ „ტაჩკით“ დაათრევს წყალს, მაგრამ არ გვჯერა, რომ ესეც ბუნებისადმი ასეთივე უდიერი დამოკიდებულების შედეგია. არადა, გვეუბნებიან ექსპერტები – საქართველოს ტყეები მძიმე მდგომარეობაშია, ტყის ფართობის დაახლოებით 60%-ზე სიხშირე 0,4-0,5-ზე ნაკლებია, ანუ ტყეები გამოშიგნულია; რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ეკოსისტემები ვეღარც სატყეო-სამეურნეოდ ვარგა და ვეღარც ეკოლოგიურ-მარეგულირებელ ფუნქციებს (წყლის რეგულირება, ეროზიის და მეწყრების კონტროლი და სხვ.) ასრულებს სათანადოდ.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ სხვადასხვა დიდმასშტაბიანი ინდუსტრიულ-ინფრასტრუქტურული პროექტები სატყეო ფართობებსაც იწირავს და მომავალში კიდევ უფრო მეტს შეიწირავს, ანუ საერთო სატყეო ფართობიც მოგვაკლდება...

სრულიად გავანადგურეთ – უმშვენიერესი არსება – ქურციკი (ჯეირანი), თითქმის სრულიად ამოვწყვიტეთ – ზემოთ ნახსენები, ჩვენი ბუნების სიამაყე – ვეფხი, იგივე ჯიქი (ლეოპარდი), გადაშენების პირას მივიყვანეთ ნიამორი და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი; აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის, არჩვის და ირმის რაოდენობაც კი კრიტიკულად შემცირდა...

ვერც ის დავივჯერეთ, რომ საძოვარს დაურღვევლად არ შეუძლია, ვთქვათ, 1 ჰექტარზე 3-ზე მეტი პირუტყვის გამოკვება. არა, 3 კი არა, 6 უნდა ვაბალახოთ. შედეგი: საქართველოს საძოვრების ფართობის 2/3 ამა თუ იმ ხარისხით ეროზირებულია, ყოველწლიურად მწყობრიდან გამოდის ასობით ჰექტარი საძოვარი – ანუ ბუნებრივი ბალახეული ეკოსისტემა, იკარგება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის აღდგენისაც საუკუნეები სჭირდება, რაც საბოლოოდ ისევ ხალხის, მეცხოველეობის განვითარებისთვისაა საზიანო. რა ვქნათ, გვშია, დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს.

ასეთ „დაუჯერებლობას“ „ურწმუნო თომას კომპლექსიც“ შეიძლება, დაერქვას: ვხედავთ, გულის სიღრმეში ვგრძნობთ, ცოტათი ვიცით კიდეც, მაგრამ მაინც არ გვჯერა!

ახლა სხვანაირი მაგალითი მოვიყვანოთ: ბევრი (და არა მხოლოდ აფრიკის) ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ტურიზმის იმ სეგმენტიდან შემოსავალი წარმოადგენს, რასაც შეულახავი „ბუნებრივი ბუნების“ მოყვარულები, ფრინველების მოთვალთვალეები და მონადირეები (მათ შორის სატროფეო ნადირობის მოყვარულები) შეადგენენ. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ ისევ დარჩა დაურღვეველი თუ ნაკლებად დარღვეული ბუნების მონაკვეთები (დაახლოებით ქვეყნის ტერიტორიის 20%-მდე). თუმცა, იმავდროულად, სრულიად გავანადგურეთ – უმშვენიერესი არსება – ქურციკი (ჯეირანი), თითქმის სრულიად ამოვწყვიტეთ – ზემოთ ნახსენები, ჩვენი ბუნების სიამაყე – ვეფხი, იგივე ჯიქი (ლეოპარდი), გადაშენების პირას მივიყვანეთ ნიამორი და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი; აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის, არჩვის და ირმის რაოდენობაც კი კრიტიკულად შემცირდა...

ამასთან, ვცდილობთ ყოველი ჭაობის დაშრობას: არადა, ჭარბწყლიანი ეკოსისტემების, მათ შორის ჭაობების, არსებობა ფრინველთა მრავალფეროვნების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ჭაობს სხვა ბევრი სასარგებლო ეკოსისტემური ფუნქციაც აქვს და ის ხშირად უფრო ფართო ეკოლოგიური სისტემის ნაწილიცაა: ასეა, მაგალითად, კოლხეთში. კოსმოსურ სურათს რომ დახედოთ, კოლხეთის დაბლობი მთლიანად დაქსელილია დიდი და მცირე არხებით – ეს კოლხეთის დაბლობის დაშრობის იმ მცდელობის კვალია, რაც კომუნისტებმა დაამჩნიეს მას, სხვანაირად რომ ვთქვათ – წყალში გადაყრილი ფულის კვალია. კოლხეთის ჭარბწყლიანი ეკოსისტემების არსებობა მჭიდრო კავშირშია შავი ზღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დონესთან: ეს რთული, ბალანსური ეკოსისტემაა. ათეულობით მილიარდი ევროს დანახარჯით, მათ შორის ზღვაში საინჟინრო ნაგებობების მშენებლობით, ალბათ, შესაძლოა, მოხერხდეს კიდეც ამ ჭაობების დაშრობა, მაგრამ რას მივიღებთ ასეთს სანაცვლოდ?! ამასთან, დავკარგავთ ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ, მსოფლიოში აღიარებულ ჭარბწყლიან ტერიტორიას – ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ადგილს მიგრირებადი ფრინველების გადაფრენის მარშრუტზე და მის ტურისტულ პოტენციალს და, ასევე, მივიღებთ არაპროგნოზირებად სიტუაციას – ზღვამ ხმელეთს მაინც შეიძლება შემოუტიოს (მით უმეტეს, მსოფლიო ოკეანის დონის სავარაუდო აწევის პირობებში).

გარდა ამისა, ყველა, დიდსა თუ პატარა, მათ შორის, მშვენიერ, ხელშეუხებელ ხეობაში ვცდილობთ, ჰესი „ჩავაკვეხოთ“ – ეკოსისტემის ღირებულების ყოველგვარი თანამედროვე გაანგარიშებების გარეშე – რაც ძირშივე ლამის ნულამდე ამცირებს (განსაკუთრებით მცირე) ხეობების ტურისტულ-რეკრეაციულ ღირებულებას...

ბოლოს გვექნება ის, რაც თურქეთის კავკასიურ, შავიზღვისპირა ნაწილშია: სამშენებლო მასალის კარიერებით, წყლის არამდგრადი მენეჯმენტის ინფრასტრუქტურით, გიგანტური კაშხლებით თუ მილებში დამარხული პატარა მდინარეებით დამახინჯებული თითქმის ყველა ხეობა! ამისკენ მივისწრაფვით?!

და ეს ყველაფერი ერის ეთნოფსიქოლოგიურ სიმრთელესაც ვნებს (ამის შესახებ შესანიშნავად წერს ჩვენი გამოჩენილი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე). აქ მე აღარ ვსაუბრობ დაურღვეველ ბუნებასთან ურთიერთობის, კონტაქტის მნიშვნელობაზე ადამიანის პერცეფციულ-ესთეტიკური გრძნობის ჩამოყალიბების საქმეში – ეს ცალკე დიდი თემაა (მაგალითად, საფრანგეთში ლანდშაფტის პერცეფციული ღირებულების შეფასების მთელი მეთოდოლოგიაა დამუშავებული)...

არავინ ამბობს, რომ განვითარება, მათ შორის ჰიდროენერგეტიკის განვითარება საჭირო არ არის. პირიქით, ჰიდრორესურსები საქართველოს სიმდიდრეა და ეს რუსურსი გაცილებით მეტად უნდა იყოს ათვისებული, ოღონდ ფორსირებულად, „დღევანდელი კვერცხის“ ფილოსოფიით კი არა, არამედ გონივრულად, დაფიქრებულად, ღრმა ეკონომიკურსა და სოციალურ-ეკოლოგიურ შეფასებებზე დაყრდნობით, გრძელვადიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის „მონაწილეობითი“ დამუშავებითა და „გამჭვირვალე“ დანერგვით: საქართველოში 26000 მდინარეა; ფორმულა მარტივია – ვაშენოთ იქ, სადაც მოსახლეობას და ბუნებას ნაკლები ზარალი მიადგება და ნუ ვაშენებთ იქ, სადაც სახიფათოა.

აქ ესეც უნდა ითქვას: ეკოლოგების ასეთი განცხადებები ტექნოკრატების არაკეთილსინდისიერი სპეკულაციების საბაბად იქცა – ეკოლოგები საქართველოს მტრები არიან, ყველა მიმდინარე მშენებლობის შეჩერებას ცდილობენ, სტრატეგიის დამუშავებას დრო უნდა, მანამდე თუ ყველაფერი შევაჩერეთ დაინგრევა ქვეყანაო. ტყუილია! ჯერ ერთი, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამუშავებას ათწლეულები არ სჭირდება: სათანადო მიდგომისას, ანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მთავრობის მხრიდან კეთილი ნების გამჟღავნების შემთხვევაში ასეთი დოკუმენტი მაქსიმუმ ერთ წელიწადში შეიძლება დამუშავდეს და დამტკიცდეს; და მეორეც – არავინ მოითხოვს მიმდინარე მშენებლობების შეჩერებას! და ეს საკმაოდ მტკივნეული კომპრომისია ეკოლოგებისთვის: მაგალითად, რომელ ეკოლოგს თუ ზოგადად რომელ მამულიშვილს არ შეეკუმშება გული დარიალში მიმდინარე მშენებლობის დანახვისას! მაგრამ რაღას იზამ! მეტსაც ვიტყვი: სტრატეგიის დამუშავების პერიოდშიც კი შეიძლება ჰესების მშენებლობის ახალი ნებართვების გაცემა, ოღონდ მხოლოდ იქ, სადაც ბევრი არაფერი დაშავდება **უეჭველად**, რასაც საფუძვლიანად დაასაბუთებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესაბამისი დოკუმენტი (გზშ). ასე რომ, სჯობს სპეკულაციებს თავი დავანებოთ და საქმეს საფუძვლიანად და თანამედროვედ, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მივხედოთ. ნუ გავიმეორებთ ქვეყნისთვის, საქართველოს, მისი ცალკეული კუთხეების ბუნებისთვის, რაც იგივეა – მოსახლეობისთვის, სახიფათო შეცდომებს.

და ბოლოს, კიდევ ერთი „ურწმუნოება“: არ გვჯერა, რომ კლიმატი იცვლება და ამან შესაძლოა ახლო მომავალში პრობლემები შეგვიქმნას. რა არის დაუჯერებელი? გვეუბნებიან სპეციალისტები: მყინვარები სწრაფად დნება და უკან იხევს. მე ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მეც ვხედავ ამას შეუიარაღებელი თვალით: ახალგაზრდობაში ყაზბეგში, საბერწეზე რომ ავიდოდი, აბამოს მყინვარის ენას გადავყურებდი, რომელიც ქვემოთ ხეობაში ეშვებოდა, ახლა კი ის ისე ზევითაა აწეული, რომ ლამის მყინვარწვერის მეტეოსადგურთან „მიიმალოს“; გვეუბნებიან, აღმოსავლეთ საქართველოში აღინიშნება „სიმშრალის მატება“; არ გვჯერა... არადა (დავანებოთ თავი მიზეზებს), რა არის აქ დაუჯერებელი?!

„უბრალო“, გაჭირვებულ მოსახლეობას რომ ყოველივე ამის არ სჯერა, ეს ცუდია, ეს დრამაა, მაგრამ ტრაგედია არ არის. ცუდია იმიტომ, რომ ბუნების ენის არცოდნა თუ დავიწყება, ბუნების წიგნის ვერ-თუ არწაკითხვა, ერთი მხრივ, აუარესებს ჩვენს ლოკალურ სასიცოცხლო გარემოს, ამრავლებს ლოკალურად დარღვეული ბუნებიდან მომდინარე პრობლემებს, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო აუცხოებს, აცალკევებს ადამიანს ბუნებისაგან, იმ ბუნებისაგან, სადაც ჩამოყალიბდა ამ ადამიანის „გენეტიკური მეხსიერება“, ადამიანი წყდება იმ ფესვებს, რომლებიც კვებავს ერთიანობის შეგრძნებას, ადამიანურ თანაგანცდას. ტრაგედია კი იმიტომ არ არის, რომ „უბრალო“ ადამიანს არ შეუძლია სიტუაციის არსებითი შეცვლა: ტრაგედიაა, როცა ქვეყანას, სახელმწიფოს, პასუხისმგებელ ინსტიტუტებს, საზოგადოებრივ სექტორს არ სჯერათ, როცა მათ არ ესმით, არ იციან ბუნების ენა, როცა ისინი არ უგდებენ ყურს ბუნებას. მართებული პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო ინსტიტუტებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოხალისეების დახმარებით შესწევთ ძალა არა მხოლოდ ბუნების შემდგომი მნიშვნელოვანი რღვევის აღკვეთისა, არამედ დარღვეულის აღდგენისაც: ჯანმრთელი, დაურღვეველი ბუნებისთვის, ეკოსისტემებისთვის კლიმატის დრამატულ ცვლილებებთან შეგუებაც კი გაცილებით უფრო ადვილია; მეტსაც ვიტყვი – რაც შეიძლება მეტი სივრცის დატოვება „ბუნებრივი ბუნებისათვის“, რაც შეიძლება მეტი დარღვეული ეკოსისტემის აღგენა – კლიმატის მოსალოდნელ ცვლილებებთან ადაპტაციის – ეროვნული მასშტაბით – საუკეთესო, სტრატეგიული საშუალებაა და ბევრი სხვა, მათ შორის მატერიალურ-ფინანსური, სარგებლის მომტანიცაა როგორც ქვეყნის ბიუჯეტისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დღეს, ზოგადად, ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სამინისტროში; მაგრამ შემაშფოთებელი სიგნალებიც არ წყდება ტექნოკრატული სექტორიდან).

ევროპაში ახლა მიმდინარეობს კამპანია „გამოვნახოთ სივრცე ბუნებისთვის!“ (რომელსაც მძლავრი ფინანსური მხარდაჭერაც აქვს). ჩვენ, საბედნიეროდ, აქამდე ჯერ არ მივსულვართ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჯერ ისევ დაგვრჩა იმ საუნჯის ნაწილი, რასაც შეულახავი ბუნება ჰქვია: ჰოდა, გავუფრთხილდეთ მას – დავუტოვოთ სასიცოცხლო სივრცე ბუნებას! – მის, ჩვენს და ჩვენი შთამომავლობის საკეთილდღეოდ. დავუჯეროთ არისტოტელეს: ბუნება არა მხოლოდ თავის თავს, არამედ ჩვენც მუდამ გვასარგებლებდა და მომავალშიც გვასარგებლებს.

ჩემი შეხედულებით, არა იმდენად მშიერი კაცის, რამდენადაც „ურწმუნო თომას კომპლექსით“ შეპყრობილი ადამიანის გამონაგონია „დღევანდელი კვერცხის“ ანდაზა: დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს არ სჯობია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხვალინდელი ქათამი – დღევანდელის მსგავს – კიდევ ბევრ კვერცხს დადებს.

ჰიდრორესურსები საქართველოს სიმდიდრეა და ეს რესურსი გაცილებით მეტად უნდა იყოს ათვისებული, ოღონდ ფორსირებულად, „დღევანდელი კვერცხის“ ფილოსოფიით კი არა, არამედ გონივრულად, დაფიქრებულად, ღრმა ეკონომიკურსა და სოციალურ-ეკოლოგიურ შეფასებებზე დაყრდნობით, გრძელვადიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის „მონაწილეობითი“ დამუშავებითა და „გამჭვირვალე“ დანერგვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის გარემო და ურბანული პროტესტები

ავტორები: ელენე ხუნდაძე, ლერი ცისკაძე
ფოტო: ალექსანდრე ფორჩხიძე

ბოლო წლების „სამშენებლო ბუმმა“, არამდგრადმა ურბანულმა პოლიტიკამ და ინვესტიციებისადმი მონურმა დამოკიდებულებამ თბილისის საჯარო სივრცეებსა და გამწვანებულ უბნებს შეუქმნა საფრთხე – „მზიური“, გუდიაშვილის სკვერი, ზიჩის სკვერი, კიკვიძის ბაღი, დიღმის ტყე-პარკი, ასათიანის 10 და სხვ. ეს გამწვანებული ადგილები აქტიურ სამშენებლო ზონებად ჩამოყალიბდა. ზოგადად, მწვანე სივრცეების მნიშვნელობაზე ქალაქის განაშენიანებაში არავინ დაობს და მის საჭიროებას თუნდაც ჯანმრთელი ცხოვრებისა და მუშაობისთვის ყველა იზიარებს. მიუხედავად ამისა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას აქტიურად მოსახლეობის იმდენად მცირე ნაწილი იცავს, რომ საპროტესტო აქციების მოკრძალებული მასშტაბი ოპონენტების მხრიდან აბუჩად აგდების საბაბიც ხდება. ეს მაშინ, როდესაც სტამბულის გეზი პარკის განადგურების საწინააღმდეგო აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა და ანტისამთავრობო მოძრაობაში გადაიზარდა. ჩვენს საზოგადოებაში კი მსგავსი პროტესტები მოცლილი ხალხის საქმედ ითვლება.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი მწვანე ტერიტორიები ქალაქისთვის? რა პრობლემებს შეგვიქმნის მომავალში ქალაქის გარემოს დეგრადაცია? რის დასაცავად გამოდის ხალხი ქუჩაში, ან რატომ არ გამოდის უფრო დიდი ნაწილი? რატომ არის საჭირო მოქალაქეების თანამონაწილეობა ურბანულ საკითხებში?

სკვერები და პარკები ქალაქისთვის მრავალი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი და არა მარტო მოსახლეობის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, არამედ ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს. გამწვანებული ტერიტორია სუფთა ჰაერის წყაროა, ქმნის ადგილობრივ მიკროკლიმატს, ამცირებს ხმაურს და ქალაქში ბეტონისა და ასფალტის გადახურებისგან გამოწვეულ „სითბოს კუნძულის“ ეფექტს. ეს არის თავისუფალი სივრცე, სადაც სხვადასხვა თაობისა და სოციალური ფენის მოქალაქეები აზრებს ცვლიან და სოციალურ ინტერაქციაში შედიან. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის პარკების ბიომრავალფეროვნების ფუნქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“, მეექვსე მუხლში, რომელიც გარემოს დაცვასთან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებს ეხება, ვკუთხულობთ: „მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;

ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში“.

ამ პუნქტებიდან გამომდინარე ლოგიკურად ჩნდება კითხვა – ხდება თუ არა ქალაქის განვითარება კანონით განსაზღვრული უფლებების შესაბამისად? რამდენად ვარგისია ჩვენი გარემო ჯანმრთელი ცხოვრებისთვის? მოგვეწოდება თუ არა დროულად ინფორმაცია ჩვენივე გარემოს მნიშვნელოვან ცვლილებებზე? და ბოლოს – რამდენად ვართ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და შესაბამისად, ვსარგებლობთ თუ არა კანონით მონიჭებული ამ უფლებებით?

თითოეული ეს კითხვა თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საგულისხმო და აქტუალურია. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ფართო საზოგადოება არც ამ უფლებების შესახებაა ინფორმირებული და მათი განხორციელებისთვის არც სამოქალაქო აქტიურობას იჩენს.

„მზიური“ ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითია. საბჭოთა ეპოქაში მზიურის ტერიტორიის განვითარების ორი რადიკალურად დაპირისპირებული გეგმა არსებობდა. ერთი გეგმა ვაკის და საბურთალოს დამაკავშირებელი საავტომობილო ტრასის გაყვანას, მეორე გეგმა კი მდინარე ვერეს ხეობის ეკოლოგიური დერეფნის გასწვრივ, „მზიურისა“ და ზოოპარკის საბურთალოს სხვა მწვანე ტერიტორიებთან დაკავშირებას გულისხმობდა. 2009 წლის ივნისში დამტკიცებულ თბილისის გენგეგმაზე ახალი გზის მშენებლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაშინ როცა, სამშენებლო ტენდერი გენგეგმის დამტკიცებამდე ერთი თვით ადრე გამოცხადდა. მოსახლეობამ ამ ყველაფრის შესახებ მშენებლობის დაწყებისას შეიტყო. ფაქტია, რომ ამ ორი გეგმიდან უფრო არაეკოლოგიური გეგმა განხორციელდა.

ახალი ტრასის გაყვანა ორი მიმართულებით არის საყურადღებო – ერთი მხრივ, თავს იჩენს მზიურის ტერიტორიის განვითარების პრობლემა, მეორე მხრივ კი, თავად ტრასის უარყოფითი ეკოლოგიური ფაქტორები. ტრასამ „მზიურისა“ და ზოოპარკის ერთიანი გამწვანებული ტერიტორია გამიჯნა. მსოფლიოს უამრავ ქალაქში ცდილობენ, რომ პარკებში დეკორატიული მცენარეების ნაცვლად, ადგილობრივი ბუნებისთვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა, იშვიათი და ენდემური სახეობები იყოს წარმოდგენილი. ევროკავშირის ქვეყნების ურბანული და ეკოლოგიური კონცეფცია მიზნად ისახავს, რომ ასეთი პარკები ერთმანეთს დაუკავშირდეს და შეიქმნას ეკოლოგიური დერეფნები, რომლებიც ქალაქის ბუნების კუნძულებს დაუკავშირებს სხვა დაცულ ტერიტორიებს და ადიტიური ეფექტით გაზრდის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პოტენციალს. ბუნების ასეთი კუნძულები ბეტონის ჯუნგლებში მცხოვრებ მოქალაქეს უბრუნებს ბუნებასთან სიახლოვის განცდას, დადებითად მოქმედებს მის ფსიქიკაზე და უღვივებს გარემოზე ზრუნვის პასუხიმგებლობას. ამგვარად ტრასის გაყვანით მოისპო ამ ტერიტორიის ეკოლოგიური და ბუნებისდაცვითი პოტენციალი. დარჩენილ ტერიტორიაზე აქცენტი არ კეთდება ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე, მაგალითად, პარკის სივრცეში მდინარის ჩართვაზე, და ამის ნაცვლად ყურადღება დეკორატიულ გაფორმებასა და ბუტაფორიულ ელემენტებზეა გადატანილი. ასევე გაურკვეველია, რა ელოდება ზოოპარკის ტერიტორიას მისი გადატანის შემთხვევაში.

კითხვებს ბადებს თვითონ ტრასის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიასა და მდგრად განვითარებაზე. ახალი ტრასის მშენებლობა სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრის მოძველებული და არამდგრადი ხერხია და ავტომობილზე დამოკიდებულებასა და საცობების გავრცელებას მხოლოდ ხელს უწყობს.

ახალი ტრასის მშენებლობა სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრის მოძველებული და არამდგრადი ხერხია და ავტომობილზე დამოკიდებულებასა და საცობების გავრცელებას მხოლოდ ხელს უწყობს. ტრანსპორტის მდგრადი განვითარება გულისხმობს ინვესტირებას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაში და არა კერძო ტრანსპორტით სარგებლობის სტიმულირებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის მდგრადი განვითარება გულისხმობს ინვესტირებას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაში და არა კერძო ტრანსპორტით სარგებლობის სტიმულირებაში. თბილისის შემთხვევაში, ტრანსპორტის საკითხთან მდგრადი მიდგომა ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ქალაქის ჰაერის დაბინძურების საგრძნობლად დიდი წილი სწორედ ტრანსპორტზე მოდის. 2011 წელს თბილისის მერიამ შეიმუშავა „ქ. თბილისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა" (SEAP), რომელიც 2020 წლამდე თბილისის „მცირენახშირბადიან ქალაქად" გადაქცევის მიზანს ემსახურება. ამ სტრატეგიასა და ქალაქის განვითარების რეალურ სახეს შორის აცდენა თვალნათლივია. როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს, როდესაც მწვანე სივრცეები მშენებლობებს ეწირება, სატრანსპორტო სექტორის განვითარება კი მხოლოდ გზების მშენებლობით შემოიფარგლება?

დასავლეთში ცენტრალური პარკების ხარჯზე ესტაკადებისა და ტრასების გაყვანით შექმნილი პრობლემები დიდი ხანია გამოაშკარავდა და მათი გადაწყვეტის ერთადერთი გზა რეკრეაციული ზონების აღდგენა აღმოჩნდა, რაც უზარმაზარ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ქალაქის განვითრების პოლიტიკაში კი ასეთი აშკარა გამოცდილებების გათვალისწინება რატომღაც არ ხდება.

ცოტა ხნის წინ საპროტესტო აქციები მთელი ბრაზილიის მასშტაბით მიმდინარეობდა, სადაც მოსახლეობა გზებისა და ხიდების მშენებლობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გაუმართაობას აპროტესტებდა. „მზიურის" ახალი ტრასის გაყვანის საწინააღმდეგოდ კი რამდენიმე ათეული ადამიანი შეიკრიბა, ისიც „ნიმბიზმის" მოსაზრებით (Not In My Back Yard) და არა საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვის გამო.

გუდიაშვილის სკვერის შემთხვევაში ინვესტორის მიზნები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ერთად საჯარო სივრცესაც შეეხო. საპროტესტო აქციებს „მინიფესტი, როგორც მანიფესტი" 2011 წლის დეკემბერში ინტერნეტით გავრცელებულმა გრაფიკულმა გამოსახულებამ მისცა ბიძგი, რომლის მიხედვით შემინული მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა იგეგმებოდა. მერიამ მაშინვე უარყო სკვერის ამ ტიპის განვითარების გეგმა და განაცხადა, რომ სკვერი არ გაყიდულა და პირიქით, მისი რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი მუშავდებოდა. ორგანიზაცია „თბილისის ჰამქარმა" კი გამოაქვეყნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად სკვერი 2011 წელს „ირაო მაგნატ ჯგუფმა" იყიდა. „თბილისის ჰამქარი" ყურადღებას ხელშეკრულების პირობებზე ამახვილებდა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა რესტავრაციის პრინციპებს. ხელშეკრულება ინვესტორს ანიჭებდა უფლებას შეეცვალა ქუჩათა ქსელისა და შიდა სივრცეების კონფიგურაცია და გამოეყენებინა თანამედროვე სამშენებლო მასალები, რაც შუასაუკუნეობრივ ურბანულ ქსოვილსა და არსებული არქიტექტურული ძეგლების ავთენტიკურობას უქმნიდა საფრთხეს. არქიტექტურულ ძეგლებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი სოციალურ-კულტურული ლანდშაფტი, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობის გასახლება და მოედნის შესაძლო ფუნქციური ცვლილება უარყოფითად იმოქმედებდა.

„მინიფესტი, როგორც მანიფესტი" ურბანული საკითხების საპროტესტო აქციებიდან არა მხოლოდ ხალხმრავლობითა და სისტემატიურობით, არამედ პროტესტის ფორმითაც გამოირჩეოდა და ბევრმა ადამიანმა ამ აქციებში ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადობის ჩამოყალიბების ნიშნები დაინახა. დღემდე აქციების ეს სერია ერთადერთი პრეცედენტია, რომელიც მოსახლეობის ნაწილობრივი გამარჯვებით დამთავრდა – დღეისათვის გუდიაშვილის სკვერი ისევ თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაშია.

ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორია (ასათიანის №10) სახელმწიფო საკუთრების გასხვისების და საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფის კიდევ ერთი საამწუხარო მაგალითია. გუდიაშვილის სკვერის მსგავსად, ეს ტერიტორიაც კომერციულ მიზნებს ეწირება. კომპანია „BD Property", რომელიც ტერიტორიის დღევანდელი მესაკუთრეა, მრავალფუნქციური კომპლექსის სახით მასშტაბური მშენებლობის განხორციელებას გეგმავს. ამრიგად, სახეზეა რეციდივი, რომელიც მზიურში, კიკვიძის ბაღსა და დიღმის ტყე-პარკში განხორციელებული რეპრესიული მშე-

ნებლობების რიგში შეიძლება ჩაეწეროს. როგორც ვხედავთ, ურბანული განვითარება კვლავინდებურად მწვანე სივრცეების რემისიის ხარჯზე მიმდინარეობს. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა კი საპირისპიროს მოითხოვს – გამწვანების არსებული უბნების შენარჩუნების პარალელურად შეიქმნას რეკრეაციის ახალი ზონები.

ასათიანის ქუჩაზე პროტესტი ხეების მოჭრით დაიწყო და მოსახლეობის მხრიდან ამ პროცესის შეჩერებისა და ტერიტორიის სარეკრეაციო ზონად გამოცხადების სამართლიან მოთხოვნაში გადაიზარდა, რაც ავტომატურად მშენებლობის შეწყვეტასაც ნიშნავს. მშენებლობისა, რომელიც კონკრეტული ბიზნესინტერესების გარდა არაფერს არ ემსახურება – არ ითვალისწინებს კონტექსტს, პირველ რიგში კი გარემოს და ადამიანს. ინვესტორის განცხადებით, ეს აუიოტაუი სულ რაღაც 37 დაავადებული ხის გამო ატყდა და სინამდვილეში აღნიშნული ჭრა თურმე სანიტარულ მიზნებს ემსახურება. არადა, განაშენიანების რეგულირების გეგმაში, რომელიც თბილისის არქიტექტურის სამსახურმა შეითანხმა, ნაჩვენებია სქემა, რომელიც ტერიტორიაზე არსებული ნარგავების მდგომარეობას ასახავს. მასზე აღნუსხულია ჯანსაღი და დაავადებული ხეები. საგულისხმოა, რომ ამ ნახაზის მიხედვით დაავადებული მხოლოდ 10 ხეა. ინვესტორი და თბილისის მერია კი 37 დაავადებულ ხეზე აპელირებს.

განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით დაგეგმილია ორი 30-სართულიანი და ექვსი 24-სართულიანი შენობის აგება, რომელთა საერთო ფართი 150 000 მ2-ს გადააჭარბებს. ეს ციფრები არაადეკვატურ მასშტაბსა და განაშენიანების კომშარულ ინტენსივობაზე მეტყველებს, რომელიც შენჟენის და ტაიპეის ფიზიკურ სინამდვილეს უფრო შეესაბამება, ვიდრე თბილისის ამ კონკრეტულ ნაწილს. კომპლექსის არქიტექტურა, თავისი არაადეკვატური მასშტაბებიდან გამომდინარე, არაჰუმანური და დამთრგუნველია. სტრუქტურულ დეტალებში გამოვლენილი ჰედონისტური დამოკიდებულება ამ შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს. ეს არქიტექტურა, რომელიც საეჭვო ღირებულებისაა, აშკარად არაა ორიენტირებული მოსახერხებელი და მეგობრული გარემოს შესაქმნელად, რომ აღარაფერი ვთქვათ პროექტში გამოვლენილი ურბანული და ეკოლოგიური აზროვნების ნაკლებობაზე. საკუთარ გარემოში ეს კომპლექსი არ აარსებს კომფორტულ მეზობლობას. ამერიკელი არქიტექტორი ფილიპ ჯონსონი ამბობდა, რომ „არქიტექტურა არის ხელოვნება, თუ როგორ დავკარგოთ სივრცე“, ასათიანის №10-ში სწორედ ამ შემთხვევასთან – სივრცის დაკარგვასთან, გაფლანგვასთან, ან სულ მცირე, გაუფასურებასთან გვაქვს საქმე. წარსულის უარყოფითი მაგალითების გათვალისწინებითა და მოქალაქეთა ზეწოლით, ვიმედოვნებთ, რომ ამ ტერიტორიის განვითარება უფრო გონივრულად მოხდება.

თუ თბილისის განვითარების პოლიტიკაში რაიმე თანმიმდევრულობის გამოკვეთა შეიძლება, ეს ნეო-ლიბერალური ხედვაა, ანუ როდესაც ქალაქის განვითარებას მთლიანად თავისუფალი ბაზარი აყალიბებს და ნებისმიერი არამდგრადი ურბანული ცვლილებიდან ყურადღების გადატანა ერთჯერად ეკონომიკურ სარგებელზე ხდება. პრობლემა არა ინვესტიციის მოზიდვის სურვილი, არამედ ინვესტიციის მონობა, გრძელვადიანი პერსპექტივის არქონა და თანამედროვე მდგრადი პრინციპების უგულებელყოფაა. იმ შემთხვევაში, თუ მოგების გაზრდა გარემოს ხარისხის დეგრადირების ხარჯზე ხდება, შედეგად ეკოლოგიურ კრიზისთან ერთად ისევ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ვიღებთ. თბილისის შემთხვევაში გარემოს დეგრადაცია სახეზეა, ეს თუნდაც ამ მარტივი სტატისტიკითაც დასტურდება: საბჭოთა პერიოდში მოქმედი ნორმატივების მიხედვით გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე 15 $მ^2$-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. 1983 წელს ეს მაჩვენებელი 13 $მ^2$-ს უდრიდა, თბილისის ბოლო გენერალური გეგმის მიხედვით კი გამწვანებული ტერიტორიის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე 5,6 $მ^2$-მდე შემცირდა (2001 წელი).

როგორც წესი, გარემოს დეგრადაცია უძრავ ქონებაზე ფასის კლებაში აისახება. თბილისში საცხოვრებლი ადგილის



ასათიანის ქუჩაზე პროტესტი ხეების მოჭრით დაიწყო და მოსახლეობის მხრიდან ამ პროცესის შეჩერებისა და ტერიტორიის სარეკრეაციო ზონად გამოცხადების სამართლიან მოთხოვნაში გადაიზარდა, რაც ავტომატურად მშენებლობის შეწყვეტასაც ნიშნავს. მშენებლობისა, რომელიც კონკრეტული ბიზნესინტერესების გარდა არაფერს არ ემსახურება .



შერჩევისას ჯერ კიდევ უბნის „ელიტარულობას“ აქცევენ ყურადღებას. თუმცა საცხოვრებელი გარემოს ხარისხს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე წელიწადში მომხმარებლისთვის პრიორიტეტული გარემოს ხარისხის სხვა ასპექტები გახდება. საგანგაშო ის არის, რომ მოქალაქეების ცნობიერების ცვლილებაზე კერძო სექტორი – ცალკეული დეველოპერული კომპანიები – რეაგირებს და არა ქალაქის განვითარების სტრატეგია. გარემოს ხარისხი განხილულია თავისუფალი ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ჭრილში და არა როგორც ყველა მოქალაქის უფლება. ასეთი მიდგომით კი მივიღებთ ამერიკული სეგრეგირებული ქალაქის მოდელს, სადაც არსებობს ცალკეული, გამწვანებული, კეთილმოწყობილი, ძვირადღირებული ე.წ. „შემოღობილი“ უბნები და „ჩავარდნილი“, გაუფასურებული ტერიტორიები. ამის გამოსწორება რთული, მტკივნეული და, რაც მთავარია, ძვირადღირებული პროცესია.

გარემოს გაუმჯობესებამ ბევრ ქვეყნაში დადებითი ეკონომიკური შედეგი მოიტანა – საკუთრების ღირებულების ზრდასთან ერთად, ერთის მხრივ შემცირდა ჯანმრთელობაზე გაწეული დანახარჯები, ხოლო მეორე მხრივ გაიზარდა მოსახლეობის შრომითი პოტენციალი. ზოგადად, გაუარესებული გარემო პირობების მქონე ქალაქები ნაკლებად მიმზიდველი ხდება მომსახურების სფეროს დარგებისთვის. აქედან გამომდინარე, ასეთი ქალაქები ისევ ეკონომიკის „ჭუჭყიანი“ დარგების ინვესტიციის იმედად რჩება. შედეგად მოჯადოებულ წრეში ჩაბმული აღმოვჩნდებით.

მოქალაქეების ის ჯანსაღი ნაწილიც კი, რომელიც ამა თუ იმ პროექტს ქუჩის აქციებით აპროტესტებს, ზემოგანხილული პრობლემების ყველა მხარეს ვერ აცნობიერებს. გუდიაშვილის პროტესტის კრიტიკის ერთ-ერთი საბაბიც ის იყო, რომ ხალხის უმეტესობა არ იცნობდა პრობლემის დეტალებს. მოქალაქეებში პროტესტს მხოლოდ კონკრეტული ხის მოჭრა ან შენობის დანგრევა არ იწვევს, მოსახლეობის პროტესტის არსი ქალაქის რესურსებზე და გარემოზე კონტროლისთვის ბრძოლაა. ქალაქი არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა და საინჟინრო კომუნიკაციები, არამედ სივრცეა, სადაც განსხვავებული შეხედულებებისა და სოციალური ფენის ინდივიდებს შორის მრავალფაროვანი ურთიერთობები ყალიბდება. საზოგადოებრივი ინტერესების გასხვისება და გარდაქმნა კი თავისთავად პროტესტს იწვევს. გუდიაშვილის აქციის მანიფესტის ფორმაც იმას აჩვენებდა, რომ ხალხისთვის ამ სკვერის სივრცე ფუნქციურადაც და სოციალურ-კულტურული შინაარსითაც ისედაც დატვირთულია. გამართულად ფუნქციონირებადი, მრავალფეროვანი სოციალური ლანდშაფტის მქონე უბნის ხელახალი განვითარება უკვე ლოგიკას მოკლებულია. საბჭოთა კავშირში, ცენტრალიზებული დაგეგმარების პირობებში, მოსახლეობა ქალაქის მართვას სრულიად იყო მოწყვეტილი და ხალხი შეეჩვია, რომ ურბანულ გადაწყვეტილებაში თანამონაწილეობა მისი საქმე არ არის. ასეთი გამოცდილების პირობებში პოსტსაბჭოთა სივრცეში ადამიანები არ აღიქვამენ თავს ქალაქის დაგეგმვის ერთ-ერთ მონაწილედ. საზოგადოების ინერტულობის ფონზე მნიშვნელოვანი პროექტების დამტკიცება აბსოლუტურად ფარულად ხდება. შედეგად მოქალაქეებს თავიანთ აზრის გამოხატვა პროტესტის ფორმატში უწევთ და არა კანონით განსაზღვრული, ცივილიზებული თანამონაწილეობით.

როდესაც მოსახლეობა მოწყვეტილია ქალაქის მართვის პროცესს, ქალაქი უკვე მოქალაქეების მოთხოვნიელებებს აღარ პასუხობს და ამით ადამიანისთვის უცხო, არაკომფორტული გარემო იქმნება. ჩვენი გარემოს საარსებო პირობების გაუარესების ტენდენცია დღესაც აქტიურ რეჟიმში გრძელდება. დამოუკიდებლად ცხოვრების ოცწლიან პერიოდში ჩვენ მივიღეთ ქალაქი, სადაც ნეოლიბერალური ეკონომიკური სპეკულაციების შედეგად, რკინა-ბეტონის უსახურმა მონუმენტებმა ადამიანური სივრცეების უმეტესი ნაწილი დაიკავეს; ქალაქი, რომელიც მმართველების, მენაშენეების, არქიტექტორების და თავად მოსახლეობის ერთობლივი, უპასუხისმგებლო და მიზანმიმართული ქმედებების ნეგატიური შედეგია. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენივე პასიურობიდან გამომდინარე დაგვემართა ის, რაზეც „უჩინარ ქალაქებში“ იტალო კალვინო წერდა– „... რეალურად არსებული ქალაქები ნაკლებადაა საარსებოდ გათვლილი“. ასეა ჩვენი ქალაქის შემთხვევაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლავოი ჟიჟეკი: „ეკოლოგია – ოპიუმი ხალხისთვის“

თარგმანი: თამარ ლომიძე

ეკოლოგია და ჩვენი დამოკიდებულება ეკოლოგიური პრობლემატიკის მიმართ დღეს, ალბათ, გადამწყვეტი მომენტია იდეოლოგიაში. იდეოლოგიას ძალზე რეალურ პრობლემებთან აქვს საქმე, მაგრამ მათ *მისტიფიცირებას* ახდენს.

ერთ-ერთი უმარტივესი იდეოლოგიური მექანიზმია ის, რასაც საზრისით ცდუნებას ვუწოდებ. ყოველ საშიშ მოვლენაში მის საზრისს ვეძიებთ ხოლმე. მაგალითად, შიდსს კონსერვატორები მიიჩნევენ სასჯელად ჩვენი ცოდვილი ცხოვრების გამო და ა.შ.

თუ ბუნებრივ კატასტროფას სასჯელად მივიჩნევთ, გაგვიადვილდება მასთან შეგუება – ამ კატასტროფას შემზარავი, ბრმა ძალის გამოვლინებად კი არ წარმოვიდგენთ, არამედ – საზრისის მქონე მოვლენად. სჯობს ივარაუდო, რომ ღმერთი გსჯის, ვიდრე იფიქრო, რომ ეს უბრალოდ, შემთხვევით მოხდა. როდესაც გსჯის ღმერთი, მაინც რჩება საზრისის ერთგვარი უნივერსუმი და აქ, ჩემი აზრით, ეკოლოგია იდეოლოგიად იქცევა.

* * *

ეკოლოგია გულისხმობს, რომ არსებული სამყარო საუკეთესოა შესაძლებელთა შორის. წარმოდგენა ბუნების, როგორც ჰარმონიული, ორგანული, ცოცხალი არსების შესახებ, რომლის წონასწორობას არღვევს და ანადგურებს ტექნოლოგიური ექსპლუატაცია, დაცემის შესახებ რელიგიური მითის სეკულარული ვერსია გახლავთ. პასუხი ყოველივე ამაზე არის არა ის, რომ არ არსებობდა არავითარი დაცემა და რომ ჩვენ ბუნების ნაწილი ვართ, არამედ ის, რომ არ არსებობს არავითარი ბუნება. ბუნება არაა ჰარმონიული მთლიანობა, რომელსაც არღვევენ ადამიანები. ბუნება იმ უდიდესი კატასტროფების სერიაა, რომელთა შედეგებსაც ჩვენს სასარგებლოდ ვიყენებთ. რა არის ამჟამად ენერგიის უმთავრესი წყარო? ნავთობი. მაგრამ რა არის ნავთობი? წიაღისეული ნავთობი არნახული კატასტროფის მატერიალური ნარჩენებია. წარმოიდგინეთ, რა საშინელი კატასტროფა უნდა მომხდარიყო დედამიწაზე. სჯობს, არ დავივიწყოთ ამის შესახებ.

* * *

შესაძლოა, ეკოლოგია ადრე თუ გვიან იქცეს ახალ ოპიუმად ხალხისთვის, ისეთად, როგორიც, მარქსის აზრით, რელიგიაა. რელიგიას უზენაეს ავტორიტეტად მივიჩნევთ. ამჟამად ეკოლოგია სულ უფრო მეტად ითავისებს კონსერვატიული იდეოლოგიის როლს. ერთგვარი იდუმალი ხმა ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ არ ღირს უჩინარი საზღვრის გადაკვეთა და დარღვევა: „შეჩერდით! ეს უკვე მეტისმეტია“. ეს ხმა დღეს ეკოლოგიის ხმაა, რომელიც მოგვიწოდებს: „ნუ ჩაერევით დნკ-ში! ნუ ეთამაშებით ბუნებას! ნუ სჩადით ამას!“. ესაა – იდეოლოგიური უნდობლობა ცვლილებებისადმი. ესაა დღეს ეკოლოგია.

> ეს ხმა დღეს ეკოლოგიის ხმაა, რომელიც მოგვიწოდებს: „ნუ ჩაერევით დნკ-ში! ნუ ეთამაშებით ბუნებას! ნუ სჩადით ამას!“. ესაა – იდეოლოგიური უნდობლობა ცვლილებებისადმი. ესაა დღეს ეკოლოგია.

* * *

არსებობს ერთი პოპულარული მითი ეკოლოგიასთან დაკავშირებით, იმის შესახებ, რომ ჩვენ, – დასავლეთის მკვიდრნი, – არაბუნებრივ ტექნოლოგიურ გარემოში მცხოვრებნი, გაუცხოებული ვართ ბუნებრივი გარემოსგან, რომლის ნაწილსაც წარმოვადგენთ. ჩემი აზრით, ამ მითში იმალება უდიდესი საშიშროება.

პარადოქსული სიტუაცია იქმნება. ჩვენ ვიცით, რაოდენ საშიშ სიტუაციაში ვიმყოფებით – გლობალური დათბობა, სხვა ეკოლოგიური კატასტროფების შესაძლებლობა და ა.შ. ამასთან, უბრალოდ, არ გვჯერა, რომ დედამიწაზე შეიძლება ყოველივე განადგურდეს, იმიტომ, რომ, გარკვეულწილად, უნარი არ შეგვწევს, წარმოვიდგინოთ ამგვარი რამ. ამდენად, ვფიქრობ, შესაბამისად უნდა განვიხილოთ ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროება, მაგრამ კი არ უნდა დავუბრუნდეთ ბუნებას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად დავცილდეთ მას. ჩვენთვის აუცილებელია კიდევ უფრო მეტი გაუცხოება სასიცოცხლო გარემოსგან. უფრო ხელოვნურნი უნდა გავხდეთ, უნდა განვავითაროთ ახალი, უფრო შემზარავი მატერიალიზმი, გარკვეული მათემატიკური უნივერსუმი, რომელშიც არაა არაფერი, ფორმულების, ტექნოლოგიური ფორმების და ა.შ. გარდა. და, რაც მთავარია, უნდა აღმოვაჩინოთ პოეზია, სულიერება ამ განზომილებაში. ამაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სიყვარული სამყაროს მიმართ. მართლაც, რა არის სიყვარული? შეყვარებული ადამიანი არ აიდეალებს თავის საყვარელ არსებას, მისი ნაკლოვანებები და სიმახინჯეც კი უყვარს. უნდა დავინახოთ სრულყოფილება ყველაზე უფრო არასრულყოფილში. აი, ასე უნდა გვიყვარდეს ეს სამყარო. ჭეშმარიტ ეკოლოგებს უყვართ ნაგავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარები სლავოი ჟიჟეკის წერილზე „ცენზურა დღეს: იძულება, ანუ ეკოლოგია როგორც ახალი ოპიუმი მასებისათვის“

ავტორი: ნუგზარ ზაზანაშვილი

ამ საკითხზე ჟიჟეკის მთელი მსჯელობა სპეკულაციების უწყვეტი ჯაჭვია, რომლის „რგოლებიდან“ ზოგიერთი ახლოსაა რეალობასთან, ზოგიერთი კი, ჩემი აზრით, რეალობას მოწყვეტილია.

ამ ჯაჭვში ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, სასაფუძვლო დებულება ისაა, რომ დღეს ეკოლოგია კონსერვატიულ იდეოლოგიად იქცა, ლამის ესქატოლოგიურ შიშსა და შესაბამის აკრძალვებზე დაფუძნებულ ერთგვარ ახალ რელიგიად ჩამოყალიბდა; ანუ – მარქსის ტერმინოლოგიით – მასებისათვის ახალი ოპიუმი გახდა. ჰოდა, რახან ეს ასეა, სლავოი ჟიჟეკმა – თავისი მემარცხენე მრწამსიდან გამომდინარე – უნდა დაამხოს ეს ახალი ბომონი.

გზა ცნობილია: უნდა უარიყოს თუ გაქარწყლდეს ის მითები თუ იდეოლოგემები, რომლებიც ამ ახალ რელიგიას კვებავს. ჟიჟეკი ძირითადად ორი მიმართულებით უტევს: ერთი მხრივ, ის ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ერთ-ერთი „სპილო“, რაზეც დღევანდელი ეკოლოგია დგას – სახელდობრ კი ბუნების თვითრეგულირების, ბალანსის თუ წონასწორობისაკენ სწრაფვის უნარი – მითია; მეორე მხრივ კი, ჟიჟეკი ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივ ადამიანს არ გააჩნია „ეკოლოგიური შიშის“ შეგრძნების და შესაბამისად – სრულად გაცნობიერების უნარი და სწორედ ამის გამო საფრთხეზე რეაგირება ადეკვატურად ან საერთოდ არ ხერხდება.

ჩემი აზრით, პირველი „სპილოს“ მიმართულებით ჟიჟეკისეული სპეკულაციური „ბომბარდირება“ კრიტიკას ვერ უძლებს. ის, რომ ბუნების დროში განვითარება კატასტროფების სერიადაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი (ნავთობის მაგალითი) არგუმენტი არ არის იმის სამტკიცებლად, რომ ბუნებას, ეკოსისტემებს, ბიოსფეროს თვითრეგულირების უნარი არ გააჩნია. ეს ასე რომ იყოს, ცოცხალი დღემდე ვერაფერი მოაღწევდა. ჟიჟეკი ღრმა მოაზროვნეა და ესეც კარგად ესმის, ამიტომ მისი წერილის ვრცელ ვარიანტში ის გაკვრით ახსენებს, რომ კი, კატასტროფების შემდეგ ბუნებამ შეიძლება აღიდგინოს თავიო, მაგრამ... მაინც ბუნებრივი ბალანსი მითიაო. ჩემი წარმოდგენით ასეთი მტკიცებისას ფილოსოფოსის მარქსისტული მიდრეკილებები იჩენს თავს: დიალექტიკური მატერიალიზმი (უფრო ადრინდელ შესაბამის შეხედულებებზე დაყრდნობით) ხომ გვასწავლიდა, რომ ყველაფერი მუდმივად ვითარდება, იცვლება, ყველაფერი მუდმივად მოძრაობს. ჰოდა, აბა თუკი სიცოცხლე დინამიკაა, როგორღა შეიძლება არსებობდეს ბუნებრივი ბალანსი, წონასწორობა?

შეიძლება, დიახ, შეიძლება არსებობდეს დინამიკური ბალანსიც: ეკოლოგია ფილოსოფია არ არის – ის ბუნებაზე დაკვირვებასა და მის შესწავლაზე დაფუძნებული მეცნიერებაა და ამ შესწავლის შედეგები ამას იოლად ამტკიცებს. ბუნების, ბუნებრივი სისტემების წონასწორობისაკენ სწრაფვას, ამ უნარს, „ბუნებრივი ბუნების სიჯიუტეც“ შეიძლება დავარქვათ, რასაც ყოველი ფეხის გადადგმაზე შეიძლება წააწყდეს ნებისმიერი ჩვენგანი: ავიღოთ თუნდა ჟიჟეკისთვის ასე „საყვარელი“ ნაგავი, გნებავთ – განავლის გროვა. როგორც კი ასეთი რამ სადმე დაგროვდება, ბუნება იმ წამსვე იწყებს მის „ათვისებას“: ნაგვის გროვაზე ჯერ თითო-ოროლა სარეველა მცენარე სახლდება, რომლებსაც თავისი მიკროფაუნა მოჰყვება, შემდეგ სარეველები მთლიანად ახდენენ ნაგვის გროვის „ოკუპაციას“, სარეველებს ცვლიან „არასარეველები“ (თანდათან იქმნება ნიადაგის ფენაც), შემდეგ – ბუჩქები და ბოლოს – ხეები (თუკი ტყის ზონაში ვიმყოფებით). აღმდგენილი ტყე უკვე დინამიკური ბალანსის მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემაა, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ ჩაერევა ამ პროცესში. მარტივად – ესაა და ეს; რთულად – ნებისმიერმა მკითხველმა შეიძლება იპოვოს, მათ შორის პოპულარულ ლიტერატურაში, თუ რა განაპირობებს ამ ბალანსს (ეკოსისტემური თუ ბიოსფერული ნივთიერებისა და ენერგიის ცვლის პროცესები). ამგვარად, ბუნების წონასწორობისკენ, ბალანსისკენ სწრაფვა არავითარი მითი არ არის – ყოველდღიური რეალობაა.

ჟიჟეკის მეორე მიმართულებით შეტევა გაცილებით უფრო წარმატებულია: ამ შემთხვევაში ფილოსოფოსი ცდილობს ეკოლოგიასთან მიმართებით „ურწმუნო თომას ეფექტის“ (ჩერნობილის მაგალითი) გაანალიზებას. წერილის ვრცელ ვარიანტში ის საკმაოდ რთული გზით მიდის: იშველიებს ანეკდოტს იმ შეშლილი კაცის შესახებ, რომელსაც თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორბლის მარცვლად წარმოუდგენია და დონალდ რამსფელდის „ფილოსოფიზმებს“ „ცნობილი ცნობილის“, „ცნობილი უცნობის“ და „უცნობი უცნობის“ შესახებ. ამ უკანასკნელს ჟიჟეკი ამატებს „უცნობ ცნობილს“ და აქედან ჯაჭვი გრძელდება ფროიდის არაცნობიერით, ლიბიდოთი, ლაკანის „ცოდნით, რომელიც არ იცნობს თავის თავს“, ფროიდის „ტრავმის“ ქეთრინ მალაბუსეული ინტერპრეტაციით და ა.შ. აქ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ ჟიჟეკს: რა ფსიქოლოგიური საფუძვლებიც უნდა ჰქონდეს ამ „სინდრომს“, ფაქტია, რომ არა მხოლოდ „არაპროფესიონალი მოსახლეობა“, არამედ ზოგიერთი მეცნიერიც კი ვერ ისიგრძეგანებს, მაგალითად, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებიდან მომდინარე საფრთხეს.

აქ მხოლოდ ერთს დავამატებ – ჟიჟეკის მტკიცების მიუხედავად, ეკოლოგია საფრთხობელა არ არის: ფაქტია, რომ კლიმატი იცვლება (შეხედეთ თუნდაც კავკასიონის მყინვარების დნობასა და უკანდახევას), მაგრამ არავის უთქვამს, რომ კლიმატის ცვლილება აპოკალიფსური მოვლენაა; უბრალოდ საჭიროა, საფრთხის გათვალისწინებით, მიტიგაციისა და ადაპტაციის ადეკვატური სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა: მხოლოდ ამას გვეუბნება ეკოლოგია და მეტს არაფერს.

მიუხედავად იმისა, სწორია თუ არასწორი ჟიჟეკის ამოსავალი სპეკულაციები, იგი თანმიმდევრულია და ასკვნის, რომ რახან ეკოლოგიური ბალანსი მითია და რახან ჩვენ მაინც არ შეგვიძლია „ფუტურისტული საფრთხის“ აღქმა, ამდენად არც ბუნების ცნება გვჭირდება: „ჭეშმარიტად – ის, რაც ჩვენ გვჭირდება, ეს არის ეკოლოგია ბუნების გარეშე: გარემოს დაცვისთვის მთავარი შემაფერხებელია სწორედ ის წარმოდგენა ბუნების შესახებ, რაც გაგვაჩნია“ – წერს ის.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რას გვთავაზობენ სანაცვლოდ? – ბუნებისაგან ტოტალურ გაუცხოებას, გარემოს „გარდასახვას“ მათემატიკურ უნივერსუმად თუ ტექნოფორმების ერთობლიობად. ისევ კეთილი და პატიოსანი, მაგრამ – მერე რა? მერე რა კონსტრუქციულობა, ეფექტურობა, სარგებელია ამაში? ამასთან, ფილოსოფოსი თავად დასძენს, რომ ამ ყველაფერში ძნელია პოეზიის თუ ესთეტიკური განზომილების პოვნაო და მაშინვე სიყვარულის შესახებ სპეკულირებაზე გადადის – ტექნოგენური ნაგავი უნდა გიყვარდესო, ნამდვილ ეკოლოგებს ნარჩენები უყვართო. ამ შემთხვევაში პატარა „თვალთმაქცობაც“ შეინიშნება: სიყვარული (იმ გაგებით, რასაც აქ ჟიჟეკი გულისხმობს) და ესთეტიკური განცდა ერთი და იგივე არ არის. ესთეტიკურ განცდას ფესვები ბუნების, მოწესრიგებული უნივერსუმის, ჭექა-ქუხილის ელდის და მისთ. („ლამაზისა“ და „უშნოს“) პირველყოფილ აღქმაშიცა აქვს გადგმული და ეს ჟიჟეკმა ჩემზე ათასჯერ უკეთესად იცის და, ალბათ, ამიტომაც გადადის ის „სასიყვარულო სპეკულაციაზე“. თუმცა ეს არ არის მთავარი: მთავარი ისევ ის კითხვაა – მერე რა? გვიყვარს ნაგავი, გვიყვარს გლობალური დათბობა – მერე რა? განა, ბუნებისაგან ტოტალური გაუცხოება და ბუნების მხოლოდ მათემატიკურ-ტექნოგენურ მოდელად აღქმა უკეთ დაგვაცვევინებს მას? მე პირადად მეეჭვება და ამ კითხვაზე ნათელი პასუხი ვერც ჟიჟეკის ამ ოპუსში ვიპოვე.

ეკოლოგიიდან მომდინარე „შეზღუდვებით“ გაღიზიანებული ჟიჟეკი აფრთხილებს ხალხს, რომ შესაძლოა, თანამედროვე ეკოლოგიის სახით ახალი „რელიგია“ ჩამოყალიბდეს, რამაც, ასევე, შესაძლოა, შეზღუდოს ინდივიდის თავისუფალი არჩევანი.

მკითხველი შეიძლება დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს, მაგრამ მე მთელ ამ გალაშქრებაში „კონსერვატიული ეკოლოგიის“ წინააღმდეგ, უფრო მეტად პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიაზე დაყრდნობილ მემარცხენე-ეპატაჟურ გაფრთხილებას ვხედავ: ეკოლოგიიდან მომდინარე „შეზღუდვებით“ გაღიზიანებული ჟიჟეკი აფრთხილებს ხალხს, რომ შესაძლოა, თანამედროვე ეკოლოგიის სახით ახალი „რელიგია“ ჩამოყალიბდეს, რამაც, ასევე, შესაძლოა, შეზღუდოს ინდივიდის თავისუფალი არჩევანი.

და ბოლოს, ამაზეც ვიტყვი: ეკოლოგია ერთმნიშვნელოვნად „კონსერვატიული“ თუ „მემარჯვენე“ ვერასოდეს გახდება, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის, ტრადიციული გაგებით, იდეოლოგია არ გახლავთ: რამდენიც გინდა ამტკიცოს ეს ჟიჟეკმა, ეკოლოგიას, კლასიკური გაგებით, იდეოლოგემები არ გააჩნია; მისი ძირითადი პოსტულატები დამყარებულია სამეცნიერო-ექსპერიმენტულ კვლევაზე და მის შედეგებზე. ის, რომ ბუნებას, ბუნებრივ სისტემებს თვითრეგულირების უნარი გააჩნია, ის, რომ ბუნება მიისწრაფვის გარკვეული წესრიგისკენ, ბალანსისკენ – ეს ფაქტიცაა და, თუ გნებავთ – ბუნების თვითგადარჩენის სტრატეგიაც – სტრატეგია, რომელიც ადამიანის სასიკეთოდ „მუშაობს“. გარდა ამისა, თანამედროვე ეკოლოგიის მთავარი სლოგანია: დავიცვათ და გამოვიყენოთ ბუნება ხალხისთვის და ხალხთან ერთად! და ეს არა მხოლოდ სლოგანია, არამედ ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პროექტის მოთხოვნაცაა. ჰოდა, რა არის ამაში „კონსერვატიული“ თუ „მემარჯვენე“? პირიქით, მე მეჩვენება, რომ ეკოლოგია სულ უფრო მეტად „სოციალისტური“ ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ ზაზანაშვილის რუკები და ტერიტორიები

ავტორი: მაკა ლდოკონენი
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

ადამიანი გამომგონებელია: აკვირდება, ფიქრობს, პროგრესის გარდაუვალობას აცნობიერებს, გრძნობს, რომ სიახლის დროა და ქმნის. ქმნის ნივთებსა და ნივთიერებებს, ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს, ასევე ცნებებსა და ტერმინიებს. მაგალითად, ტერმინი „ეკოლოგია" (ისევე როგორც „პიტეკანტროფი" და „ფილოგენეზი") გერმანელმა ბიოლოგმა და ფილოსოფოსმა ერნსტ ჰეკელმა მოიგონა. არ იფიქროთ, რომ ჰეკელამდე ეკოლოგია, როგორც დისციპლინა არ არსებობდა, რა თქმა უნდა, იყო კვლევები თუ შედეგები, მოვლენები თუ საფრთხეები, ჰიპოთეზები თუ შეკითხვები, ადამიანიც თავისთავად „მწვანედ ფიქრობდა". უბრალოდ, არსებულის ერთ „საქაღალდეში" თავმოყრას განსაკუთრებული გონება სჭირდებოდა, რომელიც 1868 წელს სწორედ ჰეკელს აღმოაჩნდა.

საგულისხმოა, რომ ტერმინის ფუძედ მეცნიერმა ბერძნული სიტყვა οἶκος აარჩია, რაც სახლს, საცხოვრებელს ნიშნავს; ანუ შეეცადა ეკოლოგიური პრობლემები ადამიანისთვის შინაურულ საქმედ ექცია – ყოფითი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად წარმოეჩინა.

მომდევნო კითხვები ლოგიკურად დაისმის:

1. სად არის „ჩვენი" οἶκος?

2. რით იწყება „პირადი" ეკოლოგია?

პასუხები კი მარტივია:

1. აქ – დედამიწაზეა. პლანეტაზე, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია. თანამედროვე ეკოლოგიური მოძღვრების თეორიული საფუძვლების ფუძემდებელი, ამერიკელი ბიოლოგი და ეკოლოგი ბარი კომონერი სწორედ ამგვარად აყალიბებს ეკოლოგიის პირველ კანონს: „ყველაფერი ურთიერთკავშირშია!" მეორე კანონის მიხედვით „არაფერი არსად არ ქრება", მესამე კანონს თუ დავუჯერებთ, „ბუნებამ უკეთ იცის" და ბოლოს: „უფასო სადილები არ არსებობს", ანუ ბუნებისგან საჩუქრად არაფერი გვეძლევა. მოკლედ რომ ვთქვათ, „აქ" ვართ და ჩვენთვის გამოყოფილი ტერიტორია უცვლელია!

2. შესაძლოა ძალზე მარტივად, რუკებით იწყება ყველაფერი, როგორც ეს ნუგზარ ზაზანაშვილთან მოხდა: პატარა ბავშვმა წიგნების თაროდან ყველაზე დიდი წიგნი გადმოიღო და ის წიგნი მსოფლიო ატლასი აღმოჩნდა.

ნუგზარ ზაზანაშვილი – გეოგრაფი, ეკოლოგი და პოეტი. დაიბადა 1957 წელს, თბილისში. დაამთავრა თსუ გეოფრაფია-ეკოლოგიის ფალულტეტი. ამჟამად ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. 1998 წელს გამომცემლობა „დიოგენემ" მისი სადებიუტო ლექსების კრებული გამოსცა. 2005 წელს გამომცემლობა „საარის" წარდგენილი ლექსების კრებული „გაუგზავნელი წერილები" ლიტერატურული პრემია „საბას" ნომინანტი გახდა. 2010 წელს ნუგზარ ზაზანაშვილის ლექსების მესამე კრებული „ცის" გამომცემლობა „საარმა" გამოსცა.

ველური ბუნების მოყვარული ვარ, ამიტომ ტანზანიის ეროვნულმა პარკმა განსაკუთრებით მომხიბლა. დადიხარ და შენს გვერდით სპილოები, ჟირაფები, ზებრები, ანტილოპები დასეირნობენ, ბეჰემოტები და ნიანგები დაცურავენ, დილაადრიან სანადირო გამოსულ ლომსაც ნახავ, თუმცა ეროვნული პარკების მიღმა ტანზანიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების ტყეები თითქმის გაჩანაგებულია.

– დღემდე შემომრჩა ის უზარმაზარი, ყავისფერყდიანი წიგნი, 1953 წელს გამოცემული „დიდი ატლასი". ბავშვური ცნობისმოყვარეობის ბრალი იყო ალბათ, ყველაზე დიდტანიან წიგნს რომ წავეპოტინე და ჩემთვის მანამდე უცნობ, რუკების სამყაროში აღმოვჩნდი. ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვიხსენებ, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა უზარმაზარმა ლურჯმა სივრცემ, მსოფლიო ოკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეების კუთვნილ ტერიტორიას რომ აღნიშნავდა. კითხვა ჯერ ხეირიანად არ ვიცოდი, უფროსები მიკითხავდნენ „კაპიტან გრანტის შვილებს“ და „განძის კუნძულს“ და მეგონა, სწორედ ამ უზარმაზარ ატლასში თავმოყრილ რუკებზე დაწერეს ეს წიგნები. მერე „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ და „20000 ლიე წყალქვეშ“ წავიკითხე, თანდათან რუკების ენის ლაკონურობამ და აბსტრაქტულობამ მომხიბლა. თუ დააკვირდებით, ხელოვნების ნიმუშივითაა ატლასების ტერმინოლოგია. სვეტებად ჩამოწერილი ქალაქების სახელების კითხვაც მიზიდავდა, ლამის ლექსებივით გავიზეპირე.

უცნაური სინთეზი მოხდა: ერთმანეთს შეერწყა სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვის დროს წარმოდგენილი აბსტრაქტული რუკები და „დიდი ატლასის“ საკრალური ენა. შემოქმედებითი განწყობის გაღვივებას ოჯახის წევრებიც სათანადო ნიადაგს უქმნიდნენ:

– მამა მხატვარ-კერამიკოსი იყო, დედა – მუსიკოსი, სახელმწიფო კაპელის კონცერტმეისტერი. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდა ლიტერატორი და მთარგმნელი მიხეილ ქვლივიძე, მამას მეგობრები ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების აღდგენაში მონაწილეობდნენ, საინტერესო ამბებს ვისმენდი, 10-12 წლისა თავადაც გახლდით კვეტერასა და ნოსტეში, იქ მიმდინარე სამუშაოები დავათვალიერე. დედას კაპელასთან ერთად გასტროლებზე დავდიოდი...

მალე რუკებზე აბსტრაქტული გადაადგილება ნამდვილმა მოგზაურობამ ჩაანაცვლა, რეალური შეგრძნებებით აივსო პატარა ბიჭი, შემდგომ მოზარდი. თანდათან კონკრეტულმა ტერიტორიებმა ახალი დატვირთვა და გეოგრაფ-ეკოლოგისთვის სახასიათო კონტურები შეიძინა, რუკების ლაკონური ენა, ფერები და სიმბოლოები სამეცნიერო დისციპლინებში ტრანსფორმირდა, თვალიერებაში გაცრეცილი ფურცლებივით მოსაფრთხილებელი გახდა თითოეული გვერდის შესაბამისი ტეროტორია, საბოლოოდ ერთ ბერძნულ ტერმინში – οἶκος – რომ გაერთიანდა.

– გააჩნია, რას დავარქმევთ „ნამდვილ მოგზაურობას“, თორემ სამი წლისა ქობულეთში რომ წამიყვანეს, განა მოგზაურობა არ იყო? ბებიებთან და მამიდებთან ერთად მოვიარე წალკა, ბედიანი, ბორჯომი, ახალდაბა, დედამ სოხუმსა და სოჭში, მამამ მოსკოვში წამიყვანა. გეოგრაფიულ ფაკულტეტზე პრაქტიკის ფარგლებში კი ზედმიწევნით ავითვისე საქართველოს კუთხეები, მოვიარე ჩრდილოეთ კავკასია, თალიშის მთები, ყირიმი, დასავლეთ უკრაინის კარპატები, პოლონეთი, დნეპრზე გემით ვიმოგზაურე...

უმაღლესში ჩაბარებისას დილემის წინაშე აღმოვჩნდი: ფილოლოგია ან გეოგრაფია უნდა ამერჩია. ფორმალურად გეოგრაფია „შემოვხაზე“, ფილოლოგიის სიყვარული კი დღემდე გამომყვა. მშობლები თავისუფალ ატმოსფეროში მზრდიდნენ, ჩემს პირად საქმეებში მაინცდამაინც არ ერეოდნენ და არჩევანიც მშვიდად მომიწონეს. ნდობის საბაბსაც ვიძლეოდი – კარგად ვსწავლობდი და ვიქცეოდი. პედაგოგებთან მშობლების დაბარების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი, არასაბჭოური აზროვნება იყო.

ლექტორებშიც საკმაოდ გამიმართლა: „დიალექტური მატერიალიზმის“ ნაცვლად „ეგზისტენციალიზმის“ კურსს გვკითხავდნენ, ესთეტიკას გვასწავლიდნენ, მეორად ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობას ვეუფლებოდი. რისმაგ გორდეზიანის, კაკო ბაქრაძის ლექციებით ვიყავი განებივრებული, ახალგაზრდა მწერალთა წრეში კი ჩვენი ხელმძღვანელი ტარიელ კვანჭილაშვილი იყო. თუმცა ადამიანებიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩემზე ქართული ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ბოტანიკოსმა და მწერალმა ნიკო კეცხოველმა მოახდინა, ის ნამდვილი ეროვნული მოღვაწე იყო. მისი მსგავსი ქომაგები სამწუხაროდ „გადაშენდნენ“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნუგზარ ზაზანაშვილმა ბოტანიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, მოგზაურობა და ახალი ტერიტორიების „აღმოჩენა“ განაგრძო. მათგან ზოგიერთი აღტაცებას იწვევდა, ზოგი პატივისცემას, ზოგი კი ტკივილს.

– ველური ბუნების მოყვარული ვარ, ამიტომ ტანზანიის ეროვნულმა პარკმა განსაკუთრებით მომხიბლა. დადიხარ და შენს გვერდით სპილოები, ჟირაფები, ზებრები, ანტილოპები დასეირნობენ, ბეჰემოტები და ნიანგები დაცურავენ, ფილაადრიან სანადიროდ გამოსულ ლომსაც ნახავ, თუმცა ეროვნული პარკების მიღმა ტანზანიისა

> ამოსავალი წერტილი გარემოს არქეტიპული შეგრძნება გახლდათ, რაც უპირველესად ჩვენი დიდი მწერლებისგან მოდიოდა. მაგალითისთვის მხოლოდ ვაჟას პოეზიაც იკმარებს. ან თუნდაც გოგებაშვილის „აი ია“ – ენობრივი თვალსაზრისით ხომ სრულყოფილებაა, მეორეს მხრივ კი ბუნებისა და მისი მოწყვლადობის მთელი ფილოსოფია დევს ამ ორ სიტყვაში. მე მწამს, რომ სწორედ არქეტიპულმა აზროვნებამ შემოგვინახა ბუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აფრიკის სხვა ქვეყნების ტყეები თითქმის გაჩანაგებულია. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, სიახლე არ იქნება თუ აღვნიშნავ, რომ მოწესრიგებულობითა და სისუფთავით იპყრობენ ყურადღებას. ბუნებაში დაყრილ ნაგავს იშვიათად თუ იხილავთ, თუმცა პრობლემის გარეშე არც იქ არიან. არასწორი ნადირობის შედეგად მტაცებლები გაწყვიტეს, რის გამოც იმდენად გამრავლდა ირემი და შველი, რომ ქალაქის პარკებში თავისუფლად შემოდიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ერთი შეხედვით უწყინარი ცხოველები ტყეების განახლებას ხელს უშლიან, რის გამოც მასზე მასობრივად ნადირობენ და კვების მრეწველობაშიც ფართოდ იყენებენ, რაც, სიმართლე გითხრათ, სულაც არ მომწონს.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ეკოლოგია გარემოს დაცვას ნიშნავს. ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრის დროს, როგორც წესი, გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელი, გამონაბოლქვი, დაბინძურებული წყალი და მსგავსი პრობლემები გვახსენდება. სინამდვილეში ეკოლოგია გაცილებით მეტს გულისხმობს და მის აღქმაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის ფსიქიკის იმ კონსტრუქციებს, კაცობრიობის მიერ დაგროვილ გამოცდილებას გენეტიკურად რომ გადმოგვცემს, ანუ შვეიცარიელი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის, კარლ გუსტავ იუნგის ენაზე რომ ვთქვათ – არქეტიპს.

– მიკროეკოლოგია ჩვენი წინაპრებით იწყება, რაც შემოგვრჩა, სწორედ მათი ღვაწლის შედეგია. როგორ ფიქრობთ, განა ისინი არ იყენებდნენ საძოვრებს, ტყეს, წყალს? რა თქმა უნდა, მაშინ განსხვავებული მასშტაბები იყო, მაგრამ მე მათ სწორ შეგნებაზე მსურს ყურადღების გამახვილება. სოფლის მოსახლეობას საერთო ეროვნული საკუთრების შეგრძნება გააჩნდა (რაც მომავალში კომუნისტებმა უმოწყალოდ მოსპეს და ეს სხვა განსჯის საკითხია). ამოსავალი წერტილი გარემოს არქეტიპული შეგრძნება გახლდათ, რაც უპირველესად ჩვენი დიდი მწერლებისგან მოდიოდა. მაგალითისთვის მხოლოდ ვაჟას პოეზიაც იკმარებს. ან თუნდაც გოგებაშვილის „აი ია“ – ენობრივი თვალსაზრისით ხომ სრულყოფილებაა, მეორეს მხრივ კი ბუნებისა და მისი მოწყვლადობის მთელი ფილოსოფია დევს ამ ორ სიტყვაში. მე მწამს, რომ სწორედ არქეტიპულმა აზროვნებამ შემოგვინახა ბუნება.

– ანუ ჩვენ, ადამიანები, არქეტიპები, საკუთარ თავში გენების მსგავსად ვინახავთ იმ „რეალობებს“, ჩვენი წინაპრებისგან რომ გადმოგვეცა?

– მჯერა, რომ ქვეცნობიერი ნათელი მხარე, როგორც უნდა უარვყოთ, მაინც არსებობს ადამიანში და, ჩვენ, ეკოლოგებს, სწორედ მისი გააქტიურება გვსურს. დიახ, გააქტიურება, ვინაიდან ის, რაც გენეტიკის დონეზე უწინ მუშაობდა, როდი მოისპო, მხოლოდ პასიურ მდგომარეობაშია გადასული და ხელსაყრელ დროს ელოდება.

– რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? – კონკრეტულ კითხვას გვერდს ვერ ავუვლით.

– ადამიანებში გარემოს დაცვითი შეგნება უნდა ამაღლდეს. პრობლემის გადაჭრა მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს, თუმცა მთავარი როლი მასმედიის საშუალებებმა უნდა შეასრულონ. რაც შეიძლება ფართო აუდიტორია რომ მოვიცვათ, ნებისმიერი სახის კომუნიკაცია უნდა გამოვიყენოთ: ბუკლეტები, წიგნები, რადიოგადაცემები, სოციალური რეკლამები, პლაკატები. არანაკლებ მნიშვნელოვანია პროპაგანდის რეგულარულობა, ნამდვილი ბომბარდირებაა საჭირო! ჩემი მეგობარი და კოლეგა, შვედი ეკოლოგი მაგნუს სილვენი მიამბობდა, როგორ გახდა ეკოლოგიის კუთხით სამაგალითო მისი სამშობლო. 60-იან წლებში მათ სავალალო მდგომარეობა ჰქონდათ, 40 წელი რეგულარულად ეწეოდნენ ეკოლოგიური პრობლემებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების პროპაგანდას. პირველი 20 წლის შემდეგ უკვე ჰქონდათ შედეგი, მაგრამ არ შეჩერდნენ და ამ მხრივ მუშაობას დღემდე განაგრძობენ. იმედი მაქვს, მსგავსი გზით ჩვენც სათანადო დონეს მივაღწევთ, მსუბუქი იუმორით შეზავებულ, მეგობრულ რჩევებს თუ შევთავაზებთ ჩვენს მოქალაქეებს. დემაგოგიური ჭკუის დარიგება ამ შემთხვევაში შედეგს არ გამოიღებს, ვინაიდან საკუთარი თავი ყველას ჭკვიანი გვგონია.

– ეს შორი და ხანგრძლივი გზაა. დღეს რისი გაკეთებაა შესაძლებელი?

– ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოების განვითარებასა და ბუნების დაცვას შორის ბალანსის დაცვა გახლავთ, რაც ოთხ ძირითად კომპონენტს მოიცავს: ეკონომიკურ-ინდუსტრიულ საკითხებს, ეკოლოგიურს, სოციალურსა და კულტურულს. თუ ბალანსი დაირღვა, ბეწვის ხიდზე ვერ გავივლით!!!

– რას გულისხმობთ?

– განსაკუთრებულ საფრთხეს საქართველოს და ზოგადად კავკასიის ეკოლოგიას განვითარების მსხვილმასშტაბიანი პროექტები უქმნის, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული პროექტები, ზღვის სანაპიროს ათვისება-განვითარება და იქ დიდი ქალაქების, გადამცემი ხაზების, ზოგადად ინფრასტრუქტურის მშენებლობა. არავინ იფიქროს, რომ ეკოლოგები პროგრესის წინააღმდეგ გამოვდივართ, ჩვენი ამოსავალი წერტილი ნებისმიერ შემთხვევაში ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინება გახლავთ. როდესაც ამაყად აცხადებენ, რომ 200-300 ჰესი უნდა აშენდეს, ჩვენ ლოგიკურ კითხვებს ვსვამთ: რატომ ზუსტად 200 ან 300? რას ემყარება ამგვარი კონკრეტიზაცია? ნუთუ ჰესების მშენებლობა ის შემთხვევაა, როდესაც მისაღებია პრინციპი – „რაც მეტი, უკეთესი?“ ჩემი აზრით, „ბევრი“ აბსტრაქტული ცნება, მაგალითად – ბედნიერება, სიყვარული კარგია, მაგრამ ბევრი ჰესის მშენებლობის დაგეგმვა პრობლემის მრავალფაქტორული ანალიზის შედეგად, ეკოლოგიური ასპექტებისა და ბიომრავალფეროვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს და ეკოლოგიური უსაფრთხოებაც თანამედროვე ეკოლოგური პრობლემების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ფართომასშტაბიანი განვითარების გეგმები კარგია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნების პროდუქტიულობას საკუთარი რიტმი აქვს, აქ სხვაგვარი ხედვაა საჭირო; ტყეს რომ ვუყურებთ, შეშას კი არ უნდა ვხედავდეთ, უნდა გვესმოდეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერქნის ღირებულებას ვერანაირი ვალუტით ვერ შევაფასებთ. ფოტოსინთეზის უნიკალური პროცესი, რომელზეც სიცოცხლეა აგებული, ციფრებს არად დაგიდევთ.

– როგორც ვხვდები, „მწვანედ“ უნდა ვიფიქროთ, „მწვანე“ რაკურსში მოვაქციოთ მზერა და „მწვანედ“ ვისაუბროთ – წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავიაზრებთ, რომ მთლიანის განუყოფელი ნაწილი ვართ.

– სხვა გზა არა გვაქვს. არაერთ მაგალითს მოგახსენებთ: ჩვენ არაგვისა და იორის წყალს ვსვამთ, მაგრამ წყალი განყენებულ, ცალკე არსებულ პროდუქტად როდი უნდა აღვიქვათ. უნდა გვესმოდეს, რომ მის შემადგენლობას, სისუფთავესა და უბრალოდ არსებობას ეკოსისტემების სიჯანსაღე განაპირობებს. ავკრძალეთ ავტომობილების ტექდათვალიერება, როგორც კორუფციის წყარო, მაგრამ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელმა იმატა. მალე თეირანის მოსახლეობასავით რესპირატორებით სიარული მოგვიწევს. სიიაფის გამო შემოგვაქვს და ვამრავლებთ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რას უქადის ამგვარი ქმედება ჩვენს გენოფონდს. ამით ხომ ხვალინდელ დღეს ვისპობთ. „დღევანდელი კვერცხის“ პრინციპით არ ცხოვრობდა და არ ფიქრობდა ქართველი, მით უმეტეს ბუნებასთან მიმართებაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აჭარა – თურქეთის მიმდებარე ტერიტორია და გურიის ნაწილი – უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. იქაურ ტყეებში ზოგიერთი ჯიშის ასაკი 2 მილიონ წელსაც კი აღწევს, მაგრამ ადამიანი, ჭარბი ტენიანობა თავიდან რომ აიცილოს, ტყეს ჩეხავს, რაც მეწყერიანობას ზრდის. გახშირებულ წყალმოვარდნებს მილიონობით ზარალი მოაქვს, მიზეზი კვლავ ეკოსისტემის არასწორი გამოყენება გახლავთ. გასაგებია, რომ კლიმატი მუდამ იცვლებოდა და იცვლება, უბრალოდ ადამიანი ახლა გაცილებით აქტიურად ჩაერია ამ პროცესში და შედეგები სავალალო გახდა.

ავკრძალეთ ავტომობილების ტექდათვალიერება, როგორც კორუფციის წყარო, მაგრამ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელმა იმატა. მალე თეირანის მოსახლეობასავით რესპირატორებით სიარული მოგვიწევს. სიიაფის გამო შემოგვაქვს და ვამრავლებთ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რას უქადის ამგვარი ქმედება ჩვენს გენოფონდს. ამით ხომ ხვალინდელ დღეს ვისპობთ.

წყლის არასწორი რეგულაციის შედეგად, ჭიაურის ტყეში, ლაგოდეხის მახლობლად, ჭალის უნიკალური ტყე განადგურდა. თუმცა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მხარდაჭერით ჭიაურის ტყის მასივზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, ჭალის სახეობები დავრგეთ, წყლით დაფარული ტერიტორია, მალარიის საფრთხეს რომ ქმნიდა, გაიწმინდა, მდინარისთვის ახალი კალაპოტი გაიჭრა და ახლა რომ ნახოთ, ვერ იცნობთ იქაურობას, ტყე განახლდა.

– ანუ სასიკეთო ცვლილებებიც ხდება, თავის მხრივ კი ბუნების თვითგადარჩენის სტრატეგია მუშაობს ადამიანის სასარგებლოდ.

– მთავარი, რაც ამ წლების განმავლობაში განხორციელდა, დაცული ტერიტორიების განვითარებაა. კომუნისტების დროს 15 ნაკრძალი იყო, რაც საქართველოს ტერიტორიის 2,5% შეადგენდა, ახლა 16 ნაკრძალი, 9 ეროვნული პარკი და 26 სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია გვაქვს, რომელთაც საქართველოს ტერიტორიის 8% უჭირავს და მათში ჩვენი ტყეების 10% გახლავთ მოქცეული. საერთაშორისო კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (**CBD**), რომელსაც 190 ქვეყანა უერთდება, 2020 წლამდე გვავალდებულებს დაცული ტერიტორიების საერთო ფართი 17,5%-მდე გავზარდოთ. შესაძლოა მოთხოვნა ზედმიწევნით ვერ დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ზრდის ტენდენცია ნამდვილად არსებობს. გარდა ამისა, აქტიურად ხორციელდება ეგრეთ წოდებული „დერეფნების კონცეფცია“. „დერეფნების კონცეფციის“ მიზანია ადგილობრივ მოსახლეობასთან მაქსიმალური კომუნიკაცია და მათი ჩართვა დაცული ტერიტორიების შექმნისა თუ მოვლა-პატრონობის პროცესში. კარგი შედეგებია ბორჯომში, თუ 90-იანი წლების ბოლოს 37 ირემი გვყავდა, ახლა მათი რიცხვი 1000-მდე გაიზარდა. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იცავს გარემოს, რამაც ბრაკონიერობა საგრძნობლად შეამცირა.

– პროგრესი კომპრომისს ითხოვს, თუმცა უდიერ მოპყრობას ბუნება არ გპატიობს – ის მშობელივითაა, თუ შენი საქციელი არ მოეწონა, ხან ყურს აგიწევს, ხან დაგიყვავებს და მიგითითებს – და სათანადო რეაგირებას ელის ჩვენგან.

– ელის და, ჩვენ მაგალითის მიმცემი უნდა ვიყოთ მომავალი თაობისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი არ გვექნება; ჩვენი თაობა მგრძნობიარე უნდა გახდეს ეკოლოგიური პრობლემების მიმართ. მე საუკეთესო ბუნების დამცველების მაგალითზე აღვიზარდე. კვლავ გავიმეორებ, რომ ნიკო კეცხოველი იყო ამ მხრივ იდეალური – სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ბუნებას ემსახურებოდა. მისი ინიცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივით შეიქმნა პირველი დაცული ტერიტორიები. ქართული მეტყევეობის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ინიციატივით გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ხეების სამრეწველო მიზნებისთვის ჭრა აიკრძალა და საქართველოს ტყეები გარკვეულწილად გადარჩა. რომ გაიგებდა ამა და ამ რაიონში ხე მოჭრესო, მძღოლს წაიყვანდა, იქაურ რაიკომის მდივანს თავზე დაადგებოდა, ერთ ამბავს ატეხდა და ათი მოჭრილი ხის ნაცვლად ასს დაარგვევინებდა. როდესაც საქმე ეკოლოგიურ პრობლემებს ან ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეს ეხებოდა, აქტიურად რეაგირებდა: გაზეთებში წერდა, ტელეგადაცემებში გამოდიოდა. ყველაფერთან ერთად ის შესანიშნავი მოქართულე, საყმაწვილო ლიტერატურის გამორჩეული ავტორი გახლდათ. „მკერდში დაჭრილი ბუნება" – ასე ჰქვია მის ერთ-ერთ პოპულარულ წიგნს. დაუკვირდით, მხოლოდ სათაური რად ღირს!

ვრცელი **P.S.** ანუ „უკანასკნელი რაუნდი" οἶκος-ის ტერიტორიაზე

„ზღვა დამშრალია ჰაერი ბოლავს
მიწა ზანზარებს და იღუნება...
უთანასწოროდ მთავრდება ბრძოლა, –
ბრძოლის ველიდან გადის ბუნება"...

– მიშა ქვლივიძის ლექსია, „უკანასკნელი რაუნდი". 1975 წელს გამოცემულ მის ერთტომეულშია შეტანილი.

– ექსპრესიულია. მსგავსი თემატიკის ლექსი აქამდე არ წამიკითხავს...

– დაუკვირდით და წარმოიდგინეთ ყველაფერი. კადრებად წარმოიდგინეთ, რაც ამ ლექსის მომდევნო სტროფებშია: გაჩეხილი ტყეები, გადათხრილი ველები, მაზუთით სავსე ტბები თუ გუბეები, ზეზეურად მკვდარი ხეები (ბუნების ჩუმი ჯარისკაცები), მირაჟივით გამქრალი იადონები, შაშვები, შვლები, ირმები, ნიამორები და უკანასკნელი ვეფხვი ტაიგაში, ყელზე თითბრის ნომერი რომ ჰკიდია... მიწა ასფალტმა შეცვალა, ქალაქის სკვერები დასაღუპავად განწირულ დეკანტს ჰგავს, ადამიანები კი ამ დროს დამარცხებულ ბუნებას „ვაშას" ძახილით მივდევთ უკან, სანამ მზეს სულ მთლად არ დავუბნელებთ! როგორი ხედვაა, მსგავს ლექსებს ხშირად თუ წაიკითხავ ან მოისმენ, გულგრილი ვერ დარჩები.

– როგორც ვხედავ, ეკოლოგობს შორის მრავალი შემოქმედია – პოეტი თუ პროზაიკოსი. აკი გამაფრთხილეთ დასაწყისში: ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი ვარ ეკოლოგებს შორის და საუკეთესო ეკოლოგი პოეტებშიო...

– რატომაც არა! ეკოლოგიური ბრაზი რომ მომივლის, ლექსით გავკენწლავ ხოლმე „ზოგიერთებს". ერთი საიდუმლოც უნდა გითხრათ: ვისაც კითხვა უყვარს, წიგნის ჭიაა, ლექსებს წერს, მოთხრობებსა თუ რომანებს, ბუნებას უდიერად არასდროს მოეპყრობა. გარდა ამისა, მე ინტერესით ვეცნობი თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ვხედავ და ვგრძნობ, როგორ იმატა მძლავრმა ნაკადმა და მასთან ერთად ბუნების სიყვარულმა, ეკოლოგიურმა ესთეტიკამ. ხედავთ, როგორ ურთიერთკავშირშია ყველაფერი! პოეზია სწორედ ბუნებიდან წარმოიშვა, რიტმის გრძნობა პრეისტორიული ხანიდან მოდის. მელექსეობა თავისთავად, ბუნებრივად ზის ადამიანის ქვეცნობიერში. შემოქმედი ადამიანი ხეს ჰგავს, თავისი ფესვებით, სხეულით, გაშლილი „ხელებით", შინაგანი რიტმითა და ფოტოსინთეზით. ახალგაზრდა პოეტი პატარა ხეა, ბუმბერაზები ასაკოვან ტყეში ხარობენ. მე ყველა ხე მიყვარს.

– „მე ყველა სიტყვა მიყვარს/ ვეძებ/ ვპოულობ/ვკარგავ" – თქვენი ლექსია, ბატონო ნუგზარ.

– მიყვარს სიტყვები, ტერმინები, სიახლე, მიყვარს პოეტები და ხეები და ვფიქრობ, შემოქმედ ადამიანსაც ისევე სჭირდება მოფრთხილება, როგორც ბუნებას. დაცული ტერიტორიებისა და დერეფნების მსგავსი პირობები უნდა შევუქმნათ მწერლებს. დავაარსოთ ფონდები, მკითხველს კი ინტერესი გავუღვივოთ. დავეხმაროთ პოეტებსა და პროზაიკოსებს ფინანსურად თუ მორალურად, მხოლოდ პარტიული მიდგომების გარეშე!!!

– უცნაური მსგავსებაა, ბიძგები. საკირკიტო დეტალია, რომანი დაიწერება.

– დაიწეროს! მე მკითხველიც საუკეთესო ვარ და... მოქეიფეც, თუმცა...

– თუმცა?

– ვეჭვობ – მეჭიროს ყოფნის სადავე,
ვეჭვობ – გვირგვინი ვიყო ბუნების...
მთელი ცხოვრება ვუმზერ ვარსკვლავებს,
მთელი ცხოვრება სადღაც ვბრუნდები:

– დავბრუნდეთ. დავუბრუნდეთ ჩვენს ტერიტორიებს.

– კულტურასა და ბუნებაზე ძვირფასი არაფერი გაგვაჩნია. ეს გახლავთ ჩვენი ბრენდი, ჰავაის სანაპიროსა და ნავთობსაბადოებზე უმჯობესი! მთავარია, შევინარჩუნოთ ბუნებრივი ბუნება, შინაგანი კულტურა და ხელოვანი ადამიანები. მხოლოდ ამგვარად გამოვიწვევთ ინტერესს. ზურაბ კაკაბაძე წერს, რომ ერის თვითშემეცნება, ეროვნული ხასიათი, ეთნოფსიქოლოგია სწორედ კონკრეტულ გარემოში ჩამოყალიბდა და როდესაც ამ გარემოს ვარღვევთ, მხოლოდ ღვარცოფი, ეროზია და მექანიკური დაზიანება კი არ ხდება, ეროვნული ფასეულობებიც ირღვევა. ჩვენი ფსიქოლოგიური ბუნება სწორედ გარემოსთან კავშირში ვითარდება და ყალიბდება.

ბევრი საფიქრალი მრჩება. პოეტებსა და ხეებზე, გუსტავ იუნგის, მიხეილ ქვლივიძისა, ზურაბ კაკაბაძის მოსაზრებებზე და, რაც მთავარია, საკუთარ „სახლზე" (გახსოვთ οἶκος?). ხელში ლექსების კრებული „გაუგზავნელი წერილები" მიჭირავს. ვშლი და გაცნობას ვიწყებ – ამჯერად პოეტ ნუგზარ ზაზანაშვილის. სრულიად განსხვავებულ, აბსტრაქტულ ტერიტორიაზე გადავდივარ:

„ახალ – ძალიან საქმიან დროში,
ახალ – ძალიან ძალიან სწრაფში,
მატარებელში მხოლოდ და მხოლოდ
თუ იგრძნობ მყუდრო, უცნაურ კავშირს
ყმაწვილკაცობის ნაზ და მშფოთვარე
და ბედნიერად გაფლანგულ წლებთან,
მთლად ძველმოდური რომ იყო მოდა,
სულ ახალგაზრდა რომ იყო დედა..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხათუნა გოგალაძე:

„ავსტრიაში გარემოს დაცვის სამინისტროს LIFE MINISTRY-ს (სიცოცხლის სამინისტროს) ეძახიან“

ავტორი: ცირა გვასალია
ფოტო: მაკა გოგალაძე

ხათუნა გოგალაძის კაბინეტში ფანჯრები ღიაა. სუფთა ჰაერი მუდმივად შემოდის – ოთახი ნიავდება. ზაფხულში მაინც ცხელა. ინტერვიუზე მისულს თვალი კონდიცირებისკენ გამირბის. მიკვირს, რომ გამორთულია. „ხათუნა ვერ იტანს“, – ინგა ნიკაგოსიანი, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსი მებოდიშება. დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ, მინისტრი ინტერვიუსთვისაც იცლის. ტელეფონი მაინც არ ჩერდება – ახსენებენ, რომ ბოლო შეხვედრა სამინისტროში 11-ის ნახევარზე აქვს. ზარს თიშავს. სავარძელზე მოხერხებულად კალათდება. სიგარეტს უკიდებს.

ახალი როლი ეამაყება. სჯერა, რომ ძალაუფლების ნაწილი მის ხელთაცაა და ამის დადებითად გამოყენება შეიძლება.

საზრუნავი ბევრია. სამინისტრო უკვე ხმამაღლა და თამამად სვამს კითხვის ნიშნებს ისეთ დიდ და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ პრიორიტეტულად გამოცხადებულ პროექტზე, როგორიცაა „ხუდონჰესი“. გარემოს დაცვის სამინისტრომ პროექტის უკეთ შესასწავლად ჰოლანდიელი სპეციალისტები მოიწვია. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ პროექტი შორსაა სრულყოფილებისგან. სანამ ჰესს ააშენებთ, პროექტი უნდა დაიხვეწოსო.

გასულ წელს, ახალი მთავრობის მინისტრების დასახელების შემდეგ, გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობა ერთი კვირა ვაკანტური იყო. დადგა 16 ოქტომბერიც – გარემოს დაცვის მინისტრის წარდგენის დღე.

„ხათუნა გოგოლაძე“ – პრემიერ-მინისტრმა ახლად დანიშნული მინისტრის გვარი არასწორად წარმოთქვა (რა თქმა უნდა, ყველა საინფორმაციო სააგენტომ შეცდომა გაიმეორა).

გვარი შეეშალათ. მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, რომ გარემოს დაცვა ახალი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნებოდა. გაჩნდა მოლოდინი, რომ ქვეყანაში „ყველაფერი გარემოს დაცვის ხარჯზე არ გაკეთდებოდა“ (როგორც ამას გულგატეხილი და დაჩაგრული გოგა ხაჩიძე – გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი – აღნიშნავდა).

– რატომ დათანხმდით გარემოს დაცვის მინისტრობას? – ვეკითხები დასასრულს, დიქტოფონის გამორთვის შემდეგ.

– არ ვიცი. ალბათ, მაზოხისტი ვარ, – სიცილით მპასუხობს.

უკვე 8 თვეა, რაც გარემოს დაცვის მინისტრი ხართ. ამ ხნის განმავლობაში რომელი კონკრეტული ცვლილებით ამაყობთ ყველაზე მეტად?

უფრო ზოგად მიღწევას ვიტყოდი, ვიდრე რამე კონკრეტულს. სამინისტრო და ეს სფერო ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და ახლაც უამრავი პრობლემის წინაშე დგას. თუმცა სამინისტროს გაძლიერება ინსტიტუციურად, ფუნქციურად თუ ბიუჯეტის თვალსაზრისით – სწორედ ჩემი მინისტრობის პერიოდში დაიწყო. საკანონმდებლო ცვლილებებს დრო დასჭირდა, ამიტომ გაძლიერების პროცესი ახლაც მიმდინარეობს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურისა და ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის კადრებს ახლა ვარჩევთ. კადრებს დასჭირდებათ ტრენინგი, შემდეგ კვალიფიკაციის რეგულარული ამაღლება...

„გაძლიერდა სამინისტროს“ თქმაც კი ჯერ ამბიციური იქნება, ამიტომ ვამბობ, რომ მიმდინარეობს სამინისტროს გაძლიერების პროცესი. გაძლიერებული მაშინ იქნება, როდესაც დაკომპლექტდება ძლიერი კადრებით და თანამშრომლებს მოტივაცია გაეზრდებათ.

წარსულში გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციები თანდათან სუსტდებოდა, ბევრი ფუნქცია თუ სამსახური წაერთვა. თანამშრომლებიც საკმაოდ დემოტივირებული იყვნენ და ეს გასაგებიცაა: თუ ვერ ხედავ შენს მნიშვნელობას, არავის ადარდებს, თუ რას აკეთებ, უკვე აღარ გაქვს სურვილი, საქმე მთელი მონდომებით და ენთუზიაზმით აკეთო.

დრო სჭირდება იმასაც, რათა ჩვენმა თანამშრომლებმაც დაინახონ, რომ ნამდვილად საჭირონი არიან და ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ.

ამის შემდეგ შეგვეძლება ვთქვათ, რომ სამინისტრო გაძლიერდა. ყველაფერი რამდენიმე თვეში ნამდვილად ვერ გაკეთდება. პროცესი მიმდინარეობს და სწორი მიმართულებით მივდივართ. სამინისტროს გაძლიერება მხოლოდ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსახურება არ არის, რადგან თავიდანვე პოლიტიკური განაცხადიც იყო, რომ გარემოს დაცვის სფერო უნდა გაძლიერებულიყო.

მეორე, რასაც ვიტყოდი, ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება – გარემოსდაცვითი საკითხებით თანდათან უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება. ვერ გეტყვით, ეს რატომ ხდება. შეიძლება დაინახეს, რომ სამინისტროში ნამდვილად მოტივირებული ხალხი მოვიდა, რომლებსაც უნდათ ყველაფერი კარგისკენ შეცვალონ.

გააქტიურდნენ სოციალური ქსელების მომხმარებლებიც.

სამინისტროს მრჩეველთა საბჭოსთვის რომ გამოვაცხადეთ მსურველების მიღება, 150 განაცხადი შემოვიდა. თან, საბჭოს წევრობა არაანაზღაურებადი საქმიანობაა. განცხადებები შემოსული იყო არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისგან, არამედ სხვადასხვა დარგების წარმომადგენლებისგან. ესეც გარკვეულ ინდიკატორად მეჩვენა – ხალხს აინტერესებს ეს საკითხი, უნდათ, რომ ჩაერთონ, ხალხის ტკივილი სამინისტრომდე მიიტანონ, შეასრულონ მრჩეველის თუ შუამავლის ფუნქცია.

მეჩვენება, რომ მასმედიაც უფრო დაინტერესდა ამ საკითხებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო ხშირად ხდება გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება და თუნდაც გაკრიტიკება. მთავარია, ხალხმა ამაზე ფიქრი დაიწყო. ადამიანები მიხვდნენ, რომ ბევრი რამ შესაცვლელია და თავიანთი როლის დანახვაც დაიწყეს.

ყველამ უნდა იაქტიუროს, რომ რაღაც შეიცვალოს. თანდათან საამაყო უნდა გახდეს გარემოსთვის სამსახურიც: ხალხს უნდა ეამაყებოდეს, რომ არის ტყის რეინჯერი, ინსპექტორი, გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომელი.

გარემოს დაცვის სამინისტროზე კეთილშობილი სამინისტრო არ მგონია, არსებობდეს. ავსტრიაში გარემოს დაცვის სამინისტროს **Life Ministry-ს (სიცოცხლის სამინსტროს)** ეძახიან. სიცოცხლესთან რაც არის დაკავშირებული – სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, ნაკლები რისკები – ყველაფერი, რაც თუნდაც ეკონომიკური განვითარების საფუძველია – ბუნებრივი წიაღისეული, ტყე, მიწისქვეშა წყლები – ყველაფერი ჩვენი სამინისტროს დაქვემდებარებაშია. შესაბამისად, მისი როლი ძალიან დიდია.

ადამიანებს კი, რომლებიც ამ სფეროს ემსახურებიან, უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ძალიან კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან.

წარსულში გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციები თანდათან სუსტდებოდა, ბევრი ფუნქცია თუ სამსახური წაერთვა. თანამშრომლებიც საკმაოდ დემოტივირებული იყვნენ და ეს გასაგებიცაა: თუ ვერ ხედავ შენს მნიშვნელობას, არავის ადარდებს, თუ რას აკეთებ, უკვე აღარ გაქვს სურვილი, საქმე მთელი მონდომებით და ენთუზიაზმით აკეთო.

ქალაქ თბილისის რეკრეაციული ზონების მართვა თბილისის მერიის ხელშია. თქვენი აზრით, თბილისის რეკრეაციული ზონების მართვა გარემოს დაცვის სამინისტროში რომ გადმოვიდეს, სამინისტრო უკეთ მოუვლის მას?

მთავრობის ერთ-ერთი მიმართულება თვითმმართველობების გაძლიერებაა. თვითმმართველობა ძლიერი უნდა იყოს. ის უნდა მართავდეს ადგილობრივ რეკრეაციულ ზონასაც, გამწვანებასაც, გადაწყვეტილებასაც უნდა იღებდეს, სად რა უნდა გააკეთოს, როგორ დაგეგმოს, რა განავითაროს.

თბილისის მწვანე ზოლების თუ რეკრეაციული ზონების მართვის კუთხით, პრობლემა იმაშია, რომ არ არსებობს ქალაქის განვითარების გეგმა – არც არქიტექტურული თვალსაზრისით, არც მწვანე ზოლების თვალსაზრისით: სად რა ინფრასტრუქტურა განვითარდეს, სად – მწვანე ზოლი, სადაა მოსახლეობის სიმჭიდროვე და იქ რა უნდა განვითარდეს – არაფერია დაგეგმილი.

მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული ზონების რეკრეაციულ ტერიტორიებად გამოცხადების დროს საზოგადოების ჩართულობა უნდა იყოს ძალიან მაღალი. უნდა გავითავისოთ, რომ საზოგადოების ჩართულობა საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს, როცა იდეა მწიფდება, რადგან საზოგადოების ჩართულობა მხოლოდ და მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორია და არა – ხელის შემშლელი. დაე დაიხარჯოს კუნსულტაციებზე ერთი ან ორი თვით მეტი. სადღაც წინააღმდეგობა იქნება, სადღაც – მოსაზრებები.

როცა მოსახლეობის ჩართულობა საწყის ეტაპზეა, პროექტის დოკუმენტი უფრო დახვეწილია. მეორეც: ამის შესახებ ინფორმირებულია საზოგადოება. შესაბამისად, პროექტის განხორციელების დროს წინააღმდეგობა ნაკლებია. რაც ყველაზე მთავარია: იცი, რას აკეთებ, დროში, სივრცეში გაწერილი და საზოგადოებასთან შეთანხმებული გეგმა გაქვს.

თუ ეს მიდგომები არ დაინერგა, რეკრეაციული ზონა გარემოს დაცვის სამინისტროში იქნება თუ თბილისის მერიაში, მნიშვნელობა არა აქვს. ეს უნდა გაითავისოს სამინისტრომაც, მერიამაც და სხვა ნებისმიერმა გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ.

მწვანე ზოლის ზოგიერთი ტერიტორია ძველი მთავრობის პერიოდშია გაყიდული. ასათიანის ქუჩის მაგალითზე, ასე მოხდა: 2010 წელს გაყიდულ ტერიტორიაზე ინვესტორი მოვიდა და საკუთარ ტერიტორიაზე ხეების ჭრა დაიწყო. შესაძლებელია თუ არა ამ ინდივიდუალური ხელშეკრულებების გადახედვა და შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლა? მუშაობს თუ არა სამინისტრო ამ მიმართულებით?

დღეისთვის სამინისტროს ამის ბერკეტები არ გააჩნია. თბილისის მერიამ გასცა ნებართვა ხეების ჭრაზე. ჩვენ დაძრულ პროცესში ვართ და, გარკვეულწილად, მედიატორის ფუნქციას ვასრულებთ.

ეს საკითხი ნამდვილად ძალიან გვადარდებს თუნდაც იმიტომ, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო ვართ. იმის თქმა, რომ „მე ეს არ მეხება", ხალხში გაღიზიანებას იწვევს. გაღიზიანება მართებულია, რადგან რას ნიშნავს, „ეს ხე მე არ მეხება"?

რთულია ავხსნა, რომ არ მაქვს მე ეს სამართლებრივი ბერკეტი, მაგრამ არასოდეს ვიტყვი, რომ ეს მე არ მეხება – როგორ არ მეხება, თუნდაც, როგორც თბილისის მოქალაქეს?! მით უმეტეს მეხება, როგორც გარემოს დაცვის მინისტრს, რომელსაც ზოგადად გარემოს დაცვა ევალება. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონით ხელფეხშეკრული ვარ.

ბევრი კითხვა შემოდის სამინისტროში ხეების გადაბელვასთან დაკავშირებით. ვრეკავთ თბილისის მერიაში. გვეუბნებიან, „ყველაფერს ძალიან კარგად ვბელავთ; ეს ხე იმიტომ მოიჭრა, რომ გეგმიური მოჭრა იყო ან ხე იყო დაავადებული".

გერმანიაში რომ მოვხვდი, სულ სხვა კუთხით შევხედე გადაბელილ ხეებს. ვნახე, რომ მთლად ისე არაა გადაბელილი, როგორც ჩვენთან ბელავენ ხოლმე – მხოლოდ სვეტებად რომ ტოვებენ ხეებს და მეტი არაფერი რომ არაა დარჩენილი – არც ფოთლები, არც ტოტები.

თბილისის მერიას აქვს წესები, რომლის მიხედვითაც ხდება ხეების გადაბელვა. წესებს გავეცანით და ის არაა მთლად ისეთი, როგორც უნდა მოჭრა ხე ქალაქში. თითქოს უფრო სატყეოდან ამოღებული წესებია.

როცა ურბანულ გარემოზე ვსაუბრობთ, იქ სხვა წესები და რეგულაციები მოქმედებს, ვიდრე ტყეში. ამიტომ გერმანიის მთავრობას ვთხოვეთ, რომ გამოცდილება გაგვიზიაროს და წესების შემუშავებაში დაგვეხმაროს. გამოგვიყვეს ერთი ექსპერტი, რომელიც ერთი კვირითაა ჩამოსული. ექსპერტი თბილისის მერიას დავაკავშირეთ. ის ეცნობა თბილისის გამწვანების მდგომარეობას, შეიმუშავებს რეკომენდაციების დოკუმენტს, რომ ჩვენც გვქონდეს რეგულაცია, რასაც თბილისის მერიას გადავცემთ.

როცა საბოლოოდ შევჯერდებით, დოკუმენტი სავალდებულო უნდა გახდეს. მერიაც უნდა დავითანხმოთ ამაზე.

ეს სპეციალისტი შემოდგომაზეც ჩამოვა, როცა გადაბელვის პერიოდია, რომ უკვე პრაქტიკულად ჩაატაროს ტრენინგები: როგორ უნდა იბელებოდეს ხეები, რომელი ხეა მოსაჭრელი და ა.შ.

ასე, მედიატორის როლით ვცდილობთ, რომ ქმედითი წვლილი შევიტანოთ თბილისის გამწვანების პრობლემების მოგვარებაში.

თუ დადგა ის დროც და მერიამ თბილისის განვითარების გეგმაზე ფიქრი დაიწყო, სიამოვნებით ჩავერთვებით, თუნდაც როგორც თანადამამტკიცებელი. უფრო მეტიც: ვიბრძოლებთ კიდევაც, რომ მეტად ჩავერთოთ ასეთ საკითხებში.

მოსვლისთანავე, ახალმა გარემოს დაცვის სამინისტრომ 50-მდე კანონში შეიტანა ცვლილება. მათ შორის, გაუქმდა წითელ ნუსხაში შემავალ სახეობებზე ნადირობის დაშვება; თუმცა ველური ბუნების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ბრაკონიერობის საფრთხის წინაშეა. არის შემთხვევები, როცა ნადირობენ დაცული ტერიტორიების შიგნითაც. რეინჯერს იარაღის გამოყენების უფლება მხოლოდ თავდაცვის მიზნით აქვს. არსებობს გარემოსდამცველების აზრი, რომ ბრაკონიერი უფრო შეიარაღებული და ძლიერია, ვიდრე მეტყევე. რა იცვლება ამ მხრივ?

გეთანხმებით, რომ ბრაკონიერი უფრო მეტად შეიარაღებული შეიძლება იყოს, ვიდრე რეინჯერი ან ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი. გახსოვთ, ალბათ, შემთხვევა, როცა შარშან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რეინჯერი დაიღუპა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ბრაკონიერობასთან ბრძოლაა. წესრიგის დაცვა არ ხდება შიშველი ხელებით.

ერთ-ერთი საკანონმდებლო ცვლილება ის იყო, რომ დეპარტამენტი გადაამზადებს თავის თანამშრომლებს იარაღის ტარებასა და გამოყენებაში. რა თქმა უნდა, ამას მაინც პრევენციის დანიშნულება უნდა ჰქონდეს – გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომელი არ უნდა იყოს თავდამსხმელი.

ზედამხედველობის არსი იმაშია, რომ დანაშაულები არ მოხდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, რეინჯერს თავდაცვა უნდა შეეძლოს. არ უნდა ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ სადღაც ტყეში მარტოა და უკან სამინისტრო არ უდგას.

დავამატეთ რეინჯერების რაოდენობა. საჭიროა, რომ ამ საკითხებზე რეაგირების მოხდენის მიზნით დაცულმა ტერიტორიებმა კიდევ უფრო გაამახვილონ ყურადღება ბრაკონიერობაზე. ჯარიმებიც გაიზარდა.

როდესაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური დაკომპლექტდება და სრული შემადგენლობით დაიწყებს ოპერირებას – ჩემი ვარაუდით, სექტემბერში უკვე აქტიური მუშაობა დაიწყება. შესაძლოა, საჭირო გახდეს კადრების კიდევ დამატება.

რაც შეეხება რეინჯერებს, გერმანიაში ერთ რეინჯერზე დაახლოებით 800-დან 1500 ჰექტრამდე გასაკონტროლებელი ტერიტორია მოდის.

ჩვენთან არის ადგილები, როცა 20 ათასი ჰექტარი ერთი ადამიანის გასაკონტროლებელია. ამხელა ტერიტორია ერთმა რეინჯერმა როგორ უნდა გააკონტროლოს? ელემენტარულად, მეტყევემ დღეში საკუთარი ტერიტორიის ერთხელ შემოვლა მაინც უნდა მოასწროს.

ახლა მუდმივად ვერ ვახერხებთ პატრულირებას, რადგან თანამშრომლების აყვანა მიმდინარეობს.

სატყეო რეინჯერს ხელფასი ცოტა გაეზარდა. ტყის რეინჯერების ხელფასი არის ხელზე 480 ლარი. რასაკვირველია, ეს არაა მაღალი, იმის გათვალისწინებით, რომ დატვირთვა და პასუხისმგებლობა ძალიან დიდი აქვთ.

ზოგი ე.წ. „მდგრადი მონადირე" (sustainable hunter) ბრაკონიერობის ოდნავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც შესამცირებლად, სამონადირეო მეურნეობებში წითელი ნუსხის სახეობების მოშენებას განიხილავს. დღევანდელი კანონმდებლობა მდგრადი ნადირობის მიმდევრებს არ აძლევს საშუალებას, რომ ბუნებიდან აიყვანონ, მაგალითად, დედალ-მამალი ირემი და მონადირეებს ბრაკონიერობის ალტერნატივა გაუჩნდეთ. ხომ არ იგეგმება ამ მხრივ ცვლილებები კანონში „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“?

სამონადირეო მეურნეობები ერთ-ერთი ისეთი გეგმაა, რომელიც მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. ამ მიმართულებით არსებობს რიგი ხარვეზები და დაწყებულია მუშაობა. კანონებში „ცხოველთა სამყაროს“ და „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ ცვლილებებია შესატანი. მონადირეებთან ერთად ხდება ამ საკითხების შესწავლა და განხილვა.

პირადად მე, ნადირობის მოყვარული ნამდვილად არ ვარ. იმ დღეს მტირალას ეროვნულ პარკში შვლები გავუშვით. ძალიან ლამაზები იყვნენ – დახვეწილი, გრძელი კისრებით. ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ამას ესროლო და მოკლა-მეთქი.

სამწუხაროდ, ნადირობა, როგორც ჩვევა, დღემდე შემორჩენილია. ამიტომ ჯერ ექსპერტებმა იმსჯელონ. იმას, რაც მიზანშეწონილია, საღ აზრთან ახლოს არის და ხელს შეუწყობს რაღაცის განვითარებას ისე, რომ ბიომრავალფეროვნებას საფრთხე არ მიადგეს, ჩემი, როგორც მინისტრის, მხრიდან ხელშეწყობა ყოველთვის ექნება.

საქართველოში აქტუალურია დიდი ჰესების მშენებლობის საკითხი. ენერგეტიკის სამინისტროს მკაფიო ენერგეტიკული ხედვა არ გააჩნია. ადგილობრივი მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართული არაა. არც ჰესების გარემოზე ზემოქმედების ზუსტი შეფასება არსებობს. მაგალითად, არ არსებობს კვლევა, თუ რა გავლენა მოახდინა ენგურჰესმა გარემოზე. არ არსებობს ხუდონის გარემოზე ზეგავლენის ზუსტად და სრულად ამსახველი გზშ-ც (გარემოზე ზემოქმედების შეფასება), რაც ჰოლანდიელი ექსპერტების დასკვნითაც დამტკიცდა. როგორია მინისტრის აზრი ჰესების მშენებლობაზე და მის გარემოსა და სოციალურ გავლენაზე – არსებობს თუ არა ის ეკონომიკური სარგებელი, რაც ზარალს გადაწონის?

საქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომისტების სიმწირეა. არიან ეკონომისტები, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებში ერკვევიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი ეკონომისტები არიან.

„დავუშვათ, რომ თქვენთვის ხეები მხოლოდ ბოჭკოებისგან შემდგარი

თბილისის მწვანე ზოლების თუ რეკრეაციული ზონების მართვის კუთხით, პრობლემა იმაშია, რომ არ არსებობს ქალაქის განვითარების გეგმა – არც არქიტექტურული თვალსაზრისით, არც მწვანე ზოლების თვალსაზრისით: სად რა ინფრასტრუქტურა განვითარდეს, სად – მწვანე ზოლი, სადაა მოსახლეობის სიმჭიდროვე და იქ რა უნდა განვითარდეს – არაფერია დაგეგმილი.

ვერტიკალური ჯოხებია, რომ ტყეს ისეთივე ესთეტიკური და სულიერი ღირებულება აქვს, რაც ავტოსადგომს და რომ ივნისის შუადღის მზეზე გახუხული წიწვების სურნელი იგივეა, რაც ჰაერში გირჩის ფორმის არომატიზატორიდან ხელოვნურად გაფრქვეული სუნი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დავუშვათ, რომ თქვენ რაღაც ცუდი ჩაიდინეთ და ღმერთმა ეკონომისტად გაქციათ“, – წლების წინ, ცნობილი გარემოსდაცვითი ეკონომისტი, ჯონ მაქკიბენის ამ სიტყვებით დაიწყო ჩემმა გარემოსდაცვითი ეკონომიკის ლექტორმა თავისი ლექცია. არ ვიცი, დღეს როგორ შესავალს გააკეთებდა ჩემი ლექტორი, მაგრამ დებატები საკითხზე – გარემოს დაცვა თუ ეკონომიკური განვითარება უკვე გასულ საუკუნეს ჩაბარდა.

ეკონომიკურ ხარჯებში გათვლილი უნდა იყოს სოციალური ხარჯებიც. არის ხარჯები, რომელთა ფულად ერთეულში გამოსახვა რთულია, მაგალითად, მთის ფასი შეიძლება თქვას ვინმემ? არადა, აქვს ამ მთასაც თავისი ფასი.

ეკოსისტემებს, მათ მიერ შესრულებული სერვისებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ფასიც გააჩნიათ. ეს სერვისები შეიძლება იყოს, მაგალითად, წყლის ბუნებრივად გაწმენდა, ღვარცოფებისა და სხვა რისკების შეჩერება და ა.შ.

გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა მეთოდოლოგია, რომელიც ბუნების სხვა „ფასსაც“ ადგენს. მაგალითად, გინდა, რომ ბუნებაში გახვიდე და დაისვენო, ტყე ახლოს გაქვს და მიდიხარ, მაგრამ იქ თუ ეს ბუნება გაიჩეხა და სხვა ინფრასტრუქტურული ცვლილება მოხდა, მიდიხარ სადღაც შორს. ითვლება დრო, საწვავის ფასი და ასე შემდეგ. თავიდან ამას არ თვლი, რადგან ბგონია, რომ უფასოა, მაგრამ უფასო არაფერია, მათ შორის, არც წყალი, არც ჰაერი – ყველაფერს თავისი ღირებულება აქვს.

ჰესების პროექტებში ასეთი დათვლები კანონით არ რეგულირდება. ზოგადად, ჩვენი კანონმდებლობა ძალიან დაუხვეწავია. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც ისეთ დამაბინძურებელ საქმიანობას, როგორიცაა წიაღის მოპოვება, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (გზნ) არ სჭირდება. სამინისტროში ამ მხრივაც მიმდინარეობს მუშაობა.

ჰესების პროექტების შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სახის სარგებელს იღებს ამისგან ქვეყანა. ამისთვის აუცილებელია იმ სოციალური ხარჯების ასახვა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და რაც ჩვენს რეალობაში არ ხდება.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამინისტროში უცხოელი გარემოსდაცვითი ეკონომისტის მოსაწვევად, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმუშავებს ქართველ ექსპერტებთან ერთად, გაუზიარებს მათ გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი დოკუმენტების უკეთ შეფასებას ეკონომიკური თვალსაზრისით.

ტყის სექტორი წლების განმავლობაში კორუფციის წყარო იყო. ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტრო ვერ აკონტროლებდა ტყეების უკანონო ჩეხვას. ამ წუთისთვის რა რესურსები აქვს სამინისტროს, რომ ტყეების უკანონო ჩეხვა უფრო მკაცრად გაკონტროლდეს?

ტყის რეინჯერების შტატს 220 საშტატო ერთეული დაემატა, საერთო ჯამში, 569 სატყეო რეინჯერი გვყავს. ამ ხალხს დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი ჰექტარის კონტროლი უწევს (აჭარის და დაცული ტერიტორიების გამორიცხვით). ესეც არაა საკმარისი.

მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროსთვის პატიოსანი ადამიანები შეირჩნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, სისტემა წესიერებაზე კი არ უნდა იყოს დაფუძნებული, არამედ სისტემა უნდა ქმნიდეს წესიერების საფუძველს.

დღეის მდგომარეობით კონკურსები მიმდინარეობს და იმედი მაქვს, სატყეო სექტორი მალე დაკომპლექტდება. აქამდე იმიტომ ვერ შესრულდა ეს საქმე, რომ კანონები ძალაში მხოლოდ 14 მაისს შევიდა. კონკურსები უკვე მაისის ბოლოს გამოვაცხადეთ. სულ 870 თანამშრომელია, ყველა პოზიციაზე ვაკანსიაა გამოცხადებული და მსურველი ძალიან ბევრია.

შერჩევა აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. სექტემბერში კი სრულად იქნება დაკომპლექტებული და საქმიანობას შეუდგებიან.

ალექსანდრე ხეთაგურის მინისტრობის დროს, ტყითსარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიები გაიცა. ეს ლიცენზიები ცუდ მემკვიდრეობად ერგო სამინისტროს. არსებობს თუ არა მათი გადახედვისა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მიუღებელ დოკუმენტად ცნობის მექანიზმები?

სულ 69 ლიცენზიანტია. ყველაზე ხანგრძლივი 20-წლიანი ლიცენზიაა. არის 5 და 10-წლიანი ლიცენზიებიც. საქართველოს ტყეების დაახლოებით 10% ლიცენზიით სარგებლობაზეა გაცემული. სალიცენზიო პირობები თითქმის ყველას ერთნაირი აქვს.

გარემოს დაცვის დეპარტამენტის ერთი მიმართულება სწორედ სალიცენზიო პირობების შემოწმებაა როგორც ტყეების, ასევე წიაღით სარგებლობის თუ ნებისმიერი სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების დროს.

ყველამ, მათ შორის ლიცენზიანტმაც, უნდა იცოდეს, რომ კანონის წინაშე ყველა ერთია.

საქართველოს დღემდე არ გააჩნია ნარჩენების მართვის ჩარჩო-კანონი. ორი დიდი ნაგავსაყრელი თბილისის შემოგარენში, დღემდე რჩება გარემოს, მათ შორის, მიწისქვეშა წყლების დაბინძურების წყაროდ. არსებულ კანონპროექტში იქნება თუ არა გათვალისწინებული ძველი და მიტოვებული ნაგავსაყრელის გაუვნებელყოფის საკითხები?

ეს არის ჩარჩო-კანონი, რომელიც ძველი ნაგავსაყრელების საკითხსაც მოიცავს. შემდეგ უნდა მოხდეს ამ საკითხის სხვა კანონქვემდებარე აქტებში ჩაშლა.

ძველი ნაგავსაყრელების სხვადასხვა ფორმით გამოყენება შეიძლება. მაგალითად, გერმანიაში ზოგ ძველ ნაგავსაყრელზე მეთანს აგროვებენ. ყოფილი ნაგავსაყრელის ზედაპირზე მცენარეებია გაშენებული და მობიბინე მწვანე ადგილზე მეთანის გაზის შემკრები გაყვანილობაც არ ჩანს – თან დახურულია, თან გამოიყენება.

შეიძლება საქართველოში მათი სხვა ფორმით გამოყენება მოხდეს. ფაქტია, რომ რეკულტივაცია აუცილებელია და გამოყენება შესაძლებელია თუ არა და რა ფორმით, ეგ სპეციალისტებმა უნდა თქვან.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, დიდი საწარმოების პრივატიზების დროს, თითქმის ყველა მათგანს „ისტორიულ დაბინძურებაზე“ პასუხისმგებლობა მოეხსნა. შედეგად, დღეს გაურკვეველია, საწარმოს მენეჯმენტი რაზეა პასუხისმგებელი: რთულია ახალი და ძველი დაბინძურების ერთმანეთისგან გარჩევა. მაშინ გასხვისებული საწარმოებიდან, ზოგმა ახლახან წარმოადგინა გარემოსდაცვითი ხედვის დოკუმენტი, ზოგს კი ჯერ არ წარმოუდგენია. რა მექანიზმების ამუშავებას აპირებს სამინისტრო, რომ დიდ დამაბინძურებლებს მსგავსი ხედვის დოკუმენტების წარმოდგენა და აღსრულება აიძულოს?

რამდენიმე თვის წინ მსხვილ დამაბინძურებლებთან მოლაპარაკებები დავიწყეთ. გარკვეულ მოლაპარაკებებზე მოდიან კიდეც. ყველასთან ცალ-ცალკე შევთანხმდით, რომ გარემოს მდგომარეობის გამოსწორების დროში გაწერილი გეგმა წარმოადგინონ.

გასულ კვირას ერთმა კომპანიამ უკვე წარმოადგინა გარემოსდაცვითი ხედვის გეგმა და უახლოეს მომავალში ვაპირებ ინდივიდუალურ შეხვედრებს სხვა კომპანიებთანაც. მსხვილ კომპანიებს, როგორც წესი, გარემოსდაცვითი მენეჯერები ჰყავთ და ჩვენთან საუბრის დროს ამბობენ, რომ „მზად არიან კონსტრუქციული დიალოგისთვის“.

ამერიკაში ისტორიული დაბინძურების საკითხს სხვანაირად უდგებიან. იქ ყოფილ კარიერებს Brown field-ებს ეძახიან. Brown field-ებს პატრონი არ ჰყავს, ამიტომ სახელმწიფო იღებს თავის თავზე მათ მიხედვას, მაგრამ ვერ შევადარებთ ამერიკისა და ჩვენს ბიუჯეტს.

ჩვენი რეალობიდან რომ ამოვიდეთ: საწარმოებს, რომლებსაც დაბინძურებული გარემო მემკვიდრეობით ერგოთ, ძველ დაბინძურებას ამოფარებულებმა არ უნდა გააგრძელონ ეს პრაქტიკა.

დიდი მწარმოებლების მიერ გარემოზე ზეწოლა მაინც დიდია, თუნდაც კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებში ჯდებოდეს. განვითარებულ ქვეყნებში კომპანიები გარკვეულ სოციალურ პასუხისმგებლობას იღებენ, რაც დადებით გავლენას ახდენს მათ იმიჯზე, რეპუტაციაზე, სამინისტროებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობის მათდამი დამოკიდებულებაზე. აქვთ საგრანტო და სხვადასხვა საკომპენსაციო პროგრამები.

გასული წლის ნოემბერში, ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს, სამინისტრომ გამოაცხადა, რომ განსაკუთრებულად მწვანე კომპანიებს წაახალისებდა და სამინისტროს სპეციალურ *მწვანე სიაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხავდა. გამოავლინა თუ არა სამინისტრომ „განსაკუთრებით მწვანე კომპანიები“?

ჯერ ვერ მოვასწარით. ამას ვგეგმავთ: კომპანია, რომელიც თვლის, რომ ამ „მწვანე კომპანიის“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, შეავსებს სპეციალურ აპლიკაციას. შემდეგ ჩავალთ ადგილზე, შევამოწმებთ ამ კომპანიას. ვნახავთ, რამდენად შეესაბამება რეალობას მათი წრმოდგენა საკუთარ თავზე და ამის მიხედვით გამოვავლენთ „მწვანე კომპანიების“ სიას.

თბილისის ატმოსფეროს დაბინძურების მთავარი მიზეზი სატრანსპორტო სექტორია. სამინისტროს უკვე აქვს ამ მიმართულებით საკუთარი ხედვა და გეგმები, თუმცა ხედვის დოკუმენტში ჯერჯერობით არ წერია, როგორ გადაწყვეტს სამინისტრო საწვავის ხარისხის და მეორადი მანქანების პრობლემას, როცა, ერთი მხრივ, ცუდი ხარისხის ბენზინი მალე აფუჭებს მანქანის კატალიზატორებს და მოსახლეობას ასე მალე მათი ყიდვა ძვირი დაუჯდება. არ არსებობს მანქანების ტექნიკურ გამართვაზე კონტროლიც. როგორ ესახება მინისტრს ამ საკითხის ეკონომიკურად გონივრული გადაწყვეტა?

ავტოტრანსპორტის პრობლემა ძალიან იკვეთება სოციალურ საკითხებთან. ბოლო 5 წლის განამვლობაში იმპორტირებული მანქანების წლოვანების სტატისტიკა გამოვითხოვე და განვცვიფრდი, როცა ვნახე, რომ 1956 წელს გამოშვებული მანქანებიც კი შემოიყვანეს მოქალაქეებმა ქვეყანაში.

არ ვიცი, ასეთი მანქანებს ვინ რაში იყენებს, მაგრამ ძველი მანქანების წილი საკმაოდ მაღალია. აქ ეკონომიკური საკითხებიც ერთვება: ახალი მანქანების აქციზის გადასახადი უფრო ძვირია, ვიდრე ძველის. არადა, პირიქით უნდა იყოს.

პროგრამის მიხედვით იგეგმება ეკოლოგიურად სუფთა და საწვავის თვალსაზრისით ეკონომიური მანქანების იმპორტის სტიმულირება – თუ ძველი მანქანის აქციზი უფრო ძვირი დაჯდება, მაშინ მოქალაქეს უღირს, რომ ახალი შემოიყვანოს.

ეკონომიკური ზეგავლენის შედეგებზე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა იზრუნოს, საწვავის ხარისხს კი ჩვენ უნდა მივხედოთ. სტანდარტის გამკაცრებისკენ უნდა წავიდეთ, მაგრამ ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ტექნიკური დათვალიერებისთვის კი ცალკე კომისიაა შექმნილი და პირდაპირ არის მიბმული ჩვენს პროგრამაზე.

ყველა რეფორმა თავიდან მტკივნეულია, მაგრამ როდისმე თუ არ დავიწყეთ, ჩვენი ჰაერის ხარისხს არასოდეს არაფერი ეშველება.

ეკონომიკური ზეგავლენის შედეგებზე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უნდა იზრუნოს, საწვავის ხარისხს კი ჩვენ უნდა მივხედოთ. სტანდარტის გამკაცრებისკენ უნდა წავიდეთ, მაგრამ ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ტექნიკური დათვალიერებისთვის კი ცალკე კომისიაა შექმნილი და პირდაპირ არის მიბმული ჩვენს პროგრამაზე.

უნდა გაიმართოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და დაიწყოს საწვავის კონტროლიც. ცხადია, კომპანია თავიდანვე უნდა გავაფრთხილოთ, რომ ამა და ამ წლიდან ხარისხიანი ბენზინი უნდა შემოვიდეს.

გარემოს დაცვაში მთავარია მოსახლეობის ცნობიერების დონეც. როგორც ვიცი, არ არსებობს კვლევა იმაზე, თუ რას ნიშნავს მოსახლეობისთვის გარემო და რას გააკეთებდა ის მის დასაცავად. გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ხალხი არცთუ ისე მგრძნობიარეა: როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, ის არ იცავს ელემენტალურ წესებს საკუთარი გარემოს დასაცავად. მაგალითად, მდინარეში ყრიან პამპერსებს ან მდინარის ჭალებში აქვთ მოწყობილი ნაგავსაყრელები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ბავშვობიდან ისწავლებოდეს. რა პორციით შედის სკოლებსა თუ ბაღებში გარემოზე ცნობიერების ამაღლებელი პროგრამები?

სამინისტროს შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგია.

ჩვენ შევქმენით საჯარო სამართლის იურიდიული პირი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც ორჰუსის ცენტრის ბაზაზე შეიქმნა და გაფართოვდა. მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. განათლება აუცილებელია ბავშვობიდან. ამერიკაში მეორე, მესამე კლასიდან პროგრამაში შედის ენერგოეფექტურობა, ბიომრავალფეროვნება და სხვა გარემოსდაცვითი საკითხები. ყველაფერი მარტივადაა ახსნილი. პარალელურად, ჩართულია არაფორმალური განათლებაც: დიდია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის როლიც.

განათლების სამინისტროს აქვს გარკვეული სტანდარტები. გარემოს დაცვა ცალკე საგნად პროგრამაში შესული არ არის და შესაძლოა, არცაა საჭირო. პირიქით, გარემოსდაცვითი საკითხები ინტეგრირებული უნდა იყოს ყველგან, სადაც შესაძლებელი და მოსახერხებელია.

ამას წინათ შვედეთის ელჩმა ელემენტი არ გადააგდო: საშიში ნარჩენია და შვედეთში წავიღებო. ეგონა, რომ თუ აქ გადააგდებდა, დანაშაულს ჩაიდენდა – მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, აქ ყველა ყველაფერს ისე ყრის, როგორც უნდა.

გუშინ ბათუმიდან რომ მოვდიოდით, გზა სავსე იყო მანქანიდან გადაყრილი ნაგვით. ხალხი პირდაპირ მანქანის ფანჯრიდან ისროდა ნაგავს.

ყველაზე შრომატევადი საქმე სწორედ ჩვევის შეცვლაა. ამისთვის საჭიროა დრო და სწორი მიმართულებით სიარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"primeclass" CIP სამსახური
თქვენი პირადი დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის თბილისი: არც აივანი, არც ხეივანი?!

ავტორი: დათო ქარდავა
ფოტო: კახა კახიანი

რა შეუძლია მცენარეს ადამიანის უსამართლობისა და უმადურობის წინააღმდეგ?

თუ ხილის ხეა, ისეთი, როგორიც ნოდარ დუმბაძის ხაზარულა, ნაყოფს არ გამოიღებს, მაგრამ რა ქნან ჭადრებმა, კიპარისებმა, ნაძვებმა, მუხებმა, კოპიტებმა თუ ფიჭვებმა, რომლებიც ურბანულ ჯოჯოხეთში სამოთხის კუნძულებს გვჩუქნიან, მაგრამ სანაცვლოდ დანაოჭებულ მერქნებში ნაჯახის პირსა და ბენზოხერხის ბასრ კბილებს იღებენ?

ცხოველი შემოგიღრენდა, დაგკბენდა ან დაგკაწრავდა! დაჩაგრული ადამიანი სხვასთან იჩივლებდა ანდა ქუჩაში გამოვიდოდა, რათა საქვეყნოდ გაეხმაურებინა მის თავზე დამტყდარი უსამართლობის ამბავი. მხოლოდ ხე კვდება უხმაუროდ და წინააღმდეგობის გარეშე! ეს მხოლოდ ზღაპრებსა და მითებში შეუძლიათ ხეებს საკუთარი თავისა და სამყაროსთვის ხელის გამოღება. გავიხსენოთ თუნდაც ჯ. რ. რ. ტოლკინის მთებზე უხნესი ენტები – ფეხადგმული ხეები, რომლებიც სხვა ხეებსაც მწყემსავდნენ და სამყაროს გადარჩენისთვისაც იბრძოდნენ:

„...სახე უზარმაზარი ადამიანისმაგვარ, ღონიერ და ერთმანეთში თავკისერშეზრდილ არსებას ეკუთვნოდა. ვერ გაარკვევდით, მისი ტანი მუქიმწვანე ხის ღეროს წარმოადგენდა თუ სამოსი ეცვა ასეთი. ყოველ შემთხვევაში, ტანიდან ტოტებივით გამოჩრილ მკლავებზე მცირედი ნაოჭიც არ ეტყობოდა და ყავისფერი ტკიცინა კანი გადაჰკვროდა. ფეხებზე შვიდ-შვიდი თითი ჰქონდა. გრძელი სახის ქვედა ნაწილზე დაბუჩქული რუხი წვერი ამოზრდოდა, რომელიც ქვედა ყბასთან ხშირ ტოტებად იშლებოდა, ბოლოსკენ კი უფრო მეჩხერი და ხავსიანი ხდებოდა“.

ანდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას „ფესვები“ და მათი ჩივილი ადამიანის უგულობასა და სისასტიკეზე:

„კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი. ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ-კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივსდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?!“

მართლა რომ შეეძლოთ ფეხის (ფესვის) ადგმა და ერთმანეთზე ზრუნვა, თბილისში მომოფანტული ხეები აუცილებლად გამართავდნენ საპროტესტო აქციებს პარლამენტისა თუ მერიის წინ და ცისკენ შემართული ვარჯების მრისხანე რხევით აიძულებდნენ გონზე მოსვლას უგუნურ პოლიტიკოსებს, რომლებისთვისაც ქალაქი სატრანსპორტო კვანძებით ერთმანეთს დაკავშირებული ბეტონის უსულო გეტოებია და არა უნიკალურ ლანდშაფტს მორგებული სასიცოცხლო სივრცე. თქმა არ უნდა, რომ არა ხეების მიჯაჭვულობა ნიადაგზე, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ აუცილებლად ვნახავდით რუსთაველზე მოშრიალე ხეებს წყნეთიდან, ვაკის პარკიდან, იპოდრომიდან, დიღმის ტყიდან, მოსკოვის გამზირიდან, „კიკვიძის პარკიდან“, „მზიურიდან“, ვერეს ხეობიდან, ასათიანის ქუჩიდან...

თბილისში მწვანე ნარგავების მასობრივი განადგურება გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა ომიანობისა და შიმში-

„შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შემოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო, მინდია,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“

ვაჟა-ფშაველა, „გველისმჭამელი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის შემდეგ მომძლავრებული კაპიტალი უძრავი ქონებით დაინტერესდა. პირველად სამიზნეში სიმწრით გამწვანებული წყნეთის პლატო მოექცა. ვიდრე წყნეთელები ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებდნენ, სააგარაკე ნაკვეთების გამოსათავისუფლებლად ბევრი ხე მოიჭრა. კონტროლის პალატის მონაცემებით, 1995 წლიდან მოყოლებული თბილისის სატყეო მეურნეობის წყნეთისა და ბაგების უბნების სატყეო ფონდებიდან, სხვადასხვა უწყებებისა და სამინისტროების თანამშრომლებისთვის 15 ჰექტარი მიწის ფართობი გამოიყო.

წყნეთში მწვანე ნარგავების შეჩერებას უშედეგოდ ცდილობდა მაშინდელი ხელისუფლება. 2001 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე მწვავედ გააკრიტიკა სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა:

„როგორ უნდა შეეგუო. 2 თვეში ერთხელ მაინც ხომ გაივლი წყნეთისკენ, სადაც ტყე უმოწყალოდ გაჩანაგდა. მოჭრეს იქ, სადაც არ უნდა მოეჭრათ, სხვათა შორის, წლების წინათ წვალებით და დაგვით დარგული, მათ შორის ჩემი თაობის მიერ. როგორ უნდა შეეგუო ამას, როგორ არ უნდა იყვირო... თუ ჩვენ არ გამოვფხიზლდებით და მუშაობას გავაგრძელებთ ისე, როგორც დღეს ვმუშაობთ, დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ საქართველო ტყის და წყლის გარეშე დარჩეს, არაფერი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ის, რომ გარემოს უნდა გავუფრთხილდეთ“.

ხელისუფლების მიერ პერიოდულად გაკეთებულმა ამგვარმა განცხადებებმა და თანდართულმა საპროტესტო აქციებმა ხეების განადგურების ტემპი ერთი ხანობა შეანელა, თუმცა პროცესი მაინც გაგრძელდა. ნაჯახი ჩაანაცვლა ცეცხლმა და ჯანმრთელი ხეების სწრაფად გახმობის სხვა დახვეწილმა მეთოდებმა. მწვანე ზოლების დაცვა გახდა ოპოზიციაში გადასული მიხეილ სააკაშვილის მთავარი საარჩევნო თემა 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში, რომლის მოგების შემდეგ არც არავის გაჰკვირვებია, როცა 2003 წლის ივლისში მიხეილ სააკაშვილმა დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე წამომოწყებული მშენებლობები შეაჩერა და იმის პირობა დადო, რომ ტყე-პარკს აღარავინ შეეხებოდა.

„ხალხმა იმისთვის ამირჩია, რომ თბილისი ბანდიტებს არ გავანადგურებინო. პოლიცია, პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტი – ყველანი უმოქმედოები არიან, მაგრამ მაინც არ დავიხევ უკან. ხალხს, რომელსაც არა აქვს პენსია, ხელფასი, ელემენტარულად უმუშევარია, ერთადერთი, რაც დარჩა – ეს არის ჰაერი

თბილისში მწვანე ნარგავების მასობრივი განადგურება გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა ომიანობისა და შიმშილობის შემდეგ მომძლავრებული კაპიტალი უძრავი ქონებით დაინტერესდა. პირველად სამიზნეში სიმწრით გამწვანებული წყნეთის პლატო მოექცა. ვიდრე წყნეთელები ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებდნენ, სააგარაკე ნაკვეთების გამოსათავისუფლებლად ბევრი ხე მოიჭრა.

და ახლა რამდენიმე ბანდიტი ამასაც ართმევს“, – განაცხადა მაშინ მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ დიღმის ტყისა და მისი ქომაგების განსაცდელი ამით არ დასრულებულა. 2004 წლიდან ტყე-პარკი თბილისის ახალი მერის, გიგი უგულავას დასაცავი გახდა. ამ დროისათვის, შეჭრებისა და უნებართვო მშენებლობის გამო, დიღმის ტყე-პარკის 200 ჰექტარიდან 70 ჰექტარამდე იყო შემცირებული. ორიოდე წლის შემდეგ კი, თბილისის საკრებულოს 2006 წლის 27 ივლისის დადგენილებით, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია გამოიყო როგორც სპეციალური გამწვანების ზოლი და მისი ფართობი 20,5 ჰექტარით განისაზღვრა. გიგი უგულავამაც სწორედ ამ ტერიტორიის დაცვის პირობა დადო:

„აი აქ არც ერთი სახლი არ აშენდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ, არც ერთი ნებართვა არ გაიცემა და ვინც გაბედავს, რაიმე აგურის დადებას, იმას ის აგური მოხვდება თავში“, - განაცხადა მაშინ თბილისის მერმა, რომლის ინიციატივითაც 2009 წლის 5 ივნისს თბილისის საკრებულომ ქალაქის განვითარების პერსპექტიული გეგმა დაამტკიცა და დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიას რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭა, თუმცა ორიოდე თვეში, 2009 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე საკრებულომ, ყველასთვის მოულოდნელად, დიღმის ტყე-პარკის ნაწილს რეკრეაციულის სტატუსი მოუხსნა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონად გამოაცხადა. საკრებულოს ამ დადგენილებით თბილისში კიდევ 52 ადგილს შეეცვალა სტატუსი, შედეგად თბილისის ტყე-პარკებში დღეს ხშირად შეხვდებით ერთ დროს უკანონოდ მიტაცებულ და მოგვიანებით დაკანონებულ მიწებზე აშენებულ სახლებს, ბენზინგასამართ სადგურებს, რესტორნებსა და გაჩეხილი ხეების კუნძებს. ამასთან, რეკრეაციული ზონების დაცვას ართულებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული და დადგენილი საზღვრები, შესაბამისად, დავა იმაზე, რომ მშენებლობები არ უნდა წარმოებდეს ამ ზონებში, ხშირად ნარუმატებლად სრულდება. თბილისში არსებული 80-მდე პარკი და სკვერი, უხეშად რომ ვთქვათ, წარმოადგენს უბრალოდ მიწის ნაკვეთებს, რომელთა საზღვრები დადგენილი არ არის და, შესაბამისად, ნებისმიერი მშენებლობა, რომელიც მათ კიდეზე დაიწყება, შეიძლება ჩაითვალოს არა პარკის, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობად. ზუსტად ასე იყო

კიკვიძის ბაღის („ვეტერანთა დასვენების პარკის“) შემთხვევაში, როცა წარმოებული მშენებლობის ნებართვაში ეწერა: მშენებლობა წარმოებს პარკის მიმდებარე ტერიტორიაზეო, სინამდვილეში კი გაჩეხეს ბაღის კიდეზე მდგარი 40-წლოვანი ფიჭვის ხეები და მათ ადგილზე პოლიციის გამჭვირვალე შენობა ააშენეს. მშენებლობას აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი ეკოლოგები, რომელთა დაკვირვებით სახელმწიფო უწყებებისათვის შენობების ბაღებსა და სკვერებში მშენებლობამ მავნე ტრადიციის სახე შეიძინა:

„ეს, ერთი მხრივ, ძალის დემონსტრირებაა და, მეორე მხრივ, ერთგვარი პიარი, რომ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას იდგეს გამგეობები და პოლიციის შენობები. რომ აღარაფერი ვთქვათ ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე, რადგან, როგორც ცნობილია, ხეებს აქვთ ჟანგბადის გამოყოფის ფუნქცია, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისისთვის, რომელიც ქვაბულში მდებარეობს და მისი განიავება მუდამ სერიოზული პრობლემა იყო. მწვანე ნარგავების მეორე ფუნქცია კი ჰაერის ფილტრაციაა, მავნე ნივთიერებების შებოჭვა, რომელიც მრავლადაა ჰაერში, თან თუ გავითვალისწინებთ საწვავის დაბალ ხარისხს, რომელიც საქართველოში შემოდის. ფაქტობრივად, მე არ მახსენდება თბილისის არც ერთი ბაღი, პარკი თუ სკვერი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბით არ გაეჩეხათ. ფიზიკის ინსტიტუტის უნიკალურ ბაღში ააშენეს ვაკე-საბურთალოს გამგეობა, სკვერში ააშენეს გლდანი-ნაძალადევის გამგეობა, წერეთლის მეტროსთან მდებარე სკვერში ააშენეს პოლიცია, „მზიურში“ აშენდა პოლიცია და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ლაშა ჩხარტიშვილი, „გრინფისის მეგობართა ჯგუფი“. რადიო „თავისუფლება“. 03.03.2012)“.

ასევე მძიმე და ტრაგიკულია თბილისის იპოდრომის უახლესი ისტორია, რომელიც პირობითად 1997 წლიდან აითვლება, ანუ იმ დროიდან, როცა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ თანხმობა განაცხადა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანაზე. ამ დროს იპოდრომი სარგებლობდა სახელმწიფო ტყე-პარკის სტატუსით და წარმოადგენდა დაცულ ტერიტორიას, თუმცა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამას ხელი არ შეუშლია იპოდრომის ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყებისათვის. პირველი მშენებლები (ინდივიდუალ მენაშენეთა ამხანაგობა „იპოდრომი 2003“) იპოდრომზე 2003 წელს გამოჩნდნენ, 2005 წლის 4 ოქტომბერს კი იპოდრომის მმართველმა კომპანია „უოკეი კლუბმა“ ქალაქის მერიას იპოდრომის ტერიტორიისთვის სარეკრეაციო ზონის სტატუსის შეცვლის მოთხოვნით მიმართა. პასუხად, 2007 წლის 24 იანვარს თბილისის მერმა გამოსცა N 27 განკარგულება, რომლითაც გააუქმა „თბილისის იპოდრომის ტერიტორიის გამწვანებული ზონისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ“ თბილისის პრემიერის 1998 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება. ორიოდე თვეში გამართულ აუქციონზე „უოკეი კლუბი“ ყიდულობს თამარაშვილის 13-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობასა და მიწის ნაკვეთებს, სამაგიეროდ კი იღებს ვალდებულებას არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში თბილისის ტერიტორიის ფარგლებში 30 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ააშენოს ახალი, თანამედროვე ტიპის თავლები, მანეჟი და მოაწყოს სარბენი წრე.

იპოდრომის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ტემპი მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოების პროტესტმა, 2008 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და მესაკუთრის შეცვლამ, თუმცა ახლაც არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ სტატუსმოხსნილი იპოდრომი (განსაკუთრებითი მისი ის ნაწილი, რომელიც ტრიალ მინდორს უკავია) ოდესმე მრავალსართულიანი კორპუსების ტყედ არ გადაიქცევა. არადა, როგორი სტატუსიც უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ტერიტორიას, თბილისში ხეების განადგურება კანონით არის აკრძალული. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1511-ე მუხლის მიხედვით, მწვანე ნარგავების დაზიანება და თვითნებური გაჩეხვა ისჯება 500 ლარის ჯარიმით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით ითვალისწინებს დაჯარიმებას 1000 ლარით. კიდევ უფრო მკაცრია სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 304. „ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება“:

ფაქტობრივად, მე არ მახსენდება თბილისის არც ერთი ბაღი, პარკი თუ სკვერი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბით არ გაეჩეხათ. ფიზიკის ინსტიტუტის უნიკალურ ბაღში ააშენეს ვაკე-საბურთალოს გამგეობა, სკვერში ააშენეს გლდანი-ნაძალადევის გამგეობა, წერეთლის მეტროსთან მდებარე სკვერში ააშენეს პოლიცია, „მზიურში“ აშენდა პოლიცია.

1. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ანდა მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ისჯება თხუთმეტ-ოცი წლის ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

თუმცა, როცა საქმე არჩევანზე მიდგება – მრავალმილიონიანი მშენებლობა თუ მრავალწლიანი ნარგავები, კანონი რაღაც მანქანებით ელასტიკური ხდება და მენაშენეს „დაავადებული ხეების“ მოჭრისა და მოჭრილების სანაცვლოდ ახალი ნერგების ჩაყრის „უფლებას“ აძლევს. ხეებისთვის დასმული ყალბი დიაგნოზი მართლაც ხშირად გამხდარა ჯანსაღი ნარგავების მოჭრის მიზეზი. სულ ბოლოს ასეთი რამ ასათიანის ქუჩაზე მოხდა, როცა ყოფილი ფსიქიატრიული კლინიკის ტერიტორიაზე (სადაც საცხოვრებელი კომპლექსი უნდა აშენდეს) ორმოცზე მეტი ნაძვის ხე მოჭრეს. არადა, ხეების დაავადება მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემაა მწირი მცენარეული საფარის მქონე თბილისისთვის. ეკოლოგების მტკიცებით, სოკოვანი დაავადებები დიღმის ტყის გარდა, მუსრს ავლებენ ხეებს გლდანში (ქერჩის ქუჩაზე), ლისის ტბაზე, ვაკის პარკის ცენტრალურ ხეივანში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე. გარდა ამისა, მოსკოვის პროსპექტზე დაავადებულია კაკლები, მარშალ გელოვანის გამზირზე – კიპარისები და თუთის ხეები. კახეთის გზატკეცილზე განადგურება ემუქრება სოკოვანი დაავადებებით დაზიანებულ ცაცხვებს, რომელთა ნაწილი წამლობას, ნაწილი კი სანიტარულ ჭრასღა ექვემდებარება, თუმცა გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ადამიანის მისაღებია. ადამიანისა, რომელსაც შეუძლია დაავადებული ხის გულგრილად მიტოვება ტყეში და ჯანსაღი ხის მოჭრა მშენებლობისთვის ადგილის გასათავისუფლებლად იმ საბაბით, თითქოს გული ჰქონდეს დამპალი. ხეებს რომ მეტყველება შეეძლოთ (ან ჩვენ რომ მათი გვესმოდეს), სრულ სიმართლეს შევიტყობდით როგორც მათი ბედის, ასევე ადამიანის ბუნების შესახებ, თუმცა რად უნდა ამას მინდიაობა და გველისმჭამელობა, ისედაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ხის სიდამპლე ახლოსაც კი ვერ მოვა ხარბი ადამიანის გულის სიდამპლესთან!



როგორ გამწვანდა თბილისი

ავტორი: დათო ქარდავა
ფოტო: კახა კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი ოდესღაც შესაძლოა მართლაც იყო ტყით დაფარული, მაგრამ დროთა განმავლობაში (არაერთი მიზეზის გამო) მისი ტერიტორია და შემოგარენი თითქმის პირწმინდად განიძარცვა მწვანე საფარისგან. წარსულში ჩაიკარგა თბილისის სახელგანთქმული ბაღების („მეფის ასულის", „მამასახლისის", „სამეფო", „ქაიბულას", „თბილელის", „ციხის", „ბეჰბუთას", „ახალი მეიდნისა" და „ბეჟანას" ბაღების) სიგრილე და ნაყოფიერება. მე-19 საუკუნის თბილისში ერთი ხელის თითებზე შეიძლებოდა იმ ადგილების ჩამოთვლა, სადაც ზაფხულის ხვატით შეწუხებულ მოქალაქეს სულის მოსათქმელად თავის შეფარება შეეძლო. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1878 წლის 30 მარტს გაზეთი „ივერია":

„უწინ თბილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეხილითა და ბაღებითა. ამის გამო ქალაქში ზამთარი არ იყო ისე სუსხიანი, როგორც ეხლა, და ზაფხულიც უფრო გრილი იყო და ნესტიანი. დროთა მიმავლობაში, ეგ ბაღები გადიკაფნენ, მათ ადგილას აღიმართნენ უზარმაზარნი სასახლენი, შენობანი შეჯგუფდნენ, ჰაერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო ჰაერი და ეხლა ზაფხულობით ადამიანს სული ვერ მოუტრიალებია. ჩვენ მამა-პაპას რომ ცოტა შორ-მხედველობა ჰქონოდა, რასაკვირველია, დღეს ჩვენი ტფილისი, ბუნებრივად კარგის ჰაერით და მდებარეობით შემკობილი, ერთს სასიამოვნო ადგილად იქმნებოდა. ეგრე წინ დაუხედავად რომ არ ეძლიათ ნება სახლების შეჯგუფებისა, სახლების აშენებისა, საცა შესაძლო იქნებოდა ბაღები გაემართათ, ან გამართული არ გაეკაფინებინათ, მტკვრის კუნძულებზედ ჭალები შეენახათ. ...დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს თითქმის. ერთი მუშტაიდი, მეორე ალექსანდროვის ბაღი. ის ადგილები, წყლის სანაპიროები, წყლის კუნძულები, საცა ბაღები, ბულვარები უნდა გაიმართოს და სხვა ამგვარი. ყოველივე ფეხის გადადგმა ამ პლანის წინააღმდეგ სასტიკად აკრძალულ უნდა იქნეს და ვისაც ან ახლის აშენება რისამე უნდა, ან ძველის განახლება, მას ნება უნდა მიეცეს მხოლოდ ამ პლანის მიხედვით".

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებისთვის თბილისი, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დაიკვეხნიდა მწვანე ფერის სიჭარბით. კანდიდ ჩარკვიანი, საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, თავის მოგონებების წიგნში მაშინდელი თბილისის ლანდშაფტს ასე აღწერს:

„თბილისში 1924 წლიდან ვცხოვრობ. ჩემი დაკვირვებით, აქ ზაფხულობით სამხრეთიდან მონაბერი ნახევარუდაბნოებისა და უწყლო ველების ცხელი სუნთქვა 20-იან და 30-იან წლებში უფრო მძლავრად იგრძნობოდა, ვიდრე ახლა. ამას ის იწვევდა, რომ ქალაქს ძალიან ღარიბი მცენარეული საფარი ჰქონდა. ირგვლივ მდებარე მთები ხომ სულ შიშველი იყო, – ქალაქშიც პარკებსა და სკვერებს მცირე ფართობი ეკავათ. რაც შეეხება ქუჩებს, მათ გასწვრივ ნარგავებს აქა-იქ თუ შეხვდებოდით. როგორც ჩანს, რევოლუციამდე (1917 წ.) ქუჩების გამწვანება სახლების მეპატრონეებზე იყო მინდობილი. ისინიც, რა ჯიშის ნერგიც მოხვდებოდათ, იმას რგავდნენ, ხოლო მეტწილად ამ საქმით თავს არ იწუხებდნენ. თავიდან ბოლომდე რუსთაველის გამზირი 1927 წელს გაამწვანეს".

> მთაწმინდის პლატოზე სტალინის სახელობის პარკი ზუსტად 75 წლის წინ, 1938 წლის 24 ივლისს გაიხსნა, მანამდე მთის კალთები და პლატო მოშიშვლებული იყო.

სწორედ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო თბილისის სისტემური გამწვანება. გამოიკვეთა სამი მიმართულება: 1. ხეები და ბუჩქები დაირგო ქუჩებში, მოედნებსა და ეზოებში. 2. გაკეთდა ახალი პარკები, ბაღები და სკვერები 3. გამწვანდა ქალაქის მოსაზღვრე მთის კალთები, ტბებისა და გზატკეცილების მიდამოები.

საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ოფიციალური ცნობარის (თბილისი უკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 1957 წ.) მიხედვით, 1930-1950 წლებში თბილისის ტერიტორიაზე დაირგო 5,5 მილიონზე მეტი ხე და ბუჩქი. 1954 წელს თბილისში საერთო მოხმარების მწვანე მასივებისა და ნარგავების ფართობმა შეადგინა 490 ჰექტარი, მაშინ როცა 1937 წელს 160 ჰექტარი იყო.

ხელოვნურადაა გაშენებული მთაწმინდისა და ვაკის პარკები, ისევე როგორც წყნეთი და მისი პლატო.

მთაწმინდის პლატოზე სტალინის სახელობის პარკი ზუსტად 75 წლის წინ, 1938 წლის 24 ივლისს გაიხსნა, მანამდე მთის კალთები და პლატო მოშიშვლებული იყო. კანდიდ ჩარკვიანის გადმოცემით, 20-იან წლებში მთაწმინდაზე ეკლის ბუჩქების გარდა, სხვა მცენარეს ვერ შეხვდებოდით. ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობის ახლო შევაკებაზე ორი კაკლის ხე იდგა, რომლებსაც „ნეპმანი" მიკიტნები და მებუფეტეები დაპატრონებოდნენ.

მასშტაბური გამწვანების სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში თბილისს შეემატა 50 ჰექტარზე გაშენებული ულამაზესი მწვანე ტერიტორია ცენტრალური რეგულარული ნანილითა და ტყე-პარკით. მოგვიანებით, ხელოვნური ნარგავები კოჯრამდე გაგრძელდა. ხეები დაირგო ოქროყანის მიდამოებშიც.

1946 წელს დაიწყო ვაკის პარკის გაშენება 150 ჰექტარზე, რაც რელიეფის გათვალისწინებით დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული: ვარაზის ხევის ჩამონადენი და კუს ტბა ვერ აუვიდოდა ათობით ათასი ხის მორწყვას, ამიტომ გადაწყდა მტკვრის პირას წყლის საქაჩი სადგურის აშენება და მისი საშუალებით მაცოცხლებელი სითხის ატუმბვა კუს ტბაზე.

ამავე პერიოდში გაშენდა თბილისის გარშემო 400 ჰექტარი ტყე, მაგრამ ეს არაფერი იყო რეალურ საჭიროებასთან შედარებით. არადა, დანარჩენი მიწები (მათ შორის მთის ფერდობები, ხევები) მიმდებარე რაიონების კოლმეურნეობებზე იყო გადანაწილებული. იმისათვის, რომ თბილისისთვის გადაეცათ, საჭირო გახდა სსრკ მინისტრთა საბჭოს ნებართვა. ასე გამწვანდა თბილისის მა-

ხლობლად მდებარე 131 ჰექტარი, რომელიც წყნეთს ეკუთვნოდა და, სადაც 150 ათასი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე დაირგო. მათ შორის: 12 ათასი თეთრი აკაცია, 53 ათასი ხეხილის ნერგი და ათობით ათასი ფიჭვი – ჩატანილი ბაკურიანიდან, ახალდაბიდან და ხამურიდან. მოგვიანებით, წყნეთის პლატოს შუაგულში გამოიყო 40 ჰექტარი ფართობი პარკისთვის, რომლის მშენებლობა 1951 წელს დაიწყო. სარწყავი წყალი წყნეთსაც მტკვრიდან მიეწოდებოდა.

საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1989 წელს გამოცემული ცნობარის (თბილისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა) მიხედვით, ექვსი ათეული წლის შრომამ ის შედეგი გამოიღო, რომ თბილისში გაშენდა საერთო სარგებლობაში მყოფი 7 კულტურისა და დასვენების პარკი (267 ჰექტარი), 9 პარკი (91 ჰა), 7 ბაღი (20 ჰა), 476 სკვერი (212 ჰა), 6 ბულვარი (9 ჰა), ხოლო ქუჩის მწვანე ნარგავების საერთო ფართობი შეადგენდა 390 ჰექტარს.

ამავე ცნობარში ვკითხულობთ: „დიდი ქალაქების ქუჩებში სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური პირობების ოპტიმალური ნორმების შექმნაში მწვანე ნარგავებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ქუჩის მწვანე ნარგაობა საჰაერო აუზის მტვრისაგან გასუფთავების, ტროტუარებისა და მიმდებარე შენობების ირგვლივ მიკროკლიმატისა და ჩრდილის შექმნის ხელშემწყობი საშუალებაა, იცავს ქალაქს ხმაურისა და ზედმეტი ინსოლაციისაგან“.

1989 წლიდან მოყოლებული თბილისში გამწვანების მასშტაბური პროექტი აღარ განხორციელებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანური სივრცე და ხელოვნების ვალდებულება

ავტორები: ნატა ნებიერიძე, ია ეძგვერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბაღი ბორბლებზე – ურბანული ანტივირუსი“, „ქალაქი – ცოცხალი ორგანიზმი“, „საჯარო სივრცე“ – სხეულის ნაწილი, რომელსაც მოიხმარს ორგანიზმის ყოველი უჯრედი“ – ეს იყო ის სამი იდეა/კონცეფცია, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფს „DontheC“ (Door on the Corner) (ნატალია ნებიერიძე, დალი დარჯანია) გადააწყვეტინა პროექტზე მუშაობის დაწყება.

ქალაქს, როგორც ცოცხალ სხეულს, აქვს მრავალი სახის დაავადება. ეს, რასაკვირველია, საზოგადოების დაავადებებია, რომლებიც ქალაქზე პროეცირდება. ამ დაავადებების მიზეზებად ხშირად გვევლინება ვირუსებიც, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს და ერთნაირი სიმპტომებით იჩენენ ხოლმე თავს. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი და აგრესიულად გამჟღავნებული ვირუსის სიმპტომია საჯარო სკვერებისა და ბაღების მანქანების სადგომებად ქცევა – ადამიანებისთვის განკუთვნილი სივრცეების დასაკუთრება მანქანების მიერ. ასე რომ, ადამიანის ცნობიერებაში შეჭრილი მსგავსი ნეგატიური ტრანსფორმაციების კატალიზატორი ვირუსის გამო, ქალაქი სულ უფრო და უფრო ეცლება ხელიდან ადამიანებს. გზები, შოსეები, ხიდები, სადგომები მექანიკური ქმნილებებისთვის და თითქმის არაფერი მოსიარულეთათვის, მოსეირნეთათვის, თითქმის არაფერი ხალხისთვის, რომელსაც კვლავაც სურს, რომ ქალაქი ადამიანს ეკუთვნოდეს. შედეგად ვიღებთ დაავადებულ, დასუსტებულ, გამონაბოლქვისა და მტვრისგან გარუჯულ ქალაქს.

ამ პრობლემით მოვიდა ჩემთან ჩემი მეგობარი დალი, რომელმაც გამიზიარა თავისი აღშფოთება კიდევ ერთი ასეთი ტრანსფორმაციის შესახებ – პეკინის ქუჩაზე არსებული პატარა სკვერი გადაკეთდა პარკინგად. მას სურდა ამ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე ეღონა და საწყისი იდეაც გამაცნო. ეს იყო პარკინგის ტერიტორიაზე ინტერვენცია ბორბლებზე შემდგარი სკვერის მეშვეობით და ამ ტერიტორიაზე ბუნების ელემენტების დაბრუნება, სიმბოლურად მაინც, და ასევე ხელოვნების ინტეგრაცია. მოკლედ, დავიწყეთ ამ იდეაზე მუშაობა, ბევრი ვიბოდიალეთ და ბოლოს მივიღეთ მანქანაზე მისაბმელებით მოძრავი „ბაღი ბორბლებზე“: მობილური, ტრანსფორმირებადი ბაღი, რომელსაც დაემატა ხელოვნების ბიბლიოთეკა, ხელოვნების ნიმუშები. ერთი სიტყვით, ბუნებისა და ხელოვნების ისეთი მობილური უჯრედი, რომელიც ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაიშალოს.

დავწერეთ პროექტი და გავგზავნეთ ფონდში – „შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში – ექსპერიმენტული ხელოვნების განვითარება, მცირე საგრანტო პროექტები“. ერთი თვის შემდეგ მივიღეთ დადებითი პასუხი(!), რამაც საშინლად გაგვახარა და ჩვენი აბსტრაქტული იდეის რეალობად ქცევის შანსი გაგვიჩინა. პროექტი დავიწყეთ კვლევით. შევარჩიეთ ხალხმრავალი, მაგრამ სოციალური ხასიათით განსხვავებული და, ამასთან, მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძების მქონე ადგილები, სულ – ხუთი. საჭირო გახდა კერძო მფლობელებთან და მერიასთან მოლაპარაკებაც. გრანტი, რომელიც მოვიგეთ, მოხმარდა მანქანაზე მისაბმელების ბათუმში აგებას, ქუთაისში ტესტირებას და რეგისტრაციას, ქუთაისიდან ჩამოყვანას, პროექტის მზადების პროცესში კვლევებისა და საორგანიზაციო საქმეების ჩატარებას და ა.შ.

მალე ისევ მოგვიხდა თანხების მოძიება იმისათვის, რომ ბაღი დაგვეტვირთა ღონისძიებებით, გადაგვექცია ხელოვანებისთვის ღია პლატფორმად. ხელოვნება საჯარო სივრცეში, ხელოვნება სახელოვნებო ინსტიტუციების გარეთ, ქუჩაში, იქ, სადაც მას არ ელიან. ამასთან ერთად, პროექტის მიზანი საჯარო სივრცის კვლევაც იყო, იმის გაგება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ხელოვნებამ მასზე და პირიქით.

პროექტის დაწყების დღიდან (2013 წლის თებერვალი) წარმოუდგენელი შრომა დაგვჭირდა, რომ „ბაღი ბორბლებზე“ გვექცია რეალობად, დავიხარჯეთ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი ოჯახის წევრები, მეგობრები. ბევრი უძილო ღამის შემდეგ, როგორც იქნა, ვარკეთილის მეტროსთან – სავაჭრო ცენტრ „ფენიქსის“ პარკინგზე, სადაც თავის დროზე სკვერი იყო, შედგა ჩვენი „ნათლობა“ და „ბაღიც“ პირველად გაიხსნა. ვხვდებოდით ხალხს, ვაცნობდით ხელოვნების ნიმუშებს, წიგნებს, ვაწყობდით პერფორმანსებს და აქციებს, ლექციებსა და სემინარებს; ბავშვებს და ისეთ ხალხს, ვისაც მხატვრობასთან არასდროს ჰქონია კავშირი, ვასწავლიდით ხატვას; ვუკრავდით ისეთ მუსიკას, რომელსაც იმ სიტუაციაში არავინ ელოდა. ეს საზოგადოებრივ სივრცეში განხორციელებული პროექტები ჩვენთვის სიხარულის მომგვრელი იყო და ძალიან საინტერესო გამოდგა.

მაგრამ ამ ისტორიას მეორე მხარეც აქვს, რომელიც არაერთ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს:

– რა ტიპის და რა ხასიათის მოვლენა იყო ეს? პროგრესული სოციალური აქტიურობის თანამედროვე ფორმას წარმოადგენს თუ მართლა შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშის მაგალითად? სად, რომელ ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით ჩვენ, ახალგაზრდა მხატვრები, ამ მოვლენაში ამდენი დრო, ენერგია და სიყვარული როცა ჩავდეთ? რა მიზანი გვამოძრავებდა ამ დროს – მოქალაქეობრივი შეგნება/ვალდებულება თუ ნამდვილი შემოქმედის ნება, და კვეთდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს?

ასეთმა კითხვებმა დაგვამძიმა და ამ ყველაფრის გარკვევის სურვილით მივმართე გერმანიაში მცხოვრებ ცნობილ ქართველ მხატვარს გია ეძგვერაძეს, მისი მხრიდან ღრმა და ფუნდამენტური ანალიზის მოლოდინით, რომელსაც როგორც პირადი (და არამარტო საკუთარი) გამოცდილებიდან ვიცი, ის არასდროს იშურებს არც ქართველი და არც უცხოელი ახალგაზრდა მხატვრებისთვის.

გიამ პასუხს საინტერესო ფორმა მოუნახა – ჩემი წერილი ფრაგმენტებად დაყო და ეს ფრაგმენტები საკუთარი მსჯელობის საგნად აქცია. ამ ფორმით მან სოციალური შეგნებისა და თანამედროვე მხატვრობის რადიკალური მიზნების შედარებითი ანალიზი ჩაატარა, რამაც სააზროვნო სივრცე უსასრულოდ გაზარდა და მისკენ მიმართული ძალისხმევა შემოქმედებით პროცესად აქცია. ასეთმა დამოკიდებულებამ პუბლიკაციას უზარმაზარი მოცულობა შესძინა – დაწყებული საზოგადო ურთიერთობებისა და საზოგადო სივრცის ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხებიდან, დამთავრებული მეტაფიზიკურ კვლევებისა და მათ მიღმა არსებულ თვალუწვდენელი კოსმოსითაც კი. აქედან გამომდინარე, ტექსტმა ისეთი მნიშვნელოვანი სახე მიიღო, რომ ცხადი გახდა მისი გამოქვეყნების აუცილებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატა ნებიერიძე: გამარჯობა, გია, „ბაღის პროექტი-აქციის“ პირველი ნაწილის დიდი ენთუზიაზმით და ოპტიმიზმით განხორციელების შემდეგ, უეცრად უამრავი კითხვა და ეჭვი გამიჩნდა ხელოვნებაზე, მის ფუნქციაზე, მის ქმედითობაზე. ამ ფიქრებმა კი კიდევ უფრო ზოგადი კითხვები დაბადეს (არამარტო ხელოვნების გარშემო) – მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, შფოთიანმა ფიქრებმა პრობლემების მთელი სპექტრი გადახსნა. ყველაფერ ამაზე მინდოდა მომეწერა, მაგრამ რატომღაც სულ ფეხს ვითრევდი.

თქვენს ბოლო წერილში გამოთქმულმა მძაფრმა კრიტიკულმა კომენტარმა – სატელევიზიო გადაცემის შესახებ, სადაც ამ პროექტთან დაკავშირებით მე და ჩემი მეგობარი მიგვიწვიეს სასაუბროდ – კიდევ უფრო დამაბნია და თქვენთან კომუნიკაციის სურვილი გამიმძაფრა. მაგრამ შინაგანად წერილის დაწერას მაინც ისევ გავურბოდი; ძნელია გავრცობილი და კითხვებით სავსე წერილის მოწერა, რომელშიც მრავალი დაგროვილი, ბუნდოვანი პრობლემა (რომელიც მართლა გულწრფელად გაწუხებს) ნათელ და კონკრეტულ სურათად გინდა გააფორმო, და ამიტომაც ვითრევდი ფეხს მის დაწყებაზე.

> ქალაქს, როგორც ცოცხალ სხეულს, აქვს მრავალი სახის დაავადება. ეს, რასაკვირველია, საზოგადოების დაავადებებია, რომლებიც ქალაქზე პროეცირდება. ამ დაავადებების მიზეზებად ხშირად გვევლინება ვირუსებიც, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს და ერთნაირი სიმპტომებით იჩენენ ხოლმე თავს.

ამწუთს კითხვებთან და შფოთთან კავშირში სიტყვა „სურათი“ რომ ვახსენე, სწორი განსაზღვრება ნამდვილად არ არის, რადგან ეს შფოთიანი კითხვები სურათად კი არ წარმოიდგინება, არამედ უფრო ბნელ, უძირო ორმოდ, საიდანაც ისინი გაუთავებლად ამოდის. ალბათ, სწორედ ამ სიღრმის მეშინია არაცნობიერად, როდესაც წერილის დაწერას გავურბივარ, რითაც მასში ჩასვლას და ამ კითხვებთან პირისპირ დარჩენას ვარიდებ თავს.

გია ეძგვერაძე: ნატა, დიდი მადლობა შენი გულწრფელი და, რაც მთავარია, სწორედ „შფოთიანი“ წერილისთვის! საბედნიეროდ, ეს იმ ხარისხის შფოთია, ადამიანს შემეცნების შანსს რომ უჩენს, მის ძიებას პირად, ინდივიდუალურ გზაზე აყენებს და იმ შემთხვევაში, თუ გაღრმავდა და ინტენსიფიკაცია განიცადა, საბოლოო გარღვევის შანსსაც ბადებს. რა გარღვევაზეა ლაპარაკი, ალბათ უფრო გვიან ვახსენებ, ახლა კი „შფოთზე“ მინდა გავამახვილო ყურადღება.

შფოთი/წუხილი/ზრუნვა – ამ სამ სიტყვას აერთიანებს ჰაიდეგერისთვის საკვანძო ცნება Sorge, რომელიც ადამიანში საკუთარი არსებობის არსს შფოთიანი კითხვისა და შემეცნებითი ზრუნვის ქვეშ აყენებს. ჰაიდეგერის რწმენით ადამიანი მხოლოდ Sorge-დან იწყება, ანუ როცა Sorge მისი ცხოვრების ძირითადი და განმსაზღვრელი მოტივაცია ხდება. მანამდე კი, მისი აზრით, ადამიანის არსებობის ფორმა არაფრით განსხვავდება რობოტისგან (Das man) – მექანიციტურია, არაპიროვნული და განპირობებულია გარედან შემოთავაზებული მორალური თუ ონტოლოგიური კონცეფციებით. სწორედ შენი Sorge არის ის, საიდანაც იწყება შენი უსასრულო კითხვები, რომელსაც წერილში ახსენებ და რომლებიც *„ადამიანში ადამიანურის“* უპირველესი ნიშანია. ეს კითხვები „ბნელი ორმოს“ ბინადრები არიან და შიშს იმიტომ გგვრიან, რომ იმ „საზოგადოებრივი ზედაპირის“ (პირობითი ჭეშმარიტებების) მიღმა გადიან, რომელიც მოჩვენებითი კეთილდღეობისა და „კეთილაზროვანების“ ილუზიას გვიქმნის (გადახედე ჩემს ტექსტს Funny Games). ასეთი კითხვები ადამიანს სრულიად უბაზისო არსებობისკენ უბიძგებენ. ეს უსაფუძვლობაა, უსაფუძვლობა კი შემზარავია, თუმცა ჭეშმარიტებასთანაა მიახლოებული. ამ უსაფუძვლობას უნდა გაუძლოს და ეს უსაფუძვლობა უნდა გააროს უკომპრომისოდ მოაზროვნე ადამიანმა, ანუ ადამიანმა, რომელიც არ არის მხოლოდ კულტურულ აზრთა წრებრუნვის მონაწილე და არ ცხოვრობს „აზროვნების ისტორიას“ ამოფარებული.

ამ კითხვების არ შეგეშინდეს – მათმა არქონამ უნდა შეგაშინოს. Sorge არასდროს არ მთავრდება, რადგან არც ჭეშმარიტება მთავრდება სადმე ან როდისმე.

ნატა ნებიერიძე: პირველივე კითხვა, რომელიც გამიჩნდა ძალიან არასწორია - ხშირად ვყოფილვარ ამ კითხვის გარშემო გამართული დისკუსიის მონაწილე, მაგრამ არასდროს მიმიღია მასზე სწორი პასუხი, რადგან, ალბათ, თავად კითხვა არ არის სწორად დასმული.

კითხვა ასეთია: ხელოვნება ხალხისთვის თუ ხელოვნება ხელოვნებისთვის? რატომ გამიჩნდა ბაღის გახსნის შემდეგ ეს კითხვა?

ჩვენი ინტერესი ამ პროექტის მიმართ მდგომარეობს შემდეგში: ქალაქში, ანუ ცოცხალ ორგანიზმში, სადაც გაუჩერებლად მიმდინარეობს უამრავი პარალელური პროცესი (როგორც სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევა, ნერვულ სისტემაში ნერვთა იმპულსების მოძრაობა და ა.შ.), შევქმნათ პაუზა, პაუზის პრეცედენტი. ისეთი პაუზა, რომელიც დროებით შეაჩერებს სხეულის ჩვეულ რიტმს, და ამ შეჩერებით შესაძლებელია სხეულის მუშაობამაც განიცადოს მცირე ცვლილება. საჯარო სივრცე ეკუთვნის ყველას, მაგრამ დღეს ძალიან რთულია ამის გაგება, რადგან, თუ ყველასია, ნიშნავს, რომ არავისია და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც არავის ეკისრება მასზე. ამიტომაც ვყრით საჯარო სივრცეში ნაგავს, მაგრამ არ ვყრით საკუთარ ეზოში. საჯარო სივრცეში ასევე მოძრაობს *სხვადასხვა* ინტერესის მქონე ყველანაირი ადამიანი და თუ იქ რაიმე ხდება, გამოდის, რომ ხდება ყოველი მათგანისთვის. მაგრამ რომელ და როგორ მოვლენას შეუძლია შეეხოს ყველას ინტერესს? და რა გზით?

ბაღი აკადემიის ტერასაზე. ბექა ჯავახიშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუბრუნდები ჩვენი „ბაღის“ ინსტალაციის პირველ ადგილს. „ვარკეთილის“ მეტრო – გარეუბანი, სადაც ძირითადად მოძრაობს სოციალურად დაბალი ფენა – გაჭირვების ზღვარზე მყოფი ადამიანები, მუშები, ვაჭრები. ეს სივრცე, რომელშიც დასახელებული კატეგორიის ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ ყოფნა, მათთვის ეგრეთ წოდებულ „საბირჟაო“ ადგილს წარმოადგენს, რაც საჯარო სივრცის თავისებური გაგებაა. მოკლედ, შორს რომ არ წავიდე, ჩვენი ინტერესი იყო ასეთი სივრცისთვის ჩვეულ გარემოებებში ხელოვნების „ჩაგდება“ და რეაქციებზე დაკვირვება. აი, სწორედ ამ დროს იჩინა კიდევ ერთხელ თავი იმ „არასწორად“ დასმულმა კითხვამ.

ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი მოძრაობა და დიდი ხალხმრავლობაა. ჩვენი ბაღი ამ გარემოში და ასეთ ვითარებაში უბნის შიდა ეზოდ იქცა, სადაც ხალხის განსხვავებული ტემპერამენტი მინიმალური რეგულაციის ფარგლებში ავლენს თავს. იმ ხალხისთვის, ვინც იქ ყოველდღიურად „აბირჟავებს“, – ლოთები, ძველი ბიჭები, ვაჭრები და ა.შ. თანამედროვე ხელოვნება ისეთივე გაუგებარია, როგორც ალქიმია. ჩემი კითხვა ასეთი იყო, აქვს თუ არა საერთოდ აზრი ამ ადამიანებისთვის ჩვენს ქმედებას, მათ ხომ ხელოვნებას ვერ შეაგრძნობინებ, ვერ აუხსნი, ვერ გააგებინებ მის არსს, ყოველ შემთხვევაში, აქციის ვადებსა და გარემოებებში.

მაგრამ, ალბათ, ეს კითხვაც არასწორადაა დასმული.

ორი დღის განმავლობაში, რაც ვარკეთილში ჩვენი „ბაღი“ იყო გაშლილი, განუწყვეტელ დისკომფორტს განვიცდიდი ამ კითხვის გამო, მაგრამ, ამავე დროს, ერთი უცნაური შეგრძნებაც მქონდა – თავს ძალიან მყუდროდ ვგრძნობდი ამ ჩვენს მიერ შექმნილ სივრცეში. სხვათა შორის, ამ უცნაური გრძნობის შესახებ სხვებმაც აღნიშნეს. გარშემო მყოფი ადამიანები დიდ ინტერესს იჩენდნენ, ცდილობდნენ გაერკვიათ, რატომ ვაკეთებთ ამ ყველაფერს, მაგრამ ჩვენ შორის კომუნიკაცია არ მყარდებოდა, ჩვენ ვერ ვპოულობდით მათთვის შესაფერის სიტყვებს, და ამიტომ გაჩნდა უკვე მორიგი კითხვა: შესაძლებელია კი საერთოდ ყველა ადამიანის ენაზე იმის ახსნა, თუ რა არის ხელოვნება? თუ არა, მაშინ როგორ უნდა ემსახუროს ეს ყველაფერი მათ? ან რატომ არ არსებობს შესაფერისი სიტყვები მის ასახსნელად?

და საბოლოოდ, ყველა ამ კითხვას ისევ იმ არასწორ კითხვამდე მივყავარ – ხელოვნება ხალხისთვის თუ ხელოვნებისთვის? შინაგანად კი ვგრძნობ, რომ არ არის სწორი კითხვის ასე დასმა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ის ვიცი, სწორად როგორღა დავსვა.

> ასეთი კითხვები ადამიანს სრულიად უბაზისო არსებობისკენ უბიძგებენ. ეს უსაფუძვლობაა, უსაფუძვლობა კი შემზარავია, თუმცა ჭეშმარიტებასთანაა მიახლოებული. ამ უსაფუძვლობას უნდა გაუძლოს და ეს უსაფუძვლობა უნდა გაიაროს უკომპრომისოდ მოაზროვნე ადამიანმა, ანუ ადამიანმა, რომელიც არ არის მხოლოდ კულტურულ აზრთა წრებრუნვის მონაწილე და არ ცხოვრობს „აზროვნების ისტორიას“ ამოფარებული.

გია ეძგვერაძე: „ხელოვნება ხელოვნებისათვის თუ ხელოვნება ხალხისთვის?“ თავად ეს კითხვა დასავლეთში იმდენი ხანია მოხსნილია დღის წესრიგიდან, რომ, მე მგონი, არავის აღარ ახსოვს. იგი გაჩნდა მაშინ, როდესაც თანამედროვე ხელოვნება ჩამოყალიბდა და გაფორმდა როგორც მრავალი ურთიერთდამოუკიდებელი ენობრივი სტრატეგიების მქონე მოვლენა, სადაც ეს ენობრივი სტრატეგიები ერთიან კომუნალურ ენობრივ სტრუქტურებთან არ იკვეთებიან. მაგრამ ამ კითხვით გამოწვეული დაბნეულობის პერიოდი ძალიან მოკლე გამოდგა და მას მშობლიურ გარემოში საკმაოდ სწრაფად გაეცა პასუხი. სამაგიეროდ, ეს კითხვა საბჭოთა იდეოლოგიამ აიტაცა, მისი ორგანული ნაწილი გახდა (კომუნისტებს ხომ ხელოვნება მასებზე უშუალო ზემოქმედების იარაღად უნდოდათ მოეხმარათ) და ამ გზით მოაღწია ჩვენამდეც.

თანამედროვე ხელოვნება ისეთივე რთულ და სიღრმობრივ შრეში მუშაობს, როგორც, მაგალითად, უმაღლესი მათემატიკა. იგი ახალ *რეალობებს* ამჟღავნებს, აღმოაჩენს და დასაბამს აძლევს – ფიზიკურს, ფსიქიკურს, ფსიქოლოგიურს – რომელთაც ახალი შინაარსი ახალ ფორმაში მოაქვთ (სხვანაირად არც შეიძლება). ამ ახალი შინაარსის შემეცნებისთვის ამ ახალ ფორმებს გაცნობა, აღქმა და წვდომა სჭირდება, რაც ან სერიოზულ ძალისხმევას, ან ინსაითის ნიჭს ითხოვს.

არითმეტიკა ყველამ ვიცით, ის ელემენტარული კომუნიკაციის ფორმაა, მაგრამ უმაღლესი მათემატიკის გაგება თუ გვინდა, დიდი შრომა უნდა გავწიოთ წინასწარ.

არითმეტიკის დონეზეც „კეთდება“ უამრავი ხელოვნება – კარგ ხელოსნურ დონეზე იხატება „ლამაზი“ ყვავილები, პეიზაჟები, „მომხიბვლელი“ ქალები და ყმაწვილები, დიდთვალა ანგელოზები, ან კიდევ, ისახება ადამიანის ბრტყელ-ბრტყელი „საქმიანობები“. ასეთ შემოქმედებას ყველგან, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ინტერნაციონალური კიჩის სახელით იცნობენ – რადგან ეს პროდუქცია ყველგან ერთნაირია. ბრუკლინის პაწაწინა დილის ყავისა და სენდვიჩის კაფეში ზუსტად ისეთივე დიდთვალება გოგონას პორტრეტს ნახავ, როგორსაც თბილისის სალონში.

მხატვრული შემოქმედების გაგება არ არის მოქალაქის სოციალურ-მორალური უფლება. დაახლოებით ასე აყენებდნენ საკითხს საბჭოთა კავშირში – მხატვარს

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ბაღი აკადემიაში. პოეზიის საღამო. თათია კვირკველიას ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამის კონსტიტუციური მოთხოვნის დონეზე ევალებოდა უშუალოდ მასებამდე სათქმელის მიტანა.

როგორც უმაღლეს მათემატიკაში მომუშავე კაცს ვერ ეტყვი, აბა, ახლავე დაანებე მაგ შენს გაუგებარ აქტიურობას თავი და შეეცადე არითმეტიკის დონეზე გადაწყვიტო პრობლემები, რომლებზეც მუშაობო, ასეთივე სიბეცეა, მოსთხოვო მხატვარს დაანებოს თავი უმაღლეს ესთეტიკურ/ეთიკურ ექსპერიმენტებს თავის დარგში და „ხელოვნების არითმეტიკის“ დონეზე ჩამოლაბორანტდეს.

შემდეგ:

თანამედროვე მხატვრობის მიერ მოპოვებული ესთეტიკურ/ეთიკური მონაპოვრების შემოსატანად საზოგადოებაში მუშაობს მთელი აპარატი; ამ ამოცანაზე მუშაობენ ხელოვნების მცოდნე ექსპერტები, კურატორები, კულტურის ფილოსოფოსები, ანუ თანამედროვე ხელოვნების გარშემო პოპულარული/განმარტებითი დისკურსის შემქმნელები, რომლებმაც მხატვართა ეს მაღალი მონაპოვრები ესთეტიკურ/ეთიკურ ღირებულებებად უნდა დააფიქსირონ, საზოგადოებაში შემოიტანონ და დაამკვიდრონ. ასეთივე ტრანსლაციის მცდელობები არსებობს უმაღლეს მათემატიკასთან ან კვანტურ ფიზიკასთან დაკავშირებითაც. ამდაგვარ ტრანსლაციებს ემსახურებოდა, მაგალითად, კაპიცას განთქმული გადაცემა „აშკარა დაუჯერებელი“.

დასავლელი ადამიანი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ან გალერეაში მოწიწებით შედის, მან იცის და სწამს იმისი, რომ ეხლა რაღაც დიდი შინაგანი გაბრძოლების, უდიდესი განზოგადებებისა და ამის ხარჯზე მომხდარი ახალი გარღვევის ფაქტების ავთენტიკურ შედეგებს ნახავს. მას ესმის, რომ ასეთი ამოცანების დასახვისა და კვლევის შანსი მას (ამ მნახველს) ცხოვრებამ არ შეუქმნა, და აქ, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ამისთვისაა მოსული, ამას ელის და თუ ეს არ შესთავაზეს, გაწბილებული კაცის შეგრძნება ეუფლება. ხშირად მსმენია: „ეს ხომ ცნობილია, ეს ხომ ვიცი, ეს ხომ უკვე დამკვიდრებული აზროვნების წესის ილუსტრაციაა – დრო ტყუილად დავკარგეთ“.

არის ერთი გარემოება, რომელმაც არ უნდა დაგვაბნიოს.

ზოგიერთ ისტორიულ პერიოდში ვიზუალური ხელოვნების სტილები მათდა უნებურად, მათი ძირეული ფუნქციისა და სიღრმობრივი გზავნილის პარალელურად, ბანალური კომუნიკაციისა და გამრთობი ფუნქციის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებენ. ერთ-ერთი მაგალითი რენესანსის ეპოქის მხატვრობაა, რომელსაც გააჩნია თვისება, მხატვრულ/სულიერ/ფილოსოფიური ღირებულებების პარალელურად, მასის დონეზეც გაახალისოს და მოხიბლოს მნახველი ობიექტის მაღალი ცნობადობითა და პირველადი დონის ნარატივის ამოკითხვის შესაძლებლობით.

> „ხელოვნება ხელოვნებისათვის თუ ხელოვნება ხალხისთვის?“ თავად ეს კითხვა დასავლეთში იმდენი ხანია მოხსნილია დღის წესრიგიდან, რომ, მე მგონი, არავის აღარ ახსოვს. სამაგიეროდ, ეს კითხვა საბჭოთა იდეოლოგიამ აიტაცა, მისი ორგანული ნაწილი გახდა (კომუნისტებს ხომ ხელოვნება მასებზე უშუალო ზემოქმედების იარაღად უნდოდათ მოეხმარათ) და ამ გზით მოაღწია ჩვენამდეც.

სივრცობრივი პერსპექტივის პრინციპი, რომლის ინიციაციაც რენესანსმა მოახდინა ხელოვნებაში (და აზროვნებაში), ვიზუალურად ძალიან მომხიბვლელი ფორმაა და, წარმომიდგენია, რამდენი კაცი უყურებდა თავის დროზე პირდაღებული ამ „საოცრებას“, მაგრამ ამ ფენომენის ნამდვილი საკრალურ-ფილოსოფიური არსი, რისთვისაც ეს ფენომენი სამყაროს მოევლინა, სერიოზულ წვდომას, გააზრებას და, აქედან გამომდინარე, დიდ გონებრივ ძალისხმევას ითხოვს. ასე რომ, რენესანსული ვიზუალური კოდი, მისდა უნებურად(!) ორ დონეს აკმაყოფილებს.

შუა საუკუნეების ხატწერას ასეთი რამე არ ახასიათებდა. მისი ფორმა ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ და მხოლოდ მის მეტაფიზიკურ შინაარსს ემსახურებოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, იმ ძირითადის და განმსაზღვრელის წვდომა, რასაც რენესანსის მხატვრობის ნამდვილი ფასეულობა წარმოადგენს, ისევე ითხოვს ტრანსლირების საჭიროებას ან ფორმის სპეციფიკური შეგრძნებებისა და კონცეფციის ცოდნის გაღრმავებას, როგორც თანამედროვე ხელოვნება.

„ჯოკონდა“ (მონა ლიზა) მოსკოვში რომ ჩამოიტანეს, მნახველს რიგში მდგომს უნდა გაევლო მის წინ და ოც წამზე მეტ ხანს არ უნდა შეჩერებულიყო ნამუშევართან. ეს რიგი მოსკოვის ცივ ზამთარში კილომეტრებს ითვლიდა და ჯოკონდას სანახავად ციმბირიდან მუშათა უსასრულო ექსკურსიები ჩამოდიოდა. ალბათ, ადვილი წარმოსადგენი და დასაჯერებელია, ამ ოცმა წამმა თუ როგორ „გაანათლა“, „აამაღლა“ მთელი ციმბირის მოსახლეობა და გააგებინა რენესანსის არსი და მისია. ასე რომ, „რენესანსის“ ხელოვნების დემოკრატიული ხასიათი უსუსური აზროვნების მითია.

სხვა რაკურსი:

ბოისი ამბობდა, მე არასოდეს არ ვცდილობ ველაპარაკო სტუდენტებს მათი ცოდნის დონეზე – სტუდენტმა თავად უნდა გაიღოს სერიოზული ძალისხმევა, რომ გაიზარდოს და სრულფასოვანი კომუნიკაციის დამყარება შეძლოს ჩემთანო.

ეს რაც შეეხება სწავლების პროცესში არსებულ კომპრომისს!

ხოლო შემოქმედებაში, რაიმე კომპრომისზე ლაპარაკიც კი სრული აბსურდია. მხატვარმა შემოქმედება თავისი შესაძლებლობების პიკზე უნდა „აკეთოს“ – მისი შემოქმედებისა და მესიჯის კომუნიკაციაზე კი სამყარომ უნდა იზრუნოს, ეს მხატვრის მისიაში აღარ შედის.

ბაღი სპორტის სასახლესთან. ვორკშოპი „სტაიანშიკებისთვის“ – ახალი დიზაინის ჯოხების შექმნა შტეფი შონესთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნა, რომ მხატვრობა უშუალოდ ხალხს უნდა ემსახუროს, ჩვენს ცნობიერებაში ჩარჩენილი კომუნისტური იდეოლოგიის გადმონაშთია, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ სურდა – აზროვნება არ გაფართოებულიყო.

დასავლეთში ასეთი კითხვა კიდევ იმიტომაც არის სრულიად იგნორირებული, რომ თანამედროვე ხელოვნების ფორმას მოსახლეობამ „უკვე ალღო აუღო" – მასამ საბოლოოდ მასშიც მოახერხა „საინტერესოს", „მომხიბვლელისა" და „გასართობის" პოვნა (წარმტაცი ზედაპირი, აღმნიშვნელთა უცნაური/სახალისო კომბინაციები და ა.შ.), მესიჯის ჩასაწვდომად კი ხალხი ანოტაციებს და „key note-ს" ენდობა და მადლიერიც არის.

კიდევ უფრო ზოგადად კი, ანუ უკომპრომისო აზროვნების ტრადიციებში, ნიცშეს ფრაზას შეგახსენებ:

„ნუ გამოქაჩავ ღვედს, რომელზეც ვინმე გყავს გამობმული, ამით ვერც შენ მიაღწევ მიზნამდე და ვერც მას მიიყვან".

ნატა ნებიერიძე: შემდეგ კითხვას უფრო საკუთარ თავს ვუსვამ იქიდან გამომდინარე, რაზეც თქვენ საუბრობდით ბოლო წერილში – სამყაროსთან ომი თუ კოლაბორაცია? თანამედროვე ხელოვნებისა და არქიტექტურის მისიები განსხვავებულია. პირველის დანიშნულება არის ომი, სწორედ თავისი პრინციპის წყალობით, ის მუდმივ დისკომფორტს უქმნის სამყაროს (აქაც ისევ ისმის კითხვა: ომი საბოლოოდ რაიმე სინთეზით უნდა დამთავრდეს? თუ სამყაროსთან ომი, მასთან ჩხუბი, მისი ფიზიკური შეურაცხყოფა, მისთვის სახეში გალაწუნება თავად არის სამყაროს შეგრძნების ერთადერთი ხელშესახები ფორმა?); ხოლო მეორე, არქიტექტურა, პირველ რიგში კომფორტის შექმნას ისახავს მიზნად. ნებისმიერი არქიტექტურული ნამუშევრის შექმნის დროს გათვლა ხდება ადამიანის მოთხოვნილებაზე კომფორტის მიმართ და მისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნაზე. ჩემთვის ძალიან რთულია ამ ორი დისციპლინის ერთად „ამუშავება", არ ვიცი როგორ შევუთავსო ერთმანეთს ეს ორი ცნება. მაგრამ მგონია, რომ ეს ჩვენი ბოლო პროექტი სწორედ ამაში გარკვევის მცდელობაა.

კომფორტი და რაციონალიზმი, ეს დაკვეთა არქიტექტურამ დროის გარკვეულ მონაკვეთზე მიიღო და სრულებითაც არ განსაზღვრავს მის ძირითად ბუნებას. ასე რომ იყოს, იგი საყოფაცხოვრებო ნაგებობებს ვერ გასცდებოდა. არანაირი საკრალურ-მონუმენტური ან აპოთეოზურ-ჰეროიკული ნაგებობების პრინციპი არ არის ინსპირირებული კომფორტის შექმნით, პირიქით, ამ ნაგებობების მიზანია ადამიანის მყუდრო ინდივიდუალურ/პერსონალური არსებობის დესტაბილიზაცია მოახდინონ, მას ზეადამიანური სივრცის იდეა გაუფორმონ, იქითკენ მიმართონ და ისეთი გარემო შექმნან, რომელიც ადამიანის აბსოლუტურთან შერწყმის წინაპირობას შექმნის.

გია ეძგვერაძე: არქიტექტურა რომ კომფორტს უნდა ემსახურებოდეს, ეს იდეა წინა საუკუნის დაახლოებით 50-იანი წლების ბოლოს, 60-იანი წლების დასაწყისში დაიბადა და, საერთოდაც რაციონალიზმის პირმშოა. არქიტექტურის ყველაზე დიდი შედეგი, სამყაროში არსებული ყველაზე ირაციონალური მოვლენა – ხეოფსის პირამიდებია. კომფორტი და რაციონალიზმი, ეს დაკვეთა არქიტექტურამ დროის გარკვეულ მონაკვეთზე მიიღო და სრულებითაც არ განსაზღვრავს მის ძირითად ბუნებას. ასე რომ იყოს, იგი საყოფაცხოვრებო ნაგებობებს ვერ გასცდებოდა. არანაირი საკრალურ-მონუმენტური ან აპოთეოზურ-ჰეროიკული ნაგებობების პრინციპი არ არის ინსპირირებული კომფორტის შექმნით, პირიქით (სწორად გამიგე, მე გასასვლელებისა და ტუალეტების კომფორტულად განლაგებას კი არ ვგულისხმობ, არამედ შთაგონებისა და შემოქმედების წყაროს და მიზეზს), ამ ნაგებობების მიზანია ადამიანის მყუდრო ინდივიდუალურ/პერსონალური არსებობის დესტაბილიზაცია მოახდინონ, მას ზეადამიანური სივრცის იდეა გაუფორმონ, იქითკენ მიმართონ და ისეთი გარემო შექმნან, რომელიც ადამიანის აბსოლუტურთან შერწყმის წინაპირობას შექმნის. მაღალი დონის არქიტექტურა ყოველთვის სულიერ ფორმას ახორციელებს, ასეთ დაკვეთებს კომფორტის იდეასთან არაფერი აქვთ საერთო – კომფორტი სხეულის ან სუსტი სულის მოთხოვნაა. გოთური, რომანული, ინდუისტური ტაძრები, ბუდისტური სტუპები, ასევე ნაცისტური არქიტექტურის სტილი (არქიტექტურის გაგაზრების შედეგი!) – მათ არაფერი აქვთ საერთო კომფორტთან.

პირამიდებს ყველაზე დიდი ომი აქვთ გაჩაღებული სამყაროსთან – დროსთან და სივრცესთან, ისინი ხომ მხოლოდ მარადისობისკენ იყურებიან (რა კომფორტზე შეიძლება იყოს ლაპარაკი).

დაახლოებით სამოცდაათიანებისა და ოთხმოციანების მიჯნიდან მოყოლებული, რაციონალობისა და კომფორტის იდეა, როგორც განმსაზღვრელი იდეა არქიტექტურაში, წარსულს ჩაბარდა, ყველა მისი მახასიათებელი საპირისპირომ შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიტექტურა სულიერი დაკვეთებისა და სულის ხილვების მოდელების ისტორიაა. ამ ხილვებს კი ყოველთვის ჩვენი შემოსაზღვრული მასშტაბის გარღვევაზე ოცნება კვებავს. არქიტექტურული სტილები გარკვეული სივრცის მოდელებია. კაცობრიობის ცხოვრების ისტორია და მისი მეტამორფოზები ადამიანის საკუთარ სტატუსზე ამაღლებისთვის ბრძოლის/ომის ისტორიაა (ანუ კომფორტის დათრგუნვის) – ნამდვილი შემოქმედება ამ ბრძოლის საშუალებაა, ხოლო მისი ფაქტობრივი შედეგები ამ ბრძოლის ამაყი რელიკვიებია.

ნატა ნებიერიძე: ჩვენი „ბაღის“ საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის მეორე აქცია მეტრო „თავისუფლების“ სადგურთან, სულ სხვანაირი გამოვიდა. თუ ვარკეთილში ჩვენმა ინსტალაციამ „შიდა ეზოს“ ხასიათი მიიღო, აქ ის სახლის სასტუმრო ოთახს უფრო გაგახსენებდათ. აქციის მიმართ ინტერესი და ხალხის ჩართულობაც ბევრად განსხვავდებოდა. თავისუფლების სადგურთან უმთავრესად ბავშვები და მოხუცები მოდიოდნენ, ვარკეთილში კი ახალგაზრდები და მოზრდილები; ვარკეთილში ეს „ბაღი“ უფრო უცხო სხეული იყო, მაგრამ ძალიან მყუდრო(?!), აქ, ცენტრში კი, კულტურას, აქციონერობას, დეკლარაციებს შეჩვეული ადამიანებისთვის, ის ნეიტრალურად აღიქმებოდა, ნაკლებად მიმზიდველი და დამაინტრიგებელი ჩანდა. გარშემო დიდი ინერტულობა იგრძნობოდა.

საინტერესოა, თუ რა განაპირობებს ქალაქის ცენტრში სხვა ენერგეტიკას, რატომ არიან ადამიანები ასე გულგრილნი? მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უფრო მეტად ახლოს არიან კულტურასთან? ესე იგი კულტურა გულგრილს ხდის?

აქედან მე მგონი სწორი დასკვნა გავაკეთე: თუ ხელოვნება მუშაობს როგორც საზოგადოებისათვის უცხო სხეული, მხოლოდ მაშინ შესწევს მას ძალა მოახდინოს გავლენა ნებისმერი ფენის ადამიანებზე, მაგრამ თუ ადამიანები მას აღიქვამენ როგორც „კულტურულ ღონისძიებას“, მაშინ გულგრილი რჩებიან და არ უჩნდებათ კითხვები.

მაგალითად, ჩემი ინდივიდუალური პერფორმანსი დედის რძით Act and Deed, რომელიც მე გუდიაშვილის სკვერში გავაკეთე – აბსოლუტურად უცხო სხეულად აღიქმებოდა, რომელსაც ვერავინ აუარა გვერდი.

ცენტრში ნებისმიერი აქცია ორმაგად მძაფრი უნდა იყოს, რომ კულტურული ცნობიერების ინერტულობა გაარღვიოს. კიდევ ერთი მომენტი, მეტრო თავისუფლებასთან კულტურული ხალხი *ხელოვნების სანახავად* მოდიოდა, გარეუბანში კი ჩვეულებრივი ადამიანები *ხელოვნების მიღმა* „არკვევდენ საქმეს“, კითხვებს სვამდნენ.

და აი, კიდევ ერთი დიდი კითხვის ნიშანი: აქვს თუ არა აზრი იმ ადამიანებისთვის რამის კეთებას, ვისაც „შიშველი მოლოდინის“ უნარი არ გააჩნია და მის გარეშე არსებობს? ვისთვისაც ხელოვნება მხოლოდ კიდევ ერთი სოციალური ტერიტორიაა, ვისაც, ასე ვთქვათ, „უსიტყვოდ ესმის“ შენი და სულაც არ არის ძნელი სიტყვების შერჩევა მათთან სასაუბროდ.

ჩვენი ინტერესის საგანი ის იყო, რომ ამ სახელოვნებო წრეებიდან საჯარო სივრცეში გამოგვეტანა „ხელოვნება“, შესაძლებელი გაგვეხადა ჩაკეტილი წრიდან მისი მოწყვეტა – ისეთ ხალხთან მიტანა, ვისაც კითხვები უჩნდება და ისეთ სიტუაციაში, რომელიც ინსპირირებს ამ კითხვების გაჩენას. მაგრამ აქ კიდევ ერთი ახალი პრობლემა გაჩნდა: ყველა მათგანს უმთავრესად კითხვის დასმისთანავე ავიწყდებოდა შეკითხვა და არ ვიცი, ეს მცდელობები რამდენად ცვლიდა მათში რაიმეს.

გია ეძგვერაძე: ყველას უნდა ახსოვდეს და, თუ არ იციან, უნდა გააცნობიერონ და მეხსიერებაში დააფიქსირონ: *თანამედროვე ხელოვნება* და *კულტურა* ბინარულად დაპირისპირებებული წყვილია. კულტურა მყუდრო სხეულია, რომელიც გამორიცხავს, უარყოფს და დევნის ინსტინქტს და დიდი სიფრთხილით ეკიდება მომავლის „უცნობს“ და „უცხოს“, – მისი უპირველესი მიზანი ხომ ეკვილიბრიუმია.

არაკულტურული, ანუ ინსტინქტის დიდი მუხტის მატარებელ გარემოს კონტრასტზე (ვარკეთილი), სადაც თვითგადარჩენის პრინციპის სამსახურში ინსტინქტი დგას (და არა კულტურა), კულტურული ტერიტორია ხელოვნურ *სამოთხედ აღიქმება – ანუ ისეთ ადგილად, სადაც დაცულობა პიროვნული ძალისხმევის გარეშე არსებობს.*

როგორც შენი დახასიათებიდან ჩანს, თქვენს აქციას უფრო *კულტურული მოვლენის* სახე ჰქონდა, ვიდრე თანამედროვე ხელოვნების. ამიტომაც ვარკეთილში თქვენ მიერ შექმნილი კუნძული, „ინსტინქტური გადარჩენის ტერიტორიასთან“ კონტრასტზე, სწორედ ამ *კულტურულ ასპექტში* გამოიკვეთა და შენმა სენსიტიურობამ სიმყუდროვის შეგრძნების ფენომენი სწორად დააფიქსირა.

თანამედროვე ხელოვნების ფენომენის ნამდვილი გზავნილის განცდა იმ შეგრძნებას ჰგავს, რომელიც გალიაში ჩაკეტილ ცხოველს გალიის ღია კარის დანახვისას აქვს. ასევე შეიძლება ეს შეგრძნება სხვა „გალიის“ მაგალითზეც გამოვთქვათ: წიგნებისა და ხელოვნების ნიმუშების ანტიკვარიატებით გატენილ და ამ ყველაფრის სუნით გაჟღენთილ ოთახში ღამე ფანჯარა რომ გაიღება და ოთახში ყოვლისწამშლელი ღამის ცა და მისი თანმყოლი მიჯნური, ღამის ჩუმი ნიავი რომ შემოვა (ამ მაგალითში ღამე იმიტომ შემოვიტანე, რომ ეს ფანჯარა ვინმემ ბუნებაში გასვლის სიმბოლოდ არ დაინახოს – ასეთი მარტივი დასკვნები ფილოსოფიაშიც კი არსებობს). ასე რომ, სულ ერთია, ეს რა ტიპის გალია იქნება – ინსტინქტებისთვის განკუთვნილი თუ კულტურისთვის.

საერთოდ საქართველოში (თანამედროვე ხელოვნების არარსებობის სიტუაციაში), უკლებლივ ყველა ოფიციალური გამოფენა სიმყუდროვისა და დაცულობის შეგრძნებას ტოვებდა და, სიმართლე ითქვას, მისი გამართვის მიზანსაც ეს წარმოადგენდა, (ალბათ დღესაც ასეა) რადგანაც ყველაფერი კულტურას უკავშირდებოდა და არასოდეს ადამიანის ცნობიერების მოსაზღვრული ფორმის დესტაბილიზაციას და ამ დესტაბილიზაციით მიღებულ ექსტატურ ინსაითს (ანუ თანამედროვე ხელოვნებას).

გალიის გაღებული კარის შეგრძნების შექმნა დიდი, ძალიან დიდი საქმეა, რომელიც თანამედროვე ხელოვნებამ ითავა და აგერ უკვე ას წელზე მეტია ამას გაუთავებელი განახლების ძალისხმევით, ფანტაზიითა და განწირულობით აკეთებს.

თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო მაგალითი შენი „დედის რძით ბიზნესის“ აქციაა. აქცია, რომელიც გარემოდან იყო ამოზრდილი, გარემოსთან უმჭიდროეს მიმართებაში იმყოფებოდა და ამ გარემოში, პირობითი, პიროვნული თუ ეროვნული „წმინდა იდეების“ (რომლებიც ჩვენში დროის მიღმა არსებულ ღირებულებებად აღიქმებიან) გალიიდან გასვლას სთავაზობდა ქართველ კაცს. ღვთაებრივი ხომ არც ქართულია და არც ირანული, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდაა და არც ჭუჭყიანი, ის ხომ არც მაღალია, არც დაბალი, არც ურწმუნოა და არც მორწმუნე, არც ცოდვილი და არც უცოდველი – ის ხომ „მხოლოდ“ *ღვთაებრივია* და ამიტომაც არის თავისუფალი(!) (ყოველგვარი განსაზღვრებისგან და მოსაზღვრულობისგან).

ასეთ, გალიის გაღებულ კარსა და სულის ვერშემდგარ დღესასწაულზე (რადგან ამ მდგომარეობის მატერიალიზაცია შეუძლებელია ადამიანურ განზომილებაში) მიგვანიშნებდა შენი აქცია და ამისკენ გვიბიძგებს თანამედროვე ხელოვნებაც.

თანამედროვე ხელოვნებაში „მცირე ცვლილებაზე“ არ არის საუბარი, ის ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ *რადიკალურ მომავალზე* მიუთითებს. „მცირე ცვლილებები“, ჩასწორებები, უკვე არსებული ტექსტების განვრცობა თუ დახვეწა, ან მათი სოციალურ სივრცეში შეტანა – ეს ყველაფერი კულტურული აქტიურობის საქმეა.

თუ ტრადიციული მხატვრობა ძირითადად ილუსტრირებდა საზოგადოებრივ სივრცეში გაფორმებულ რელიგიურ თუ საერო იდეოლოგიებს, *თანამედროვე მხატვრობა თვითონ იკვლევს რადიკალური მომავლის ფსიქოლოგიურ, საგნობრივ თუ ფსიქიკურ პარამეტრებს. ანუ იმ მომავლის, რომელიც სრულიად მოულოდნელია, არანაირად ჩვენს წარმოდგენებში არ ეწერება და ჩვენი ადამიანური აწმყოს ან წარსულის გაგძელებას არ წარმოადგენს!*

ამიტომ თქვენი აქციის შედეგი უფრო კულტურტრეგერული მისიისკენ გადაიხარა და სოციალური შრეების განათლებას, მათ დაახლოებას, მათ შორის გაგებას და ზღვრის მოშლას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე იმ იმპულსს, რომელსაც თანამედროვე ხელოვნება უნდა ატარებდეს. თქვენი აქცია სატელევიზიო ინტერვიუშიც ასე იყო წარმოჩენილი და სწორედ ამან გამოიწვია ჩემი კრიტიკა. ამ შემთხვევაში თქვენმა არტისტულმა მოქმედებებმა ჭრილობის როლი ვერ შეასრულა, კონკრეტულ ადგილას სივრცე და დრო ვერ გახლიჩა, ანუ ისეთ მდგომარეობაში არ ჩააგდო ადამიანის ცნობიერი, როცა მას საკუთარი ისტორია ავიწყდება, მისი საკუთარი მყარი ფასეულობები კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, როდესაც დროებით იხსნება იმ „აბსოლუტური უცნობის“ სივრცე, სადაც კაცი საკუთარ თავს ვერ ცნობს და ამიტომაც ებადება ჯერაც არდასმული კითხვები თავში.

> საერთოდ საქართველოში (თანამედროვე ხელოვნების არარსებობის სიტუაციაში), უკლებლივ ყველა ოფიციალური გამოფენა სიმყუდროვისა და დაცულობის შეგრძნებას ტოვებდა და, სიმართლე ითქვას, მისი გამართვის მიზანსაც ეს წარმოადგენდა, (ალბათ დღესაც ასეა) რადგანაც ყველაფერი კულტურას უკავშირდებოდა და არასოდეს ადამიანის ცნობიერების მოსაზღვრული ფორმის დესტაბილიზაციას და ამ დესტაბილიზაციით მიღებულ ექსტატურ ინსაიოს (ანუ თანამედროვე ხელოვნებას).

ეს, ამწუთს აღწერილი, ის „პოზიტიური“ ტრავმაა, რომელსაც ფროიდი და ლაკანი ადამიანის გამოღვიძების ერთადერთ შესაძლებლობად მიიჩნევდნენ და სწორედ ასეთი ტრავმის შექმნა და ადამიანისათვის მისი ჩუქებაა თანამედროვე ხელოვნების საქმე.

ნატა ნებიერიძე: მოკლედ, ძალიან ბევრ შეკითხვას უბრალოდ ვერ ვაანალიზებ და ვერ ვაყალიბებ. ალბათ ეს წერილიც ძალიან არეული გამომივიდა. იმედი მაქვს, თქვენი პასუხი დამეხმარება მათ გააზრებაში, გაანალიზებასა და სწორი ნიშის პოვნაში. ერთი რამე კი ნამდვილად ძახარეს: ამ პროექტის წამოწყება მარტო იმის გამო ღირდა, რომ ეს კითხვები გაჩნდა, და ის კატორლული შრომა, რომელიც მასზე მუშაობისას გავწიეთ (და რომელიც დღესაც გრძელდებ), ფუჭი არ აღმოჩნდა. თანამედროვე ხელოვნების აზრიც ხომ ამ კითხვების გაჩენაშია!

გია ეძგვერაძე: ყველა ადამიანის, ვისაც უცნობისა და უზოგადესის შემეცნების რაიმე ნიჭი გააჩნია და ავთენტიკური რელიგიური განცდისკენ მიისწრაფვის (რელიგიური ინსტიტუციის კანონებისა და „ცოდნისკენ“ სწრაფვას არ ვგულისხმობ), ვისაც შვება, დაცულობა და შეწყალება კი არ სურს, არამედ წარსულისა და აწმყოს გაუქმება სწადია, რათა მხოლოდ უწყვეტად მომდინარე მომავლის ტალღების ნაკადს ერთხელ და სამუდამოდ შეერწყას, ასეთ გზაზე მდგომ კაცს რუმის ფასდაუდებელ სიტყვებს ვთავაზობ: „გაყიდე შენი თავდაჯერებულობა და შეიძინე უსაზღვრო შეცბუნება“.

ეს სიტყვები საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სიმბოლური რიგის კონოტაციებისგან რომ გაიწმინდოს და თავის რეალურ ბრწყინვალებაში წარმოჩინდეს, ვრცელ კომენტარს ითხოვს. მაგრამ ამაზე სხვა დროს იყოს, იმედია, ამის შესაძლებლობაც მოგვეცემა.

შენი უსასრულო კითხვები და ეჭვები იმედს მაძლევს, რომ ამ ღვთაებრივი „შეცბუნების“ მადლს დრო და დრო შენც გრძნობ; იმ შეცბუნებისა, რომლისთვისაც იბრძვის და რომელსაც ასე გულუხვად გვჩუქნის თანამედროვე ხელოვნება.

ნატა ნებიერიძე: ალბათ ჯობია ამით დავამთავრო ეს წერილი. უკაცრავად, რომ ასე დავაგვიანე მოწერა. გიგზავნით ჩვენი პროექტისთვის შერჩეულ ორ ტერიტორიაზე გადაღებულ რამდენიმე ფოტოს. საუკეთესო მოკითხვებით, დაბნეული ნატა.

ბაღი თავისუფლების მოედანზე. ნუცი ნებიერიძის და ნიკა ლეჟავას კონცერტი. ანი ჩორგოლაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიხუანა – მაცდური მაგია

ავტორი: ირმა კახურაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

ის ყველაზე სადავო და ყველაზე გავრცელებულია ნარკოტიკებს შორის. ევროპული ქვეყნების ნაწილი თანახმაა მის ლეგალიზაციაზე, ნაწილი კი ამ პროცესს დღესაც ჯიუტად ეწინააღმდეგება. კანონი უძლურია მისი აკრძალვისას, ხოლო იქ, სადაც აკრძალვა მაინც მოქმედებს, მოსახლეობა რიკოშეტის ეფექტის მუდმივ მოლოდინშია. ის უმსუბუქებს ტკივილს სიმსივნით დაავადებულებს, იმავდროულად, მის ანტიკამპანიებზე ყოველწლიურად მილიონობით დოლარი იხარჯება. ამ ნარკოტიკის მოყვარულები იყვნენ და არიან ასტროფიზიკოსი და ეგზობიოლოგიის „მამა“ კარლ საგანი, კორპორაცია Apple-ს დამაარსებელი სტივ ჯობსი, ნობელის პრემიის ლაურეატი და ჰუმანისტი ალბერტ აინშტაინი, ატომური ბომბის დამპროექტებელი რიჩარდ ფეინმანი, საძიებო სისტემა Google-ის ერთ-ერთი გამომგონებელი სერგეი ბრინი, სადღეღამისო სიახლეების – CNN-ის ფუძემდებელი ტედ ტერნერი და სხვანი, ვისთვისაც ის შთაგონების წყაროდ იქცა. მარიხუანა – სხვადასხვა ხელისუფლების თავისტკივილი და მკვლევართა თაობების ლუპის ქვეშ მოქცეული ხასხასა მცენარე, რომლის არარეალურ პოპულარობაზე მისი სინთეტიკური კლონებიც მიგვანიშნებს.

ელიტარული ნარკოტიკი ქართველი მეფეებისთვის

პირველ არქაულ ჩანაწერებს კანაფის (კანაბისის) შესახებ აღმოსავლურ კულტურაში ვხვდებით. მას უპატიოსნეს – ტკივილგამაყუჩებელ, ანტიეპილეპტიკურ, კრუნჩხვისა და რევმატიზმის საწინააღმდეგო საშუალებად მოიხსენიებენ. რაც შეეხება ნარკომომხმარებლებისა და გამსაღებლების კანონმდებლობით დევნას, ის სათავეს XII საუკუნიდან იღებს. სწორედ ამ პერიოდში ეკლესია კანაბისის გამოყენებას ესპანეთში, შემდგომ კი საფრანგეთშიც კრძალავს. ასე ილახება „ჯადოსნური მცენარის“ იმიჯი.

საქართველო ნარკოტიკების, მათ შორის კანაფის ნაირსახეობიდან მიღებული მარიხუანის მწარმოებელ ქვეყნად არასოდეს განიხილებოდა. თუმცა ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ყოველთვის არსებობდა იმის რისკი, რომ ქვეყანა ნარკოტრანზიტის ძირითად გზად არ ქცეულიყო. ეს რაც შეეხება უკანასკნელი წლების რეალობას, შორეულ წარსულში კი ქართველებისთვის ნარკოტიკების მოხმარება აქტუალურ-პრობლემური არასოდეს ყოფილა. ამას ისტორიულ წყაროებში ასახული ინფორმაციული სიმნირეც ადასტურებს. თრიაქის მოხმარების შემთხვევებს ჟამთააღმწერელნი სულ ორჯერ ახსენებენ. პირველი ცნობა XIII საუკუნის დასაწყისში გამეფებულ ლაშა გიორგისთან დაკავშირებით ჩნდება, მეორე – XVI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართლის მეფეს, სვიმონ პირველს უკავშირდება. როგორც ჩანს, გასულ საუკუნეებში თრიაქი საქართველოს ზედა ფენების თავშესაქცევი უფრო იყო, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, „ელიტარული“ ნარკოტიკი მათთვის, ვისაც აღმოსავლურ სამყაროსთან რაიმე – სამხედრო, პოლიტიკური თუ კულტურული კავშირი ჰქონდა. საინტერესოა, რომ წყაროებში მოხსენიებული თრიაქის მოხმარების ორივე შემთხვევაში ჟამთააღმწერელთა დამოკიდებულება მომხმარებელთა, ანუ მეფეების მიმართ ხაზგასმით უარყოფითია.

თსუ-ის პროფესორი, ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე ამბობს, რომ ჟამთააღმწერელი გიორგი IV-ს თანამოასაკე ახალგაზრდებთან ზედმეტად დაახლოებას სდებდა ბრალად. იმ დროისათვის მეფე დიდ დროს ატარებდა რინდებთან, რომლებიც სუფიზმს იზიარებდნენ და რელიგიებისადმი ღრმა მორჩილების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ღმერთთან დაახლოების გზად მათ ექსტაზი მიაჩნდათ. ექსტაზი კი ნარკოტიკული თრობით მიიღწეოდა. სუფიური სწავლების ცენტრალური დოქტრინაც ასეთი გახლდათ – „იყო ამ ქვეყანაზე, მაგრამ არა ამ ქვეყნისა“. რამდენადაც ლაშა-გიორგი თავისუფალი აზროვნების და ყოფაქცევის კაცი იყო, ელტვოდა ბოჰემურ ცხოვრებას და რინდებსაც თავგამოდებით იცავდა, მოწინააღმდეგენი მას ლოთობას და მრუშობას სწამებდნენ. ჟანმთააღმწერლის აზრით, რინდებთან მეგობრობა მეფისთვის სრულიად უჩვეულო და მიუღებელი საქციელი იყო.

სვიმონ მეფესთან დაკავშირებით თრიაქი უფრო ინტენსიურად მოიხსენიება, მაგრამ რა გასაკვირია – მეფე მას ირანში მრავალწლიანი პატიმრობის დროს მიეძალა, შეეჩვია და პირიქით რომ ყოფილიყო, დაუჯერებელიც იქნებოდა. ტყვეობაში ჩავარდნილ სვიმონ პირველს არაადამიანურმა ზეწოლამ, ძმის გამუსლიმანებამ და მრავალგზის გადატანილმა უთანასწორო ბრძოლებმა, ხასიათი შეუცვალა. ცნობილია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის მეფე ალამუტის ციხეში 1569 წლიდან 1578 წლამდე იყო გამოკეტილი. ალამუტის ციხესიმაგრე კი ჰაშიშინების (ასასინების) დაარსებული იყო. ჰაშიშინები კამიკაძეები და ქილერები იყვნენ და მათ მამოძრავებელ ძალად ჰაშიში მიიჩნეოდა. ჰაშიშის რამდენიმე ულუფის შემდეგ ადამიანი მთლიანად დამოკიდებული ხდებოდა მისთვის შემდეგი დოზის მიმცემზე.

მემატიანე ამბობს, რომ თრიაქმა იმდენად შეცვალა ქართლის მეფის ხასიათი, რომ ყიზილბაშებიც კი „გიჟ სიმონს“ ეძახდნენ. მის ფსიქიკაში მოულოდნელი ქცევები იჩენდა ხოლმე თავს და ბრძოლაშიც უცნაურობებით სავსე მოწინააღმდეგე იყო.

1578 წელს ოსმალებმა ირანთან დადებული ზავი დაარღვიეს და ირანის შაჰმა გადაწყვიტა ტყვეობიდან გამოეშვა სიმონი, რათა მას ორგანიზება გაეწია ქართული ჯარისთვის და ოსმალებს შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ თრიაქმიღებულ ქართველ მეფეს გორის აღებისას უსიამოვნო რამ შეემთხვა. ისტორიულ წყაროებში მოთხრობილი, ერთ-ერთი ბრძოლის წინ გორისჯვარაზე თრიაქნამთვრალევმა მეფემ მწვანე ხახვი როგორ მოისურვილა. ამ სულელური სურვილის ასრულებას რამდენიმე ქართველი შეეწირა, რადგან მტერს ბოსტნებში გადასული მეომრები დაუნახავს და შეტევაზე გადასულან: „მაშინ დაგმეს მეფე ს მონ უჭკუობაზედ, რომ მწუანილისათთს ამდენი კარგი კაცი ამოსწყ ტეს, და ამას ურუმნიცა და ყიზილბაშნიცა დელუ-ს მონს ეძახდენ, რომელი ითარგმანების ხელი ს მონ ელმწიფე“.

„რაც შეეხება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას, კანაფი ძალიან ბევრ რეგიონში ხარობდა და მას კულინარიაში გამოიყენებდნენ ხოლმე. მაგალითად, სვანეთში მცირე რაოდენობით საკმაზის სახით. საკვებს ის მეტ არომატს სძენდა. სხვა დანიშნულებით, ვთქვათ, ფიზიკური სიამოვნების მისაღებად, ნაკლებად აინტერესებდათ, კანაფი უცხო იყო ჩვენი ბუნებისათვის. მით უფრო, რომ თრობისა და დროსტარების საშუალებად ქართველებისთვის პირველი ადგილი ყოველთვის ღვინოს ეკავა. ჩვენს კლიმატურ პირობებში ღვინო გაცილებით იოლი მოსანელებელი იყო, ისევე, როგორც რუსეთში – მძიმე სპირტიანი სასმელი, არაყი. ისლამი კი ღვინოს არა მხოლოდ რელიგიური შეხედულებების გამო კრძალავდა, არამედ იმიტომაც, რომ მისი დიდი რაოდენობით მიღება ცხელ კლიმატში ადამიანისათვის რთული ასატანი იქნებოდა. ცნობილია, რომ ალკოჰოლის მიღებისას სხეულის ტემპერატურა იზრდება, ნარკოტიკის მიღებისას კი იკლებს. ამიტომაც მცირე რაოდენობის თრიაქს მეუდაბნოები, მექარავნეები ხშირად ატმოსფეროსთან მიმართებაში სხეულის ტემპერატურის დასარეგულირებლად იღებდნენ“ – აზუსტებს ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე.

საინტერესოა, რომ მარიხუანის მოყვარულთა უმრავლესობა მას ეპიზოდურად ეწევა, შემთხვევიდან – შემთხვევამდე და მხოლოდ 1% მოიხმარს ყოველდღიურად. ამიტომ მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრეები და მწეველთა უფლებების დამცველნი ხშირად აპელირებენ იმით, რომ მისი მოწევით ჯერ არავინ გარდაცვლილა.

კარადის თავზე გადამალული სიამოვნება

კანაფის თესვისა და მოყვანის ტრადიცია საბჭოთა საქართველოშიც იყო. მართალია, ქართველ მთესველ-მომყვან პიონერთა ვინაობა დღეს აღარავის ახსოვს, მაგრამ ფაქტია, რომ ბოჰემურ წრეებში „პლანის“ მოწევა მოდური მას მერე გახდა, რაც მოსახლეობამ ხრუშჩოვის კულტი უარყო და „კოკა-კოლაც“ პირველად დააგემოვნა. ეს კი გასული საუკუნის 60-იანების გარიჟრაჟი გახლდათ. აი, სტატისტიკაც – 1956-1960 წლებში კანაფის ნათესებს საბჭოეთის მასშტაბით 430 000 ჰექტარი ეკავა და მისი მომრავლებისთვის კანონით კი არ სჯიდნენ, სოციალისტური შრომის გმირის წოდებასაც ანიჭებდნენ.

საბჭოთა კავშირში კანაფის წარმოება მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, რის გამოც ის გულუხვად მოჰყავდათ არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, არამედ უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიაზე. მოსკოვში, „ვედეენხას“ ცენტრში, ახლაც ნახავთ 1954 წელს აღმართულ შადრევანს რიგითი სახელწოდებით „ხალხთა მეგობრობა“, რომლის კომპოზიცია ამაყად წარმოაჩენს ხორბლის თავთავებს, მზესუმზირას ყვავილებსა და... კანაფის ღერო-ფოთლებს. ასევე, საინტერესო უნდა იყოს ის, რომ 1931 წელს პოლიტბიუროს თერთმეტჯერ უხსენებია კანაფის მომრავლების საკითხი, რამაც ექო არცთუ შორეულ წარსულში, კერძოდ, მიხეილ გორბაჩოვის პერიოდშიც ჰპოვა – „მშრალი კანონის“ შემოღების შემთხვევაში, მარიხუანის წარმოებას ისტორიული მაქსიმუმისთვის უნდა მიეღწია...

ამით მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ მარიხუანის ხელმისაწვდომობის პრობლემა დღის წესრიგში პრაქტიკულად არ მდგარა. უფრო პირიქით, ოფიციალური შეზღუდვების მიუხედავად, მას ყოველთვის ახარებდნენ იქ, სადაც მზის სხივი აღწევდა – ჭარბტენიან მინდვრებსა და ყანებში, სახურავებსა და სხვენებში, მაღალსართულიანი ბინების დახურულ აივნებსა და სათბურებში, სოფლად თუ ქალაქად, ყველგან, სადაც არსებობდა სოციუმი, რომელიც ნებაყოფილობით გამოთქვამდა სურვილს მისი საშუალებით ზემოქმედება მოეხდინა საკუთარი ორგანიზმის მენტალურ, ემოციურ და ფიზიკურ ფუნქციებზე.

ამასობაში, სამოციანი წლების ბოლოს, ბევრი საბჭოთა მოქალაქისათვის სანატრელ და შორეულ ამერიკაში მარიხუანის მოხმარებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ის ახალგაზრდული მოძრაობების, საზოგადოებაში ფსიქოლოგიური

ატმოსფეროს გაუმჯობესებისა და თავისუფლების სიმბოლო გახდა. მაგრამ ყინული მაინც ვერ გალღვა და მარიხუანა კანონგარეშე დარჩა, მეტიც, მისი შენახვა-ტრანსპორტირებისთვის უამრავი ცნობილი ადამიანი ციხეში აღმოჩნდა და არა მხოლოდ ამერიკაში.

31 წლის თბილისელმა დიტომ მარიხუანა პირველად 16 წლის ასაკში დააგემოვნა, ოთხ წელიწადში კი ჰეროინის დიდი დოზის მიღებაზე გადავიდა:

„საქართველოში „პლანი" კომუნისტების დროს თბილისის ბევრ უბანში იყიდებოდა, მაგრამ რადგან მისი ბიზნესი ნაკლებად შემოსავლიანი და თან სარისკო იყო, მაინც და მაინც, კრიმინალური წარსულის გამყიდველ-მყიდველებიც არ ჰყავდა.

„პლანის" მოყვანა ქალაქგარეთ ყოველთვის უფრო ადვილი იყო, განსაკუთრებით ეზოიან სახლებში ან ყანებში, სადაც ის გაზაფხულზე ითესებოდა. მოსავლის აღება უპრობლემოდ შეიძლებოდა. კანაფი მზისგან იღებს ენერგიას და თუ მზე არ უდგება, ჩვეულებრივი მცენარე იზრდება – მისგან ბაწარი თუ გამოვა, გემოც „ტრუხა" ექნება. თუ მარიხუანა სხვენში ან სარდაფში მოგყავს, ულტრაიისფერსხივებიანი ნათურის ქვეშ უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში.

პირადად მე, კახეთში ჩავდიოდი ხოლმე, სადაც რამდენიმე მეგობარს მარიხუანის ნაკრძალი გვქონდა. ერთ ადგილობრივ მცხოვრებს თესლით ვამარაგებდით, ის კი გაზრდილს გვახვედრებდა და ჩვენი პატივისცემის სანაცვლოდ, უკან ასანთის ან სიგარეტის კოლოფებში დაფასოებულს გვიბრუნებდა. ყოველ შაბათ-კვირას კახეთიდან „მოსავალი" მოგვქონდა და ეს ქალაქგარეთ გასვლის, გართობის ერთ-ერთი მიზეზთაგანიც იყო. სახლში კი, უამრავი ქართველის მსგავსად, „პლანს" ჩემი ოთახის კარადის თავზე ვინახავდი, სადაც დაობება არ ემუქრებოდა.

ერთხელაც, არ გაგვიმართლა და კახეთიდან გზად პოლიციამ დაგვაკავა. მოსაწევი სიგარეტის კოლოფით მოგვქონდა და გრამაჟით ეს დიდ ოდენობად ითვლებოდა. ორი თვე ციხეში ვიჯექი. მერე, 5 000 ლარის სანაცვლოდ, რომელიც მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა კაპიკ-კაპიკ ამიგროვეს, საპროცესო შეთანხმება გამიკეთეს და 5 წელი პირობითი მომცეს. ასე გავხდი პრობაციონერი და რომ არა საპროცესო შეთანხმება, 6-წლიანი სასჯელის მოხდა არ ამცდებოდა. მაშინ ნარკოტიკების მოხმარებაზე 6-დან 12 წლამდე გაძლევდნენ. პრობაციაში კვირაში ერთხელ უნდა გამოვცხადებულიყავი და ხელი მომეწერა. არადა, 400 ლარი რომ გადამეხადა, თვეში ერთხელ მომიწევდა მისვლა. თუ საზღვარგარეთ წასვლა დამჭირდებოდა, პრობლემა არ იყო, 2 ათასი ლარის სანაცვლოდ გამიშვებდნენ. გამოდის, რომ ის, ვინც სახელმწიფოს თანხას უხდიდა და უხდის, შეუძლია ნებისმიერი ნარკოტიკი ნებისმიერ დროს მოიხმაროს, რადგან საპროცესო გარიგების და თავისუფლების იმედი აქვს".

ამჟამად დიტო ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის ბენეფიციარია. მარიახუანაზე უარის თქმის შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეროინის, მერე კი კუსტარული ნარკოტიკების მოხმარებაზე გადავიდა, რითაც საბოლოოდ დაამსხვრია მითი იმის შესახებ, რომ მარიხუანას მწეველი არ გადადის უფრო მძიმე ნარკოტიკების მიღებაზე. დიტოს აზრით, ადრე თუ გვიან, მარიხუანას ადრენალინს ნაჩვევი ორგანიზმი მაინც გიბიძგებს რომელიმე ნარკოტიკისკენ. ამიტომ მარიხუანის განცალკევება სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან და მხოლოდ მის დეკრიმინალიზაციაზე ფიქრი, არასწორია. მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკია, რომელიც თავის ტვინის ქერქს აზიანებს.

„ნარკოლოგებისგან და ფსიქოლოგებისგან ბევრჯერ მსმენია, რომ მარიხუანა ფსიქიკას ანგრევს. მას არ აქვს აბსტინენციის („ლომკის") სინდრომი, მაგრამ იწვევს გვიან ფსიქოზს, რომელიც წლების მერე იჩენს თავს და ასევე, ძლიერ ფსიქოლოგიურ, არანაკლებ მტანჯველ დამოკიდებულებას. მართალია, ბევრი რამ ადამიანის ინდივიდუალურ ფიზიოლოგიურ მონაცემებზეა დამოკიდებული, მაგრამ იმის მტკიცება, რომ მარიხუანა უსაფრთხო ნარკოტიკია, ნამდვილი სისულელე იქნებოდა", – ამბობს დიტო.

მარიხუანის სამედიცინო პერიპეტიები

არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ მარიხუანა სასიკვდილო მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ადამიანი ერთბაშად ასობით „შეკეთებულს" მოწევს. ამ შემთხვევაშიც სიკვდილის მიზეზი არა ნარკოტიკული ნივთიერებით ზედოზირება, არამედ ნახშირჟანგით მოწამლვა იქნება. ამიტომ ბევრი „ქეში" მიიჩნევს, რომ მარიხუანით მიღებული ზიანი „მძიმე" ნარკოტიკებთან შედარებით იგივეა, რაც ასანთის ღერისა და დინამიტის ეფექტის გათანაბრება.

ამ მოსაზრებას ნარკოლოგების ნაწილიც ემხრობა. საინტერესოა, რომ მარიხუანის მოყვარულთა უმრავლესობა მას ეპიზოდურად ეწევა, შემთხვევიდან – შემთხვევამდე და მხოლოდ 1% მოიხმარს ყოველდღიურად. ამიტომ მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრეები და მწეველთა უფლებების დამცველნი ხშირად აპელირებენ იმით, რომ მისი მოწევით ჯერ არავინ გარდაცვლილა. მარიხუანის მცირე დოზებით მოხმარება იწვევს გახსნილობას, ხასიათის გამოკეთებას, დროის შეგრძნების დაკარგვას, ამძაფრებს ვიზუალურ მგრძნობელობას, არის დეპრესიის წამალი. მისი მომხმარებლები, როგორც ამბობენ, ნაკლებად ავადობენ სიმსივნეებით. მარიხუანა ებრძვის ათეროსკლეროზს, ააქტიურებს ადამიანს სექსის დროს და კოფეინზე გაცილებით უსაფრთხოა, რადგან ყავა უფრო სწრაფად იწვევს დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ვიდრე მარიხუანა. მარიხუანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლუსი კი იმაშია, რომ მას არ მოიხმარენ ინტრავენურად. შესაბამისად, მისი საშუალებით არ ვრცელდება სიცოცხლისთვის საშიში სხვადასხვა ინფექციები.

> მარიხუანა საკმაოდ ტოქსიკურია ნერვული უჯრედისთვის, რომლის აღდგენაც არ ხდება, მაგრამ ამ მხრივ გაცილებით უარყოფითი შედეგის მომტანია მარიხუანის სუროგატი, ე.წ. „ბიო". ბიოსთან დაკავშირებული მომართვიანობის ზრდას ბევრი ქართველი ნარკოლოგი ადასტურებს. ამ ნარკოტიკის მომხმარებლები უმეტესად ახალგაზრდები არიან.

1972 წელს ნარკოტიკების მოხმარების აშშ-ის ნაციონალურმა კომისიამ, სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, ოფიციალურად განაცხადა, რომ მარიხუანა არ არის ბოლომდე უსაფრთხო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ის არც ისეთი საშიშია, როგორც აქამდე ეგონათ.

მარიხუანის სასარგებლოდ მეცნიერულად დამტკიცებული ბოლო მონაცემები 2012 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა წარმოადგინეს. 5000 პირზე 20-წლიანი (!) დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ იმ ადამიანის ფილტვები, რომელიც კვირაში ერთხელ მოიხმარდა მარიხუანას, გაცილებით ჯანსაღ მდგომარეობაში იყო, ვიდრე თამბაქოს რიგითი მომხმარებლებისა.

ნარკოლოგ ნიკოლოზ კაპანაძის თქმით (კლინიკა „ურანტი"), მარიხუანით გამოწვეული პრობლემების გამო მისთვის არასოდეს არც ერთ პაციენტს არ მიუმართავს. ქართველი ნარკომომხმარებლები მარიხუანას ნარკოტიკად საერთოდ არ აღიქვამენ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კანონმდებლობით 2002 წლიდან ის ნარკოტიკების სიაშია შეყვანილი.

„როდესაც პაციენტებს ვეკითხები, პირველად რომელ ნარკოტიკს გაუსინჯეს გემო, 70% მპასუხობს, რომ ეს მოზარდობაში მოწეული მარიხუანა იყო. მაშინ მარიხუანის ეფექტმა მათში ინტერესი აღძრა და ზოგი სხვა ნარკოტიკების მოხმარებაზე გადავიდა, ზოგიც მის ერთგულ მომხმარებლად დარჩა. მარიხუანას „სუსტი" ნარკოტიკების კლასს მხოლოდ იმიტომ აკუთვნებენ, რომ ის არ იწვევს ძლიერ ფიზიკურ დამოკიდებულებას და მკვეთრად გამოხატულ აღკვეთის („ლომკის") სინდრომს. მისი სისტემური მოხმარებისას ყალიბდება ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანი ეიფორიის ეფექტს მისი მრავალჯერადი მოხმარების შედეგადაც არ იღებს, ბევრი რამ ხომ ჩვენს ფიზიკურ კონსტიტუციაზეცაა დამოკიდებული... მაგალითად, თუ ადამიანი ფსიქოპატია, ის ალკოჰოლური ზემოქმედებისა და მარიხუანის ქვეშაც ფსიქოპათია. უბრალოდ, შესაძლოა მოდუნებული მდგომარეობა არ აძლევდეს ამის გამოხატვის საშუალებას.

ფაქტია ისიც, რომ მარიხუანის ხანგრძლივი მოხმარება იწვევს კრიმინალური ქცევის გაზრდას. ჩნდება ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური სტატუსების გაუარესების რისკი. სტაჟიანი მწეველები სხვა ნარკომომხმარებლებივით ჰყიდიან ნივთებს, ქურდობენ ან მარიხუანის თესვა-მოყვანა მათი ყოველდღიური ცხოვრების წესი ხდება და ამის გამო აპატიმრებენ.

მარიხუანის აქტიური მოხმარება არცთუ უწყინარია. მისი შედეგებია: ფსიქოზის ჩამოყალიბება, გუნება-განწყობის მერყეობა, ცვალებადობა, მეხსიერების დარღვევები. ის გავლენას ახდენს გონებრივ და ფიზიკურ რეაქციაზე, არღვევს კოორდინაციას და მოქმედებს აბსტრაქტული აზროვნების უნარზე. მარიხუანის ხანგრძლივი მოხმარება იწვევს ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს. განსაკუთრებით საშიშია გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს – იწვევს არტერიული წნევის მომატებას, ტაქიკარდიას, გულისცემის გაძლიერებას, რეპროდუქციული სისტემის მხრივ მამაკაცებში ტესტოსტერონის შემცველობის შემცირებას, ქალებში — ოვულაციისა და განაყოფიერების უნარის დარღვევას".

ნიკოლოზ კაპანაძე აღნიშნავს, რომ მარიხუანა საკმაოდ ტოქსიკურია ნერვული უჯრედისთვის, რომლის აღდგენაც არ ხდება, მაგრამ ამ მხრივ გაცილებით უარყოფითი შედეგის მომტანია მარიხუანის სუროგატი, ე.წ. „ბიო". ბიოსთან დაკავშირებული მომართვიანობის ზრდას ბევრი ქართველი ნარკოლოგი ადასტურებს. ამ ნარკოტიკის მომხმარებლები უმეტესად ახალგაზრდები არიან. „ბიოს" პოპულარობას მისი დაბალი ღირებულების გარდა ისიც განაპირობებს, რომ ნარკოტესტის მეშვეობით ორგანიზმში მისი აღმოჩენა ვერ ხერხდება. ეიფორიაც განსხვავებული აქვს და მოკლე დროში (3-6 თვეში) იწვევს გაცილებით მძიმე ნევროლოგიურ დაზიანებებს, მათ შორის მძიმე ფსიქოზს, თირკმელების უკმარისობას და პარანოიას (თრობის გამომწვევი სუბსტანცია სინთეტიკური მეთოდით მზადდება და ეპკურება მცენარის ნაწილებს, რათა ის მარიხუანის შთაბეჭდილებას ტოვებდეს).

„შესანიშნავი ბიჭი", „მოცინარი ძაღლი", „წინაკა", „ოქრო გალაქტიკიდან" და სხვა სახალისო სახელწოდებებს ამოფარებული „სპაისები" სინთეტიკურად ფსიქოაქტიური ნივთიერებების – კანაბინოიდების ნარევს წარმოადგენენ. ასეთი ნარევი ჩაის ან მოსაწევის სახით იწვევს ნარკოთრობას, რომელმაც სრულიად მოულოდნელად შეიძლება ადამიანი ინფარქტამდე ან ინსულტამდე მიიყვანოს.

მსოფლიოში უამრავი ნარკოექსპერტი მიიჩნევს, რომ მარიხუანის გონიერ ფარგლებში დაშვება სწრაფად განდევნის ბაზრიდან მის სინთეტიკურ ჩამნაცვლებელს. თუმცა დიდ ბრიტანეთში პრეპარატ „მეფედრონის" (ფსიქოსტიმულატორი, „ექსტაზის" ლეგალური ალტერნატივა) აკრძალვის შემდეგ, ავტორიტეტულმა სამედიცინო ჟურნალმა Lancet-მა კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ახალი ნარკოტიკების აკრძალვა პრიმიტიული და არაპროდუქტიული მეთოდია. უმჯობესია, ახალგაზრდებზე ზემოქმედების სხვა მექანიზმები ამუშავდეს, ვთქვათ, განემარტოთ ის პრინციპული ზიანი, რომელიც ქიმიურად აქტიური ნივთიერებებით ადგებათ.

ვიდრე ბიონარკოტიკთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება კანონმდებლობას ცვლის, აშშ-ი უკვე განგაშს ტეხენ. ამჟამად ის 20 შტატში აიკრძალა. 2012 წლის მონაცემებით, სინთეტიკურმა მარიხუანამ უფროსკლასელებში მოხმარების სიხშირით მეორე ადგილი დაიკავა.

რევოლუციური კანონცვლილებების მოლოდინში

ნარკოპოლიტიკის გლობალურმა კომისიამ (მის შემადგენლობაში შედიან გაეროს ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნები) 2011 წელს მსოფლიო ქვეყნებს ნარკოტრაფიკთან ბრძოლის ფარგლებში რეკომენდაცია გაუწია სამართლებლივ რეგულაციებში ექსპერიმენტის სახით დაეშვათ ზოგიერთი ნარკოტიკული ნივთიერების ლეგალიზაცია. მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას გადახედა. თუმცა, ამ მხრივ, საქართველომ გლობალური კომისიის მოთხოვნას გაუსწრო და დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებულ პირველ საკონმდებლო ცვლილებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო.

მიმდინარე წლის ივნისში კარგა ხანს თველოს დედაქალაქში მარიხუანის დეკრიმინალიზაციისადმი მიძღვნილ აქციაზე დასწრების სურვილი სოციალური ქსელების მეშვეობით 10 000-მდე მოქალაქემ გამოთქვა, მაგრამ დათქმულ დროსა და ადგილას თავისუფლებასთან ასოცირებული ქაღალდის თვითმფრინავი მხოლოდ ხუთასამდე აქციის მონაწილემ გაუშვა. იმავე სოციალურ ქსელებში აქტივობა პარლამენტთან, რომლის მიზანი სულაც არ იყო მარიხუანის პოპულარიზაცია, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა თაობების დაღუპვის ირიბ მცდელობად შეაფასა.

საინტერესოა, რომ აქციის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელიც ნარკოტიკების კატეგორიზაციას ეხება, არ ეთანხმებიან სხვა ნარკომომხმარებლები. შეგახსენებთ, რომ ბოლო მონაცემებით, პრობლემურ ნარკომომხმარებელთა რიცხვი საქართველოში 45 000. მათი აზრით, მარიხუანის გამოყოფა და მისი ლობირება განცალკევებით სხვა ნარკოსაშუალებისგან, უსამართლოა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეპა პლიუსის" (ორგანიზაციის წევრები ნარკოტიკების ყოფილი მომხმარებლები არიან) ხელმძღვანელი კოტე რუხაძე მიიჩნევს, რომ მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკია, რომელიც შეიცავს ტეტრაჰიდროკანაბინოლს, მას კი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. „ეს უდავოა და აქედან გამომდინარე, თუ საზოგადოება მოითხოვს გონივრული ოდენობის ადმინისტრაციული ჯარიმების დაწესებას და სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობის მოხსნას, ასეთი მიდგომა უნდა ვრცელდებოდეს როგორც მარიხუანის, ისე სხვა სახის ნარკოტიკების მომხმარებელზე. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ნარკოტიკზეა დამოკიდებული, ერთნაირად საჭიროებს თანადგომასა და დახმარებას".

თუ როგორ განვითარდება ქართული ნარკოპოლიტიკა, ამ თემაზე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარებში გააფთრებით მსჯელობენ და ერთადერთი, რაშიც თანხმდებიან, ის არის, რომ რეპრესიული პოლიტიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი მექანიზმი უნდა გაითიშოს, ნარკომიდგომა გახდეს ორიენტირებული არა ადამიანის დასჯაზე, არამედ მის მკურნალობა-რეაბილიტაციაზე.

საექსპერტო წრეებში ამჟამინდელ კანონპროექტს, რომლის შეჯერებასაც რამდენიმე სამინისტრო აქტიურად ცდილობს, რევოლუციურს უწოდებენ. ახალი ინიციატივა არა მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს, არამედ განსაზღვრავს არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ოდენობებს და სამართლებლივად მიჯნავს ნარკოტიკების ფლობას პირადი მოხმარებისა თუ გასაღების მიზნით. რასაკვირველია, საუბარი არაა ნარკოტიკების არც ერთი სახეობის ლეგალიზაციაზე, რასაც კანონშემოქმედები ხაზგასმით აღნიშნავენ.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ხელმძღვანელი, კახაბერ კვაშილავა აზუსტებს, რომ არასამთავრობო სექტორის მოთხოვნაა 273-ე მუხლის დეკრიმინალიზაცია და არა ლეგალიზაცია. „ლეგალიზაცია ნიშნავს ნების მიცემას, რაც დღევანდელ პირობებში დაუშვებელია. ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადმინისტრაციული სასჯელის მომხრე ვართ, მაგრამ არც მისი დამძიმება გვსურს, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი მოითხოვს. როდესაც ნარკომომხმარებელი 2 000 ლარით ჯარიმდებოდა, მხოლოდ სახელმწიფო ყულაბა ივსებოდა. ამიტომ 3 500 ლარამდე ჯარიმის გაზრდა არალოგიკურ ქმედებად მიგვაჩნია. ჩვენ ვემხრობით კანონცვლილების იმ ვერსიის, რომელიც პირველ მოხმარებაზე გაფრთხილებას, შემდეგ კი 150-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს“.

აქვე შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში ყველაზე ეფექტური და ჰუმანური ზიანის შემცირების მიდგომა აღიარებს, რომ უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად, ადამიანები მაინც აგრძელებენ სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებას. ამიტომ ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის აუცილებელია იმ ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარებასთან ასოცირებული რისკებისა და ამით გამოწვეული ზიანის შემცირებას.

საქართველოში მაღალი ჯარიმების დაწესებას არც სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე მიესალმება. ნარკოტიკების მომხმარებელი სუსტი რგოლია და მის სისხლში ან ჯიბეში აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალებების გამო, ციხეში არ უნდა გამწესდეს. სამაგიეროდ, ახალი კანონპროექტი დაუნდობელია ნარკოსაშუალებების გადამყიდველთა და შემომტანი-გამტანების მიმართ: „ცვლილებების პაკეტი უკვე მზადაა და ვიმედოვნებ, რომ ის ევროპულ ოჯახთან გაგვათანაბრებს. პაკეტი მოიცავს რამდენიმე ძირითად საკითხს: გაიმიჯნება ნარკოსაშუალებების ფლობა და გასაღება, შესაბამისად, გაუქმდება „ციხლის“ სამართლის 273-ე მუხლი. განისაზღვრება ნარკოტიკების სიები და ნებადართულთა მცირე ოდენობები. გაჩნდა ჩვენთვის ახალი ნარკოტიკის „კომერციული ოდენობა“ – მისი აღმოჩენის შემთხვევაში, ადამიანს ეგრევე მიენიჭება გამსაღებლის სტატუსი. რეგულირების ქვეშ მოექცევა 235-მდე „სპაისი“ და ბიოფსიქოატიური ნივთირები. ასევე, სახელმწიფო აამუშავებს ზიანის შემცირების სერვისებს, შექმნის ახალ საგანმანათლებლო პროექტებს და ბოლოს, გახსნის სპეციალურ დაწესებულებას, სადაც ნარკოდამოკიდებულებს ციხის ნაცვლად განათავსებენ“.

მსოფლიოში ყველაზე ეფექტური და ჰუმანური ზიანის შემცირების მიდგომა აღიარებს, რომ უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად, ადამიანები მაინც აგრძელებენ სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებას. ამიტომ ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის აუცილებელია იმ ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარებასთან ასოცირებული რისკებისა და ამით გამოწვეული ზიანის შემცირებას.

კანონპროექტი სრულ ჰარმონიზაციაში იქნება გაეროს ყველა კონვენციასთან, ადამიანის უფლებების კონტექსტსა და ზიანის შემცირების კუთხით. ახალი კანონშემქმნელები ირწმუნებიან, რომ დეკრიმინალიზაცია არ გამოიწვევს ნარკომოხმარებელთა წახალისებას – ამის მაგალითი უკვე არსებობს რიგ ევროპულ ქვეყნებში. ცნობისათვის: მარიხუანა ნაწილობრივ თუ სრულად არის ლეგალიზებული ჩეხეთში, ინგლისში, არგენტინაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, დანიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში (ნებადართულია მოხმარება პირადი მიზნებით), ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადაში, ისრაელში (ნებადართულია მოხმარება სამედიცინო მიზნებით). ქვეყნებში, სადაც ის პირადი მოხმარებისთვისაა დაშვებული, მარიხუანის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების ოდენობასა და შენახვის წესებს კანონი არეგულირებს.

„ადამიანი ეძებს სიამოვნებას, ადრენალინს. ზოგი მას ღვინის სმაში, ზოგი – სპორტში, ზოგი – ფილმების ყურებაში, ზოგი კი მარიხუანის მოხმარებაში პოულობს. სიამოვნების ძიებისათვის არ უნდა ისჯებოდე, მით უფრო თუ ამით სხვას არ აყენებ ზიანს. დიდი შეცდომა დავუშვი ნარკოტიკებს რომ მოვიხმარდი, ვკაიფობდი, ვხალისობდი, ვერთობოდი, მაგრამ ამ გადასახედიდან აღარ მინდა იგივე გზა ჩემმა შვილმა გაიაროს ან იცხოვროს ქვეყანაში, სადაც ნარკოტიკი სურსათის მაღაზიაში გაიყიდება,“ – ასეთია ყოფილი ნარკომომხმარებელ დიტოს სურვილი.

პროგლემა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ გაჩნდა იდეა წიგნისა „საქართველო ჩვენს გულში“

ავტორი: ტატიანა მონტიკი
ფოტო: კახა კახიანი
თარგმნა ირაკლი ლომმოურმა

ტატიანა მონტიკი მქვია. პასპორტით გერმანელი ვარ, წარმოშობით – ბელორუსი, თუმცა ჩემი გული სწორედ თქვენმა ქვეყანამ დაიპყრო. მე არასრული სამი წელია აქ ვცხოვრობ. მანამდე მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მოვლა მოვასწარი: ვენა, ბერლინი, კიევი, სანკტ-პეტერბურგი – აი ქალაქები, სადაც ცხოვრება და მუშაობა მომიწია. თავისუფალი ჟურნალისტი ვარ, ვაშუქებ მოვლენებს კავკასიაში და, ასევე, უკრაინასა და ბელორუსში გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის პრესისა და რადიოსთვის. თავისუფალ დროს კი ვწერ, შთაგონებისამებრ – პროზას, ლექსებს და ესეებს.

მგონია, რომ საქართველოს მიმართ მხოლოდ ერთჯერადი სიყვარული კი არ მაქვს, არამედ – სამუდამო. და განა გასაკვირია, რომ ჩემი მოთხრობების უმეტესობას სწორედ ამ ქვეყანას და მის ხალხს ვუძღვნი? ჩემს „ქართულ ისტორიებს“ კითხულობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

მცხოვრები ჩემი მეგობრები და ნაცნობები, რომლებსაც მოსწონთ ჩემი მოთხრობები და ამბობენ, რომ მათი საშუალებით ბევრ სიახლეს იგებენ ამ „საოცარი, სახალისო, საყვარელი ქვეყნისა და მისი მომხიბლავი, ქარიზმატული მცხოვრებლების შესახებ“. ზოგჯერ იმასაც კი მეკითხებიან ხოლმე, ხომ არ მინდა გამოვცე წიგნი საქართველოს შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ერთხელ მართლა მომივიდა ასეთი იდეა: იქნებ შევადგინო კრებული, სადაც მხოლოდ ჩემი კი არა, იმ უცხოელი ავტორების მონათხრობიც იქნება საქართველოს შესახებ, რომლებიც აქ ცხოვრობენ? მით უფრო, რომ საქართველოში გატარებული სამი წლის განმავლობაში ბევრი ისეთი ადამიანი გავიცანი, რომელიც თქვენს ქვეყანას მხოლოდ ყურმოკვრით ან ტურისტივით კი არა, უფრო საფუძვლიანად იცნობს; ვისთვისაც საქართველო მხოლოდ სიმღერები, ცეკვები, ღვინო, მწვადი და ხაჭაპური არაა და მის თავისებურებებს შიგნიდან სწვდება. სწორედ ასეთი უცხოელების მოთხრობები მინდოდა შემეტანა კრებულში საქართველოს შესახებ.

ისტორიების ძიებასა და შერჩევას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდა. ეს პერიოდი ჩემთვის ინტენსიურ, სახალისო საქმიანობად იქცა და ბევრი საინტერესო ნაცნობობისა და, სულაც, მეგობრობის მიზეზი გახდა. ვფიქრობ, ჩემ მიერ შეკრებილი მოთხრობები იმსახურებენ ქართველი მკითხველის სამსჯავროზე წარდგომას, რადგან ეს კრებული ერთგვარი სარკეა, რომელშიც ქართველებს საკუთარი თავის დანახვა გვერდიდან შეეძლებათ. ამ მოთხრობებში ავტორები წერენ კულტურული შოკის პირად გამოცდილებაზე, საქართველოსა და ქართველებთან თავიანთი „მისადაგების“ შესახებ; ასევე მოგვითხრობენ იმ სასაცილო, კომიკურ და ზოგჯერ სევდიან სიტუაციებზე, რომლებშიც თავად აღმოჩნდნენ რეალურ „ქართულ ცხოვრებაში“. გარდა ამისა, წიგნში საქართველოს ისტორიისა და ქვეყანათმცოდნეობის შესახებაც მოიპოვება გარკვეული ინფორმაცია. ეს კრებული შეიძლება გახდეს ერთგვარი გზამკვლევი ქვეყანაში ჩამოსული უცხოელებისა და იმ „ახალწვეულებისთვის“, რომლებიც აქ დასახლებას აპირებენ. ამიტომ მსურს, რომ ის მხოლოდ ქართულად კი არა, ინგლისურად და რუსულადაც გამოიცეს.

ნიშანდობლივია, რომ კრებულის შედგენისას შემოქმედებითი პროცესის კიდევ ერთი, გვერდითი ნაყოფი იშვა (და განა შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო, როდესაც პროცესს სიყვარული წარმართავდა?): ჩემს თბილისელ თანამოაზრეებსა და კოლეგებთან, იულიანა ბილანიშვილსა და დენის ასლანოვთან ერთად რადიოში მუშაობისას მოვიფიქრეთ ამავე სახელწოდების ყოველკვირეული რადიოპროგრამა – „საქართველო ჩემს გულში“, რომელიც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რადიო „მონტე კარლოს“ ტალღაზე გადიოდა ეთერში ყოველ პარასკევს (დასახელებული გადაცემების მოსმენა შეგიძლიათ Soundcloud-ში, მისამართზე: https://www.facebook.com/GeorgiaInMyHeart). ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს „ქართული ცხოვრების“ სხვადასხვა ასპექტებზე ვესაუბრებოდით. აღსანიშნავია, რომ უცხოელ რესპონდენტებთან საუბრისას ჩვენ მზად ვიყავით მოგვესმინა არა მხოლოდ სასიამოვნო და მაამებლური ინფორმაცია, არამედ საქმიანი და კონსტრუქციული კრიტიკაც.

მუშაობა წიგნზე, ისევე როგორც ჩვენს რადიოპროგრამაზე, თავიდან ბოლომდე ემყარებოდა ენთუზიაზმსა და თანამოაზრეთა გუნდის შემოქმედებით შთაგონებას. თუმცა ჩვენ, რასაკვირველია, გვეგონა, რომ მუშაობის პროცესში ორივე პროექტს აუცილებლად გამოუჩნდებოდა მხარდამჭერები. „განა შეიძლება სხვაგვარად მოხდეს? – ვამბობდით ჩვენ, – ქართული პატრიოტიზმი, ეს მოარული თემაა, კარგად ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც“.

სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. ეტყობა, ჩვენმა „პიარმა“ მოიკოჭლა, ანდა უბრალოდ ჩვენი პროექტი ასცდა კონიუნქტურას. ამის გამო ჩვენი წინსვლა შეფერხდა. და თუკი წიგნზე მუშაობა გრძელდება, მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიასტების ერთიანი ძალისხმევის ხარჯზე, რადიოპროექტი „საქართველო ჩემს გულში“ დაიხურა.

კრებულის ცალკეულ მოთხრობათა პუბლიკაცია ჟურნალში „ცხელი შოკოლადი“ გვაძლევს იმედის საფუძველს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტები ყურადღებას მოგვაქცევენ და ჩვენს წამოწყებას მხარს დაუჭერენ.

გულწრფელად თქვენი
ტატიანა მონტიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასე ჯავაშვილი (ლატვია)

ქართველები და ბავშვები

ბავშვთა აღზრდა ისევე, როგორც პოლიტიკა, ისტორია და რელიგია – თემაა, რომელსაც საუბრისას უნდა მოერიდო თუ, რა თქმა უნდა, კონფლიქტური სიტუაციის გამოწვევა არ გსურს. ამ ჩემი მონათხრობით ყველაზე ნაკლებად მინდა კონფლიქტის შექმნა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც გავბედავ და გავაკეთებ რამდენიმე განმაზოგადებელ დასკვნას მთლიანად ერზე – ბავშვთა აღზრდასთან მიმართებაში.

უცხო კულტურაში ბავშვის აღზრდა ადვილი საქმე არაა. ამისათვის აუცილებელია დიდი მოთმინება, ტოლერანტობა, მოქნილობა, შემოქმედებითი მიდგომა და დიპლომატის უნარი. დავუმატებ, რომ ავტორი ამ გზის მხოლოდ დასაწყისშია. ჩემი ქმარი ქართველია და მე უკვე სამი წელია საქართველოში ვცხოვრობ. თავს ბედნიერად ვთვლი, რადგან ცალკე ბინაში ვცხოვრობთ, ჩვენს ორ პატარა ბავშვთან ერთად. საქართველოში, არცთუ იშვიათად, პატარა ფართობზე სამი თაობა ცხოვრობს ხოლმე, ზოგჯერ კი მათთან ერთად – მესამე თაობის ბიძაშვილებიც იზრდებიან.

ასეა თუ ისე, ჩემი ქმრის მშობლები ჩვენს მახლობლად ცხოვრობენ – მანქანით ორიოდე წუთის სავალზე, ამიტომ ჩვენ ბევრ დროს ვატარებთ ერთად. ამრიგად, ჩვენ ერთობ მომგებიან მდგომარეობაში ვართ, რადგან ქმრის ოჯახი გვეხმარება, მაგრამ ჩვენ ასევე გვაქვს პირადი სივრცეც, როცა ის ჩვენთვის აუცილებელი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე ვცხოვრობთ, მივხვდი, ოჯახი საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია და ურთიერობა ნათესავებს შორის (და თითქმის ნათესავებს შორის, როგორებიც არიან ნათლულები, ძველი კოლეგები და მეზობლები) აქ გაცილებით უფრო მჭიდროა, ვიდრე ლატვიაში, საიდანაც ვარ წარმოშობით. საქართველოში ადამიანები გაცილებით უფრო კოლექტივისტურები არიან და ისინი, აგრეთვე, ერთობლივად ზრუნავენ ბავშვებზე.

როდესაც პირველი შვილი გამიჩნდა, დედამთილი მოვიდა ჩემს დასახმარებლად. ძალზე მადლიერი ვიყავი მისი, რადგან მიხარშავდა ქათმის ბულიონს და ბავშვის საფენებს აუთოებდა. მაგრამ იგი ასევე ხშირად ცდილობდა აეყვანა ჩემი ბავშვი, რათა მე „დასასვენებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავსულიყავი“. მერე – კიდევ მეტი. ყოველ ჯერზე, როდესაც ნათესავებთან სტუმრად მივდიოდით, შვილს ხელიდან მტაცებდნენ, და სადღაც მიჰყავდათ, მე რომ „დამესვენა“. ამ ყველაფერმა ჩემში დედა-ვეფხვის ინსტინქტები გააღვიძა. და დროდადრო გონებაში შემდეგი ფრაზის გამეორება მიხდებოდა: „ამას ისინი საუკეთესო განზრახვით აკეთებენ, რადგან აქ *ასეა* მიღებული და *ჩემი* ბავშვი – ასევე მათი ბავშვიცაა.

მაშინ ძალიან მახარებდა, რომ ბავშვი ძუძუზე მყავდა, რადგან ეს პრივილეგირებულ სტატუსს მანიჭებდა და საშუალება მქონდა, ბოლომდე დავმტკბარიყავი ჩემს შვილთან ურთიერთობით. რა თქმა უნდა, ასეთ კოლექტიურ აღზრდას თავისი უპირატესობები აქვს. ბევრი დამხმარე ხელი ოჯახში – ეს ნამდვილი ბედნიერებაა პირველი თვეების განმავლობაში, როდესაც ჩვილს მუცელი აწუხებს და უნდა, რომ მუდმივად ხელში აიყვანონ.

ბავშვებისკენ მიმართული უცხოების ყურადღება, საქართველოს აქცევს ქვეყნად, სადაც ძალზე ადვილია ბავშვის მოვლა. მაგალითად, ჩვენ შეგვეძლო მშვიდად გვევლო საყიდლებზე და ჩვენი პატარა ბიჭისთვის მიგვეცა ნება სუპერმარკეტში თავისუფლად ერბინა, რადგან ვიცოდით, პერსონალიდან ვინმე აუცილებლად მიხედავდა. ჩვენ ასევე არცთუ იშვიათად ვსადილობდით რესტორანში და იქაც ოფიციანტთაგან ერთ-ერთი აუცილებლად ართობდა მას და თან თვალყურს ადევნებდა, რათა, ღმერთმა დაიფაროს, რამე არ შემთხვეოდა.

თუმცა, მეორე მხრივ, მოგვიანებით ეს საყოველთაო ყურადღება თქვენს გზაზე შეიძლება დაბრკოლებად იქცეს. ასე მაგალითად, ქართველები ხშირად თავიანთ შვილებს ასწავლიან სიარულს საგანგებო დამხმარე საშუალებით, ისეთით, ბავშვებს მხრებზე რომ უკეთდება, რაც პირადად მე ყოველთვის ძაღლის სატარებელ თასმას მაგონებს. ამ ასოციაციის გამო მსგავსი საშუალება არასოდეს გამომიყენებია; ამის ნაცვლად ჩემს ბიჭუნას ვაძლევდი საშუალებას, თავისუფლად ერბინა და წაქცეულიყო კიდეც. მაგრამ როდესაც პარკში ვსეირნობდით და ბავშვი უცებ ეცემოდა, ჩვენკენ, სულ ცოტა, ხუთი კაცი მორბოდა ერთდროულად, მის აყენებაში რომ დამხმარებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ბავშვს მშვენივრად შეეძლო თვითონ ამდგარიყო, მე ვუღიმოდი და მადლობას ვუხდიდი დამხმარების მსურველებს. როდესაც ჩემმა ბიჭმა უმცროს სასკოლო ასაკს მიაღწია, მას მართლა სერიოზული ჭირვეულობა და-

ქართველებს სჯერათ, რომ ბედნიერი ბავშვობა ნიშნავს ყველა სურვილის ასრულებას და თავის არიდებას იმ ყველაფრისგან, რაც ბავშვს გაანერვიულებს. ბავშვები კი საოცრად საზრიანი არსებები არიან და ძალზე სწრაფად ხვდებიან, როგორ გამოიყენონ სათავისოდ მსგავსი „ფილოსოფია“. და ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს, აღმოაჩენთ, რომ თქვენი პატარა „საყვარელო“ გამხდარა პატარა „უზრდელო“.

ეწყო. ადამიანები, რომლებიც პარკში სეირნობდნენ, მირჩევდნენ გამეკეთებინა ყველაფერი, რასაც ითხოვდა (თუმცა პრობლემა ის იყო, რომ პატარას ხშირად თვითონვე ავიწყდებოდა, რას ითხოვდა წუთის წინ) და მიმეყვანა ნევროლოგთან, „რადგან ასეთი ქცევა არანორმალურია“ (არადა, Google-ში ჩემი ძიება სწორედაც საწინააღმდეგოში მარწმუნებდა). ასეთ კრიტიკულ მომენტებში ადამიანები ასევე მთავაზობდნენ, თქვენს ბავშვს ხელში ავიყვანთო ანდა ნაყინს ვუყიდითო.

ქართველებს სჯერათ, რომ ბედნიერი ბავშვობა ნიშნავს ყველა სურვილის ასრულებას და თავის არიდებას იმ ყველაფრისგან, რაც ბავშვს გაანერვიულებს. ბავშვები კი საოცრად საზრიანი არსებები არიან და ძალზე სწრაფად ხვდებიან, როგორ გამოიყენონ სათავისოდ მსგავსი „ფილოსოფია“. და ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს, აღმოაჩენთ, რომ თქვენი პატარა „საყვარელო“ გამხდარა პატარა „უზრდელო“. ბავშვებს აქ საკმაოდ ხშირად უყვირიან, მაგრამ მათ, ჩემი აზრით, იშვიათად და არასაკმარისად უხსნიან, თუ რა შეეშალათ. ბავშვებს აქ საკმაოდ იშვიათად სჯიან, ყვირილს თუ არ ჩავთვლით, ამიტომ ისინი ყვირილს ეჩვევიან ნელ-ნელა, ცხოვრების შემადგენელ ნაწილად აღიქვამენ და, უბრალოდ, მის იგნორირებას ახდენენ.

დაბოლოს, მინდა შევნიშნო: შემექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში ბავშვები არასოდეს იზრდებიან, თანაც ქართველები თვითონვე აღიარებენ, რომ ბავშვი დედისთვის ყოველთვის ბავშვად რჩება. როდესაც აქ საცხოვრებლად სულ ახალი ჩამოსული ვიყავი, ორსულად მყოფი ქმართან ერთად დავდიოდი ექიმთან და ჩემთვის ძალზე გასაკვირი იყო, რომ თითქმის ყველა სხვა ორსული ქალი ექიმთან მიდიოდა... დედის თანხლებით. იყო მშობელი, ყოველთვის ძალზე რთულია, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობდე. მაგრამ მშობლობა, იმავდროულად, – ეს ღვთის დიდი წყალობაა. ყველაზე ბრძნული რჩევა, რაც კი გამიგია: ჩვენს მუდმივად ცვლად ცხოვრებაში სირთულეებიც და წყალობაც – დროებითია. ბავშვები მხოლოდ დროებით გვეძლევა, ამიტომ მათ ფრთები არ უნდა შეუკვეცოთ, თუნდაც ამას საუკეთესო განზრახვით ვაკეთებდეთ და მხოლოდ მათ დაცვასა და გაფრთხილებას ვცდილობდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანფრედ ნავროტი (გერმანია)

„მარშრუტკა“

მოგზაურობა დროის გატარების მშვენიერი საშუალებაა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იდეაში, ასეთი უნდა იყოს. ჩვენ, ევროპელები, მივეჩვიეთ იმას, რომ სწრაფად გადავაადგილდებით დედამიწაზე და შორეულ მიზნამდე მოკლე ხანში ვაღწევთ. დღევანდელ დღეს უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას ერთი ნახტომით გადაევლო დროსა და სივრცეს, ჩაფრინდე შორეულ ქვეყანაში და უცხო კულტურაში ამოყო თავი. უამრავი ადამიანი სწორედ ასე იქცევა. და სწორედ ამიტომ აეროპორტებში ლოდინი, უსაფრთხოების ყველანაირი კონტროლითა და ყველა შესაძლო დაგვიანებით, უკვე საკმაო ხანია სიამოვნებას აღარა ჰგავს – არც მოგზაურობის დასაწყისში, და არც მის დასასრულს. რადგან გერმანელი ვარ, სიამოვნებით ვმოგზაურობ ხოლმე მატარებლით. გერმანულ რკინიგზას ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ჩინებული რეპუტაცია ჰქონდა. მისი საიმედოობის გამო ყოველთვის შეიძლებოდა მასში დარწმუნებული ყოფილიყავი, რაც სულაც არაა გასაკვირი, თუკი გავიხსენებთ გერმანელების მთავარ ღირსებას – სიზუსტესა და პუნქტუალურობას.

ჯერ კიდევ 1835 წელს ნიურნბერგსა და ფიურტს შორის დაიწყო მოძრაობა პირველმა ლეგენდარულმა მატარებელმა, სახელად „ადლერი“. სანამ გერმანიაში რკინიგზა სახელმწიფოს ხელში იყო, მთელს ქვეყანაში შეიძლებოდა ადვილად და კომფორტულად მოგზაურობა, მაგრამ მას მერე, რაც მისი პრივატიზება მოხდა, მრავალი მეორეხარისხოვანი ხაზი გააუქმეს. თუმცა ახლა ყველა გერმანულ ქალაქში შეიძლება ჩახვიდე ზესწრაფი მატარებლით უმოკლეს დროში. ასე მაგალითად, მატარებლით „საერთაშორისო სიტი-ექსპრესი“ ბერლინიდან ფრანკფურტში სულ რაღაც სამ საათში ჩახვალთ, ხოლო 280 კილომეტრს ბერლინიდან ჰამბურგამდე სულ რაღაც საათნახევარში გაივლით, ასევე მცირე ხანი დაგჭირდებათ ბერლინიდან მიუნხენში ჩასასვლელად, – ამ ქალაქებს შორის 600 კილომეტრია – ოღონდ, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი რკინიგზა სრულ წერსიგში იქნება.

არადა, სამწუხაროდ, მატარებლები საკმაოდ ხშირად იგვიანებენ, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, ზოგჯერ რეისებს საერთოდაც რომ აუქმებენ, როგორც ეს უკანასკნელ წლებში ხდებოდა ზამთრობით. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ნულ გრადუსზე დაბალი ტემპერატურისას ნაქები გერმანული რკინიგზა ხარვეზებით მუშაობს. ამიტომ ბოლო დროს სიზუსტე და პუნქტუალურობა, რომელსაც გერმანიაში ესოდენ აფასებენ, ტექნიკურ პროგრესს ეწირება. და რას ვიღებთ სანაცვლოდ? – განერვიულებულ, სტრესში მყოფ მგზავრებს, ბაქანზე მონიტორებს გაფაციცებით რომ შესცქერიან, რათა შეიტყონ, საერთოდ მოვა თუ არა მატარებელი ან თუ მოვა, როდის. ამრიგად, როგორც ხედავთ, სისწრაფე ჩვენთვის ერთგვარ ხაფანგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა და მოგზაურობა სულაც აღარაა სიამოვნება.

რა კავშირი აქვს ამას საქართველოსთან? – რა თქმა უნდა, არავითარი. ახლა ხომ საქართველოშიც შესაძლებელია ყველგან ჩაფრინდე – თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და მესტიაში – და ამგვარად, სწრაფად ჩააღწიო ერთი ქალაქიდან მეორეში. მატარებლითაც შეგიძლია იმგზავრო – თბილისიდან ბათუმში. და თუ ძალიან მოგინდება, ერევანსა ან ბაქოში. მაგრამ გადაადგილების ყველაზე ნაღდი საშუალება აქ ავტობუსები და მიკროავტობუსები, ე.წ. „მარშრუტკებია". რაც ბერლინელისთვის ქალაქის ელექტრომატარებელი, S-Bahn-ია, თბილისელისთვის – „მარშრუტკაა". არადა, გერმანიაში „მარშრუტკა" სრულიად უცნობი სამგზავრო საშუალებაა.

„მარშრუტკა" მიგიყვანთ ქალაქის ნებისმიერ ნაწილში, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ერკვევით ურთიერთკავშირების რთულ სისტემაში. ეს კი უცხოელისთვის არაა იოლი, რადგან ამ მინიავტობუსების მომცრო ფირნიშები მარშრუტის დასახელებით – მხოლოდ ქართულ ენაზეა. თუკი ამაში გაერკვევით, ქალაქში გადააგილებას ადვილად შეძლებთ. სხვათა შორის, ჩემი საყვარელი მარშრუტი – ვაზისუბანშია.

დროთა განმავლობაში მინიავტობუსების პარკის თანდათანობითი განახლება ხდება. წარმოუდგენლად მოძველებულ მინიავტობუსებს ნელ-ნელა ცვლიან ყვითელი ავტობუსებით, ძირითადად ესაა მოდელი «Mercedes Sprinter». მას მერე, რაც 2011 წელს ხმარებაში ახალი ავტობუსები შემოიყვანეს, „მარშრუტკების" ფასი უცებ 50 თეთრიდან 80 თეთრამდე ავარდა! აი, მესმის ნახტომი!

თუ საკუთარი ავტომობილი არ გყავთ, „მარშრუტკა" საუკეთესო საშუალებაა ქვეყნის გასაცნობად. მისი მეშვეობით ნებისმიერ პუნქტამდე შეიძლება მიხვიდეთ. თბილისში რამდენიმე ავტოსადგურია, საიდანაც მინიავტობუსები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადიან. და თუკი მოახერხეთ გარკვევა ადამიანებისა და მანქანების ქაოსში – გზა მშვიდობისა!

– ავტობუსი გადის ხუთ წუთში! – აცხადებს მძღოლი. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოში ხართ, ამიტომ ხუთი წუთი აქ მარტივად შეიძლება გადაიქცეს თხუთმეტად. ავტობუსი მაშინ დაიძვრება ადგილიდან, როდესაც ბოლომდე შეივსება. სამაგიეროდ, დაგვიანება ჩასვლისას, – გერმანული მატარებლებისგან განსხვავებით, – აქ, როგორც წესი, არ ხდება. ამიტომ მგზავრები მექანიკურად ნაკლებ სტერსს იღებენ. რაღა დაგიმალოთ, „მარშრუტკით" მგზავრობა ყველას არ ეხატება გულზე. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ უმეტესად გადატენილია ხოლმე და ტექნიკური თვალსაზრისითაც ყველა არაა იმ დონეზე გამართული, რომ გერმანული ტექდათვალიერება გაიაროს. სამაგიეროდ, „მარშრუტკის" მძღოლები უკვე ნამდვილ ლეგენდად იქცნენ – ტარების განუმეორებელი სტილის გამო. მანქანა ადგილიდან დაიძვრება თუ არა, მძღოლი მთელი ძალით აწვება გაზს, თითქოს თვით ეშმაკს უნდა გაექცეს ანდა, სულ მცირე, აინაზღაუროს ის დრო, რომელიც ავტოსადგურზე ლოდინისას დაკარგა. კარგია, თუკი ენდობით თქვენს მძღოლს და, ამავე დროს, გგონიათ, – თავის ავტობუსსა და მარტშრუტს კარგად იცნობს. „მარშრუტკით" საქართველოში ბევრი მიმოგზაურია, მისი დახმარებით ვნახე სტეფანწმინდა და მთა „ყაზბეგი", ვიყავი სამეგრელოში და აჭარის მთიანეთში, ჩავდიოდი მცხეთაში და საქართველოს სხვა ადგილებში. მგზავრობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი და მომქანცველი, მაგრამ ასევე, ხმაურიანი და მხიარული, როგორც ეს აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს მოხდა.

გადავწყვიტე ის დილა ჩემს მეგობრებთან გამეტარებინა: მანანასთან, ნუგზართან და ნინოსთან ერთად სოფელ მარტყოფის სიახლოვეს, თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთისკენ. მას მერე, რაც ფეხით გავისეირნეთ ეკლესიამდე, რომელსაც „ღვთაება" ჰქვია – ის წმინდა ანტონის მონასტერში მდებარეობს – უკანა გზაზე, ამაღლებულ ხასიათზე მყოფნი, ბუნების წიაღში ჩავსხედით: ამ მშვენიერი დღის დასრულებას მჭადებით, შინაურული სალათებით, ღვინითა და ყავით ვაგემოვნებდით. სანამ დაბნელდებოდა, თბილისში დაბრუნება გადავწყვიტეთ. ტრასამდე ხომ კიდევ გვქონდა სავალი. ბედმა გაგვიღიმა, „მარტშრუტკა" იმავე წამს გამოჩნდა, მძღოლმა გაგვიჩერა და გვკითხა, სად მივდიოდით. «თბილისში, არა?» – «პრობლემა არაა!»

და, აი, უკვე ვსხდებით, მოვძებნეთ ადგილები უკანა სკამებზე. „მარშრუტკა" სავსეა – კაცებით, ქალებით, ბავშვებით, რომლებიც ასევე ქალაქგარეთ იყვნენ უქმეებზე. უმალ დაინტერესდნენ ჩვენით: „სადან მოხვედით?" „რა გქვიათ?" „რას აკეთებთ?" და ასე, ნელ-ნელა გაიბა საუბარი. ერთ მგზავრს თან ჰქონდა საკუთარი ხელით დაწურული ღვინო. ბუნებრივია, მოგვიწია რამდენიმე სადღეგრძელოს დალევა – შეხვედრისა და კიდევ რაღაც-რაღაცეების. განწყობა ჩვენს კამპანიაში სულ უფრო მხიარული ხდება, საუბარი და სიმღერები წყალივით მოედინება.

საერთოდ ყველას აინტერესებს, რას ვაკეთებ მე, უცხოელი, აქ, საქართველოში. რასაკვირველია, ასეა ამ „მარშრუტკაშიც" და ვცდილობ ყველა კითხვას ვუპასუხო, თუმცა ჩემი ქართული ძალზე სწრაფად ეჯახება თავისი შესაძლებლობების ზღვარს. მაგრამ მაინც ქართულად ვლაპარაკობ! და ამ ფაქტს გარშემო ყველა პატივისცემით აღნიშნავს, რაც უმალ იწვევს ჩემი სამშობლოს სადღეგრძელოს. საბედნიეროდ, ჩემთან ერთად არიან ჩემი მეგობრები, რომლებსაც შეუძლიათ ჩემს ნაცვლად ამომწურავი პასუხი გასცენ კითხვებზე, თუ რამდენი ხანია რაც საქართველოში ვარ, რას ვსაქმიანობ აქ და ა.შ. ჩემი თანამგზავრების სიხარულს საზღვარი არა აქვს! მაგრამ ღვინო უკვე დაილია, ამიტომ მორიგე გაჩერების დროს ერთ-ერთი მგზავრი ჩადის, რათა უახლოეს მაღაზიაში იყიდოს ცოტაოდენი.....ლუდი! ჩვენი ხუმრობანარევი საუბარი თბილისამდე გრძელდება. ვარკეთილში, ავტოსადგურში ჩავდივართ და ერთმანეთს საუკეთესო მეგობრებივით ვემშვიდობებით.

აი, მიიწურა კიდევ ერთი სრულიად გასაოცარი დღე, რომელიც საქართველოში გავატარე. მე კვლავ რაღაც ვისწავლე და რაღაცას მივხვდი. მადლობა ღმერთს, ეს დღე ბერლინის ერთ-ერთ სადგურზე კი არ გავატარე, მიუნხენის დაგვიანებული მატარებლის მოლოდინში, არამედ პატარა, არცთუ ძალიან სასიამოვნო სუნის მქონე „მარშრუტკაში" მარტყოფი-თბილისის გზაზე.

ახლა კი მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ დავუმატო: „საკარტველოს გაუმარდჯოს!" თქვენი მანფრედ ნავროტი.

მანფრედ ნავროტი საქართველოში 2010-1012 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა. იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმების რეკონსტრუქციის პროექტის კოორდინაციას ეწეოდა გერმანული ფონდის, „კულტურული მემკვიდრეობა" დავალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლი კორსო (აშშ)

სრულყოფილი კუბდარის ძიებაში

სანამ მანქანა კოკისპირულ წვიმაში გუბეებზე მისრიალებდა და ასფალტის ოღროჩოღროებს გვერდს უქცევდა, ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ნუთუ მთაში, წვიმაში ექვსი საათის განმავლობაში მანქანით მგზავრობა მართლა შეიძლება ხორცის ღვეზელის ერთ ლუკმად მიღირდეს?“ მე და ჩემი ქმარი უღელტეხილის მიმართულებით მივიწევთ, მაღლა და მაღლა ავდივართ, რათა, ბოლოს და ბოლოს, სვანეთში მოვხვდეთ. იქ უნდა გავაკეთო რეპორტაჟი იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობს მთავრობა ეს შორეული, მაღალმთიანი რეგიონი მოთხილამურეთა სამოთხედ აქციოს. თუმცა, სინამდვილეში, ამ საშინელ მთაგორიან გზაზე ასვლას სამუშაო კი არ გვაიძულებს, არამედ ჩემი დაუოკებელი სურვილი, რაც შეიძლება მალე ვიგემო პიკანტური ხორცის ღვეზელი, „კუბდარი“ რომ ჰქვია – რითიც სვანეთია სახელგანთქმული.

კუბდარი, ღუმელში სათუთად გამომცხვარი ღვეზელი, რომლის შიგთავსი წვრილად დაჭრილი ხორცია – ალბათ, ქართული სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მარგალიტია. ეს კერძი, რომელიც საკმარისად ყუათიანია, მწყემსები რომ დაანაყროს, არაიშვიათად ხაჭაპურთან, სახელგანთქმულ ქართულ ყველიან პურთან, საერთო კატეგორიაში შეჰყავთ ხოლმე. პირადად ჩემთვის ცხელი არომატული კნატუნა კუბდარი ქართული სამზარეულოს ყველა კერძს აღემატება უკვე დიდი ხანია. თხელი ქერქი და სანელებლებით შეკმაზული შიგთავსი – აი, რამ მაიძულა შემყვარებოდა, ავყოლოდი თავგადასავლების ჟინს, რამ განგმირა ჩემი გული შორს, შორს მშობლიური სახლიდან.

პირველად კუბდარი ერთ-ერთ თბილისურ პიცერიაში გავსინჯე, რომელიც უფრო იაფფასიან სასადილოს ჰგავდა, ჩაბნელებულ, მიყრუებულ უბანში, იმ გაზეთის რედაქციის შორიახლოს, სადაც მაშინ ვმუშაობდი. მაშინ საქართველოს ისტორიის ბნელი პერიოდი იდგა, გეგონებოდა, ედუარდ შევარდნაძის უკონტროლო მმართველობის გამო ქვეყანა საცაა საბოლოოდ დაიძირებაო.

მე და ჩემი ქმარი ამ დაწესებულებას ერთ საღამოს გადავაწყდით. ორივეს მონატრებული გვქონდა რაღაც ახალი, ცინცხალი, რასაც არ ექნებოდა შმორის სუნი იმ სიბნელეში, სიღარიბესა და ბუნდოვანებაში, რომელშიც თითქოს მთელი ქალაქი იყო ჩაფლული. იმ ხმაურიან, ნახევრად ბნელ კაფეში, სადაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ღირსშესანიშნაობა იყო – მენიუ, რომელიც ამაყად გთავაზობდა: „პიცა“! „კოქტეილები“! და სევდიანი, ნეონის შუქით განათებული თევზებიანი აკვარიუმი. თუმცა კახას ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო. ეს აღმოჩნდა პოზიცია სიის ბოლოში, რაღაც განსაკუთრებული, როგორც დამპირდა ქმარი. მისი თქმით, ეს გახლდათ კერძი-დელიკატესი, გაცილებით უფრო გემრიელი, ვიდრე, თუნდაც, ნავის ფორმის უგემრიელესი აჭარული ხაჭაპური და უფრო გემრიელიც კი, ვიდრე გადასარევი ხინკალი, – საიდუმლო რეცეპტით მზადდებაო, შიგთავსად დაბასტურმებული ხორცი აქვსო. ასე რომ, პიცის სრული იგნორირება მოვახდინე, ჩემი, ნოსტალგიით შეპყრობილი კუჭის ბუზღუნი ჩავაჩუმე და მოვემზადე კიდევ ერთი პიკანტური კერძის გასასინჯად იმ სიიდან, რომელსაც, ეტყობა, მაინც აქვს დასასრული და რომელიც ქართველი მზარეულების ფანტაზიის განსახიერებას წარმოადგენს.

არადა, ამ ყველაფრის მიუხედავად, როდესაც ცხელი, ოხშივრიანი ღვეზელი მაგიდაზე შემოდგეს, გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუება ვიგრძენი. ისევე გამოიყურებოდა, როგორც ხაჭაპური. მე, რა თქმა უნდა, მიყვარს ხაჭაპური, მაგრამ საქართველოში წელიწადზე მეტი ხნის ცხოვრების შემდეგ ჩემთვის ნაციონალური სამზარეულოს ეს მომლაშო, წელვადი ბრენდი მაინცდამაინც მიმზიდველი აღარ იყო.

თუმცა გემო მაინც გავუსინჯე. ჩემს მიერ მოკბეჩილმა პირველივე პატარა ტკაცუნა ლუკმამ მიმანიშნა პიკანტურ გემოზე, რის მერეც თავს დამატყდა უმძლავრესი გასტრონომიული ქარიშხალი – მოხრაკული ხახვის, დამარილებული ღორისა და ცხვრის ხორცის და სანელებლების! ინგრედიენტები მარტივი იყო, არაფერი განსაკუთრებული, არც ერთი მისხალი ეგზოტიკისა. მაგრამ ერთი პატარა ლუკმაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა საბოლოოდ გადაეფარა ყოველივე, რაც კი ქართულ სუფრაზე მანამდე გამესინჯა.

როდესაც ღვეზელის ჭამას მოვრჩი, შეპყრობილად ვიქეცი. კუბდარზე ფიქრი აღარ მომშორებია მრავალი წელი. მუდმივად ვეძებდი გზებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩავსულიყავი შორეულ, ეგზოტიკურ მხარეში, ამ კერძის სამშობლოში. პირველი კუბდარის გემო წლების განმავლობაში ჩემთვის ხარისხის სიმბოლოდ იქცა, ერთადერთ კერძად იმ ასობით კერძიდან, რომელთაც გემო გავუსინჯე კახასთან ერთობლივი ტრაპეზების დროს და რომლის დავიწყების უნარი მე აღარ გამაჩნია. ჩვენ წამდაუწუმ ვიხსენებდით მას მაშინაც კი, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რესტორნებში ვსადილობდით – ამერიკა იქნებოდა ეს, თურქეთი თუ საფრანგეთი. ის ღვეზელი ჩემთვის ასევე კუბდარის ეტალონადაც იქცა. როდესაც

ინგრედიენტები მარტივი იყო, არაფერი განსაკუთრებული, არც ერთი მისხალი ეგზოტიკისა. მაგრამ ერთი პატარა ლუკმაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა საბოლოოდ გადაეფარა ყოველივე, რაც კი ქართულ სუფრაზე მანამდე გამესინჯა.

მე და კახა დავეძებდით მას მთელს ქალაქში, სულ ახალ და ახალ კაფეებში შევდიოდით, სადაც ამაყად აცხადებდნენ: ჰყავთ სვანი შეფ-მზარეული, რომელიც შესანიშნავ კერძებს ამზადებს! მაგრამ ვერაფერს შევადარებ იმ პირველ ლუკმას, სითბოს იმ ტალღას, ჩემი გული რომ მოიცვა და საოცარი ელფერი მიანიჭა ჩემს შთაბეჭდილებებს იმ პერიოდში, როდესაც მთელი ძალით ვცდილობდი შემეყვარებინა ეს დუხჭირი ქვეყანა, რომელსაც სტანჯავს წინააღმდეგობა თავის შთამბეჭდავ კულტურასა და თავის არაეფექტიან სახელმწიფო მოწყობას შორის.

სრულყოფილი კუბდარის ჩემმა ძიებამ არაერთ ახალ მეგობრობას დაუდო სათავე და ჩემი ათასობით ლანჩ-მოგზაურობის სასტარტო ხერტილად იქცა სხვადასხვა კაფეში. საქართველოს ფაფუკ ცომში ვერ მივაგენი საქართველოს გასაღებს, რათა საბოლოოდ ჩემს საკუთარ სახლად მექცია. მაგრამ იმ ქალებზე დაკვირვებაში გატარებული ურიცხვი საათი, რომლებიც აცხობდნენ კუბდარს და ამზადებდნენ ათობით სხვა კერძს, ჩემი ჭვრეტა იმისა, თუ როგორ იბადება ცომისგან, საფუარისგან და მარილისგან ახალი გემრიელი, მაწიერი კერძი, დამეხმარა ზავი დამედო ჩემს წარმოდგენასთან საკუთარ თავზე, როგორც მარადიულ უცხოელზე, თუმც კი, იმავდროულად, სასურველ სტუმარზე მათი სუფრისა.

და, აი, რვა წლის შემდეგ მე და კახა ოღროჩოღრო მაღალმთიან ტრასას ვადგავართ, ჩვენი მანქანა საშენი მასალის გროვებზე გადადის, იმ ნარჩენებზე, რაც მშენებლებმა დატოვეს, – გზაზე, რომლის რეკონსტრუირებას მთავრობა მთელი ძალით ცდილობდა სამთო-სათხილამურო სეზონის დაწყებამდე. მაგრამ როდესაც მთიდან ჩამოსულ წებოვან ტალახში გავიჭედეთ, როდესაც ბურუსმა მოგვიცვა, – ნისლი სულ უფრო ფარავდა ჩვენს ავტომობილს, – ვიფიქრეთ, რომ *ეს* აღარასდროს გვეღირსებოდა; ეჭვი შეგვეპარა იმაში, რომ უგემრიელესი კუბდარი, რომლის სახება მრავალი წლის განმავლობაში არ გვტოვებდა, ოდესღაც მართლა რეალურად არსებობდა. ღირდა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მისთვის ასე შორს, სვანეთში წამოსვლა, თანაც ასეთ უამინდობასა და ასეთ უვარგის გზაზე?...

ნუთუ ყოველივე ამაოა?

თუმცა როდესაც უღელტეხილი უკან დარჩა – ნისლი გაიფანტა. თოვლს, მთებზე რომ იდო ჩვენს გარშემო, გზის ტალახი დაეფარა და, აი, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ათობით პატარ-პატარა ქვის სოფლური სახლი – დავინახეთ ზურმუხტისფერი სიმწვანის გამონათება გოროზი, თოვლიანი მწვერვალების ჩრდილში.

და სწორედ მაშინ მოვხუჭე თვალები და ხელახლა განვიცადე შეგრძნებათა ის ქარიშხალი, ჩემში კუბდარის პირველმა ლუკმამ რომ გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფამუქომანია

ავტორი: ირმა ტაველიძე

მოგზაურობა ნისლში

თურქულიდან ნათარგმნი პირველი წიგნი – გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1967 წელს გამოცემული სუათ დერვიშის „ფოსფორიანი ჯევრიე“ 11-12 წლისამ წავიკითხე და რა თქმა უნდა, ბევრი ვერაფერი გავიგე. მახსოვს სრულ უიმედობასა და სასოწარკვეთაში ჩაძირული ქვეყნის სურათი, რომელიც კითხვის დროს წარმომიდგა თვალწინ. ეს ძალიან უბედური ადამიანების სამყარო იყო, რომლებსაც არჩევანი არ ჰქონდათ. მეჩვენებოდა, რომ მწერალი განგებ კი არ ამუქებდა იმ სოციალურ ფონს, რომელზეც დრამა უნდა გაშლილიყო, არა, ის თურქეთს ისე აღწერდა, როგორიც ის სინამდვილეში გახლდათ. დიდი ხნის მანძილზე სწორედ სუათ დერვიშის მიერ აღწერილი ბნელი, უიმედობით მოცული, მუდმივი საფრთხეებით გაწამებული ქვეყანა მახსენდებოდა, როცა ვინმე თურქეთს ახსენებდა. ეს იყო ადგილი, სადაც ცხოვრება არ მინდოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ არც არასდროს მომინდებოდა.

დღეს სტამბოლი ორჰან ფამუქის მკითხველებისთვის ნამდვილი მექაა: ერთხელ მაინც უნდა წახვიდე და მოილოცო. შეუძლებელია ამ მწერლის წიგნები გიყვარდეს და მისი ქალაქის, მისი ქვეყნის მიმართ გულგრილი დარჩე. მკითხველებს, რომლებიც გატაცებით კითხულობენ ყველაზე ცნობილი თურქი მწერლის რომანებს, სტამბოლი წარმოსახვაშივე უცოცხლდებათ: უბნები, ქუჩები, შენობები, ხიდები და უამრავი სხვა რამ, რისგანაც ქალაქის განუმეორებელი სახე იქმნება. ისინი ორჰან ფამუქის სანობელე ლექციაში ნახსენებ დასავლელ მოგზაურებს ჰგვანან, ძველ დროში სამხრეთის მხრიდან რომ მიადგებოდნენ ხოლმე ქალაქს და ნისლიდან მოულოდნელად წამომართული სტამბოლის პეიზაჟებით ტკბებოდნენ. სწორედ ასე წამოიმართება მწერლის ქალაქი მკითხველის თვალწინ და კითხვის დასრულებისას უკვე მისიცაა, მთელი თავისი ევროპულ-აზიური მშვენიერებით და სურნელით.

რა თქმა უნდა, ეს სხვა სტამბოლია და კარგად იცი, რომ წარმოსახვაში გაცოცხლებული ქალაქი ნამდვილს არ დაემთხვევა, მაგრამ მაინც ჯიუტად გჯერა მწერლის, რომელმაც დაგარწმუნა: მისი სამყარო შენი სამყაროცაა, იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირი სევდა გიღრღნით გულს.

ორჰან ფამუქი არაერთ ინტერვიუში აღიარებს, რომ ყოველთვის გულს უკლავდა პერიფერიაში, ჩაკეტილ კულტურულ გარემოში ცხოვრების განცდა, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს გულგრილობა მისი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს, თურქული კულტურის, თურქი მწერლების მიმართ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე პირველად მოხვედრილი ახალგაზრდა ავტორი მეტად დათრგუნა გამოცემული წიგნების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ, მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს „თეთრი ციხესიმაგრის“ გერმანულ თარგმანს კრიტიკოსები კეთილგანწყობით შეხვდნენ. განა იოლი არ იყო, რომ მისი ხმა სამუდამოდ ჩაკარგულიყო ამ ვეება სივრცეში? „გადავდიოდი დარბაზიდან დარბაზში, სართულიდან სართულზე, შენობიდან შენობაში, თვალს მიხარებდა ფერად-ფერადი წიგნების უამრავი წყება მთელი მსოფლიოდან, მაოცებდა მათი მრავალფეროვნება, როცა ვფურცლავდი. ამავე დროს კი ვხვდებოდი, რა რთული უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ხმა ვინმესთვის გამეგონებინა, საკუთარი კვალი დამეტოვებინა, თავი დამერწმუნებინა, რომ ადამიანები სხვებისგან გამომარჩევდნენ“, – აღიარა მწერალმა წლების შემდეგ, 2008 წლის 14 ოქტომბერს, როცა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნისას სიტყვას წარმოთქვამდა. იმ წელს ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსით თურქეთი სარგებლობდა, რაც თურქული ლიტერატურით მსოფლიოს საგამომცემლო ბიზნესისა და მკითხველთა ფართო წრის დაინტერესებას ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდა. ორჰან ფამუქმა არა მხოლოდ მთელი მსოფლიო მიახედა თანამედროვე თურქეთისკენ, არამედ მკითხველს გზა გაუხსნა სხვა თურქი მწერლებისკენ, ევროპულ-აზიურ ტრადიციებს შორის ამოზრდილი, მდიდარი თურქული ლიტერატურისკენ.

დიდი ხნის მანძილზე არ ვიცოდი, რომ სუათ დერვიში ქალი იყო – წარბშეკრულ, ღრმად ჩაფიქრებულ კაცად წარმომედგინა. ქართველ მკითხველს ამა თუ იმ თურქი მწერლის გაცნობის ბედნიერება მანამდეც ჰქონდა, მაგრამ ორჰან ფამუქთან ერთად მან თურქეთი, როგორც ერთდროულად ნაცნობი და უცნობი ქვეყანა, თავიდან აღმოაჩინა.

ჩვენი ბიჭი

ორჰან ფამუქის პირველი წიგნი, რომელიც ქართულად ითარგმნა, კინოსცენარი „ფარული სახე“ გახლდათ. ის თამარ ალფენიძემ გასული საუკუნის ბოლოს თარგმნა, თუმცა მხოლოდ 2008 წელს გამოსცა გამომცემლობა „ელფმა“ თურქეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული სააგენტოს დახმარებით. ამავე წელს გამოვიდა ქეთევან ტომარაძის ნათარგმნი „თეთრი ციხესიმაგრე“ (გამომცემლობა „ინტელექტი“). მომდევნო წლებში მწერლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნებიც ითარგმნა და გამოიცა: „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ (მთარგმნელი: ნანა ჯანაშია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009), „მე წითელი მქვია“ (მთარგმნელი: ლია ჩლაიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010), „უმანკოების მუზეუმი“ (მთარგმნელი: ეკატერინე ახვლედიანი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2011), „თოვლი“ (მთარგმნელი: ნანა ჯანაშია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011), „სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“ (მთარგმნელი: თამარ ალფენიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, 2012), „მდუმარე სახლი“ (მთარგმნელი: ლია ჩლაიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012). უახლოეს მომავალში „დიოგენე“ გამოსცემს თამარ ალფენიძის ნათარგმნ ორჰან ფამუქის კიდევ ერთ რომანს „ახალი ცხოვრება“, ასევე – ესეების კრებულს „სხვა ფერი“, რომელსაც ხათუნა ბასილაშვილი თარგმნის და წიგნს რომანის ხელოვნების შესახებ, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლს წარმოადგენს (მთარგმნელი: ია ბერსენაძე). ბოლო ორი წიგნი ინგლისური ენიდან ითარგმნება. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა კი ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ გამოცემას აპირებს, რომელსაც ისევ ნანა ჯანაშია თარგმნის.

ორჰან ფამუქი ერთადერთი თანამედროვე მწერალია, რომლის ყველა წიგნიც ქართულად ნათარგმნია (ან ახლა ითარგმნება). გამომცემლობების ამგვარი მონდომება კი მხოლოდ ერთზე მიანიშნებს: ქართველ მკითხველს მისი წიგნები მოსწონს, შესაბამისად, ისინი სხვა, არანაკლებ ცნობილი მწერლების წიგნებზე უკეთესად იყიდება. გამომცემლობა „დიოგენეს“ იმ წიგნის გამოცემის უფლებაც კი აქვს მოპოვებული, რომელიც ფამუქს ჯერ არ დაუწერია.

რატომ მოსწონს ქართველ მკითხველს ასე ძალიან ორჰან ფამუქი? გამომცემელი ბაკურ სულაკაური თვლის, რომ ეს, დიდწილად, ნობელის პრემიის დამსახურებაა, რომელიც მწერალმა ლიტერატურის დარგში 2006 წელს მიიღო: „მოდაშია. ადვილი ასახსნელი არ არის, რატომ. პირველი: მართლა კარგი მწერალია. მეორე: თემები საინტერესოა მკითხველისთვის. თან ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: რომ არ დაინტერესებულიყო პოლიტიკური პრობლემებით, ნობელის პრემიას ვერ მიიღებდა. ნობელის პრემია რომ არ მიეღო, ინგლისურად თავიდან არ თარგმნიდნენ და ინგლისურად ასეთი მასშტაბით რომ არ იყოს ნათარგმნი, ასეთი პოპულარულიც ვერ იქნებოდა. უცებ გახდა პოპულარული მთელ მსოფლიოში და რაც მთელ მსოფლიოშია პოპულარული, ჩვენთანაც მაშინვე პოპულარული ხდება“.

გამომცემელი თამარ ლებანიძე დარწმუნებულია, რომ ორჰან ფამუქის წიგნების წაკითხვა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და მათ სწორედ ამიტომ კითხულობენ დიდი ხალისით საქართველოში: „ფამუქი რთულად არ წერს. ქართველ მკითხველს კი კითხვა უჭირს – ვერ არჩევს ლიტერატურას, როგორც ასეთს. დაღეჭილი ლუკმები უყვარს. გარდა ამისა, ყოფითი კულტურა გასაგებია მკითხველისთვის. აღწერილ გარემოსთან და სიტუაციებთან მას დისტანცია არ აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფამუქი კარგად ხატავს პერსონაჟს – მისი ყველა პერსონაჟი ცოცხალია“.

თურქეთისა და საქართველოს წარსულში ხშირია არა უბრალოდ გადაკვეთის წერტილები, არამედ ეს თითქმის საერთო ისტორიაა საუკუნეების მანძილზე. ასეთი სიახლოვე და ერთად ცხოვრების გამოცდილება შესაძლოა თურქი მწერლით დიდი გატაცების ერთ-ერთი მიზეზიც იყოს. თურქულ-ქართული ყოფითი რეალიები მსგავსია. მსგავსია კომპლექსებიც, რომლებსაც პერიფერიაში ცხოვრების განცდა აჩენს. ფილოსოფოსი გიგა ზედანია რადიო „ცხელი შოკოლადის“ გადაცემაში „წიგნები“ (14. 03. 2013) აღნიშნავს, რომ ფამუქის კითხვისას მისთვის გამაოგნებელია ეს ფაქტი: მიუხედავად ორასი წლის განმავლობაში სხვა კულტურის – რუსულ-სლავური კულტურის – ბატონობის ქვეშ ყოფნისა, ბევრი შრე შევინარჩუნეთ, რომლებიც დღევანდელ თურქულ საზოგადოებასთან გვაახლოებს, თუმცა პირდაპირი კონტაქტი ძალიან დიდი ხანია, არ გვქონია. ეს არის რაღაც დავიწყებულის გახსენებაც და ამავე დროს განცდა, რომ ტყუპისცალები, რომლებიც დაბადებიდანვე დააშორეს, ერთმანეთს ხვდებიან – მათ შორის მსგავსებაც თვალშისაცემია და განსხვავებაც.

ორჰან ფამუქი ქართველი მკითხველისთვის ბევრად უფრო ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა, ვიდრე თუნდაც პოლ ოსტერი, რომლის ნიუ-იორკიც შორეულ და მიუწვდომელ მეტროპოლისად რჩება. სტამბოლი აქვეა – ნამდვილიც და გამოგონილიც – ხელის გაწვდენაზე. როგორც ჩემი მეგობარი ამბობს, ფამუქი ჩვენი ბიჭია და მისი შეყვარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს უნდა იყოს. ჩემი აზრით, მთელი საიდუმლო ეს არის.

მედიუმები

ყოველთვის მჯეროდა, რომ წიგნის კითხვა, როგორც ყოველ ჯერზე განსხვავებული გამოცდილების მიღება, მკითხველს ცვლიდა. თუ წიგნი, რომელსაც კითხულობ, გცვლის, რა სახის ზემოქმედებას ახდენს წიგნი, რომელსაც თარგმნი? მე-16 საუკუნის თურქი ილუსტრატორების მსგავსად, მთარგმნელის იდეალი ინდივიდუალობის დაკარგვას გულისხმობს. მისი ხელოვნება ნათარგმნ წიგნში ბოლომდე გაქრობის ხელოვნებაა. იდეალურ შემთხვევაში, თარგმნის პროცესი ვერ გცვლის, რადგან არ არსებობს ის, ვინც უნდა შეცვალოს. სანაცვლოდ, იოლად შესამჩნევ ანაბეჭდებს ტოვებს – თითქმის ფოსფორიანს – შენს მსოფლმხედველობაში, მეტყველებაში, კანზე. ამიტომაც დავიწყე მწერლის ხმის, მისი თითების ანაბეჭდების ძებნა მთარგმნელებში – თითქმის ისე, როგორც „შავი წიგნის“ პერსონაჟი – გალიფი იწყებს საყვარელი რუიას კვალის ძებნას ყველაფერში, რასაც ის შეხებია.

ორჰან ფამუქის ქართველი მთარგმნელები წინა ქვეთავში უკვე ვახსენე. აი, რა მომწერა თამარ ალფენიძემ: „რომ კითხულობ, გგონია, რომ, იცი, საითკენ მიდიხარ და მოულოდნელად სხვაგან აღმოჩნდები. მაგალითად, „ახალი ცხოვრება“ ასე იწყება: ერთ

> რა თქმა უნდა, ეს სხვა სტამბოლია და კარგად იცი, რომ წარმოსახვაში გაცოცხლებული ქალაქი ნამდვილს არ დაემთხვევა, მაგრამ მაინც ჯიუტად გჯერა მწერლის, რომელმაც დაგარწმუნა: მისი სამყარო შენი სამყაროცაა, იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირი სევდა გიღრღნით გულს.

დღეს წიგნი ნავიკითხე, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე შეცვალა. შემდეგ ორ-სამ გვერდზე ჰყვება, რაზე იყო წიგნი და რა შეიცვალა მასში წაკითხვის შემდეგ. კითხულობ და ფიქრობ, ეს ყველაფერი ახლა თუ მითხრა, მერე რაღას აპირებს, მთელი წიგნი რაზე უნდა მელაპარაკოსო, და ესაა სწორედ ის, რაც გითრევს და მიზეზი, რატომაც მოგწონს მწერალი. როცა უნდა, ხელოვნებათმცოდნესავით ლაპარაკობს ფერწერაზე, კალიგრაფიაზე, ხელოვნებაზე, ზოგადად; როცა უნდა, ლიტერატურათმცოდნესავით საუბრობს ლიტერატურის დანიშნულებაზე; როცა უნდა, სიყვარულზე ისე გიყვება, თითქოს დღეს შეუყვარდა 21 წლისას თავდავიწყებით და პირველად ცხოვრებაში; როცა უნდა, სარკასტულად გადმოგცემს ცხოვრებისეულ სიბრძნეს და იცის, რომ ეს სარკაზმი მასში იმ შიშის და ნაკლის მანიშნებელია, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანად წარმოადგენს; როცა უნდა, ისტორიკოსივით გაცნობს ქვეყნის ისტორიის იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც აუცილებლად მიგანიშნებს იმაზე, თუ რა აღმოჩნდა მისი საზოგადოების ასეთად ჩამოყალიბების მიზეზი. ფაქტობრივად, ხელის გულზე გიდებს ყველაფერს, რის შესწავლასაც დიდი დრო მოანდომა, და არ გღლის“.

ლია ჩლაიძემ კიდევ ერთი თურქი მწერალი გამაცნო, რომელიც 70-იან წლებში უთარგმნია და მაშინ 40-ათასიანი ტირაჟითაც გამოცემულა – დრამატურგი ჰალდუნ თანერი. საბედნიეროდ, მისი პიესების ხელახალ გამოცემას მალე გაეცნობა ქართველი მკითხველი. ორჰან ფამუქის წიგნებით ქართული საზოგადოების დაინტერესების მიზეზები კი ასე ამიხსნა: „ძალიან კარგი მწერალია, თუმცა ნობელის პრემიამაც ითამაშა დიდი როლი. ხშირად ხდება ხოლმე, რომ მკითხველები ფეხის ხმას ჰყვებიან. ფამუქი უდავოდ დიდი მწერალია და ამას იმსახურებს. ღირსებაა ის ენა, რომლითაც წერს. ეს განსაკუთრებით ჩანს „წითელ წიგნში“, რომელიც ძალიან ლამაზი ენით დაწერილი წიგნია. ჩვენ თურქ მწერლებს ცუდად ვიცნობთ. კომუნისტების დროს მხოლოდ სოციალური შინაარსის ნაწარმოებები ითარგმნებოდა, იმაზე დაწერილი წიგნები, თუ როგორი გაჭირვებულები და უბედურები არიან. ამ დროს ჰყავდათ ნამდვილი მწერლები, რომლებსაც არ ვიცნობდით. თუნდაც ჰალდუნ თანერი, უდიდესი ევროპული განათლებით. მოულოდნელობის ეფექტმა დიდი როლი შეასრულა: ფამუქის წიგნებით უცებ აღმოვაჩინეთ არა მარტო თურქული ლიტერატურა, არამედ თურქეთი“.

ნანა ჯანაშია სუათ დერვიშის „ფოსფორიანი ჯევრიეს“ მთარგმნელიცაა, თუმცა მასთან საუბრისას ამ რომანზე ხმა არ ამომიღია (მოგვიანებით წიგნი თავიდან წავიკითხე, მაგრამ წლების შემდეგ, რაც უნდა უცნაური იყოს, მეორე შთაბეჭდილება პირველმა მთლიანად გადაფარა). რასაკვირველია, ფამუქომანიის მიზეზების გარკვევა ვცადეთ: „მთავარი მიზეზი ნობელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიაა. ამის შემდეგ გაჩნდა ასეთი დიდი ინტერესი. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მწერალი ძალიან კარგია. რაც უფრო მეტს ვთარგმნი, მით უფრო მეტად ვიჯერებ ამას. წერს ისეთ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენი მკითხველისთვის ახლობელია. გასათვალისწინებელია ისტორიული კავშირიც ჩვენს ქვეყნებს შორის. ნამდვილად ბევრი საერთო გვაქვს. ფამუქის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ყველაფერი ითარგმნება, რაც კი დაუწერია. საბედნიეროდ, თურქოლოგიის ძირძველი სკოლაა საქართველოში. თურქი მწერლები ყოველთვის ითარგმნებოდა. ჩვენთან რომ ასეთი ძლიერი სკოლა არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ფამუქით მკითხველის ასეთი დაინტერესებაც არ იქნებოდა".

ქეთევან ტომარაძე: „ორჰან ფამუქის შემოქმედებისადმი გამორჩეული ინტერესი სწორედ მის გარეგნულ გულწრფელობასა და იმ „აღიარებით ჩვენებებში" უნდა ვეძიოთ, რომლებსაც მწერალი მიმართავს, და რაც ასე ორიგინალურად ერწყმის მის ნაწერებში განფენილ მისტიკას. ეს ყველაფერი არასოდეს არის ხელოვნური, ნაძალადევი და არა მარტო წუთიერ განწყობას ქმნის, ფიქრისკენ უბიძგებს მკითხველს. ფამუქი ისეთ თემებსა და იდეებს ირჩევს, რომლებიც ზოგჯერ შოკისმომგვრელ ზემოქმედებას ახდენს წიგნის მოყვარულ, მწერლობაში კარგად გათვითცნობიერებულ მკითხველზეც კი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრისა და გადაკვეთის ადგილი, სტამბოლი მწერლისთვის მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად, ან თუნდაც გეოპოლიტიკური ვნებათაღელვის ობიექტად როდი მოიაზრება. ის მთელი არსებით გრძნობს ორი ცივილიზაციის შეხვედრისა და მდუმარე თანხმობის ქალაქს. ეს ფამუქის უმთავრესი ღირსება, სიმდიდრე და უპირატესობაა, რომლის მეშვეობითაც ქმნის საკუთარ სააზროვნო ველს, განუმეორებელ სამყაროს. მწერალი სიღრმისეულად იცნობს ევროპულ და აზიურ კულტურებს, ტრადიციებს, მათ ნაკლსა და ღირსებებს, და უმთავრესს და საუკეთესოს ითავისებს, რაც სინთეზირების პროცესში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს. ფამუქი საუკეთესო მთხრობელია: ოსტატურად ათავისუფლებს ნაწერს მორალისტური ტენდენციებისგან და ქმნის ჭეშმარიტ მხატვრულ ტექსტს, ნამდვილ ლიტერატურას, რომელიც ძალდაუტანებლად შემოდის შენში და სამუდამოდ რჩება".

მიმოწერის დასაწყისში ქეთევან ტომარაძემ მირჩია, ფამუქომანიის მიზეზების ძიებისას, პირველ რიგში, მკითხველების აზრი გამეგო. ამას აქამდეც ვაკეთებდი: ორჰან ფამუქის წიგნების კვალს ჩემს ყველა მეგობარსა და ნაცნობში ვეძებდი. მთარგმნელებს კი მართლაც დიდი სიამოვნებით ვუსმინე და მათი წერილებიც სიამოვნებით ვიკითხე. მომეჩვენა, რომ ფლუორესცენციული ნათებებიც შევნიშნე.

სტამბოლის კატები

ქართულ ბლოგებზე ბევრს წერენ ორჰან ფამუქზე, ძალიან ბევრსაც კი. საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მოთხოვნილება განსაკუთრებით მათ უჩნდებათ, მწერლის წიგნებს სულმოუთქმელად რომ კითხულობენ და პირველივე შესაძლებლობისთანავე გასულ წელს გახსნილი მუზეუმის მონახულებას რომ აპირებენ. რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას თუ არ ჩავთვლით, რომლებიც პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებას და ცოტა არ იყოს, გაწელილ სიუჟეტებს უკავშირდება, ბლოგერები ორჰან ფამუქის რომანებით აღფრთოვანებული მკითხველების დიდ ჯგუფს წარმოადგენენ.

„მივიკვლევთ გზას ფამუქის ლაბირინთში და უკვე ეჭვიც კი გვეპარება – გვინდა თუ არა საერთოდ გასასვლელის პოვნა. იქნებ სამუდამოდ აქ დარჩენა გვირჩევნია, აღმოსავლეთის სურნელით გაჟღენთილ ფურცლებში, სადაც მხატვრის სანუკვარი ოცნება თვალის სინათლის დაკარგვაა, რათა სამყარო ალაჰის თვალით დაინახოს; სადაც მკვლელობა მხოლოდ სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯია; სადაც სიყვარული ისეთი ტკბილია, როგორც შექიურეს სახელი და ისეთი გიზგიზა, როგორც ხმელი ხისგან დანთებული კოცონი", – წერს მოლი ბლუმი საკუთარ ბლოგზე (mollybloomsday.com).

ახალგაზრდა ორჰანს „გი" ეძინოდა, რომ მისი ხმა სხვა მწერლების ხმებში იოლად ჩაიკარგებოდა. ზოგიერთისთვის ეს ხმა ყველაზე მკაფიოდ სტამბოლში, ჩუქურჯუმას უბანში ისმის: „ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ თავი ქესქინების ნამდვილ ოჯახში მეგონა. ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ამ საწოლთან რამდენიმე წუთი ვიჯექი და მეგონა, რომ სულ ცოტა ხნის წინ იქ ჩემი უფროსი მეგობარი, ქემალ ბეი იწვა, რომელმაც სიკვდილის წინ მითხრა: თამთა-ხანუმ, მინდა, ყველამ იცოდეს, რომ უბედნიერესი ცხოვრება გავიარე" (სამყაროს უკანასკნელი ბლოგი. boloblogi.wordpress.com).

ერთ-ერთ ბლოგზე ასეთ მიმართვასაც გადავაწყდი: „ორჰან-ბეი, რა აუცილებელი იყო ისეთი რადიკალური ნაბიჯი, როგორიც სომხების გენოციდის აღიარებაა? ეს ხომ პრინციპის საკითხია თითოეული თურქისთვის! მაგრამ ეს იყო კიდევ ერთი ბიძგი, რომლითაც თქვენ თურქეთის საზღვრებს გასცდით და საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინეთ. არ ვიცი, გათვალეთ თუ არა. ფაქტი ერთია: თურქი ერის სიამაყე უნდა ყოფილიყავით და ახლა თქვენს ხსენებაზე თანამემამულეები უხერხულად იშმუშნებიან. თუმცა ეს ვერაფერს გაკლებთ ჩემს თვალში, რადგან არ იტყუებით!" (tamarasbicycle.wordpress.com).

მუზეუმები არ მიყვარს – ექსპონატები, რომლებსაც ხელით ვერ ვეხები, დაუკმაყოფილებლობის განცდას მიტოვებს და თითოეულ ჯერზე იმასაც ვგრძნობ, რომ თვალიერებისთვის განსაზღვრული დრო არასდროს არის საკმარისი. ამიტომაც არ მიმიწევს გული ჩუქურჯუმას მუზეუმისკენ.

ყველაზე ძალიან სტამბოლის კატები მაინტერესებს – ამბობენ, რომ იქ მართლაც უამრავი კატაა და ეს ამ ქალაქის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ დღეებში ბევრს ვფიქრობდი ამ კატებზე, რომლებიც გადარბიან და გადმორბიან სტამბოლის ქუჩებიდან ორჰან ფამუქის წიგნებში და წიგნებიდან სტამბოლის ქუჩებში. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ ხდება რაღაც უბრალო და ყოველდღიური – ძალიან პირადი, როცა მოგონებად იქცევა; როგორ შეუძლიათ მოგონებებს საკუთარი



ცხოვრებით იცხოვრონ და საბოლოოდ, გაქციონ იმად, ვინც ხარ; როგორ შეიძლება წერო საკუთარ თავზე, ოჯახზე, ქალაქსა და ქვეყანაზე ისე, რომ მოვლენების შუაგულშიც იყო და თან დამკვირვებელიც იყო; როგორ შეიძლება მკითხველს შენი წარმოსახვითი მუზეუმი ისე მოატარო, რომ თითოეული ექსპონატის ხელში აღების და დიდხანს თვალიერების განცდა დარჩეს.

ბლოგი რომ მქონდეს, ამაზე დავწერდი.

და რაღაც პირადიც

„შორეული ენებიდან ნათარგმნი ყველა ავტორი აღმოჩენილა ამ სიტუაციაში: რომანისტი ზუსტად იმ პოეზიაზე საუბრობს, რომელსაც თავის ცხოვრებაში ხედავს, ან იმ ჩრდილებზე, რომლებიც პირად ცხოვრებას უბნელებს, კრიტიკოსები და მკითხველები კი მის წიგნებს კითხულობენ, როგორც ქვეყნის პოეზიისა თუ ჩრდილების გამოხატულებას. რომანისტის თვით ყველაზე პირად წარმოდგენებსა და შემოქმედებით თავისებურებებს მთელი ერისთვის დამახასიათებლად აღიქვამენ – ამ ერის სახედაც კი“, – ამბობს ორჰან ფამუქი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ეს გაღიზიანება, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ მისგან მუდმივად განსაზღვრული როლის თამაშს მოითხოვენ, როცა მისი წიგნები 60 ენაზეა ნათარგმნი და მთელ მსოფლიოში გაფანტული, როცა სამყაროს ხმებში მისი ხმა ასე მკაფიოდ ისმის.

ორჰან ფამუქი ერთადერთი თანამედროვე მწერალია, რომლის ყველა წიგნიც ქართულად ნათარგმნია (ან ახლა ითარგმნება). გამომცემლობების ამგვარი მონდომება კი მხოლოდ ერთზე მიანიშნებს: ქართველ მკითხველს მისი წიგნები მოსწონს, შესაბამისად, ისინი სხვა, არანაკლებ ცნობილი მწერლების წიგნებზე უკეთესად იყიდება. გამომცემლობა „დიოგენეს“ იმ წიგნის გამოცემის უფლებაც კი აქვს მოპოვებული, რომელიც ფამუქს ჯერ არ დაუწერია.

პოპულარობას თავისი საზღაური აქვს და უმრავლეს შემთხვევაში, ეს საკუთარი თავის ნაწილობრივ ან სრულად გაწირვაა. ამბობენ, რომ ბოლო წლებში ორჰან ფამუქი სწორედ ორჰან ფამუქს თამაშობს, რაც მეტისმეტად თვალშისაცემია. შესაბამისად, მისი ნაბიჯები სულ უფრო იოლად პროგნოზირებადი ხდება.

მიუხედავად ყველაფრისა, მე ვიცი, რა მომწონს მის წიგნებში: სწორედ ის პირადი, რაც ხან ძალიან ახლოს არის პოეზიასთან და ხან ჩრდილივით ეფინება ყველაფერს, რასაც მწერლის ხელი ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

(გაგრძელება; დასაწყისი იხილეთ N 90-92)



1980-იანები

ნაწილი პირველი

უძრაობა

ახალ ათწლეულში გადასვლა ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის. მოხდა ყველაზე აბსურდული მკვლელობა არა მარტო პოპულარული მუსიკის, არამედ შესაძლოა, საერთოდ, კულტურის ისტორიაშიც კი: 1980 წლის 8 დეკემბერს ფანატიკოსმა მოკლა ჯონ ლენონი. აქ შეგნებულად არ ვასახელებ მკვლელის სახელს, რადგან რამენაირად მაინც დავიცვა კაცობრიობა მსგავსი შემთხვევებისგან: მკვლელს ხომ სხვისი სახელის, სხვა ადამიანის სიკვდილის ხარჯზე მოუნდა თავისი სახელის მოპოვება. ისევე, როგორც უამრავმა ადამიანმა მთელს მსოფლიოში, ჩვენც, ამ ფაქტით შეძრწუნებულმა ბიტლომანებმა საქართველოში პროტესტის ამ მიამიტურ ფორმას მივმართეთ და როგორც ხედავთ, ვცდილობთ მის დაცვას.

ამ ტრაგედიამ საბოლოოდ ცხადი გახადა, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ჯგუფი „ბიტლზი“ ორიგინალური შემადგენლობით ვეღარასდროს აღდგებოდა.

ეს ფაქტი გარკვეულწილად ჩემს მომავალსაც შეეხო. საქმე ის გახლავთ, რომ ლენონის მკვლელობიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, მის შესახებ რაღაც სტატია შევაკოწიწე, რომელიც გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა რუბრიკით, – „თქვენ გვთხოვდით გვეამბა ამის შესახებ...“. ჩემი პირველი სტატია ფსევდონიმით, მეგობრის გვარით გამოქვეყნდა. მისი დამსახურება ამ სტატიის .მომზადებაში იმით გამოიხატა, რომ რედაქციაში წამყვა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, რომ ქართულენოვან მედიაში ეს იყო ჩემ მიერ ფსევდონიმის გამოყენების პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. ჩემი პირადი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი უარყოფითია. მიმაჩნია, რომ ავტორს დასამალი არაფერი არ უნდა ჰქონდეს და თუ თავისი ნაწერი არ მოსწონს, ფსევდონიმს კი არ უნდა მოეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, არამედ არ გამოაქვეყნოს. ამის მიუხედავად, ერთი პერიოდი მაინც მომიხდა ფსევდონიმის გამოყენება. ეს ხდებოდა ათასწლეულების შესაყარზე, როცა აქტიურად ვთანამშრომლობდი ინგლისურენოვან ყოველკვირეულთან Tbilisi Pastimes. ამ თანამშრომლობას თავის ადგილზე შევეხებით, მაგრამ სანამ ჩემს სტატიას დავუბრუნდები, გეტყვით – ფსევდონიმის საჭიროება იმან გამოიწვია, რომ ხშირად ნომერში ჩემი რამდენიმე მასალა იბეჭდებოდა ხოლმე. თანაც „ბიტლზის" სიმღერის სათაურით გამაგრებული ფსევდონიმი, Paperback Writer (რბილყდიან გამოცემათა ავტორი), საქართველოში მყოფ უცხოელ მკითხველს, რომელზედაც იყო გათვლილი ჟურნალი, ჩემზე უფრო მეტს ეტყოდა, ვიდრე ჩემი ნამდვილი სახელი.

ჩემი პირველი სტატიის სათაურს კი არა უშავდა, – ლენონის ბოლო დისკის წამყვანი სიმღერის მიხედვით დავარქვი. აი, ქვესათაური კი, რომელიც რედაქციის ინიციატივით გაჩნდა, საშინელება იყო და კარგად ასახავდა იმდროინდელ საბჭოთა იდეოლოგიას, – „თავისუფალი სამყარო" და ბედი ხელოვანისა...". რუბრიკის დასახელებასთან ერთად, ეს სტატიისთვის რედაქციის მიერ ინიციირებული მეორე და უკანასკნელი ფრაზა გახლდათ და სხვა თუ არაფერი, იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს, რომ ვთქვა – იქ ძალიან ყვარებიათ ეს ერთობ სევდიანი სასვენი ნიშანი – სამი წერტილი.

არ მინდა ვიტრაბახო, მაგრამ სტატია ტექნიკურად სწორად არის აგებული, თუმცა, მეორე მხრივ, ორიოდე ისეთი „მარგალიტია" გაპარული, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება სიტყვა „მარგალიტის" ამ წინადადებაში ხმარებას. სამაგალითოდ, გთავაზობთ პირველივე წინადადებას, სადაც წერია, რომ „მოკლეს „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი...". დამეთანხმებით, რომ აქ სიტყვა „ერთ-ერთი" სრულიად ზედმეტია.

ვნახოთ შემდეგი წინადადება: „ამ ნიჭიერი მუსიკოსის ტრაგიკულმა სიკვდილმა...". ალბათ ცოტა უხერხულია ნიჭიერად მოიხსენიო პოპულარული მუსიკის ისტორიაში ყველაზე გავლენიანი ჯგუფის 40 წლის ლიდერი. ეს დაახლოებით იგივეა, მაგალითად, ბეთჰოვენზე რომ თქვა, ურიგო კომპოზიტორი არ იყოო.

შემდეგი უაზრობა იმაში მდგომარეობს, რომ სიმღერის სახელი Imagine წერია ქართულად – „იმეჯინი". ეს შეიძლება იმის გამო მოხდა, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში უცხოენოვან შრიფტებს იშვიათად ხმარობდნენ. როგორც ხედავთ, აქ მეტ-ნაკლებად თავს ვიმართლებ და ვცდილობ, ჩემი შეცდომა სხვას გადავაბრალო, მაგრამ მომდევნო აბზაცში ერთი სიტყვა ისე დავწერე... ეს რომ სხვას გაეკეთებინა, მის შესახებ დაახლოებით ასეთ რამეს ვიტყოდი: ალბათ ბუნებრივია, რომ ადამიანმა, რომელიც წერს „ბიტლზის" შესახებ, სულ ცოტა, მისი წევრის სახელი უნდა იცოდეს; ალბათ ელემენტარული ინგლისურიც არ აწყენდა. თუ არა ეს მომენტები, სხვას არც კი ვიცი, რას დავაბრალო, რომ მაკარტნი მოხსენიებულია არა როგორც პოლი, არამედ პაული.

ნახსენებთან შედარებით, ყველაზე მოყვანილი შეცდომები შეიძლება უმნიშვნელოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ისინი ნათელი მაგალითია იმისა, რომ მკითხველისთვის მიწოდებული ფაქტების და მოვლენების დროისგან მოწყვეტა შეიძლება არასწორი დასკვნის გაკეთების საფუძველი გახდეს. მაგალითად, წინადადება, სადაც ნათქვამია, რომ რინგო ჯგუფში სატკლიფის სიკვდილის შემდეგ მივიდა, ფაქტობრივად სწორია. მაგრამ ეს ორი ფაქტი – სატკლიფის სიკვდილი და რინგოს მისვლა – ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის. ეს დაახლოებით იმის ტოლფასია, რომ თქვა – სტალინის სიკვდილის შემდეგ გაგარინი კოსმოსში გაფრინდაო, ანდა „მზიური" უკვე კარგა ხნის დაშლილი იყო, როცა Spice Girls შეიქმნაო.

ზუსტად ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე წინადადებაში, სადაც ნათქვამია, რომ „ბიტლზმა" თავისი ბედი დაუკავშირა ცნობილ მენეჯერს ბრაიან ეპშტეინს. საქმე ის გახლავთ, რომ „ბიტლზთან" თანამშრომლობამდე ეპშტეინი მუსიკალურ მაღაზიას განაგებდა და არათუ ცნობილი, საერთოდ მენეჯერიც კი არ იყო.

ჯერჯერობით ვიკმაროთ. ახლა კი ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რატომ დავუთმეთ ამდენი დრო და ადგილი ამ არაფრით საინტერესო, შეცდომებით სავსე სტატიას. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ამ სტატიამ მაშინ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

პირველ ყოვლისა, ეს წერილი იმიტომ დავწერე, რომ მაინტერესებდა – შემეძლო თუ არა ჩემი ჰობი შე-

ქართულენოვან მედიაში ეს იყო ჩემ მიერ ფსევდონიმის გამოყენების პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. ჩემი პირადი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი უარყოფითია. მიმაჩნია, რომ ავტორს დასამალი არაფერი არ უნდა ჰქონდეს და თუ თავისი ნაწერი არ მოსწონს, ფსევდონიმს კი არ უნდა მოეფაროს, არამედ არ გამოაქვეყნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"დააჭირე კაფსულას და გააააქტიურე სიგრილე*"

*მენთოლის კაფსულა

სერტიფიცირებულია

ელ ეს ეს
აქტივეიტი
აქტივეიტი
ელ ეს ეს ელ ეს ეს

LSS
LESS SMOKE SMELL

LSS თამბაქოს კვამლის ნაკლებად მძაფრი სუნი ინოვაცია, რომელიც ხელს უწყობს თამბაქოს კვამლის ინტენსიური სუნის შემცირებას

ლეს სმოუქ სმელ

კრეატივით შთაგონებული

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის წყაროდ გამეხადა. ხელნაწერი „ახალგაზრდა კომუნისტში“ წავიღე. იქ ერთმა საშუალო ასაკის ქლბატონმა მიმიღო და რომ გაიგო რა თემაზე იყო, გაუხარდა – ამ ტიპის მასალები საერთოდ არ გვაქვს ხოლმეო. ჩემი თანდასწრებით წაიკითხა და უფრო მეტად გამხიარულდა – კარგი არისო. ბუნებრივია, მეც გამიხარდა.. თუმცა ამ ისტორიაში ყველაზე მხიარული ერთი თვის შემდეგ გამოწერილი ჰონორარი აღმოჩნდა, რომელმაც საერთოდ დამიკარგა საბჭოთა პერიოდიკასთან თანამშრომლობის ხალისი.

მიუხედავად იმისა, რომ ფსევდონიმით გამოქვეყნდა, ჩემ გარშემო ძალიან ბევრმა იცოდა, რომ ჩემი დაწერილი იყო. საკვირველია, მაგრამ მათ შორის არიან ისეთები, რომლებსაც დღესაც ახსოვთ ეს სტატია. და კიდევ უფრო საკვირველია, რომ მათგან ზოგიერთმა ამ ისტორიის საკუთარი ვერსია შექმნა. ეს ვერსია განსაკუთრებით აქტუალური ხდება სუფრაზე, რამდენიმე ჭიქის შემდეგ. მისი ავტორები ჩემი თანადასწრებით „ახსენებენ“ ერთმანეთს ან უყვებიან თავიანთ შვილებს ქართულ პრესაში ჩემი აქტიური მოღვაწეობის შესახებ იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირში სექსიც კი აკრძალული იყო.

ამ კეთილი ტყუილის ავტორებს მართლაც სჯერათ, რომ ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც თვითონ ახსოვთ. შეცდომას ძირითადად ის განაპირობებს, რომ მათ ერთმანეთში ერევათ ჩემი ე.წ. ზეპირსიტყვიერება და რეალური პუბლიცისტიკა. ამ გარემოებას ისიც უწყობს ხელს, რომ იმ პერიოდში მქონდა ერთი „ჯადოსნური“ რვეული. ეს მართლაც ლეგენდარული, ე.წ. საერთოზე ბევრად სქელი რვეული, რომელიც უზომო პოპულარობით სარგებლობდა ჩემს გარემოცვაში, გავსებული იყო ინგლისურენოვანი როკსიმღერების ტექსტებით და ცნობებით ჩანაწერებისა და მუსიკოსების შესახებ. ეს ერთგვარი როკენციკლოპედია ხელიდან ხელში გადადიოდა, მოვლილი ჰქონდა თბილისის უამრავი ოჯახი და ალბათ ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

საიდან და როგორ შევაკოწიწე ეს რვეული და მისი უფრო მცირე ზომის თანამოძმეები, ახლა ძნელი გასახსენებელია. პირველ რიგში, ვიცნობდი ორიოდე ჩემნაირ „გარეკილს“, რომელთა საშუალებითაც რვეულის დიდი ნაწილი გაივსო. გარდა ამისა, ტექსტებს საკმაოდ ხშირად სრულიად მოულოდნელ ტიპებთან ვაწყდებოდი. მაგალითად, ერთ ოჯახში აღმოვაჩინე იაპონიაში გამოცემული, იეროგლიფებით დახუნძლული „ბიტლზის“ 20 საუკეთესო სიმღერის ნოტებისა და ტექსტების ქსეროასლი. ნოტებზე მეტად ქსეროასლის არსებობა გამიკვირდა, რადგან მაშინ ასლების გადაღებასაც უშიშროების კომიტეტი აკონტროლებდა. 80-ანი წლების ბოლოსაც კი, ზოგიერთი ინსტიტუტის „კოპიროვალშჩიკს“ ვერანაირი გასამრჯელოს ფასად ვერ გააკეთებინებდი თმამოშვებული და გიტარიანი ახალგაზრდების ფოტოებით ილუსტრირებული სტატიების ასლებს.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავავაგრძელო, ასეთი იყო უძრაობის ხანის პიკზე გამოქვეყნებული ჩემი პირველი სტატიის ისტორია. შემდეგ დამიდგა ხანგრძლივი შესვენების პერიოდი, რომელიც ძალიან ნაყოფიერი და, ალბათ, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდა ჩემი მომავალი საქმიანობის გზაზე. ეს ნაყოფიერება გამოიხატა როგორც მუსიკალური, ისე ჟურნალისტური თვალსაზრისით. ორივე მიმართულებით ჩემთვის ეს იყო ინფორმაციული აფეთქების პერიოდი: ვუსმენდი ძალიან ბევრს და ვკითხულობდი ყველაფერს როკის ირგვლივ. ეს ყველაფერი კი შედარებით ხელმისაწვდომი იმის გამო გახდა, რომ საბჭოთა კავშირში გახშირდა უცხოელების ჩამოსვლა და ასევე აქედანაც უფრო მეტი მოქალაქე სტუმრობდა საზღვარგარეთს. „პერესტროიკამ“ კიდევ უფრო გააფართოვა ხელმისაწვდომობის საზღვრები. ქვეყანაში გაჩნდა დასავლეთის პრესის გაცნობის საშუალება.

დღეს თამამად შემიძლია განვაცხადო: თუკი ჩემი პუბლიკაციები რამენაირ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა, ეს უპირველეს ყოვლისა იმის ბრალია, რომ თავის დროზე ინტენსიურად ვეცნობოდი ბრიტანულ პრესას. და თუ არსებობს წერის, გადმოცემის ჩემი სტილი, ის დიდწილად უნდა უმადლოდეს იმ პერიოდში ბრიტანული პრესის მეშვეობით მიღებულ არაფორმალურ განათლებას. გაზეთებიდან ვისწავლე, როგორ შეიძლებოდა ნაკლებად საინტერესო თემა საინტერესოდ გექცია. ჟურნალებიდან კი შევითვისე სტატიებისთვის სათაურების დარქმევის ხელოვნება.

მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით მოვიდა. მანამდე იყო „უძრაობის“ ხანის ინფორმაციული შიმშილი. საბჭოთა კავშირში როკი ფაქტობრივად აკრძალული იყო. აკრძალული იყო ოფიციალურისგან სულ ოდნავაც კი განსხვავებული აზრი. ამიტომაც სრულიად უწყინარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გვიხდებოდა ბრძოლა. აქტუალური გახდა სიტყვა „ვიშოვე“: იმის გამო, რომ არაფერი არ იშოვებოდა, ჯერ უნდა გეშოვა და მერე, თუ შეძლებდი, გეყიდა. აკრძალვა ძალიან ბუნებრივად იწვევდა ინტერესის ზრდას. ეს კი, თავისთავად, სპეკულაციის განვითარებას უწყობდა ხელს. ჩამოყალიბდა გადამყიდველების ახალი ტიპი – ეგრეთ წოდებული „პლასტინკების ბარიგები“. ისინი საოცარ ფასებს ადებდნენ მსოფლიოში ყველაზე სახალხო და ხელმისაწვდომ მუსიკის ჩანაწერებს. თავიდან ერთი ფირფიტის ფასი, დაახლოებით, საბჭოთა მოქალაქის საშუალო ხელფასის ნახევარს შეადგენდა. მყიდველთა წრეც, შესაბამისად შეზღუდული იყო და ძირითადად ე.წ. „კომბინატორების“ და „ნომენკლატურშჩიკების“ შვილებისგან შედგებოდა.

იმის გათვალიწინებით, რომ ზემოთ ნახსენებ არც ერთ ფენას არ ვეკუთვნოდი, ხოლო საფრანგეთში ემიგრირებული აქტიური ანტისაბჭოელი წინაპრის გამო ჩემს მშობლებს საზღვარგარეთ არ უშვებდნენ, ახლა მე თვითონაც ძალიან მიკვირს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან ვხვდებოდით, ვიღაცის მაგნიტოფონზე დატრიალებული ესა თუ ის ჩანაწერი, ამა თუ იმ შემსრულებელს რომ ეკუთვნოდა. ეს მით უმეტეს საოცარია, როცა ძალიან ხშირად თვითონ პატრონმაც არ იცოდა რას უსმენდა.

ერთხელ ამხანაგის მაგნიტოფონზე კლასიკური ქანთრი ტრიალებდა მთელი თავისი ბანჯოებით და თეთრკანიანთა წკრიალა ხმებით. ერთი სიმღერის სახელი მაინტერესებდა და ამხანაგს ვკითხე, ეს რა არის-მეთქი. ჯიმი ჰენდრიქსიო, ისეთი შეუვალი ტონით მიპასუხა, რომ არ მცოდნოდა, დავიჯერებდი.

ესეთები ბევრნი იყვნენ. მათთვის მუსიკა მხოლოდ გასართობი და ძალიან ხშირ შემთხვევაში კი, მოდა და

საბჭოთა კავშირში როკი ფაქტობრივად აკრძალული იყო. აკრძალული იყო ოფიციალურისგან სულ ოდნავაც კი განსხვავებული აზრი. ამიტომაც სრულიად უწყინარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გვიხდებოდა ბრძოლა. აქტუალური გახდა სიტყვა „ვიშოვე“: იმის გამო, რომ არაფერი არ იშოვებოდა, ჯერ უნდა გეშოვა და მერე, თუ შეძლებდი, გეყიდა. აკრძალვა ძალიან ბუნებრივად იწვევდა ინტერესის ზრდას. ეს კი, თავისთავად, სპეკულაციის განვითარებას უწყობდა ხელს.

გარკვეული უპირატესობის მაჩვენებელი იყო. ნამდვილი მოყვარულები ბევრად ნაკლები იყვნენ. მათ სხვა დამოკიდებულება ჰქონდათ მუსიკისადმი. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი რეალური ინტერესი იყო. და ეს ინტერესი მხოლოდ მუსიკით არ შემოიფარგლებოდა. ის მთელი სუბკულტურისთვის დამახასიათებელ ბევრ წვრილმანს მოიცავდა.

უმნიშვნელოვანესი იყო ის, თუ როგორ გამოიყურებოდა შემსრულებელი. მთავარი იყო, რომ მისი გარეგნობით უნდა მიმხვდარიყავი – ის როკერია და არავითარ შემთხვევაში არ არის „პაპსავიკი“. მას პირველ რიგში გრძელი თმები უნდა ჰქონოდა; ჩაცმულობიდან სასურველი იყო ჯინსი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რომელსაც რატომღაც „ფლეიბოებს“ ვეძახდით და მაისური; არც ავღანური ქურთუკი აწყენდა. ამასთან ერთად, საჭირო იყო შესაფერისი იერი, სახის გამომეტყველება: ინდიფერენტული, ირონიული, სევდიანი, სულაც გაბოროტებული გამოხედვა. ერთადერთი „ბიტლზი“ იყო, ვისაც ღიმილი ეპატიებოდა. თმებთან დაკავშირებით გამორიცხული იყო სიმეტრიული, მოწესრიგებული ვარცხნილობა; მით უმეტეს – ბრიოლინი.

ალბათ, ძალიან გაოცდებოდნენ „როლინგსტოუნზის“ წევრები, თუ გაიგებდნენ, რომ მაღალყელიან ელასტიკურ სვიტრებს ჩვენთან მაშინ „როლინგსტონს“ (შემოკლებით – როლინგი) ეძახდნენ. ამ სვიტრებს დიდი რაოდენობით აწარმოებდა ქართული საბჭოთა მსუბუქი მრეწველობა და ისინი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ რუს ტურისტებს შორის, რომლებიც მათ Битловка-ს ეძახდნენ.

კიდევ ერთი იმდროინდელი გამოცანა იყო ოვალური ფორმის ჩარჩოს მქონე სათვალე, რომელსაც ჩვენ „მაკარტებს“ ვეძახდით, ჩვენი ჭკუით, პოლ მაკარტნის გამო. არადა, ფორმიდან და ფოტოებიდან გამომდინარე, „ლენონები“ უნდა რქმეოდა. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ სათვალის მეტსახელს არავითარი კავშირი არ ჰქონდა არათუ „ბიტლზთან“, არამედ მუსიკასთანაც კი. საქმე ის გახლდათ, რომ ამერიკელი გენერალი, დუგლას მაკარტური ხმარობდა „რეი ბანის“ სათვალეს, რომლის ანალოგები ძალიან პოპულარული იყო მთელ მსოფლიოში.

თმებთან დაკავშირებით, წინა თაობასთან შედარებით, გაგვიმართლა. იმ დროს ოდნავ ყველას მოშვებული ჰქონდა – მოდაში იყო. მე ამ ოდნავით არ ვკმაყოფილდებოდი. თუმცა ამის გამო სახელმწიფო არ მერჩოდა. ერთადერთი უნივერსიტეტის სამხედრო კათედრასთან მქონდა პრობლემები. ლექციაზე არ მიშვებდნენ, თუ თმას იური გაგარინის ვარცხნილობის სიგრძემდე არ შევიმოკლებდი. გაგარინის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მით უმეტეს, რომ უკვე დაღუპული იყო და თან არც კოსმონავტობას ვაპირებდი, მაგრამ თმებს მაინც არ ვიჭრიდი. ასე გრძელდებოდა ოთხშაბათიდან ოთხშაბათამდე, იმ განსხვავებით, რომ ყოველ შემდეგ ოთხშაბათს ოდნავ უფრო გრძელი თმა მქონდა ხოლმე, ვიდრე მანამდე. საბოლოოდ მოვლენები ასე განვითარდა: უნივერსიტეტიდან რომ არ გავერიცხე, მშობლების ჩარევით, ერთ ძველ „ჩეკისტს“ მოუხდა სამხედრო კათედრის გამგესთან „გამოლაპარაკება“. ჰოლივუდის ენით რომ ვთქვათ, „ცერეუმ“ ჩახადა „ფედერალებს“ და უნივერსიტეტმა მე „შემინარჩუნა“.

თვითონ მშობლებს ჩემი მუსიკა და გარეგნობა არ აღიზიანებდათ. ასე რომ, თაობათა დაპირისპირება და მამებსა და შვილებს შორის ბრძოლა მხოლოდ თეორიულ დონეზე გადავატარე. თუმცა ყოფილა ჩემ ირგვლივ შემთხვევა, როცა მამა შვილს ოთახში შეუვარდა და ძლივს ნაშოვნი „ლედ ზეპელინის“ პლაკატი ჩამოუხია, რადგან ბიჭმა ზედიზედ 17-ჯერ დაატრიალა ერთი სიმღერა! ვერ ვიტყვი, მამაჩემი ჩემს მუსიკალურ გემოვნე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

SOVLAB - საზოგადოებრივი არქივი - ელისო ოქუაშვილი-ფურცელაძის კოლექცია

ირაკლი ხვადაგიანის

20-იანები

აი, ის გრძნობა, მოულოდნელად რომ დაადგები თავზე აგვისტოს სიცხით გათანგულ მოქალაქეს და ღია კარში ცალფეხჩადგმული, პაროლივით ბაბუის მეტსახელს ეუბნები; სარგებლობ, რომ მასპინძლის ტვინი ერთბაშად ვერ ახერხებს გადახარშოს ვარიანტების სპექტრი – შორეული, აბეზარი ნათესავის გამოჩენიდან, „პაპის ნაჭამი ტყემლის“ პროფესიონალ მაძიებლამდე და არც სტუმარმასპინძლობის ინსტინქტი და ტაქტი უშვებს ცხვირწინ მიუხუროს კარი საეჭვოდ მოღიმარ ახალგაზრდას – ალილოსავით გადმოულაგებ საკმაოდ ბუნდოვან, დაზეპირებულ ახსნა-განმარტებას (დარცხვენით ჩაურთავ „სტატუსს“ – ისტორიკოსს) და ირიბი მზერით შიგადაშიგ კედლებზე სურათებს, კარადაში ალბომებისა და საქაღალდეების ყდებს ზვერავ...

არა, რეალური გრძნობა დასაწყისში უფრო იყო ხოლმე – როცა კანქვეშ ცხადად „ხედავდი“ ადრენალინის განზავებას და საუკუნის წინანდელი ფოტორეაქტივების მწკლარტე სურნელს თითქოს რამდენიმე მეტრის რადიუსში აფიქსირებდი... ახლა, ყოველ ჯერზე, აღქმა გიუხეშდება და ვერ ურიგდები რეალობას, რომ შეიძლება სახეზე იცნობდე ამხანაგ საშას, ბესოს, ლევანასა და მიხაკოს, ალფესა ხელაძეს და სანდრო ფარნიევს, იცოდე, რომელ სარდაფში ბეჭდავდნენ მანასე და „კარაპეტა“ „ამერიკანკაზე“ საოცდაექვსმაისო პროკლამაციებს, შეგეძლოს რუკის გარეშე მიჰყვე შინელში გამოწყობილ წარმოსადეგ მოხუცს ადევნებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილერს „ოკას შტაბიდან“ – „ბაბი გარადოკამდე“ და იმ ეზოშივე ცხოვრობდე, საიდანაც 1923 წლის თებერვლის ღამით ვარდენ წულუკიძე გაიყვანეს – მაგრამ, სულ ერთია, მაინც ვერ გაიგებ რომელ ჰანგზე მღეროდნენ დანაღვლიანებული გვარდიელები სახელდახელო კუპლეტებს – „აპრილო და მაისო, მშვიდობით ქუთაისო, ჩვენი დედაქალაქი ძაბრის ქუდით გაიმსო...“, როგორი გემო ჰქონდა ამერკომის სასადილოს კვერცხის ფხვნილს და მუშკოოპის ფურნის პურს, ვერ გაარჩევ ქუჩის სიბნელეში მაუზერის მჭახე ხმით შეშფოთებული მეზობლების სხვადასხვა ენაზე ქოთქოთს და გაქუცული „ტრუდშკოლის“ დერეფანში „გრძელი ვირისაგან“ ავარდნილი მტვრის სუნიც ვერანაირად ვერ იქნება შენი ადრეული ბავშვობის ასოციაცია.

ეს შენი ომი არ არის. ალბათ კიდევ ერთი ცხოვრებაც კი არაა საკმარისი გაიგო, რას გრძნობდა 11-12 წლის ასოთამწყობი, გათოშილი თითებით რომ კრებდა მთავრობის თავმჯდომარის მოქალაქეებისადმი მიმართვას 1921 წლის 24 თებერვლის შუაღამით, ან რამდენშრიანი შიფრია იმ სტრიქონებს მილმა, მაჯებდაბინტული ვალიკო ჯუღელი რომ წერდა „ზაკჩეკას“ მეცხრამეტე საკანში 1924-ის აგვისტოში.

1900-იანი წლების მედროშეების და 1917-1921 წლების ჭირისუფლების თხუთმეტწლიან ხორცსაკეპს 1937-მა დაუსვა ნერტილი; 1920-იანების თაობას მეორე მსოფლიო ომი დაეცა და გასრისა... დღეს, 83 წლის შემდეგ, ვერავინ მოგიყვება, რაგვარი ჭორები აგორდებოდა სადგურიდან ფოსტამდე და საბოლოოდ მუშათა ბარაკებში დაიფანტებოდა ხოლმე, როგორ ჩაეშვა ერთ მშვენიერ დილით მთელი ტფილისი მტკვრის დამშრალ კალაპოტში – ვინ იცის თევზისთვის, ვინ იცის სეირისთვის და როგორ უმღეროდნენ ქუჩის „პაცნები“ გინებანარევ სტრიქონებს ბესარიონ ჭიჭინაძეს, მტკვარზე ბორკილის დადებისა და ბნელი ქუჩების განათების გამო.

ვერავინ შეგედავება, თუკი ფანტაზიას მიუშვებ და გაზეთ „კომუნისტისა“ და „მუშის“ ფურცლებში შეახვევ საკუთარ გათვლებსა და ვარაუდებს – თვითმხილველები აღარ არიან, კონკურენტი „მანიაკებიც“ თითზე ჩამოსათვლელია. მხოლოდ წყეული კეთილსინდისიერება (კიდევ ის გარემოება – ისტორიას ძირითადად უფანტაზიო მწერლები რომ ეტანებიან ხოლმე) და ცნობისმოყვარეობა გექაჩება მტვრის ქვედა და ქვედა ფენებში, რომ როგორმე შეაკონწინო მოზაიკის ფრაგმენტები, როგორმე სცადო თითქმის უცნობი პერსონაჟის კანში შეძვრე და მისებურად იფიქრო – სხვისი თვალებით, თუნდაც ცალით ჩაიხედო შავ-თეთრ ოციან წლებში.

მცირე აღმოჩენების სიხარული, გაწუწკებული თვალის ახალი ტიპაჟებით და ცოცხალი სიტუაციების კადრებით

SOVLAB - საზოგადოებრივი არქივი - დეილა მესხის კოლექცია

დატკბობა, იშვიათად – თუნდაც „ჩეკას“ სარდაფის ნესტიანი ჰაერის შეყნოსვა გიქმნის ილუზიას, რომ უცებ დროის ხაზი რომ გამრუდდეს და იქ აღმოჩნდე, სადაც ჩახედვა ზოგჯერ გინატრია ხოლმე – სარფსგაღმიდან ახლად შემომძვრალზე არანაკლებად სწრაფად მოძებნი „ჩვენს კაცს“ „მწყემსსა“ თუ „ცეკავშირში“ და თუკი სახეზე ოთხნიშნა ორდერს აგაფარებენ, პირველ დაკითხვამდე კარგად გაიაზრებ – „რუსული ატკაზი დაარტყა“ თუ ივაჭრო და ხავსს ჩაებღაუჭო. საბოლოო ჯამში კი, ან „რასხოდის“ ღამისთვის შეემზადო – საკუთარი ფეხით რომ გახვიდე საკნიდან, ან საწყალი კალესავით შებინდებისას ზურგში დადევნებულ ტყვიას ელოდო.

სწორედ მეოცე საუკუნის „ორმაგი მოქალაქეობაა“ ის მუღამი, ხშირად თანდაყოლილ სიმორცხვეს რომ გადაგალახვინებს და გაგაბედვინებს შენთვის სრულიად უცხო ადამიანებს წინაპრების ლანდები დაუფეთო, „გამუდმებული იერიშები მიიტანო არქივების გასაიდუმლოებულ ფონდებზე, გადამალულ კატალოგებზე, „დაუმუშავებელ დოკუმენტებზე“... საათობით და ხშირად უშედეგოდ ფურცლო კირილიცათი ნაბეჭდი, დაძენძილი „ოპისები“, რომ საბოლოოდ, იქნებ გაგიმართლოს და ხელის გულზე დაიდო დალაქავებულ (ერთ დროს თეთრ) ტილოს ჩვარში საგულდაგულოდ გამოკრული ნაგანის(?) ორი ტყვია – 1923 წლის დეკემბერში, ვერის ბორანთან ილარიონ გიორგაძის ტანში რომ გაიარა და დამზრალ მინაში გაცივდა; მზერა გაიმრუდო და ძლივს ამოიკითხო ნოე ჟორდანიას მიკროსკოპულ ემიგრანტულ დღიურში კვინიტაძის თავხედური წინადადების შესახებ – ცოლშვილიანად მარჩინეთ, თორემ მე თუ ავლაპარაკდი დედა გეტირებათო; მალულად გადაიღო ფოტო „ოპერსვოდკას“ კონ-პოლიდან – მაზნიაშვილისა და რუსი ბალერინას პარიზული სიამტკბილობის შესახებ; კარგად შეათვალიერო სახეები „ჩეკას“ მორიგე კომენდანტისა თუ მარჯანიშვილის თეატრის აქტრისას ფოტოალბომებში და ყალყზე წასული თმები მოისინჯო ხელით, სერგო ორჯონიკიძის გამოსვლის შავი სტენოგრამის კითხვისას – სტრიქონების მილმა როყიო იმერული აქცენტით და ავლაბრული ლექსიკით შეზავებული, დაფანტული, მაგრამ რიხიანი „რეჩი“ რომ მოისმის.

და რაც მთავარია, როგორმე უნდა მოახერხო „პოსტ-ფლეშ-ბექურ“ განხიბვლას გაუძლო და ეგოიზმი როგორმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძლიო; დაარწმუნო საკუთარი თავი – საკმარისი არ არის, რომ შენ იცი, რომ შენ ხვდები და გრძნობ – იქნებ, ეს ყოველივე როგორმე ქაღალდზე ამოანთხიო, ფორმა მისცე და სხვების გასაგებადაც მოთარგმნო – მაგრამ, სამწუხაროდ, უფანტაზიო მწერლები სიტყვაკაზმულობასთანაც მწყრალად არიან ხოლმე; მხოლოდ იშვიათი სიჯიუტისა და ნებისყოფის პატრონი თუ შეძლებს გამოიმუშაოს არარსებული ნიჭი – გააცოცხლოს და ადამიანურად მოგიყვეს ის, რაც არ დაწერილა, უმოკლესი გზა მონახოს შენს გულამდე – გაგაგებინოს, თუ რატომაა

მოსკოვში, ცენტრალმასკომის მდივანი აბელ ენუქიძე გაქცეული „უგალოვნიკის“ – ჯღარკავას სუფრაზე ქეიფობს და ნოე ჟორდანიას სადღეგრძელოს სვამს,

გენუის კონფერენციაზე, სხდომებს შორის შესვენებაზე საქართველოს ელჩი ოსმალეთში სოსიკო მდივანი გასალახად ეძგერება საბჭოთა საქართველოს დელეგატს, საკუთარ ძმას – ბუდუ მდივანს,

ტაქსის ჩავლისას, ტროტუარზე მოსეირნე პარიზელი ლამაზმანების კაბის ფრიალის ხარისხით და წინფარზე შერჩენილი ქუჩის კაფეს სკამის ნამტვრევების წყალობით მოქალაქეები უცებ ხვდებიან,

აპატიმრებს და „გრუზჩეკაში“ მიათრევს, სადაც კოტე ცინცაძეს კარგად შეახურებს და ბათუმის „ობჩეკას“ სარევიზიოდ გასწევს; დაბოლმილი ცინცაძის დავალებით აგენტები ქრთამს შეაჩეჩებენ ადიუტანტს და შეფთან ერთად ორთავეს სარდაფში მიაბრძანებენ, სადაც დაპანიკებული რევიზორი გამოტყდება, რომ სტაჟიანი აფერისტია და ნახევარი შიდა რუსეთის რევიზიის შემდეგ კავკასიასაც ესტუმრა. ერთი ესაა, რომ შეფიქრიანებული ცინცაძე ვერაფრით არკვევს, საიდან ჰქონდა თავზეხელაღებულ თაღლითს საიდუმლო პაროლები, რომელიც

SOVLAB – საბოგადოებრივი არქივი – ალბერტ არჩვაძე-დავითაშვილის კოლექცია

SOVLAB – საბოგადოებრივი არქივი – მედეა არჩვაძის კოლექცია

მნიშვნელოვანი იცოდე, რომ ჩიტაძისა და რუსთაველის კუთხეში, სადაც დღეში შეიძლება რამდენჯერმე გიწევდეს გავლა, ერთ დროს ორმოცი უცნობი ჯარისკაცის საფლავი იყო...

რომანტიკა? არ ვიცი, რა შეიძლება დაარქვა იმ ინსტინქტს, 1920-იანი წლების ქრონიკებისკენ რომ მიგექაჩება; ალბათ ასე ეძახიან ამგვარ სურათებს, შავ-თეთრი მუნჯი კინოს აჩქარებული კადრებივით რომ ჩაირბენენ გონებაში.

რომანტიკა? არ ვიცი, რა შეიძლება დაარქვა იმ ინსტინქტს, 1920-იანი წლების ქრონიკებისკენ რომ მიგექაჩება; ალბათ ასე ეძახიან ამგვარ სურათებს, შავ-თეთრი მუნჯი კინოს აჩქარებული კადრებივით რომ ჩაირბენენ გონებაში:

დღისით-მზისით, საქართველოს სსრ სახალხო კომისრები სასახლის წინ დარბაისელი მოქალაქის ცილინდრით ხელბურთს თამაშობენ,

პლეხანოვის კლუბის სცენიდან სოსო ჯუღაშვილ-სტალინს „ლურსმნის ქურდის“ და „გამყიდვლის“ ძახილით აძევებენ,

სახაზინო თეატრში, ანტოშა ცაგარელი გაბოლშევიკებულ რუსის შავრაზმელს ასილაქებს ანტრაქტისას,

რომ ეს ნახევრადმშიერი ქართველი ტაქსისტი მიაქროლებს მსხვერპლს უცნობ მისამართზე,

სამაისო ანტისაბჭოთა დემონსტრაციზე გიმნაზისტკებს ნაწნავებით ათრევენ მილიციელები,

ოპერის ქანდარიდან „დამკომის“ პროკლამაციები ფანტელივით ცვივა,

„ვეჩეკას“ კოლეგიის წევრი ადიუტანტთან ერთად რევიზიას ჩაუტარებს აზერბაიჯანის „ჩეკას“, „ტფილისის ვაკზალზე“ საგზაო-სატრანსპორტო „ჩეკას“ თანამშრომელს ქრთამის აღების ფაქტზე

მხოლოდ ცენტრის კოლეგიის წევრებმა იციან,

სახელგანთქმულ ჯემალ-ფაშას „ჩეკადან“ 50 ნაბიჯში ტყვიას დაახლიან და რამდენიმე საათში პანკრატოვი დიდი ხალისით იწყებს ტფილისის სომხობის დაწიოკებას,

დიდთოვლობისას, დიღმში „შიმშილით სულგამწარებული მგელი“ შიგ აღმასკომში შეიჭრება,

წვერ-ულვაშ გაშვებული, ყოფილი პარლამენტარი გოგიტა ფაღავა იაფფასიან სასტუმროში გამოიჭერს „პროვოკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორ“ ბენდელიანს და ხანჯალდაღერილი ცდილობს ამოქაჩოს, რა ცნობები მისცა მენშევიკების არალეგალურ ცეკაზე ლავრენტი ბერიას,

ობივატელები სიმბოლისტების და ფუტურისტების სუფრებს შორის გადამფრენ ბოთლებს ითვლიან,

„ცხვრის წყაროს“ ფინალური სცენა ლამის კონტრრევოლიუციურ გამოსვლაში გადაიზრდება ხოლმე,

ფირალი მელქისა გუნთაიშვილი ოცდახუთწლიან გადარბენს ასრულებს ტყიდან მენშევიკურ ციხეში, ციხიდან ოზურგეთის პოლიტბიუროს კაბინეტში, პოლიტბიუროდან ისევ ტყეში და ტყიდან ისევ პოლიტბიუროს სარდაფში,

უაილდ-ვესტის ყოფილი მხედრების პორტრეტები ნაკვერჩხლებზე იფერფლება,

ზაფხულის ბინდში, სოფლელი ბიჭების ჯგრო ხმადაბალი რუზრუზით განიხილავს ელენე დარიანის ლექსებს,

პალას დ'იტალიზე მოკლულ ნოე რამიშვილს დაკემსილი წინდები აცვია,

გაკრეჭილი მღვდელი სააღდგომო ტაბლას მისტირის,

სურსათის რიგში, ქანცგაცლილი მუშები უგონოდ ცვივიან მიწაზე,

ტიტლიკანა კომსომოლებს ზეცაზე მიაქვთ იერიში,

ბარნაბა ეძგვერაძე მორიგ პარტიულ წმენდას გადის,

დიბენკოს ცოლს დროგამოშვებით ახსენებენ,

საქართველოს პრეზიდენტი მიხა ცხაკაიაა.

შეიძლება, უფრო ისტორიის სპირალური წრებრუნვის შეგრძნება გხიბლავდეს და გაოცებდეს აქაც და იქაც – „დასავლელ იმპერიალისტებსა“ თუ „აღმოსავლეთის ბარბაროსებს“ შორის არჩევანზე გამუდმებული კამათი, ბათუმსა და ფოთში მოკავშირეთა ხომალდების მოლოდინი და უსასოო გამწარებით და ბოღმით იმ დღისა და საათის წყევლა, ქართველმა ხალხმა ევროპიდან რეალური მხარდაჭერისა და დახმარების ილუზია სინამდვილედ რომ იწამა;

ანაც იმ ერთგვარი „სახალხო გართობათა“ საწყისების მოულოდნელი აღმოჩენა შეიძლება გაკვირვებდეს, რომლებიც ყოველ მომდევნო თაობაში ხელახლა იბადებოდა ხოლმე – როცა უეცრად, დილით ფერადად გადაღებილ ბელადების ძეგლებს ხედავ და 1980-იანების ბოლოს ეპიდემიის გაგრძელებაზე გეცინება, ალბათ მოისურვებ როგორმე იმ „ეთნარქის“ სახელი გაარკვიო, 1921 წელს, ლენინის სიცოცხლეშივე, პასაჟი „კროშკას“ წინ დიდი ზარ-ზეიმით გახსნილ თაბაშირის ბიუსტს ღამით განავალი რომ გადააავლო და რევკომი იძულებული გახადა ძეგლი გადაემალა, რითაც დაჟინებით ნამღერი წინასწარმეტყველება აასრულებინა:

„ჩერქეზოვის ქუჩაზე
ლენინი დგას გმირადა,
დიდხანს იგი ვერ გასძლებს,
გადიქცევა ვირადა“.

SOVLAB - საგზგადოებრივი არქივი - ნანა (მანანა) ყურულაშვილის კოლექცია

ფეხბურთის მატჩისას, კორპუსებიდან სინქრონული ღრიალის გაგონებისას (მით უმეტეს, თუ 1990-იანების დასაწყისში, თვეში ერთხელ შუქის მოსვლისგან გამოწვეული ოვაციებიც გახსოვს) აღარ გიჭირს კიდევ ერთი გაცოცხლების პოტენციალის მქონე „ტრადიციის“ რეკონსტრუქცია, რომელსაც ისევ და ისევ ვლადიმერ ილიჩმა ჩაუყარა თბილისში საფუძველი; 1924-ში, ლენინის „დაკრძალვისას“, საბჭოეთში მოძრაობა შეწყდა, ქარხნის საყვირები ჩაირთო და საპატიო ყარაულმა ზალპი მისცა, რასაც მოულოდნელად, მთელს ტფილისში ყველა უბნიდან ჰაერში უწესრიგო სროლა მოჰყვა – შეფიქრიანებულ ბოლშევიკებს ვერ გაერკვიათ, როგორ ჟესტად მიეღოთ ეს აქტი; ამ გაურკვევლობაში ტფილისელებმა 1925 წლის მარტში, ნარიმან ნარიმანოვიც ერთსულოვანი ბათქით გააცილეს და რამდენიმე დღეში, დიდუბის იპოდრომთან საეჭვო ავიაკატასტროფაში დალუპულ „ზაკფედერაციის“ შეფებს – რუსეთის კომპარტიის (РКП-ს, ზურგს უკან მოფერებით „როკაპს“ რომ ეძახდნენ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს, მიასნიკოვს, „ზაკჩეკას“ თავ-რეს მოგილევსკის და ფოსტა-ტელეგრაფის სახკომის რწმუნებულს, ყოფილ ჩეკისტ ათარბეგოვსაც ანალოგიურად სცეს პატივი, თუმცა აქ ხელისუფლებას ყელში ამოუვიდა ეს სახალხო სპორტი, ბრალიან-უბრალო ერთიანად მოხვეტა და რამდენიმე თვე ახეხინა საკანი არყით გაბრუჟულ კომპარტიის ცეკას გარაჟის კომენდანტსაც, რომელიც ამხანაგების დალუპვით მართლაც გულდათუთქული „სამხედრო პატივს“ მიაგებდა მათ, სახსრებმონგრეული მოხუცის ჩათვლით – თოფის აწევის თავი რომ აღარ ჰქონდა და შვილიშვილს ასროლინა „ქართველი ხალხის ჯალათების“ გაღმა გასვლის აღსანიშნავად. რეპრესიებმა და საყოველთაო განიარაღებამ ფრთები შეუკვეცა თვითგამოხატვის ამ მეტად საინტერესო ფორმას, მაგრამ როგორც ამბობენ, ერთხელ კიდევ ამოხეთქა ამხანაგი სუსლოვის გაცილებისას...

თუმცა პარალელების და საერთო ტრადიციის ნამსხვრევების მიუხედავად, დროდადრო ხვდები, რომ 1920-იანები პრინციპულად სხვა ღირებულებების და ფსიქოლოგიური წყობის თაობის პასპორტია – რომელთაც ჰქონდათ, დაკარგეს და მისტიროდნენ იმას, რაც დღეს ჩვენ ჯერ ვერ მოგვიპოვებია, რომლებსაც მართლაც „ართმევდნენ ქართველობას“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამ უკანასკნელში თავისუფლების დაკარგვას მოიაზრებდნენ და არა წერა-კითხვის სწავლის დაძალებას...

ამის გამო უცნაურად და სახალისოდ ხვდება ყურს ხშირად სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაწერილი ხმები შუაგული 1920-იანებიდან, პირზე დაფარებული ხელიდან გამოღწეულ ხმებად რომ ისმის:

1926 წელს პარიზიდან დაბრუნებული ყოფილი ემიგრანტი „ყოფილი მენშევიკების" კრებაზე მოხსენებით გამოდის და ჟორდანია-რამიშვილის რეპრესიებზე საუბრობს, დარბაზიდან წერილობითი

SOVL.AB - საბოგადოებრივი არქივი - ნანა (მანანა) ყურულაშვილის კოლექცია

SOVL.AB - საბოგადოებრივი არქივი - ვერა ბარაბაშვილის კოლექცია

კითხვა მიდის: „რა ზომებს მიმართავენ რამიშვილი და მექი კედია მათთვის არასასურველი ქართული გაზეთების წინააღმდეგ პარიზში?", მომხსენებელი: – „ამხანაგებო, მოგეხსენებათ საფრანგეთში პრესის თავისუფლებაა და მათ არ შეუძლიათ რედაქცია აიძულონ გაზეთი დახურონ...". წამოძახილები დარბაზში: „ეს რა უცხო ხილი ყოფილა?!", „ასეთი რამ არც კი გვსმენია!!!".

სახალხო გვარდიის ცხინვალის შტაბის ყოფილი უფროსი უაღრესად სახასიათო დიალექტით და სიტყვათა წყობით გამოხატავს გულისტკივილს ჩოლოყაშვილის „ეროვნულ გმირად" მოხსენიების გამო და განმარტავს, რომ მას გმირის არსი ცოტა სხვაგვარად ესმის და ამას ვერ დაარქმევს ადამიანს, რომელიც გამოხტება, რამდენიმე კომუნისტს მოკლავს და ისევ ტყეს შეაფარებს თავს, უბრალო ხალხს კი გამხეცებულ ხელისუფლებას შეატოვებს ხელში; მისთვის ეროვნული გმირი, მაგალითად, მუსტაფა ქემალ-ფაშაა, რომელმაც „ფესკიან ხალხს შლიაპა დაახურა"...

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი და გულგრილობა უკვე საუკეთესო თანამგზავრად გყავს ქცეული, რომ ასე მოჯარებულმა არტისტიზმითა და პათოსით გაჯერებულმა სურათებმა თავბრუ არ დაგახვიოს და გმირების ძიების უმადურ საქმეს არ მიჰყო ხელი, მაინც ვერ უმკლავდები საკმაოდ ირაციონალურ ქვეტექსტებს და ხვდები, რომ ხშირად მავანის და მავანის საბოლოო თუ მორიგი სიტყვის ადრესატი არა იქ და იმ

თუმცა პარალელების და საერთო ტრადიციის ნამსხვრევების მიუხედავად, დროდადრო ხვდები, რომ 1920-იანები პრინციპულად სხვა ღირებულებების და ფსიქოლოგიური წყობის თაობის პასპორტია – რომელთაც ჰქონდათ, დაკარგეს და მისტირიან იმას, რაც დღეს ჩვენ ჯერ ვერ მოგვიპოვებია.

დროს დგას, არამედ შენ ხარ – ბუნდოვანი, შორეული, მაგრამ სასურველი მომავლის ბინადარი, შენ მოგემართება დავით მურმანოვის გამოსვლა „მენშევიკთა სალიკვიდაციო ყრილობაზე" და როსტომ მუსხელოვის ბოლო სიტყვა – „გადაეცით, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შეუძლიათ იდეისათვის სიკვდილი"...

მაგრამ, 1920-იანი წლების ამ ტრაგიკომიკური, ავანტიურისტული რეტროსპექტივის მიღმა მაინც უმძიმესი ტვირთების, იმედგაცრუებისა და უმწეობისგან გამოწვეული დეპრესიის ჯაჭვი იკითხება, რომელიც თან გაიყოლა უსახელოდ დაკარგულმა თაობამ და ვერც მოიცალა დაეჩივლა, გული მოეოხებინა და ცოტა თავიც შეეცოდებინა ჩვენთვის; დღეს კი, როდესაც ამ ბოლო დროს მთაწმინდაზე გახშირებული ფეიერვერკების ბათქი ჩაგესმის, ბუნდოვნად თუ ხვდები, რა გულით ეძინა 1921 წლის თებერვალში გაყინულ ქალაქს, კოჯრიდან, ტაბახმელიდან, სოღანლუღიდან და ორხევიდან არტილერიის განუწყვეტელი გრუხუნი

რომ ჩაესმოდა და როგორ იღებდნენ მოქალქეები იმ საბარგოდან ორთქლიან ფურნის პურს, წუხელ, შუაღამისას, ხელშეკრული, საცვლებისამარა განამებული პატიმრების ჯგუფი რომ აატარა ალმართთან, რომლის დასაწყისში ერთ დროს ქალაქური ტკბილი შემპარავობით და არღნის დანჯღრეული ჰანგებით რომ შემღეროდა კოპწია დუქანი გამვლელებს – „ნე უეზჟაი, გალუბჩიკ მოი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

უცხოურენოვანი გამოცემები

„2021: მომდევნო საუკუნის ამბები“

სიუზან გრინფილდი

368 გვ.

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე მეხუთე საუკუნეში, ცნობილი ბერძენი სწავლული სოკრატე მკაცრად აკრიტიკებდა სამომავლო მეთოდოლოგიებს, რომელიც ანტიკური საბერძნეთის ინტელექტუალებს მეხსიერების უნარს დაუქვეითებდა და მათ მოდუნებას განაპირობებდა. სახიფათო „ტექნოლოგიებში“ მაშინ ის წერას მოიაზრებდა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი ინფორმაციული გადატვირთვის საშიშროების გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზად ბეჭდური გამოცემები დასახელდა. სწორედ წარსულის ტრადიციის გაგრძელებაა ოქსფორდის უნივერსიტეტის ნეირომეცნიერის სიუზან გრინფილდის აღნიშნული ნაშრომიც, რომელიც კომპიუტერული რევოლუციის საშიშროებებზე საუბრობს. „შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სამყარო გრძელვადიანი ურთიერთობების გარეშე, როდესაც ადამიანები ვერ აცნობიერებენ თავიანთი ქმედებების მნიშვნელობას და არ შეუძლიათ ურთიერთთანაგრძნობის გამოხატვა?“ ამ რიტორიკულ კითხვას ის მკითხველს უსვამს და აფრთხილებს, რომ სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული საზოგადოება ამ საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ უფრო ინფანტილური გახდება.

„პალეოფანტასტიკა: რას ამბობს ევოლუცია სქესის, დიეტისა და იმის შესახებ, თუ როგორ ვცხოვრობთ.“

მარლენ ზაკი

336 გვ.

მარლენ ზაკი უკვე წლებია, განვითარების ბიოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან გამოკვლევებს მინესოტას უნივერსიტეტში უძღვება. მისი ბოლო სამეცნიერო ნაშრომი საკმაოდ სიღრმისეულად და ფართო ხედით წარმოაჩენს საკითხს, რომელიც კაცობრიობის განვითარების საფეხურებს მოიცავს. მარლენი ამ წიგნში ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ თანამედროვე ადამიანებს იმავე ტიპის გონებრივი და ფიზიკური მახასიათებლები აქვთ, როგორიც პრეისტორიული ხანაში. მისი მთავარი თეზისიც სწორედ ამ უარყოფაზე გადის: კაცობრიობა მუდმივი განვითარების პროცესშია, ცვლილებებს განიცდის და ცდილობს შეეგუოს იმ გარემოს, რომელში ცხოვრებაც უწევს. ევოლუციურ თეორიებს ის ისეთ ცხოვრებისეულ წესს უკავშირებს, როგორიც დიეტაა, რომლის მიხედვითაც ეპოქალურ განვითარებასთან ერთად, ადამიანებმა კვების სისტემაც განავითარეს და იმ გარემოს მოარგეს, რომელშიც ცხოვრობენ. ფუნდამენტური გენეტიკური და ანთროპოლიგიური კვლევის საფუძველზე ის ცდილობს მკითხველს ისტორიის მიერ შექმნილი პალეოფანტასტიკის ნაცვლად, პალეორეალობა უჩვენოს.





„მავთულხლართი: ციფრული კოსმოპოლიტები ურთიერთკავშირის ეტაპზე“

ეთან ცუკერმანი

288 გვ.

ინტერნეტი კოსმოპოლიტური სამყაროს შექმნის შესანიშნავი საშუალებაა, თუმცა, ამის მიუხედავად, ადამიანები სულ უფრო და უფრო ჩაკეტილები ხდებიან? – მსოფლიო აბლაბუდის ფართო ქსელის ამ ორაზროვანი განმარტების ანალიზს ციფრული მედიის სპეციალისტი და ინტერნეტაქტივისტი ეთან ცუკერმანი გვთავაზობს. ამავე თეზისის განსამტკიცებლად მას ონლაინ მედიის მაგალითი მოჰყავს: „ინტერნეტმა ჩვენ მოგვცა საშუალება, მეინსტრიმული მედიის გვერდის ავლით უფრო მეტი ინფორმაცია მივიღოთ, თუნდაც, ისლამური საზოგადოებების შესახებ, ვიდრე ამას ინტერნეტმედიის შექმნამდე შევძლებდით, თუმცა ამ უპირატესობის მიუხედავად, ადამიანები ისეთივე ინფანტილურები არიან ისლამურ სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართ, როგორც ციფრულ რევოლუციამდე“. მსგავს მაგალითებზე დაყრდნობით, ცუკერმანი ცდილობს არგუმენტირებულად განიხილოს პროცესი, როდესაც ტექნოლოგიების გამოყენებით ადამიანები თავად ირჩევენ იზოლირებას მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისგან.



კლასიკური გიტარის შემსრულებელთა I რესპუბლიკური კონკურსი

“საავტორო სტუდია” წარმოგიდგენთ კლასიკური გიტარის შემსრულებელთა I რესპუბლიკურ კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა ნებისმიერი ასაკის შემსრულებლისათვის. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის ოქტომბერში.

მისამართი: თბილისი ი. აბაშიძის 39
ტელ. 218 33 47
მობ. 595 355846
email: saavtorostudia@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულენოვანი გამოცემები



„რჩეული მოთხრობები“

ფრანც კაფკა

გამომცემლობა „პეგასი“
324 გვ.

დიდი გერმანელი მწერლის, ფრანც კაფკას 130 წლის იუბილე გამომცემლობა „პეგასმა“ გერმანელი ნოველისტის მოთხრობების ვრცელი კრებულის გამოცემით აღნიშნა. ეს გახლავთ პირველი სრულყოფილი გამოცემა, რომელიც კაფკას ქართული თარგმანების ორმოცდაათწლიან ისტორიას ასახავს. კაფკას მოთხრობების ახალი კრებული გასული საუკუნის დასაწყისსა და შუა წლებში გამოსულ კრებულებში – „დაკვირვება“ (1913 წელი), „სასჯელი“ (1914 წელი), „სოფლის ექიმი“ (1919 წელი) და „შიმშილის ოსტატი“ (1924 წელი) გაერთიანებულ მოთხრობებს უყრის თავს. მთარგმნელებს შორის არიან: ზურაბ და ნოდარ კაკაბაძეები, რომელთა სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული კაფკას ქართულენოვანი თარგმანების შექმნის პირველი ეტაპი. კაფკას ასამდე ტექსტის მთარგმნელთა შორის არა მხოლოდ ძველი თაობის, არამედ თანამედროვე ეპოქის მთარგმნელებსაც აღმოაჩენთ, რომელთა შორის არიან: ნანა ჭიღლაძე, თემურ ხანთაძე, რუსუდან ბეჟაშვილი, გაგა ჩხეიძე და სხვები. ქართველი მკითხველისთვის ნაცნობი ტექსტების გარდა, კაფკას რჩეული მოთხრობების კრებული ოცამდე ახალ მოთხრობასაც მოიცავს, რომელიც სპეციალურად ამ საიუბილეო გამოცემისთვის ითარგმნა.



„ცრემლიანი სათვალე“

გოგი გვახარია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
400 გვ.

საინტერესო ბლოგ-პოსტების, ანალიტიკური წერილების, რეცენზიებისა და სატელევიო პროექტების შემდეგ, გოგი გვახარიამ ქართველ მკითხველს თავისი პირველი წიგნი წარუდგინა. ოთხასგვერდიანი წიგნი იმ მოგონებების კრებულია, რომელიც წერილების სახით ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ წლების განმავლობაში იბეჭდებოდა. „ჩემი სათვალე ხშირად ილაქებოდა ხოლმე ცრემლით – ხან კინოგმირები მატირებდნენ, ხანაც ცოცხალი ადამიანები – რეალური ცხოვრება, რომელიც ჩემს თაობას მძიმე და მართლაც სატირალი გვქონდა.

ამ ცრემლის ისტორია თაობის ისტორიაა – იმ თაობისა, რომელიც ხრუშჩოვის გადაყენებისა და „ოტტეპელის“ დასრულების შემდეგ მივიდა სკოლაში, ბრეჟნევის ეპოქაში ისწავლა და „პერესტროიკის“ ხანაში დაიწყო მუშაობა... მერე კი დაიშალა, დანაწევრდა – სამოქალაქო ომით, აფხაზეთით, ქვეყნიდან გაქცევით, კულტურის დანგრევითა და კულტურის ნაცვლად ფსევდოკულტურით, ნარცისების ბაღნარის აშენებით“ – აღნიშნავს წიგნის ავტორი ანოტაციაში.

„ფსიქოლოგია და რელიგია, პასუხი იობს“

კარლ გუსტავ იუნგი

გამომცემლობა „დიოგენე“,
324 გვ.

ანალიტიკური ფსიქოლოგიის გამორჩეული წარმომადგენლის, კარლ გუსტავ იუნგის შემოქმედებით დაინტერესებული ქართველი მკითხველი „დიოგენეს“ ახალ გამოცემაში, ფსიქოანალიზის დარგში საკმაოდ მნიშვნელოვან ნაშრომებს გაეცნობა. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი გახლავთ – ფსიქოლოგია და რელიგია“, რომელიც იუნგის მიერ 1937 წელს წაკითხულ სამ ლექციას („არაცნობიერის ავტონომიურობა“, „დოგმა და ბუნებრივი სიმბოლოები“, „ბუნებრივი სიმბოლოს ისტორია და ფსიქოლოგია“) აერთიანებს. წიგნის მეორე ნაწილი კი კრიტიკოსებისა და ანალიტიკოსების მიერ ფუნდამენტურ ნაშრომად აღიარებულ წერილს – „პასუხი იობს“ ეთმობა. ტექსტები გერმანულიდან მაია ბადრიძემ თარგმნა.

„ღრუბელი შარვლით“

ვლადიმერ მაიაკოვსკი

გამომცემლობა „საუნჯე“
90 გვ.

თავისი თაობისა და ეპოქის გამორჩეულმა მეამბოხემ, ერთდროულად „ქუჩის პოეტმაც“ და ლირიკოსმაც, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, თავისი პირველი პოემა – „ღრუბელი შარვლით“ 1914-1915 წლებში, სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაორი წლისამ დაწერა. პოემას თავდაპირველად „მეცამეტე მოციქული“ ერქვა, თუმცა ცენზურის გამო სათაური შეეცვალა. „ღრუბელი შარვლით“ გამოსვლისთანავე იქცა ფუტურიზმის მანიფესტად. პოემა მხოლოდ მაიაკოვსკისთვის დამახასიათებელი ენობრივი სტრუქტურით, განსაკუთრებული სახეებითა თუ მეტაფორებით გამოირჩევა; მის ერთი შეხედვით „მყვირალა“ და ხმაურიან სტრიქონებს მიღმა უიღბლო სიყვარულით გამოწვეული ტკივილი და ტრაგიზმი იკითხება. აქ ერთდროულადაა ლირიკული გმირის აღსარებაც და პროტესტიც. პროტესტი არა იმდენად ღმერთის, რამდენადაც საკუთარი თავის მიმართ. მაიაკოვსკის პოემა ნინო ქოქოსაძის ქართულენოვანი თარგმანით პირველად იბეჭდება, თუმცა წიგნი ორენოვანია და მასში პოემის ორიგინალურ ვერსიასაც ნახავთ.

„ზაფრა და გულისრევა ლას-ვეგასში“

ჰანტერ ს. ტომპსონი

გამომცემლობა „დიოგენე“,
216 გვ.

სერია „ამერიკელები“ მკითხველს კიდევ ერთი პოპულარული ავტორის – ჰანტერ ტომპსონის შემოქმედების გაცნობის საშუალებას აძლევს. რომანის გამოქვეყნება (1972) 1960-იან წლებში ამერიკაში კონტრკულტურული მოძრაობის დაწყებას ემთხვევა, რაც ნოველის შინაარსსა და თხრობის დინამიკურ სტილზეც აისახება. „ზაფრა და გულისრევა – ლას-ვეგასში“ რეალურ ამბავზე დაფუძნებული ჟურნალისტური გამოძიების მხატვრული ინტერპრეტაციაა. მისი გამოქვეყნება პირველად სწორედ პოპულარული ამერიკული გამოცემის – „როლინგ სტოუნზის“ გვერდებზე დაიწყო და მოგვიანებით უკვე წიგნის სახეც მიიღო.

ეს არის ისტორია იმის შესახებ, თუ რა გზას გადიან სხვადასხვა ჯურის ნარკოტიკებით – „ამყვანებით, დამყვანებით, ამჭყივლებლებით, ამგდებ-დამგდებლებითა თუ მასხარების მთელი გროვით“ გაბრუებული მთავარი გმირი რაულ დიუკი და მისი ადვოკატი იმისათვის, რომ „ამერიკული ოცნება“ ლას-ვეგასში აიხდინონ. ტომპსონის სახელს უკავშირდება ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე არატრადიციული და ორიგინალური ჟანრის დაბადება, რომელსაც „გონზო-ჟურნალისტიკის“ სახელით იცნობენ. ქართულ ენაზე გამოცემული მისი რომანიც, სწორედ ამ ჟანრის ელემენტების არსებობას ავლენს და მკითხველს მძაფრი შთაბეჭდილებების ქვეშ ტოვებს. წიგნი ინგლისურიდან გია ჭუმბურიძემ თარგმნა.

„იშრომე ბევრი, იყავი კეთილი“

ჯეი მათეუსი

გამომცემლობა „რადარამი“
374გვ.

ბოლო პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული ბესთსელერის – „იშრომე ბევრი, იყავი კეთილი“ ავტორი The Washington Post-ის ბლოგერი ჯეი მათეუსი გახლავთ. წიგნის მთავარი იდეა განათლების პოლიტიკაა. ავტორი ცდილობს არგუმენტირებულად და სიღრმისეულად მიმოიხილოს მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ეფექტური გზების ძიების პროცესი. ჯეი მათეუსი გვიამბობს ორი ახალგაზრდა ამერიკელი მასწავლებლის შესახებ, რომლებმაც სრულიად განსხვავებული სკოლები შექმნეს ამერიკის საგანმანათლებლო სივრცეში. მათ საშინელ პირობებში დაიწყეს მუშაობა – არც მატერიალური ბაზა ჰქონდათ, არც შესაბამისი სახსრები ჩანდა, არც მოსწავლეები იყვნენ სწავლისთვის მოტივირებული და არც განათლების სფეროს ჩინოვნიკებს სჯეროდათ, რომ ეს ორი გაბედული, გამოუსწორებელი ოპტიმისტი რამეს მიაღწევდა; ყველაფერი კი პირიქით მოხდა! როგორ, რა რესურსით, რა ტიპის თავდადებისა თუ თავგანწირვის ხარჯზე – ამას წინამდებარე წიგნით შეიტყობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა

ავტორი: ლევან ძნელაძე

II

Moderat

Electro, Techno

Monkeytown Records

Moderat წარმოადგენს Modeselektor-ის და Apparat-ის ერთობლივი პროექტს, რომლის ფარგლებშიც რიგით მეორე ალბომი ჯერჯერობით მათი საუკეთესო ნამუშევარია. ამ არტისტებს თბილისში საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ და, ალბათ, ზედმეტი არ იქნება იმის თქმა, რომ ამ ჩანაწერით ბევრ ადამიანს საზაფხულო საუნდტრეკის პრობლემა მოეხსნა. თბილი (და ზოგ შემთხვევაში ცხელიც კი) ატმოსფერო, რბილი ბითები, ჰარმონიული ჟღერადობა და, მეტი რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ალბომი ნამდვილი ზაფხულის ჩანაწერად განვიხილოთ?

Slow Focus

Fuck Buttons

Noise, Experimental

ATP Recordings

Fuck Buttons ენდრიუ ჰანგის და ბენჟამინ ჯონ ფაუერის ბრიტანული ავანგარდ დუეტია, რომლებიც ემსახურებიან ექსპერიმენტული მუსიკის ისეთ განხრას, როგორიც White Noise გახლავთ. ეს ნიშნავს ნოიზ მუსიკის ისეთ კატეგორიას, რომელიც აგრესიული საუნდის მაგივრად თბილ და ემოციურ ატმოსფეროს ქმნის. Slow Focus მათი რიგით მესამე ალბომია და შთამბეჭდავად აგრძელებს წინამორბედების წარმატებას. სტილი ამ ალბომშიც უცვლელია, თუმცა ჩანაწერის ზოგადი ატმოსფერო კიდევ უფრო ისტერიკული და კლაუსტროფობიურია და შესაბამის პირობებში, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით მოსმენის შემთხვევაში, მსმენელი შესაძლოა ერთგვარ ტრანსულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს.

Magna Carta... Holy Grail/Jay-z/Rap, Hip-Hop/

Roc-A-Fella Records



თანამედროვე ჰიპ-ჰოპის მეგავარსკვლავის და ბიზნესმენის, ჯეი ზის ახალი ალბომი Magna Carta... Holy Grail კიდევ ერთი ჩანაწერია რეპერის ისტორიაში, რომელშიც ის თავის „ყოვლისშემძლე" ეგოს გარშემო ტრიალებს. ალბომში მოწვეულები არიან Justin Timberlake, Rick Ross, Frank Ocean, Beyonce და სხვა სახეები, რომლებიც თანამედროვე პოპმუსიკას წარმოადგენენ. Magna Carta საინტერესო ალბომია. ბევრი თვლის, რომ ჯეი ზის საშემსრულებლო ტექნიკა უკუსვლით მიდის და მისი კითხვის სტილი უფრო და უფრო მოსაწყენი ხდება, თუმცა Jay-Z დიდი ხანია აღარ გახლავთ იმ ტიპის შემსრულებელი, რომელიც რიგითი რეპერის რანგში უნდა განვიხილოთ. ის გარკვეულწილად სტატუსის სიმბოლოს წარმოადგენს და ამას ისიც ამტკიცებს, რომ მან ალბომი ექსკლუზიურად Samsung Galaxy-ს სპეციალური აპლიკაციის სახით გამოსცა და ამით, სავარაუდოდ, საფუძველი ჩაუყარა მუსიკალური ბიზნესის მხრიდან არატიპიურ მიდგომას თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ.

Field Of Reeds/These New Puritans/Avant-Rock/

Infectious Music



These New Puritans ლონდონური არტ-როკბენდი გახლავთ, რომლის წინა ალბომიც ბრიტანული ავანგროკის საუკეთესო ტრადიციებში იყო შესრულებული და მოსმენისას პირდაპირი პარალელი ლეგენდარულ ბენდ – Gentle Giant-თანაც ივლებოდა. ის, რომ ჯგუფის წევრებს აკადემიური მუსიკის მიმართ აშკარა სიმპათიები გააჩნიათ, კიდევ ერთხელ დადასტურდა. ამჯერად ახალი ალბომით, რომელსაც Field Of Reeds ეწოდება და ბევრად უფრო მინიმალისტური ნამუშევარია. ალბომი მოსმენისას სტივ რაიხისეულ ატმოსფეროს ქმნის და ჯგუფის ფანების გარკვეული ნაწილი იმედგაცრუებულიც დარჩა, რადგან ამ ალბომში შესული მუსიკას თანამედროვე Indie სცენასთან საერთო არაფერი აქვს.

Yeezus/Kanye West/Rap, Hip-Hop/

Def Jam Recordings

კიდევ ერთი დიდი სახელი თანამედროვე ჰიპ-ჰოპში – Kanye West საქმეს არ წყდება და კვლავ გვთავაზობს საკმაოდ გამომწვევ ალბომს, რომელსაც Yeezus (ალუზია იესოზე) ეწოდება და შეიძლება ითქვას, რომ განსხვავდება ყველა სხვა ნამუშევრისგან, რომელიც მას აქამდე „გაუკეთებია". ალბომში მცირე დოზით არის მელოდიურობა და ლირიკა ბევრად უფრო გამწვავებულია. ის ეხება ისეთ ფილოსოფიურ საკითხებს, როგორებიცაა პოლიტკორექტულობა, ახალი რასიზმი, კონსიუმერიზმი, მდიდრული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი და ა.შ. მუსიკალურ ნაწილში დიდი დოზით გახლავთ წარმოდგენილი Industrial Rock-ის ელემენტები და შეიმჩნევა ისეთი მუსიკოსების გავლენა, როგორებიც არიან Ministry, Nine Inch Nails და სხვა. ინსტრუმენტალებში წამოწეულია New Wave-ის ესთეტიკაც. საბოლოო ჯამში ეს მისი ყველაზე უფრო პირქუში ჩანაწერია და არატიპური გახლავთ მეინსტრიმული არტისტის დისკოგრაფიისთვის. ამას ხელი დიდი ალბათობით ლეგენდარულმა პროდიუსერმა, რიკ რუბინმა შეუწყო, რომელმაც აღნიშნულ ალბომზე იმუშავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე



იოტა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან **iTune**-ზე მოძებნეთ **„IOTA READER"**

lit.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5